

შ ე ს ა გ ა ლ ი

რუდოლფ პესის ინგლისში გაფრენის ისტორია, თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, მეოცე საუკუნის სენსაციას წარმოადგენს. იქცა კიდეც ამ საუკუნის ისტორიის პირმშოდ. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ დასაბუთებული რიგი ალტერნატიული მოსაზრებები, ნიშანდობლივი და მხედველობაში მისაღებია. სწორედ, აქედან იკვეთება ის ძირითადი და მთავარი მიზანი, რაც ლაიტმოტივად გასდევს ინგლისში გაფრენის მთელ ვოიაჟს. პოლიტიკური კატაკლიზმებით სავსე ის სრული პერიოდი, ვერაგობის გარდაუვალი შემეცნებით გამოირჩევა. ეპოქალური გარდასახვის მთელ რიგ განზომილებათა სათავეს ქმნიდა ცდომილებათა შეგნება თუ შერწყმა, ინდივიდუალური სიმამაცის გამოვლინებასთან.

ადოლფ პიტლერის ქარიზმატიული ბალაუფლების გათვითცნობიერებისას, ზეისტორიული სივრცის ანარეკლზე, მთელ რიგ გამოსახულებათა სიღრმეში, რ. პესის პიროვნების შეცნობის უტყუარი საფუძვლები იკვეთება. ეპოქის დეკორატიული სული, მისი საწყისი კოორდინატების არაერთგვაროვანი აღქმის ანალიზი იგრძნობა. მისი ფორმულის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ დროს შეუძლია. პიროვნების ბუნების შექმნისა და ჩამოყალიბების გარკვეული კრიტერიუმები, დროში სინქრონული წარმოსახვის პროპორციულია. ინდივიდში მარადიულობის ექვივალენტის დამკვიდრებას ხელს უწყობს გამჭირვალე ხედვა, დინამიური აზროვნება თუ შეგონება, ბალაუფლების შექმნის სინთეზური დიაგრამა, რომელიც ცნობიერების შეგრძნების უხილავი წუთიდან იდებს სათავეს. ბალაუფლება განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია, იმდენად ძლიერი, რომ ზოგჯერ შინაგანი ნგრევის

სიპტომს წარმოშობს. ანგრევს ძველს, აშენებს ახალს, არ ადადგენს ძველს, მაგრამ აშენებს ახალს ძველის ნანგრევებზე. თვით სიტყვაში ძალაუფლება მხოლოდ ორი კომპონენტი შედის: ძალა და უფლება. ყოფილა შემთხვევა მმართველს ეკითხოს: მე მაქვს ძალაუფლება, მაგრამ მაქვს უფლება გამოვიყენო ძალა? ამიტომად ძალაუფლება მმართველის ხელში განუსაზღვრელობითი ხასიათის მატარებელი. გაქვს ძალაუფლება, გაქვს ნება – არსებობს თავისუფლებაც. თავისუფლება ძალაუფლების წინა ფორმას წარმოადგენს, მისი შეკვეცა შესაძლებელია, გამარტივება არა. თავისუფლების მაგისტრალური ხაზი ძალაუფლების ფენომენს ერთვის. როგორც ერთის, ისე მეორის შეკვეცა შესაძლებელია. თავისუფლების დაკარგვის შემდეგ, შინაგანი რწმენა კიდევ დიდხანს ცოცხლობს. ძალაუფლების დაკარგვისას, საკუთარი ძალა კონკურენტურანტიანობას კარგავს და ნელი ადაპტირების პროცესს ემორჩილება. ძალაუფლების ფენომენალური კურსის ძირითადი განმსაზღვრელი მმართველობის პერიპეტიების ნორმალური ათვისება და გამოყენებითი ბაზაა. ასეთი მექანიზმის გამოყენება დამოკიდებულია მმართველის უნარსა და ინტელექტუალურ შენაძენზე. შინაგანი მეტამორფოზულობა ხშირად ახალი ფუნდამენტის წარმოქმნის საფუძველია. ნგრევის პროცესი ნელი, ვირტუოზული ტემპით შეიძლება წარიმართოს. ენერგიული დისბალანსი გარდასახვითი ხელოვნების კვანძს კრავს და უკუჩვენებათა სუსტ სიმპტომებს თითქმის აქრობს. შინაგანი მიზიდულობის კოეფიციენტი აღქმის საშუალებარენს გვძენს და საკუთარი ძალების დემონსტრირებაში გვეხმარება. მტკიცე ნებისყოფისა და წონასწორობის მქონე, გნებავთ, ძალისმიერი ან იძულებითი თავშეკავების მატარებელი პიროვნება პოლიტიკაში მომგებიანობის ქვაკუთხედს ქმნის. თუმცა, ემოციებისაგან დაცლილი

ინდივიდი ნაკლებსასურველია. პიტლერი მოჭარბებული ემოციების გაელვება იყო. მასში მოზღვავებული ენერგიის მარაგი ერთბაშად იცლებოდა და ივსებოდა. მისი ბრძოლისუნარიანობა სასიცოცხლო ძალების ერთობლივ რეალიზაციაში მდგომარეობდა. სურვილი გამხდარიყო გერმანიის ფიურერი, მეტწილ, მის პიროვნულ სიძლიერესა და ხასიათის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული. მომავალი ფიურერის „პატარა მმართველობა”, ჯერ კიდევ, ლანდსბერგის ციხის კედლებში დაიწყო. პატიმარი პიტლერი აქ ადგენდა გეგმას, ფიქრობდა და მსჯელობდა სამომავლო პოლიტიკის მასშტაბებზე, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განახორციელებდა. ძალაუფლების ნება განუყოფელია მისი მფლობელის ფლობის სურვილისაგან. ეს იმდენად გახანგრძლივებულია შინაგანად, რომ გარე ფაქტორების შეპირისპირების ფონზე ძალისმიერი თავშეკავების სინონიმად ხშირად იქცევა. ეს არის ნელი პროცესი, ისევე როგორც დახურულ კარს მიღმა არსებულ სიბნელეში, მხედველობაში გამოკვეთილი სიცარიელე ნელ-ნელა შეივსება მეხსიერებაში დარჩენილი ნივთების ხარჯზე. ძალაუფლებისა და ნების დაპირისპირება ქვეცნობიერ წინააღმდეგობაში გადაიზრდება იმგვარად, რომ ვერც კი შეამჩნევ, როგორ გაგიდგება განზე საკუთარი ნება. თუ ძალაუფლება არის ინდივიდში, სადაც თავმოყრილი არაა ინტელექტი, ტაქტი, თავაზიანობა და გულწრფელობა, ასევე მეორე ინდივიდში წვდომის სურვილი შემეცნებით ასპექტში, ძალაუფლება საშიშ ფენომენად იქცევა მასში. ამ შემთხვევაში, ის გადადის აგრესიაში, აგრესიულ ქმედებათა გამოვლინებაში და იქცევა მიწიერ სიახლოეთა მანკიერ კავშირთა ხელშემწყობ ფაქტორად, რასაც თან სდევს განუკითხაობა, დანაშაული. სიმარტოვეში გაჩენილი ბზარი უმჯობესია გატყდეს და სიცარიელეში გარედან შემოჭრილმა სიხარულის ელემენტმა

დაისადგუროს. თუ ამ ბზარმა რისხვა წარმოქმნა - დაუოკებელ
ქმედებათა შემაკავშირებელი ძალა - გაუწონასწორობა
გარდაუვალია. არარეგულირებადი „შინაგანი მე” მძაფრსიუჟეტიან
დრამად იქცევა. ძალაუფლების ფლობის სურვილი ცხოვრებისეული
სირთულეების შესაბამისად ჩნდება, ზოგჯერ კი სიახლის განცდის
მომენტად გვესახება. ამ შემთხვევაში, რაღაც დიდი ეტაპი მთავრდება
პიროვნების ცხოვრებაში და იწყება ახალი, ისე რომ ინდივიდის
თვითწარმოსახვაში დასასრულის დასაწყისი ჩანს. ეს არის
მატერიალური კმაყოფილების მუდმივი განცდა ან
დაუკმაყოფილებლობის ტალღის აზვირთება, ცხოვრებისეული
სურვილების უკან მოტოვება. დასახელებულ არგუმენტი -
ცხოვრებისეული პრობლემებით ჩასახული სწრაფვა
ძალაუფლებისაკენ - არ იგრძნობა მიჯნა ანუ აქ გამოკვეთილად
არაფერი მთავრდება, მხოლოდ გაგრძელება ხდება გარე ფაქტორების
უნებლიერ დატვირთვის გამო, დაგროვილი ენერგიის ხარჯზე.
რადიკალურობა, გარკვეულწილად, გადაწყვეტილების მიღებაზე
აისახება, პრინციპულობა ამავე გადაწყვეტილების სიმტკიცეზე,
სიზუსტე ანუ რამდენად სწორი არჩევანი გააკეთე, უნდა
ცალმხრივად განსაზღვროს კატეგორიულობამ და მისადმი
სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ. ჯერ რაიმე სახის გადაწყვეტილება
თავად კი არ უნდა მიიღო და ამისკენ კი არ უნდა წარმართო
საზოგადოებრივი აზრი, არამედ უნდა დაეკითხო სხვებს და შემდეგ
გააკეთო ანალიზზე დაფუძნებული საბოლოო დასკვნა. რუდოლფ
ჰესის ინგლისში გაფრენის გადაწყვეტილება შეჯერებული იყო, არა
მარტო სხვა ნაცისტ ლიდერებთან, არამედ თვით ფიურერთან -
ადოლფ ჰიტლერთან. გადაწყვეტილება უნდა იყოს ერთპიროვნული,
მაგრამ მიუკერძოებელი, რომელზეც გავლენას ვერ უნდა ახდენდეს
გარშემომყოფთა უმრავლესობა, იმდენად მისაღები უნდა იყოს ის.

ობიექტური დამოკიდებულებისაკენ სწრაფვა აღმავალია, მაგრამ ალპინისტის ბედს წააგავს. იცი რისკენ მიისწრაფვი და ეს მიზანი სირთულეების გადალახვაში გეხმარება. თავის მხრივ, წარმოქმნილი სირთულეები მიღწეულის სრულფასოვნად აღქმაში გვეხმარება. მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდე, მზარდი მოთხოვნილების საგანი იერარქიულად აღიმართება, როგორც ზედნაშენი. მთავარი ისაა, რომ ყოველთვის ვერ იქნები მათი სრულფასოვნად აღსრულების მესაჭე. დიდ სიხარულს დიდი ტანჯვა ახლავს, დიდ გამარჯვებას დიდი წუხილი, სხვაგვარად, მის სიდიადეს ვერ შევიგრძნობდით. არასრულფასოვნების განცდა „დიდი ადამიანების” თანმდევი თვისებაა, რადგან ისინი ყველაფერს სხვა თვალით ხედავენ. ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება უჩნდება მათდამი, რადგან „დიდი ადამიანების” გონება ისე არ არის მოწყობილი, როგორც „პატარა ადამიანებს” უნდათ. ისინი ბევრად ცდებიან საკუთარ მოთხოვნილებათა ჩარჩოებს და „არარსებული იდუმალებით” იკვებებიან. იდუმალება - ზრდასრული ადამიანის უხილავი, თანმდევი თვისებაა, რომელიც დროში „გაზრდის” გააზრების საშუალებას გვიტოვებს, რადგან ახალი მრწამსის პირველი გამზიარებელია. ასეთი ტიპის მქონე ადამიანის არაერთგვაროვან დამოკიდებულებაში შესაძლოა თავი იჩინოს დირსეული ადამიანის ხელით ტარების უეცარმა და უნებლიერ შევილმა. სხვაგვარად, ამ ადამიანის გაფეტიშების რწმენამ. „პატარა ადამიანი” კი ბოლომდე ვერასოდეს შეგიმეცნებს, რადგან ვერასოდეს შეგწვდება.

ძლევამოსილების უკვდავი შარავანდედი სიცოცხლეშივე უნდა შეიმჩნეოდეს. ძლიერებისადმი პატივისცემა უნებლიერ მოწიწების ტოლფასია ოდითგან. რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მეორეხარისხოვან ან თანმდევ

ფაქტორად იქცეს – ანუ ახლდეს ამ მოწიწებას. მათ ეს სიძლიერე, თუ ის აბსოლუტური კუთვნილებაა ამა თუ იმ ბელადისა, დაცვისა და თავდაცვის საყრდენ ობიექტად წარმოედგინებათ. სწამთ ამ ძალის და ესაა, რომ უფრო შორს არ ახედინებთ. დამაპრმავებელი ძლევამოსილება ხალხის აღმართების საგნად იქცევა, რასაც თან სდევს: გაუთვითცნობიერებელი სიყვარული, ანუ ნამდვილი სიყვარული; შიში, რომელიც შესაძლოა გადავიდეს ასევე აბსტრაქტულ განზოგადოებაში: სიყვარულში ან სიძლვილში. ასეთი მმართველი სიცარიელეს არ გიტოვებს: უნდა გძულდეს ან უნდა გიყვარდეს. სიძლვილის ნიადაგზე არჩევანის გაკეთება არამოგებიანია. ადვილი შესაძლებელია, ერთის სიძლვილმა მეორეს ნეგატიური მხარე არ დაგანახოს. შესაძლებელია თავშეკავების მძლავრი იმპულსები გაჩნდეს, თუმცა ეს არ იქნება მარადიული, რადგან ნებისყოფის სინდრომი მართალია რეგულირებადია, მაგრამ მზარდია. აქ მრისხანებაც თავისთავად გარდაუვალია. თუ ხელისუფალს ძლევამოსილებასთან ერთად ინტელექტუალური ბაზისი არ ახლავს თან, ანუ მისი სიძლიერე ცოდნაზე არ არის დაფუძნებული, ეს ძალა აგრესიად იქცევა, აგრესია მძლვარებად და ეს, საბოლოოდ, მას დიქტატორად აქცევს, რომლის ხელში გაერთიანდება სიძლვილზე დაფუძნებული მტრობა, შურისგება, ძლიერთა განადგურების სურვილი, რაც თავისთავად მორჩილების დანერგვისა და დამონების წყურვილად იქცევა. რაც შეეხება ინტელექტუალურ ბაზისზე აღმოცენებულ ძალაუფლებას, აქ „საკუთარი მე”-ს ურყეობისა და თვითშეგნების კოეფიციენტი მაღალია, საყოველთაო მძლვარებაა ხანმოკლე, დროდადრო ჩნდება და ქრება. ითვალისწინებ რა სხვის შეცდომებს, საკუთარს არ გამორიცხავ. ამიტომ თავის ხელში აყვანა გიხდება, რომ სერიოზული შეცდომების დასაშვებად მზადყოფნა გააუქმო. აი, რა როლს

თამაშობს დრმად ერუდირებული ადამიანის ხელში ძალაუფლების ფენომენი და რით განსხვავდება ის შემთხვევით მორგებული, მხოლოდ შიშველი ცხოვრებისეული სირთულეებისაგან გამოჩეკილი ლიდერისაგან. უხეშობა ძალდატანებით დარღვევად იქცევა, ძალადობა კი სტრუქტურულ ცვლილებათა ნგრევის სიპტომად. ეს წარმოშობს გაუთვალისწინებულ რყევებს საზოგადოების რიგებში. იდვიძებს თავდაცვის ინსტიქტი, რადგან ბრძოლა არსებობისათვის აქტუალური ხდება. ეს გაუთვითცნობიერებელი შიშია სიკვდილის პირისპირ. ამ შემთხვევაში, გადარჩენილი ადამიანების ენერგია ორმაგდება ან იცლება ენერგიისგან და პასიური ხდება. გამბედაობის ნიველირება გარდუვალია. რისკი ყოველთვის როდია გამართლებადი. მმართველმა გულის სიღრმეში სინანულიც უნდა შეძლოს და წუხილიც, თუმცა ემოცია იქამდის უნდა გადასდოს, სანამ ამის გამოვლენის საჭიროებას არ დაინახავს.

სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს შემდგარი პიროვნება, მას გათავისებული უნდა ქონდეს „საერთო მე“. როდესაც შენში ბუდობს რწმენა საზოგადოების ზრუნვისა, კმაყოფილი უნდა იყო ამ რწმენის ხორცშესხმის გამო. მმართველმა ელიტის შენარჩუნებაზე და ცუდის კარგისკენ შემობრუნებაზე უნდა იფიქროს. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ძლიერი, დვორის რჩეული შვილია და ეს რჩეულობაა, სწორედ, გამოცდის წინაშე რომ აყენებს – რამდენად შეგიძლია გაითავისო ის, რაც შენ არ გეკუთვნის, მაგრამ გევალება. მმართველობა არ არის სკამს დამონებული ძალაუფლება, არამედ ორიენტირებული ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. კრძალვა, რიდი, პატივისცემა, მოწიწება – ადამიანთა ის თვისებებია, რომლითაც პირველი პირი ქვეყანაში უნდა სარგებლობდეს. გასათვალისწინებელია, რომ კეთილი სურვილები მეგობრულ ურთიერთობაში არ უნდა გადაიზარდოს, რამეთუ გათამამებული

ბრძო გაზულუქებულ მასად გადაიქცევა ხოლმე, რომელთაც საყვარელ საქმიანობად ექცევათ გაკიცხვაც. ლიდერი სხვის ხელში გამოყენებით იარაღად არ უნდა იქცეს. ამის საშიშროება იქმნება იმ მოხელეებისგან, რომლებიც გარს არტყას. მმართველი იმგვარად უნდა შეეხოს ხელქვეითის პროფესიულ საქმიანობას, რომ მისი ლირსება არ შელახოს. ეს დელიკატური საკითხია და სიფრთხილე ესაჭიროება. ლირსებაშელახული ადამიანი პატივაყრილ ადამიანზე უარესია, მას აღარაფერი რჩება განადგურებისა და ტკივილის მეტი. ამ შემთხვევაში, მეთაური უნდა ამოვიდეს ჩვეულებრივი ადამიანური მენტალიტეტისგან, თავი დააღწიოს პრიმიტიულ გაგულისებას, ისწავლოს თავშეკავება ანუ კონტროლს დაუქვემდებაროს „საკუთარი მე“. ეს, თავის მხრივ, საკუთარ თავზე დაკვირვების საშუალებას მისცემს. სადი აზროვნების შენარჩუნება რთულია იქ, სადაც მრავალი ადამიანი ტრიალებს. ამიტომ მმართველი ყოველთვის უნდა ეცადოს გამონახოს მარტოდ დარჩენის დრო და შესაძლებლობა, რადგან შეძლოს სიმართლის გადამოწმებაც. მისი მხრიდან ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო, რადგან ყოველი ჩქამიც რაღაცას ნიშნავს, რაღაცის მომასწავებელია. ძლიერი მმართველი ძლიერი მომავლის საწინდარია. ეს, თავის მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობის უტყუარი წინაპირობაა. ამიტომ, აუცილებელია მმართველის შინაგანი სიძლიერე, მისი ინდივიდუალურობა თუნდაც ამ ძალაში, თვითმყოფადობა მის განცდებსა და გამოხატულ მანერებში, დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე, პირმოთნეობა და მუქარა მტრებთან. გასათვალისწინებელია გარემო, სადაც ხდება ქმედება, ანუ რეალიზება საკუთარი შეხედულებების.

მატერიალურ გარემოსა და პიროვნებას შორის შეუთავსებლობა იმდენად მკვეთრია, რომ ამ ჭიდილში

დაუძლურებული ადამიანი პასიურიც კი ხდება მოჭარბებული ემოციების ზემოქმედებისას. პიროვნებათა შორის გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხი, მათი შინაგანი მეტამორფოზულობის წარმოჩენის მიხედვით წყდება.

ფაშისტურ გერმანიაში ფიურერის მოადგილის სტატუსით აღჭურვილი რ. ჰესის პიროვნული მახასიათებლები მის ნაკლებაქტიურ ქმედებათა ტიპიურ რიტმს განასახიერებდა. დღეს, დაინტერესებული საზოგადოებისათვის, ალბათ, უცნობი დარჩებოდა რ. ჰესის სოციალურ-პოლიტიკური როლის განსაზღვრის პოზიტიური თუ არაპოზიტიური მაჩვენებლები, რომ არა 1941 წლის 10 მაისის ისტორიული მოვლენა. ინგლისში ფიურერის მოადგილის გაფრენის ექსტრავაგანტურობა, მისი უპრეცედენტო წარმოსახვის დინამიკაში მდგომარეობს. გონიერების ზღვარი არსებულისა და რეალურის შიგნით, თანაბრობის სიპტომებს აშკარად გამორიცხავს, რაც მათი გამიჯვნისა და შესაბამისი კოორდინაციის ილუსტრირების საშუალებას იძლევა.

ადოლფ ჰიტლერის ფარული მონაწილეობა ჰესის გაფრენაში, ინდივიდუალური მიდგომის უჩვეულო ინერტულობით გამოვლენილი, ცნობიერების უმაღლეს სტადიაზე აპრობირებული პიროვნებათა მონაცემების შერწყმის თანხვდომი ბაზისია. რ. ჰესის დამოკიდებულება ფიურერისადმი თანდათანობით სტაბილურ ხასიათს დებულობდა, რაც ურთიერთობაში წონასწორობის ბალანსის მაქსიმალური შენარჩუნების საფუძველია.

პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულების მსაზღვრელობითი ბუნება და მისი როლი პოლიტიკაში, ნამდვილად გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ჰიტლერმა არაფერი იცოდა თავისი მოადგილის ინგლისში გაფრენის შესახებ. გაფრენის მოტივების ზოგადი

ხასიათის ნაირსახეობა კონსტიტუციული მოდელის შექმნის ვარიაცია.

მესამე რაიხის ბეჭდი თავის კანონზომიერ როლს აღასრულებს, არ დალატობს რა თავისი მოადგილის პოლიტიკურ მაქინაციაში მანევრირების ჩვეულ მეთოდებს. პოლიტიკის საქმე ჩარდახს გავს. ამ შემთხვევაში, არავინ უწყის როგორ წარმართავს მას პოლიტიკური ამინდი. ნაადრევი პროგნოზირება მიახლოებული უნდა იყოს რეალობას, მაგრამ არა ასი პროცენტით. კითხვის ნიშნების ჩამოცილება უმოქმედობის გარანტია და მეტი არაფერი. აქამდე მოსასვლელი გზა მირაჟია, უკან მოიხედავ და ბუნდოვნად მოჩანს. განვლილი გზა მეხსიერებაში შემონახული ტვირთია. ადამიანი ყოველთვის ახლის ძიებაშია და არა თავისი წარსულის ქექვაში. ის რაც მტკიცნეულია, ზოგჯერ სასიამოვნოცაა, ზოგჯერ ამაზრზენიც. ათასჯერ გათელილ გზაზე სვლა თვითკმაყოფილების განცდას ვერ მოგვანიჭებს. მას მოლოდინი არ ახლავს, თუმცა აქვს დასასრული. მოსალოდნელი საფრთხის წინაშე „დაპატარავება“ იგივეა, რაც გულზე მობჯენილი თოფის ლულის რეალური განცდა. შიში საფრთხის წინაშე, არსებული რისკის სინდრომის თანმდევი სტერეოტიპია. შეიძლება დათრგუნო შიში, მაგრამ ამით ვერ აიცილებ საფრთხეს, თუმცა მისი დაძლევის საქმეში უცილოდ დაგვეხმარება. შიში იმისა, რომ გაამართლო შენი არსებობა სხვა რამეა. გეშინია რაღაც არ დაგრჩეს დაუმთავრებელი, გამოუმზეურებული. ადამიანმა ყოველი დღე რომ ჩათვალოს უკანასკნელად და იცხოვოს ისე, თითქოს მისი უკანასკნელი დღეა, სიკვდილის პირას იმას კი არ გაიხსენებს რისი გაკეთებაც შეძლო, არამედ იმას, რისი გაკეთებაც ვერ მოასწორო. სინაკლულის შეგრძნება ყოფითია და მაშინ, როცა მმართველს შეგწევს ძალა არ დაკარგო არცერთი წუთი და გააუმჯობესო ის, რისი არ გაკეთების შემთხვევაში მკვდარსაც

მოგეკითხება, უნდა შეიყვარო საქმე. ეს მოვალეობაცაა, ვალდებულებაც და ჩვეულებაც. მოწიწებისა და რიდის ხილული კომპონენტების გავლენა ხალხში მმართველის მიმართ იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ ვერაფერმა შეარყიოს მათი რიგები. შეუძლებელია ყველას თანაბრად უყვარდე, მაგრამ უმრავლესობას უნდა უყვარდე. არასდროს არ უნდა იფიქრო, რომ ვიღაცას თავი შეაყვარო, არამედ უნდა გააკეთო იმგვარად, რაც ხალხში ენთუზიაზმს გამოიწვევს. სიყვარული კი თავისთავად მოვა. რატომ უწოდა რ. ჰესს ხალხმა „სინდისის პატიმარი?” შპანდაუს ციხეში მყოფ რუდოლფს ანუგეშებდნენ ლოზუნგებით „თავისუფლება რუდოლფ ჰესს, ის სინდისის პატიმარი”. ბიორდის თქმით, ამას თვითონ ჰესი არ მოელოდა, როცა ციხის გალავნის მეორე მხარეს ყიუინა შემოესმა, მან დამთრგუნავი ყრუ ხმით თქვა: ამათ რადა უნდა, საკმარისი არ არის რაც მომისაჯეს”. კომენდანტს განუმარტავს: „ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ ჰესს. ეს ხალხი აქ შენს დასაცავად და გასათავისუფლებლად მოვიდა.” ჰესი გამოცოცხლდა და ხალისით აღნიშნა: „მართლა?”[2,200-201]. ფიურერის ყოფილი მოადგილე არ ელოდა მასებისგან ასეთ დიდ ენთუზიაზმს, რადგან მას არასდროს უცდია ხალხისთვის თავი შეეყვარებია, თუმცა ყოველთვის ცდილობდა საზოგადოების ინტერესი მის მიმართ არ განელებულიყო. „სად არის სამართალი” – ეწერა მათ პლაკატებზე. ბიორდს ასევე უთქვამს, რომ ისინი მისი დაბადების დღის მოსალოცად შეიკრიბნენ, ამაზე გაოცებულ ჰესს წარმოუთქვამს: „ნუთუ მათ იციან ეს, ნუთუ მათ ახსოვთ ეს?”

მმართველმა ყოველთვის უნდა შეძლოს კეთილი ნების შენარჩუნება, ხოლო თავის ხელქვეითებში უნდა დაინახოს მოდრეკილი გული, წმიდა გონება და სუფთა სინდისი. ადამიანში თავად უნდა იდოს ერთგულება და არა მოჩვენებითი ნდობა. მცირე

გულისტკივილი ადამიანებში აფორიაქებისა და დაურწმუნებლობის ტალღას წარმოშობს და მათში არაერთგვაროვანი გამიჯვნის ალბათობაც მეტია. ხალხს უნდა უყვარდეს თავისი მმართველი, საუბარია ზოგადად ხალხზე და არა მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილზე. უმრავლესობისათვის მისაღები კანდიდატურა უმცირესობის რეალური გაკილვის საგანი ვერ გახდება. ეს უკანასკნელი, მეტწილ, ზომიერი უნდა იყოს. ზოგჯერ სიჩუმეშიც პეთდება პოლიტიკა. ოპოზიცია ყოველთვის სუსტია თუ უმცირესობაში დარჩება. დემოკრატია სრულებით არ ნიშნავს მმართველის სისუსტეს. მართალია დასაშვებია პოლიტიკური პარტიების, კლუბების, თავშეყრის ადგილების, მანიფესტაციების და სხვათა ფორმირება ოპოზიციის მიერ, მაგრამ ეს სრულებით არ აკნინებს მმართველის ძალაუფლებას. პირიქით, ეს ზოგჯერ საჭიროა მისი იმიჯის ფორმირებისა და სრულყოფისათვის. სახელმწიფოს მეთაურის მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობის რწმენა არ უნდა შეირყეს, რადგან უმცირესობაში ყოველთვის მოიაზრება უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი. მმართველმა მათ უმრავლესობაში გადანაცვლების სტიმული უნდა მისცეს და საამისო გზა დაანახოს, მაგრამ არა ძალისმიერი გზით. ზეადმართული „მუშტი“ მაშინვე არ უნდა დაეშვას, ანდა არ უნდა დაეშვას უმოქმედოდ. გაუბედავად წამოწყებული საქმე უგულო კაცის ნახელავს გავს, რომელიც შედეგს არ ელოდება, რადგან ვერ ხედავს ან იცის, რომ ვერასდროს ვერ დაინახავს.

სახელმწიფოს პრინციპების სიმბოლური დაცვა დაზვერვის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი ატრიბუტიცაა, რომელიც მოცემული საკითხის პროპორციული თუ უკუპროპორციული ასპექტების თავისებურ კონგლომერატს წარმოადგენს. დაზვერვის

ხელოვნების ეს განსაზღვრა წმინდა ისტორიული განხილვის საგანია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტების მოზღვავებას ვერ გაუმკლავდებოდა, რომ არა შინაგანი გონიო პრინციპი, რაც შესაძლებელს ხდის ისტორიული ფაქტების მოწესრიგებას, კლასიფიკაციას და თუ გნებავთ, გაერთიანებას. თუმცა, ინდივიდის სხვადასხვაგვარი აქტიური სიჯიუტის თვითშეგნების ფონზე, ჰარმონიულ შეთავსებაში ვერასდროს ვერ მოვა. პირიქით, საპირისპირო ძალები ერთმანეთს ებრძვიან და დუნდებიან, ისევ ებრძვიან, როგორც, მაგალითად, მეცნიერული და მითოსური აზროვნება. ადამიანის გონის ფაქტიური განვითარება ასეთი ჰარმონიული მთლიანობის მუდმივი წინააღმდეგია, მაგრამ პერმანენტული მოვლენების ვაკუუმში წონასწორობის ექვივალენტი უსათუოდ შესაძლებელია. ე. ი. ერთი ფაქტის მეორის გაგრძელებად მიჩნევა, სინთეზური აუცილებლობის პროდუქტია. ინტელექტუალური ოაზისი ინდივიდთა ჩამოყალიბების მსაზღვრელ სტრუქტურას ქმნის და პიროვნებას ქვეცნობიერად აყალიბებს. ცნობიერება კი ადამიანის მოძრავი, მკვებავი მექანიზმია. იმპულსები ქცევებში აისახება, ინსტიქტი ქმედებებში. ქცევა ქმედება სულაც არაა, არამედ ერთი მეორის გაგრძელებაა. კეთილშობილება ყოველთვის დადგით მუხტს წარმოქმნის. ზოგჯერ იმის შეგრძნებაც შეიძლება დაგეუფლოს, რომ ეს ადამიანი ხელახლა აღმოაჩინე და ეს, შეიძლება, მრავალი წლის შემდეგ მოხდეს. მთავარი ჭეშმარიტების შეგრძნებაა და მასზე დაფუძნებული ურყევი რეალობა. ჭეშმარიტების გარდუვალობა ნიშნავს იმას, რომ თავადაც ამ ჭეშმარიტების ნაწილი იყო. კეთილშობილება ამპარტავნობა როდია, არც თვითნებობაა მისი ნაყოფი. ყოველივე ეს ლიდერმა კარგად უნდა უწყოდეს მანამ, სანამ მმართველობის სადავეებს აიღებდეს ხელში. სახელმწიფოს მეთაურის წინაშე შიში

გაუმართლებელია. შიში „პატარა კაცის” თანმდევი თვისებაა, სისუსტის მიმანიშნებელია, რომელიც საბოლოოდ სიკვდილის შიშთან ასოცირდება. ნებისმიერი სახისა თუ მიმართულების შიში აქ იყრის თავს. თუ ძლიერი ხარ, უკვდავების შთაგონებით იმოსები, თუმცა იცი, რომ სიკვდილი გარდუვალია და მასთან შეგუება გიხდება. მხოლოდ იმედი გრჩება, რომ ეს მაშინ მოხდება, როცა ის არ იქნები, ვინც ახლა ხარ. არამედ სხვა ადამიანი სხვა განზომილებაში. რ. ჰესი თავის მეუღლეს შექსპირის სიტყვებს წერდა: „ყველაზე მეტი საკვირველება, რაც მე ოდესმე გამიგია, ის გახლავთ, რომ ადამიანს შიშის გრძნობა უნდა ქონდეს, ხოლო რაც შეეხება გარდაუვალ სიკვდილს, იგი თავის დროზე მოვა”[13,100]. ყველა მმართველმა უნდა იფიქროს უკვდავებაზე მაშინაც კი, როცა ცოცხალი ადარ იქნება. საამისოდ, შთამომავლობას უნდა დაუტოვოს კეთილი საქმეები ისტორიის ფურცლებზე გაცხადებული და გაცოცხლებული მატიანეში. ძლევამოსილი შარავანდედით გადიდკაცებული სხვისი ცხოვრების გაუმჯობესებაში უნდა ხედავდეს გამოსავალს, რადგან ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ყველა თანაბარია. ამ ქვეყანაში მოსვლის არსი უნდა გამართლდეს გაკეთებული კარგი საქმეების სიდიდითა და მრავალრიცხოვნებით, უაღრესად პატიოსანი და წრფელი გზით, ნაამაგარი მიზანდასახულობით. ლიდერმა უნდა იგრძნოს, რომ შენ არ გავიწყდება, ის მმართველია. ეს მის კეთილშობილებას სითამამეს კი არ შემატებს, არამედ პატივისცემით განაწყობს შენდამი და მისი ნდობის მოპოვების სათავეც იქვე ჩნდება, ისევე როგორც პიტლერ - ჰესის პირად ურთიერთობაში გამოვლინდა.

რ. ჰესის ინგლისში გაფრენის ისტორიის ფაქტების სიუხვე ტიპიური რეალობის ექვივალენტია. მოვლენათა სინქრონული წარმოსახვის ამ ლანდშაფტში სასიცოცხლო ფასეულობანი

მოჩვენებითი ილუზიების ფონზე ქრება და ექსცენტრულობის ადექვატური ხდება. უცნაური სიახლის ეს მძლავრი იმპულსები ისტორიის გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს. ფიურერის მოადგილე, ფაქტობრივად, ეპოქის მოთხოვნილების ფანატიკური მსხვერპლი შეიქნა, ისევე როგორც სხვა ისტორიული პერსონაჟები, რომლებიც ეპოქალური შთაგონების მოვლენათა წიაღში ვულკანური სითამამითა თუ გამბედაობით გამოირჩეოდნენ. დროის შეგრძნება ყველაზე დიდი სტიმულია ამქვეყნად.

ისტორიოგრაფია

რ. პესის ინგლისში გაფრენის ისტორიის ზოგად-შემეცნებითი ნაირსახეობა, კვლევის კონსტრუქციული მოდელის განსხვავებულ მოდიფიკაციას გულისხმობს. საკვლევი რესურსების მონაცემების საფუძველზე, ამ მისის ისტორიის რეალური სურათის წარმოსახვა გონიერივი ვირტუოზულობით ხასიათდება. განცდილის ანალიზი, სიღრმისეული წვდომის სურვილის ყოფიერება, თვითშემეცნების ლირებულებათა ტოლფასოვანია. ისტორიის შემეცნების არსებითობის გააზრება შეფარდებითია და ეს ცნება, უკუჩვენებების რეგლამენტს არ არღვევს. აზრთა ურთიერთმონაცვლეობა მოსაზრების არაერთგვაროვანი გაცვლისა და ჩამოყალიბების ჩვეულ კრიტერიუმებს არ ცდება და გეგმაზომიერი კლასიფიკაციის გრავიურას სრულებით არ ქმნის. „ისტორიის შენაძენის” მართებული მახასიათებლებით სავსე ნაშრომი, ზოგადად, გრაციოზულობის უკვდავი თავისებურებით გამოირჩევა.

მთელ რიგ სამეცნიერო გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში თანმიმდევრობითაა გადმოცემული რ. პესის ინგლისში გაფრენის ისტორიის წინა მოსამზადებელი სამუშაოები, პიტლერის ცოდნის ფაქტის საეჭვო აღიარება, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის როლი ამ მისის განხორციელებასა და წარუმატებულობაში, ფიურერის მოადგილის გერმანიაში ცხოვრებისა და მოდვაწეობის, ინგლისში მისი პატიმრობის ხანისა და ბოლოს, ნიურნბერგის სამხედრო სასამართლოსა და მის მიერ სამუდამო პატიმრობამისჯილი „შპანდაუს ბინადარის” ამსახველი დოკუმენტური მასალები. მემუარული სახის ნაშრომებში, მცირე ადგილი აქვს დათმობილი ამ საკითხის გარკვევას. ნაკლებად არის დაფიქსირებული ავტორის ხედვა, სამაგიეროდ ჭარბადაა ამ

მოვლენისადმი ცალსახა დამოკიდებულების შეგნებულად
დაუკონკრეტებელი ფაქტები.

ბუნებრივია, მთელი ამ პერიოდის მდიდარ ლიტერატურულ
მასალებს, როგორც ჩვენს მიერ გამოყენებულ წყაროთმცოდნეობის
ბაზას გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ რ. პესის ინგლისში გაფრენის
ისტორიის ანალიტიკური შეფასებებისა თუ კოლოსალური
შრომატევადობის ფართო სპექტრის მიხედვით, თავს უფლებას
მივცემთ, პირველ რიგში დაგასახელოთ საქართველოში გამოცემული
პროფესორ ლევან სვანაძის ფუნდამეტალური ნაშრომი 2 ტომად: „რ.
პესის ინგლისში გაფრენის საიდუმლო”. გამოცემულია ქუთაისში
2003-2005წ.წ. მეორე რიგში, ინგლისელი ავტორის პიტერ პედფილდის
უნიკალური გამოკვლევა: „პესი პიტლერის თანამეინახე”, რომელიც
1999წ. გამოიცა სმოლენსკში. როგორც ერთ, ისე მეორე
მონოგრაფიაში გადმოცემულია რიგი ისტორიული ფაქტები და ამ
საკითხისადმი საკუთარი ობიექტური დამოკიდებულების
დამოუკიდებელი სწრაფვა, მეცნიერული სიახლეების დაუოკებელი
ძიება და წარმოჩენა, მაგრამ არა თავსმოხვეული დაუინებული
მტკიცებულებანი, რომელიც მკითხველში უთუოდ გაღიზიანებას
იწვევს. ყოველ მეცნიერულ სიახლეზე გაკეთებული დიპლომატიური
სვლა მოულოდნელობით გამოწვეული ემოციების პარალელურად,
დროში წუთიერი გააზრების საშუალებას არ გვისპობს. ე. ი.
ურთიერთქმედების თანხვდომი რეაგირების პროცესში ერთი მეორის
ზემოქმედებას ვერ ახერხებს და გონების ნებაყოფლობითი
დამყოლობის უიშვიათესი უნარით გამოირჩევა. ამ ნაშრომების
მაღალეფების მდგომარეობს იმაშიც, რომ მკითხველში
ავტორის გადარწმუნების ინსტიქტი არ იღვიძებს, როცა ერთსა და
იმავე ფაქტისადმი განსხვავებული შეხედულება ყალიბდება.
სათანადო არგუმენტირებული, დახვეწილი ლოგიკური

თანმიმდევრობით წარმოდგენილი ეს ორი ნაშრომი თითქოს კომპლექსურ შემოქმედებათა შედევრს წარმოადგენს, მაგრამ იმის აღიარებით, რომ თვით შემოქმედებაა მეორე, ხოლო პირველი ამ შემოქმედებათა შედევრი.

ქართველ პროფესორს, დასახელებული მონოგრაფიის ბიბლიოგრაფიაში, განსხვავებით ინგლისელი ავტორის, პ. პედფილდისაგან, მოცემული აქვს საარქივო მასალები, მდიდარი მემუარული მასალა. დაუჯერებელია, ინგლისელი მკვლევარი, უინსტონ ჩერჩილის ან გნებავთ, ენტონი იდენის მემუარებს გაცნობილი არ იყოს. მისი ნაშრომის გაცნობისას, წიგნის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში მემუარების დაუსახელობით გამოწვეული ეს ილუზია ქრება. თუ რატომ მოიქცა ამგვარად – საკითხი ჩვენი დაინტერესების საგანს ამ ეტაპზე არ წარმოადგენს.

სამეცნიერო მიმოქცევაში ლ. სვანაძის მიერ სრულიად ახალი, მეცნიერული სიახლის შემოგანამ, ვგულისხმობთ რა ინგლისის ყოფილი მეფის ედუარდ VIII-ის ნაცისტების მიერ დაგეგმილი გატაცების მოტივად ფიურერის მოადგილეში გაცვლის ვერსიას, უკან ჩამოიტოვა პედფილდისეული მახვილგონივრული მოსაზრებები და ამ საკითხში ყოვლისშემძლე სენსაციურობის მოწმენი და თანამოაზრენი გაგვხადა.

პროფესორ ლ. სვანაძის უთუოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი მონოგრაფიის პირველ ტომში კრცლად გაშუქებული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთელი ისტორია, იმ პერიოდის საიდუმლო ორგანიზაციების, ინგლისში „მშვიდობის პარტიის“ არსებობის, ამ პარტიის წევრების ვინაობისა და მათი საქმიანობის შესწავლა-გამომზეურების საკითხები. ამ მონოგრაფიაში ასევე ვაწყდებით უკვე აშკარად გაჯერებულ მტკიცებულებებს, რ. პესის გაფრენაში პიტლერის არამარტო ცოდნის ფაქტს, არამედ,

უფრო მეტიც, მის მისიაში ამ უკანასკნელის მონაწილეობის შესახებ. ნაშრომში ჭარბადაა ეტიმოლოგიური შენიშვნები. აქ, მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი ლანდსბერგის ციხეში ორი გერმანელი ნაცისტი ფიგურის გაცნობა-დახლოების საკითხი, რაც შემდგომში პერმანენტულ მეგობრობაში და პოლიტიკურ თანაცხოვრებაში გადაიზარდა ისე, რომ მათი ურთიერთობისას ლავირების მეთოდი არ დარღვეულა. მეორე ტომში არანაკლებ საინტერესოდაა გადმოცემული რ. ჰესის ინგლისში დაპატიმრების, ნიურნბერგის პროცესის და შპანდაუს ციხეში პატიმრობის ამსახველი რეალური ფრაგმენტები, რომელიც დაინტერესების ჩვეულ კრიტერიუმებს სცდება და იმ მოვლენებში, თითქოს, „საკუთარი მე”-ს მონაწილეობის განცდას გვიტოვებს. ეს კი, უდავოდ, ავტორის წერის სტილის, თხრობისადმი გაძლიერებული შთაბეჭდილებების შემატების, არსებულისა და რეალურს შორის სხვაობის შესაძლო დანახვითაა შესაძლებელი.

მომდევნო ნაშრომად უნდა დავასახელოთ ბერნად ჰიუტონის „რუდოლფ ჰესი, კაცი და მისი მისია”. გამოცემულია ლონდონში, 1970წ. წიგნს ეპიგრაფად წამდგარებული აქვს უ. ჩერჩილისა და შოპენპაუერის პასაჟები, ხოლო ეირი ნირს – 70-იანი წლების ცნობილ პარლამენტარს – დაუწერია წინასიტყვაობა.

ეს წიგნი შინაარსობრივად ყურადღებას უდავოდ იპყრობს. ინგლისელი მწერლისათვის დამახასიათებელი თხრობის უშუალობითა და სისადავით გადმოცემულია ჰესის შოტლანდიაში ჩაფრენის კონკრეტული დეტალები. იქმნება იმის შთაბეჭდილებაც, რომ ჰესის ინგლისში გაფრენის შესახებ იცოდა არა მარტო ჰიტლერმა, არამედ ალფრედ როზენბერგმა, ჰიტლერის პირადმა მძღოლმა ბაჟერმა, რომელმაც ჰესს ფიურერის ნებართვით გადასცა რუკა ფრენისათვის აკრძალული ზონების შესახებ, მაშინ როცა

ფიურერის მოადგილეს მისივე ბრძანებით ფრენა ეკრძალებოდა. ასევე იცოდა პესის პირადმა მძღოლმა ლიპერტმა და ადიუტანტებმა: კარლ პაინც პინჩმა და ლაიტგენმა. ამ წიგნში გამოკვეთილადაა ნაჩვენები, რომ პესის გაფრენა ფაშისტური დიპლომატიის არც თუ მცირე ხნით მომზადებული და დაგეგმილი მანევრი გახლდათ, რომ პიტლერი თავიდან ბოლომდე იყო გაცნობიერებული ამ საკითხში.

უნდა დავასახელოთ, თვით პერცოგ პამილტონის* ვაჟის ჯეიმს დუბლას პამილტონის წიგნი – „მისის მოტივი“. ეს წიგნი მამის მიერ დატოვებული მასალების მიხედვით არის დაწერილი. ნაშრომში მოცემულია მეტად საინტერესო ფაქტები, მათ შორის 16 მაისს** პერცოგი პამილტონის მეფესთან, გეორგი VI-თან შეხვედრის შესახებ. აი, რას წერს ის: „გიორგი VI მომხდარით ძალიან გაოცებული ჩანდა. პერცოგმა აღუწერა მას სურათი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ გაუგზავნა მოხსენება პესის ჩამოფრენის თაობაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრსაც გადაეცა“-ო[10,175].

პერცოგის მეფესთან აუდიენციის ფაქტზე პ. პედფილდიც მოგვითხრობს: „მეფე ცოცხლად ინტერესდებოდა შთაბეჭდილებით, რომელიც პესმა მოახდინა პამილტონზე. ამასთან ერთად, მათ განუხილავთ საკითხი, თუ როგორ შეიძლებოდა პამილტონის სახელის ჩამოწმენდა პესის ჩამოფრენის უსაქმო მითქმა-მოთქმისაგან [40,377].

პ. დ. პამილტონის წიგნში იგნორირებულია ბერლინის ოლიმპიადაზე პერცოგის პესთან გაცნობის ფაქტი, რაც თვით პერცოგმა უარყო ინგლისში პესთან საუბრის პროცესშიც. მაგრამ ადასტურებს იმავე ბერლინის ოლიმპიადაზე მყოფი პენრი ჩენონი თავის დღიურებში.

* ვისთანაც პესი მიფრინავდა ინგლისში

** პ. ი. პესის გაფრენიდან 6 დღის შემდეგ

წიგნში „მისიის მოტივი” გადმოცემულია SIS-ის მიერ ლისაბონიდან გამოგზავნილი წერილის ხელში ჩაგდების შესახებ. მოყვანილია თვით ამ წერილის შინაარსიც, ვინმე „A”-ს ავტორებით. ასევე პერცოგი ჰამილტონის გამოძახება დაზვერვაში და მათ შორის გამართული დიალოგის აღწერა, რომელიც შეეხებოდა ლისაბონში პერცოგი ჰამილტონისა და ალბრეხტ ჰაუსკოფერის შესაძლო სამომავლო შეხვედრას.

სერ პენრი ჩენონი, მეტსახელად „ჩიპსი”, იმ დროს მეტად პოპულარული კაცი დიდ ბრიტანეთში, მსოფლიოში სახელგანთქმული გინესების სიძე, პესის ინგლისში გაფრენასთან დაკავშირებით, თავის მემუარებში აღნიშნავს:

„12.05.41. ფორინ ოფისში გავრცელდა ექსტრაორდინალური ამბავი, რომ გერმანიიდან ჩამოფრინდა მშვიდობის დესპანი, რომელსაც პერცოგ ჰამილტონთან რადაც კონტაქტი ჰქონია.

13.05.41. რადიომ პესის ჩამოფრენა გვაუწყა. უცნაურად სარისკო და ლირსშესანიშნავი გაბედულებაა. მთელი დღე ხალხი ჭორაობს ნაცისტურ გერმანიაში განხეთქილების თაობაზე. თუმცა, მე ეს არ მჯერა. პესმა ერთხელ ჰონორი და მე მიგვიწვია ბერლინში, თავის ოჯახში სადილზე, ოლიმპიური თამაშების დროს. ჩვენ უარი ვუთხარით, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ „დუგლო” კლაიდსდეილი* წავიდა პესთან, ისევე როგორც პატ ჯერსი.** მსოფლიომ არ იცის, რომ პერცოგი ამ გზით იყო ჩათრეული ამ ისტორიაში. . . [8,304].

უნდა მოვიხსენიოთ მეტად საინტერესო პუბლიკაცია, რომელიც ეკუთვნის შპანდაუს ციხის ყოფილ ამერიკელ კომენდატს იუჯინ ბიორდს, სახელწოდებით: „ყველაზე მარტოხელა კაცი მსოფლიოში”. ი. ბიორდმა არაკომუნიკაბელურ ნაცისტ-პატიმართან მიაღწია იმას,

* როგორც მაშინ პერცოგ ჰამილტონს ეძახდნენ

** ინგლისის დედოფლიციის წევრი ბერლინში, ოლიმპიურ თამაშებზე – პატრიკ ჯერსი, შემდგეგში ლორდი ჯერსი.

რომ მისადმი კეთილგანწყობა მოიპოვა. თუმცა, მაინც დიდი როლი დროის ფაქტორმა ითამაშა. 30 წლიანი „თანამშრომლობა”*** გახდა მათივე დაახლოების სტიმული. ბუნებრივია, მთელი ამ წლების განმავლობაში ციხის საკანზი ხშირი სტუმრობა და პატიმრისადმი თბილი მოპყრობა რ. პესის ცივი დამოკიდებულების შეცვლის საბაბი შეიქნა. პატიმარმა მასთან აღიარა „ბარბაროსას გეგმის” არსებობის ცოდნის შესახებ, რითაც დაადასტურა თავისი მისის პოლიტიკური დატვირთვა. ამასთან, ბიორდმა რ. პესის შეურაცხადად გამოცხადების უძლეველი მითი დაამსხვრია და სრული გაბედულებით განაცხადა, რომ ეს ადამიანი სავსებით ნორმალურია და ბევრისგან გასაკვირად, გულისხმიერი და იუმორის მქონე.

წინამდებარე საკვლევი თემისთვის ასევე მნიშვნელოვანია დაგასახელოთ ჯეიმს ლიზორის წიგნი – „რუდოლფ პესი. დაუპატიუებელი მოციქული”. ეს იყო პირველი მონოგრაფია პესის მისის შესახებ. შესაბამისად, ამ წიგნში პირველად არის ნაჩვენები კარლ და ალბრეხტ პაუსკოფერების როლი პესის ინგლისში გაფრენაში. აქ, პირველად არის გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები. მათ შორის მიმოწერა მამა-შვილ პაუსკოფერებს შორის, ასევე მათსა და რ. პესს შორის. მოცემულია, ფრიად საყურადღებო წერილი რ. პესისადმი ა. პაუსკოფერის ავტორობით, დათარიღებული 1940 წ. 23 სექტემბრით. ასევე ცნობილია, რომ ამავე დღეს ალ. პაუსკოფერმა წერილი გაუგზავნა პერცოგ პამილტონს, რომელიც ხელში ჩაუვარდა დიდი ბრიტანეთის სამეფო-საპაურო ძალების დაზვერვას. ამ წიგნით ვიტყობთ, რომ ალბრეხტმა იმავე წლის 23 სექტემბერს წერილი მიწერა მამას, რომელშიც ატყობინებდა, რომ უგზავნიდა პესისადმი გაგზავნილი წერილის ასლს, მისი განსაკუთრებული შინაარსის გამო, მასთან შენახვის მიზნით.

*** 1947 წლიდან იცნობდა იგი პესს, რა დროიდანაც ხსენებულ საპატიმროში განამწევს დაცვის ოფიციალ

ჯ. ლიზორის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შორის არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ეს გახლავთ 1940 წ. 15 სექტემბერს ბერლინში აღ. ჰაუსკოფერის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც „მემორანდუმი” ეწოდება.* გრიფით „TOP SECRET”. ამ მემორანდუმს აქვს ქვესათაური: „კიდევ არსებობს განა გერმანულ-ინგლისური სამშვიდობო მოლაპარაკებათა შესაძლებობები?“.

როგორც ირკვევა, 1940 წ. 8 სექტემბერს რ. ჰესს ბადგოდესბერგში გამოუძახებია ა. ჰაუსკოფერი. დისკუსიის საგანი ინგლის-გერმანიის დაზავების საკითხზე სავარაუდო მოლაპარაკება ყოფილა.

აღსანიშნავია, რუდოლფ ჰესის მეუღლის ილზე პრიოლის წიგნი „მშვიდობის ტყვე”, რომელიც გამოცემულია ლონდონში 1952 წელს. წიგნის სათაურის მიხედვით ჩანს, რომ ავტორი თავის მეუღლეს მშვიდობისათვის დასჯილს უწოდებდა. ილზეც, რუდოლფის მსგავსად, ბედისწერის განჩინების მიხედვით ცხოვრობდა და ამ შთაგონებით აზროვნებდა. ამ წიგნის მიზანი გახლდათ საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება „მშვიდობის ემისრის” თაობაზე, რაც პატიმარ-ჰესის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, ილზეს ინტერესებში მისი მეუღლის იმიჯის რეაბილიტაციაც შედიოდა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ილზე მას მშვიდობის ტყვეს უწოდებდა. ამ წიგნში ნათქვამია, რომ რუდოლფ ჰესის ინგლისში გაფრენის იდეა სათავეს საფრანგეთის კაპიტულაციის დღეებში იღებს. ავტორი გვაუწყებს: „მართალია მე იმ აზრისგან შორს ვიყავი, ჩემი ქმარი იყო თუ არა სუფთა ხელების მქონე, რადგან ის ხელისუფლების უმაღლეს წრეში შედიოდა, მაგრამ

* Documents . . . C C / 109 COO2190-94. Memorandum by Dr Albrecht Haushofer. Leasor. op. cit. pp. 221-224

ნათლად მახსოვს ე. წ. „მონტუარის პოლიტიკამ”* ჩემს მეუღლეზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინაო. ის ერთადერთი გახლდათ ნაცისტთაგან, რომელიც ფიურერისაგან კატეგორიულად მოითხოვდა დამარცხებული საფრანგეთისათვის შედარებით მსუბუქი მოთხოვნები წაეყენებინათ”[13,23].

წიგნში „მშვიდობის ტყვე” მოცემულია ილზე-რუდოლფის კორესპოდენცია მრავალი წლის განმავლობაში და საინტერესო დეტალები, თვით პესის მიერ გახსენებული, რაც ფასდაუდებელ პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ. „ჩვენ ჩვენივე განმარტოებულობა გვიფარავდა” – წერს ილზე. ერთადერთი ის გვამშვიდებდა, რომ კარგად ვიცნობდი რუდოლფს, მის პოზიციას, აზროვნების მისეულ მოდელს, ლოიალობისა და პატიოსნების მის შეურყეველ პრინციპებს, მის გალდებულებამოსილებას და გაბედულებას”[13,24-25].

ამ წიგნში მოყვანილია ძალიან საინტერესო ეპიზოდი ადოლფ ჰიტლერისა და ელზა ბრუკმანის დიალოგიდან, რომელიც შედგა ამ უკანასკნელის მეუღლის დასაფლავებაზე. მათ შორის საუბრის შინაარსი, რომელიც რ. პესსაც შეეხო, თავად ელზა ბრუკმანს უამბნია ილზესათვის. დიალოგში ჰიტლერი აშკარად წუხს რუდოლფის დაკარგვის გამო და მას, ფრიც ტოდტოან** ერთად თავის უახლოეს ადამიანად მოიხსენიებს.

„ბედისწერამ გაძარცვა მისი წარმატების შესაძლებლობა” – წერს ილზე, - გარდა ამისა ჩვენი ეპოქის სიბრძნე ჯერ კიდევ შორს იყო მშვიდობის იდეალებისგან. სწორედ, ამიტომ დაისაჯა მუდმივი პატიმრობით ადამიანი, რომელმაც მშვიდობის ინტერესებში გაბედა ხელი აღემართა იმდროინდელი აურის წინააღმდეგ”[13,27].

* მონტუარი – პატარა ქალაქია საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით. აქ ცდილობდა პეტენთან შეხვედრას ჰიტლერი ინგლისის წინააღმდეგ ამ ქვეყნის ომში ჩასაბმელად

** ფრიც ტოდტი – ნაცისტური გერმანიის მინისტრი შეიარაღების საკითხში

წიგნში მოცემული წერილები სამ ჯგუფად არის დაყოფილი პატიმრის ადგილსამყოფელის მიხედვით. თითოეულ ჯგუფს წამძღვარებული აქვს წერილი, რომელიც უშუალოდ პესის გაფრენას ეხება. აქ გადმოცემულია პესის პირადი აზრები და განცდები, რაც უთუოდ ნიშანდობლივი და მხედველობაში მისაღებია მისი პიროვნების სრულყოფილი წარმოსახვისათვის.

ალბერტ შპერის, პიტლერის კარის არქიტექტორის, რაიხსმინისტრის მემუარები მნიშვნელოვანი დირებულებისაა იმ მხრივ, რომ მან შპანდაუს ციხეში რუდოლფ პესთან გაატარა 20 წელი. მათ შორის საუბრები შეეხებოდა ინგლისში გაფრენის თემასაც. პირველად მასთან დააპირა პესმა გახსნილიყო, მაგრამ ბოლოს მაინც ისტორიის საიდუმლოებად დატოვა მისი „ცხოვრების გაფრენის”^{*2} ეს უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. თავად შპერი პესის გაფრენას ინგლისში გერმანიაში ფიურერის მოადგილის პრესტიჟის დაცემით ხსნის. ის ამგვარად ახასიათებს მას: „იგი იყო ძალზე იოლად დასაგესლი, გახსნილი, მგრძნობიარე და თითქმის ყოველთვის იდგა სიმართლის მხარეზე დაპირისპირებულ მხარეთა კამათისას”[29,252].

ავტორი ხაზს უსვამს პაუსპოფერების როლს მის მისიაში. შპერი არ ამბობს, რომ პესი პიტლერის დასტურითა და ნებით გაფრინდა ინგლისში. ის, მოყვანილი ფაქტებით, ცდილობს დაასაბუთოს, რომ ფიურერის მოადგილე დამოუკიდებლად მოქმედებდა. „შპანდაუს ციხეში – წერს ალბერტი, პესი სრულიად სერიოზულად მარწმუნებდა, რომ ინგლისში გაფრენა მას არამიწიერმა ძალებმა შთაგონეს ძილის პროცესში”[29,258].

ალბერტ შპერი თავის მემუარებში აღწერს იმ სცენას, რომელიც ბერგხოფში გათამაშდა, პესის გაფრენის მეორე დღეს. ის

* ასე უწოდებდა თვით რ. პესი თავის გაფრენას

გახდათ თვითმხილველი იმ ფაქტისა, თუ როგორ მოკრძალებით სთხოვა ჰესის უმცროსმა ადიუტანტმა კარლ ჰაინც პინჩმა მისაღებ ოთახში მომლოდინე ტოდტს, პირველები ჩვენ მივაღით პიტლერთან ჰესის წერილი გვაქვსო სასწრაფოდ გადასაცემი.

წიგნში შპერს შპანდაუს ციხეში ჰესთან საუბრების საინტერესო ამონარიდები მოყავს. როგორც ირკვევა, ერთხელ ალბერტს ფიურერის ყოფილი მოადგილისთვის პიტლერის სიტყვები უთქვამს, რომელიც ფიურერმა თქვა, 1944 წლის 20 ივნისს მასზე მოწყობილი შეთქმულების შემდეგ: „ჰესი აუცილებლად უნდა ჩამოიხრჩოს”. ჰესმა უპასუხა: „ის შემირიგდებოდა მე, ეჭვიც არ მეპარება. ალბათ დამეთანხმებით, რომ 1945 წელს, როდესაც ყველაფერი მთავრდებოდა, დრო და დრო იგი თავისთვის ფიქრობდა: ეშმაკმაც წაიღოს, ჰესი თურმე მართალი ყოფილაო”[29,259].

მარტინ ბორმანის დღიურებში, რომელიც რუსმა მწერალმა ლევ ბეზიმენსკიმ გამოაქვეყნა, მოცემულია ჰესის ადიუტანტის კარლ ჰაინც პინჩის აღიარებითი ჩვენება, როდესაც ის რუსებს ჩაუვარდათ ტყვედ. ჰესის გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე, ფიურერის მოადგილე წასულა, პინჩის თანხლებით, მიუნხენის რადიოსადგურში, სადაც ფირზე წინასწარ ჩაუწერიათ მისი გამოსვლა „დედის დღესთან” დაკავშირებით, რომელიც ახლოვდებოდა 18 მაისს. „ეს იყო პირველი შემთხვევა – იხსენებს პინჩი, როდესაც წინასწარ იწერდნენ მის სიტყვას ფირზე. უკან მობრუნებისას ჰესმა ამისსნა, რომ თუ ინგლისელებთან მოლაპარაკება გაგრძელდებოდა, ბორმანი საზოგადოებისთვის იმის დატკიცებას შეძლებს, რომ თითქოს მე გერმანიაში ვიმყოფები” [37,115]. გაფრენის შემდეგ, როდესაც ნაცისტებმა პინჩი დააპატიმრეს, მან ეს დაკითხვაზეც თქვა. მაგრამ გესტაპოს მისი

ნათქვამისთვის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არავითარი უურალება არ მიუქცევია.

შარლ გაბელის „საიდუმლო საუბრები რუდოლფ პესთან 1977-86 წლებში”, გამოცემული პარიზში 1988 წ., ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ამ საკითხის უკეთ შესწავლისთვის.

შ. გაბელი გახლდათ საფრანგეთის მოქალაქე, წარმოშობით ბელგიელი. ადრეულ ასაკში საფრანგეთის საზღვაო ფლოტში მეზღვაურად მსახურობდა. შემდეგ მისიონორობას მიჰყო ხელი და თითქმის მთელი აფრიკა შემოიარა როგორც მასწავლებელმა, როგორც პასტორმა. მიუღია შეთავაზება დასავლეთ ბერლინის უკეთ ერთადერთი პატიმრის, რ. პესის სულიერი მამა გამხდარიყო. უნდა აღინიშნოს, რომ რ. პესი კათოლიკე არ ყოფილა, პროტესტანტი გახლდათ.

მომავალში შ. გაბელი პესის შესახებ იტყვის: „მე ყოველდღიურად მზარდად მიზიდავს ეს არაჩვეულებრივი პიროვნება. როგორი უცნაური ბედი, დაუჯერებელი ოდისეა და ხასიათის როგორი სიმტკიცე გააჩნია. ამასთან, - განაგრძობს პასტორი – პესი არის მსოფლიოში ყველაზე უკეთ დაცული კაცი, მოვლილი, მაგრამ იმავდროულად ყველაზე დასჯილი ადამიანი” [11,63]. გაბელთან საუბარში, რ. პესს უარყვია ებრაელთა სასტიკი დამოკიდებულების ფაქტები: „მე ამას არასოდეს ჩავიდენდი, არათუ ხელს მოვაწერდი ანდა გავცემდი ასეთი სახის ბრძანებას”. როცა გაბელმა განმეორებით პკითხა სხვა დროს იმავე საკითხზე, პესმა გადიზიანებით უპასუხა: „მე არასოდეს დავთანხმდებოდი დანაშაულს, რომელიც ჩაიდინეს განსაკუთრებით ებრაელების წინააღმდეგ და აუცილებლად ჩავერეოდი ამ საქმეში, ვინც არ უნდა მდგარიყო მის უკან – ფიურერი თუ სხვა ვინმე.” [11,313]. მოძღვარი მასთან საუბარში შეხებია ინგლისის სახელმწიფო

არქივს, რომელიც დახურულია 2017 წლამდე „ინგლისში არსებობს ერთობ საინტერესო დოსიე – ინგლისის ხელმძღვანელ პირებთან ჰესის საუბრების შესახებ. ამ დოკუმენტზე ხელი არ მიუწვდებათ არცერთ ისტორიკოს თუ მკვლევარს”. ფიურერის ყოფილ მოადგილეს ამაზე გადიმებია და უთქვამს: „რატომ მაინცდამაინც ამ თარიღამდე, რას უნდა შეიცავდეს ასეთ საიდუმლოს და ფეოქებადს, ასე საგულდაგულოდ დაცული არქივი?!?”[11,37].

ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გააჩნია პასტორს. ის უფრო მეტს ფიქრობს ინგლისელთა ინიციატივაზე ჰესის შპანდაუში გამოკეტვის საკითხზე, ვიდრე რუსების მხრიდან [11,109]. გაბეჭდი ერთგვარი გულისტკივილით აღნიშნავს დიდი ბრიტანეთის საეჭვო პასიურობას ჰესის გათავისუფლების საკითხში. „ყველაზე დიდი საიდუმლოებითაა მოცული ინგლისში ჰესის დაპატიმრების ფაქტი”[11,130-131]. მოძღვარი ასევე ხაზს უსვამს ჰიტლერის ცოდნას ჰესის ინგლისში გაფრენის საკითხთან დაკავშირებით. „გამორიცხულია, რომ ასეთი ერთგული და უინიციატივო პიროვნება ინგლისში ჰიტლერის ნებართვისა და მასთან მოთათბირების გარეშე წასულიყო”[11,131].

შპანდაუდან წასული გაბეჭდი სახლისკენ მიმავალი სულ ჰესზე ფიქრობდა თურმე, მის პატიოსნებაზე, ერთგულებაზე და მისადმი კეთილმოსურნეობაზე. ის იხსენებს, როცა გაციებული მივედი მასთან, საკუთარი მშობელივით მისაყვედურა: „თბილად არ გაცვიათ პასტორო”. შარლი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მის უპრეტენზიობას. აქედან გამომდინარე ის ფიქრობდა, როგორი მორჩილი შეიძლებოდა ყოფილიყო ჰესი ჰიტლერისადმი.

შარლ გაბეჭდს კონტაქტები ქონია სასულიერო პირებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, შპანდაუს დირექტორატის წევრებთან, ჰესის ოჯახის წევრებთან. მათ აწოდებდა ინფორმაციას ჰესის

ჯანმრთელობის შესახებ და მათგან მიღებულ ცნობებს აწვდიდა პესს საპატიმროში, რაც ფიურერის ყოფილი მოადგილის ერთგვარ კმაყოფილებას იწვევდა. პასტორი ყოველ დონეს ხმარობდა რ. პესი ციხიდან გაეთავისუფლებიათ. მას არაერთჯერ მიუმართავს ეკლესიებისადმი, შპანდაუს ციხის დირექტორთათვის, ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ნაუმ გოლდმანისათვის, რომელსაც თანხმობაც კი გამოუთქვამს პუმანურობის მოტივით.

გაბეჭის წიგნში საუბარია მისი და მისი მეუღლის მეგობრულ ვიზიტებზე ილზე პესთან. მოძღვარი იხსენებს ილზესთან საუბრის შინაარს. პესის მეუღლეს პასტორთან პიტლერის სიტყვები გაუხსენებია, რომელიც ამ უკანასკნელს თავის მძღოლ კემპბელისათვის ომის დამამთავრებელ ეტაპზე უთქვამს: „ნაციონალ-სოციალიზმს კარგი რომ არაფერი გაეკეთებია, ის ერთიც ეყოფა, რომ მან რ. პესი წარმოშვა”[11,240]. ამ სიტყვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პესის რენომე პიტლერის თვალში არასოდეს შერყეულა, არც ინგლისში მისი გაფრენის დღეებში.

შარლ გაბეჭი წარმოგვიდგენს პესის პიროვნების პორტრეტულ ჩანართებს, მისი სულისა და გონების საპირისპირო ელემენტებს. რ. პესი ლოცულობდა, მაგრამ მას არასდროს მოუნანიებია. მოძღვარის რჩევით, ის წერდა წერილებს გათავისუფლების შესახებ, მაგრამ მასში არ იგრძნობოდა გულისტკივილი, მისი წარსულის გამო. ის სულით გაუტეხელი ჩავიდა საფლავში. გაბეჭის წიგნიდან გვებულობთ, რომ ფიურერის ყოფილ მოადგილეს დაუწერია ანდერმი, რომელიც გადაუცია მოძღვრისათვის. ანდერმში ის ითხოვდა მისი გვამის ოჯახისათვის გადაცემას და გუნსიდელის საოჯახო სასაფლაოზე დაკრძალვას. პესი კრემაციის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა[11,195].

გოლფ რიუდიგერის წიგნის - „ჩემი მამა რუდოლფ პესი” -

გამოსვლის შემდეგ, გაბეჭს საუბარი ქონია ავტორის მამასთან, პატიმარ რ. ჰესთან. მას მოწონება გამოუხატავს, თუმცა გარკვეული სახის შენიშვნები ჩამოუთვლია. ძირითადად გამოყოფილია სამი სახის შენიშვნა: 1) ინგლისის მიერ ყადადადებულ რომანში რა საიდუმლო იმალებოდა და იყვნენ თუ არა ინგლისელები გულწრფელად განწყობილი ჰესის გათავისუფლების საკითხში. 2) დიდი ბრიტანეთის დაზვერვის მიერ ხომ არ იყო შეტყუებული ჰესი ინგლისში. 3) ფიურერის მოადგილე დიდ ბრიტანეთში თავისი ინიციატივით გაფრინდა თუ ფიურერის უშუალო თანხმობით. „ჰესი ისმენდა ამას ყველაფერს და არაფერს ამბობდა” - წერს გაბეჭი. როდესაც ციხის მოძღვარი მოჰყვა მტკიცებას, რომ ჰიტლერმა ჰესის გაფრენა წინასწარ არ იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაური, რომელიც იმავდროულად ჰესთან მეგობრობდა, ასეთ რისკზე არ წავიდოდა, ფიურერის ყოფილმა მოადგილემ თავი ვერ შეიკავა, შეაჩერა პასტორი, ორთავე თვალში ჩააშტერდა და მხოლოდ ორი სიტყვა წარმოთქვა: „ძალიან საინტერესოა. ამის არც უარყოფის და არც თანხმობის ცოცხალი ფაქტები მე თქვენთვის არ მომიციათ”. ის საუბარში მხოლოდ თავს გადაიქნევდა დუმილის ნიშნად, ან გვერდზე გაიხედავდა დუმილის მოპოვების სანაცვლოდ. როგორც ჩანს, ჰესი გაოცებით შეხვდა გაბეჭის ახალ ვარიანტს.

„ჩემთვის ნამდვილი გამოცანაა თუ რატომ არ მიშვებენ აქედან” - შეუჩივლია ერთხელ ჰესს მოძღვარისთვის. „ჩემთვის ნამდვილი გამოცანა თქვენა ხართ, ჰერ ჰესს” - უპასუხა გაბეჭმა. ერთხელ ვკითხე - წერს გაბეჭი, რამე შეიცვლებოდა თქვენი წარმატების შემთხვევაში? ფიურერის ყოფილ მოადგილეს დაუფიქრებლად წარმოუთქვამს სიტყვა „რასაკვირველია” და ფიქრებში წასულა [11,351].

ფიურერის ყოფილი მოადგილე მოძღვარ გაბელთან საუბარში ინგლისში გაფრენას ეხება. არ უარყოფს, რომ მან ინგლისში საზავო წინადადებები ჩაიტანა. „ინგლისელებმა ზურგი შეაქციეს ომის შეწყვეტის შანს”[11,276]. გაბელი გვამცნობს, რ. პესი თავს მშვიდობის ემისრად თვლიდა.

დევიდ ირვინგის მიერ დაწერილი – „დაკარგული წლები 1941-1945წ.” – მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, ერთობ საინტერესო გახლავთ. იგი მოიცავს პესის ინგლისში ყოფნის პერიოდს. აქ საუბარია ნიურნბერგის პროცესის მასალებზე, თუმცა წიგნის სათაური 1945 წლამდე მოდის. ალბათ, ავტორი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პესისათვის აღნიშნული წლები დაკარგული იყო, რამეთუ ფიურერის მოადგილე აღარ იყო. წიგნის ავტორი რ. პესი „ადამიანთა მოდგმის პატიმარს” უწოდებს. მხედველობაში აქვს მისი ხანგრძლივი პატიმრობა შპანდაუში, თითქმის 45 წელი. დევიდ ირვინგის წიგნი იწყება პესის ინგლისში გაფრენის მოკლე აღწერით, მოგვითხრობს პიტლერისა და მისი მადგილის შეხვედრას 1920 წელს, „ბიურგერბრაუკელერის” ლუდხანაში. უფრო ადრე რუდოლფი მეგობრის რჩევით წასულა მიტინგზე „შტერნეკერბრაუს” ლუდხანაში, მიუნხენში. რ. პესი – ამბობს ირვინგი, გახდა ამ პარტიის რიგით მეთექვსმეტე წევრი, ამის შემდეგ ცდილობს დაარწმუნოს კარლ ჰაუსკოფერი, შევიდეს ამ პარტიაში. ავტორს მოყავს პროფესორ პ. ჰაუსკოფერის დახასიათება, როგორი სტუდენტი იყო პესი, რაც მნიშვნელოვანია მისი სულიერი იმპროვიზაციისათვის. „ის ძალიან საინტერესო სტუდენტი იყო, მაგრამ მისი ძალა ამოდიოდა არა იმდენად გონებიდან, რამდენადაც გულიდან და ხასიათიდან... ის გაცილებით ფართოდ განათლებული გახლდათ, ვიდრე თვითნასწავლი პიტლერი”[1,681].

დევიდ ირვინგი საუბრობს 1923 წ. 8-9 ნოემბერს მოწყობილ

ლუდის პუტჩევ, ლანდსბერგის ციხეში მოხვედრილ ორგანიზატორებზე. დასძენს, რომ ციხეში კ. ფაუსკოფერმა თავისი მოსწავლე, რომელსაც 18 თვის პატიმრობა მიუსაჯეს, სულ რვაჯერ ინახულა. აღნიშნულია, რომ პროფესორმა იმ ხანებში მიმალულ თავის ნამოწაფარს ურჩია მიუნხენის ხელისუფალთ ჩაბარებოდა, რადგან საქმის ლაიფციგის სასამართლოსთვის გადაცემის შემთხვევაში, განაჩენი უფრო მკაცრი იქნებოდა. წიგნში მოყვანილია ილზესთან ჰესის კორესპოდენცია, რომელიც გვატყობინებს: „ჩვენი ტრიბუნი (საუბარია ადოლფ ჰიტლერზე) სულ უფრო ნელა და ჩურჩულით, შესვენებითა და ხვნებით კითხულობდა ჩვენი ფრონტელი მეგობრების ცხოვრებისა და სიკვდილის თაობაზე ნაწყვეტს მანამდის, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, არ დახურა წიგნი, თავი არ ჩარგო ხელებში და ხმამაღლა არ აქვითინდა. ამიტომ უფრო მტკიცედ ვუჭერ მხარს ახლა, მე მიყვარს იგი”. გარდა პიროვნული სახასიათო მანევრისა, რუდოლფი ხაზს უსვამს ჰიტლერის პოლიტიკურ ალლოს: „იგი დარწმუნებულია, რომ თავისუფლების დაბრუნების შემდეგ, ყველაფერს დააბრუნებს სწორ გზაზე და მთელ ძალასა და ენერგიას მოახმარს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან კომუნიზმს ახლა უფრო სახიფათოდ მიიჩნევს, ვიდრე ოდესმე. . . მე ეჭვი არ მეპარება, - განაგრძოს ლანდსბერგის პატიმარი – მალე დადგება დრო, როცა ყველა ვინც ჩვენს მხარეზეა, დადგება ჰიტლერის გვერდით, ბოლშევიკური ჭირის წინააღმდეგ თვგანწირულ ბრძოლაში”[18.125].

ავტორი გვაუწყებს, რომ ჰესთან მისი ჩამოფრენის ახლო დღეებში საიდუმლო მოლაპარაკებას ეწეოდა ინგლისის კონტრდაზვერვის – MI6*-ის ორი აგენტი, რაც ფარული აპარატით იწერებოდათ. ეს საუბრები ავტორსავე თქმით 200-მდე ჩანაწერს

* MI-6 _ Ministry Information _სადაზვერვო სამსახური

მოიცავს, მაგრამ დევიდ ირვინგი მათგან მხოლოდ სამს იცნობს № 28, 29 და 98. დანარჩენი დიდი საიდუმლოებით იმაღლება ინგლისის კონტრდაზვერვის არქივში.

„ჰესი გახდა პარტიის სინდისი” – წერს ირვინგი. ხალხი გრძნობდა, ვიდრე ის პარტიაში იყო, ცუდი არაფერი მოხდებოდა. როცა გრიგოლ შტრასერმა გადაწყვიტა პარტიის დანგრევა 1932 წელს, ჰიტლერმა ჰესი ბუფერად გაიხადა, მან მისი დახმარებით ადვილად გადალახა პარტიული პრობლემები და შექმნა პოლიტიკური ცენტრალური კომისია ჰესის ხელმძღვანელობით. მალე ჰესმა თავად შექმნა ფიურერის მოადგილის ოდისეა, დანიშნა მოადგილედ მარტინ ბორმანი, ასევე ადიუტანტები: პინჩი და ლაიტგენი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტი ყოფილა, ის ბორმანის რჩევით დათანხმდა ამ თანამდებობაზე – წერს ირვინგი [1,686-687]. ავტორი წიგნში საუბრობს ჰესის მიერ ჰაუსკოფერების და ექსკანცლერ ბრიუნინგის გადარჩენაზე. მას ეწადა რემის გადარჩენაც, მაგრამ ამაოდ. ამასვე ადასტურებს ლაიტგენი. ის წერს: ჰესი უცნაურად იყო გაოცებული ჰიტლერის სისასტიკით, რამაც იფეთქა მასში. . . იმ რამოდენიმე დღეებში ჰესი შესამჩნევად დაბერდა -ო.

მემუართა ჩამონათვალში ამ საკითხის ირგვლივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მემუარები: „მეორე მსოფლიო ომის ისტორია”. ჰესის თემას ჩერჩილი მესამე ტომში ეხება, რომლის სათაურია „დიადი კავშირი”. ეს ტომი ანტიპიტლერული კოალიციის შექმნას ეძღვნება, ხოლო ჰესის თემა შეტანილია პირველ ნაწილში: „გერმანია აღმოსავლეთისაკენ მიისწრაფვის”, პარაგრაფის სახელწოდებაა „ბლიცი და ანტიბლიცი”. 1941 წელი. ჰესი.” ჩერჩილი იწყებს

ამგვარად: „როდესაც ჩემთან მოვიდა ბრაკენი* და მითხრა შოტლანდიაში ჰესი ჩამოფრინდაო, მე ჩავთვალე ეს ცნობა ფანტასტიურად”[9,48].

უ. ჩერჩილი აღნიშნავს, რომ ჰესის აზრი იმაში გამოიხატებოდა, რომ ომის გამჩადებლებმა, რომელთა განწყობილების გამომხატველი გახდდათ ინგლისის პრემიერი, აიძულა ეს ქვეყანა გადაეხვია თავისი ეროვნული პოლიტიკიდან და გერმანიასთან მეგობრობის ნაცვლად ომი წამოიწყეს, იმის მაგიერ, რომ საერთო ძალები ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დაეთმოთ. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, რ. ჰესი უნდა ჩაფრენილიყო ინგლისში და დაერწმუნებია მეფე, თუ როგორი თბილი დამოკიდებულება პქონდა მის მიმართ პიტლერს, დაეთანხმებინა იგი ომის გამჩადებელთა წინააღმდეგ, რაც მის ქვეყანას ერთადერთ სწორ არჩევანს გააკეთებინებდა”-ო[9,33]. ჩერჩილი შემდეგ აღწერს გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას. გვამცნობს წერილზე, რომელიც მას გაუგზავნია აშშ პრეზიდენტისათვის, ფრანკლინ დელანო რუზელტისათვის, 17 მაისს, 15 მაისის დეპეშის სანაცვლოდ. ამ წერილში საყურადღებო ისაა, რომ ავტორს მიაჩნია ჰესი სავსებით ნორმალური იყო, მასთან არ შეიმჩნეოდა გონებააშლილობის არავითარი ნიშნებიო. მას იმედი პქონდა, რომ ინგლისში დაუკავშირდებოდა „მშვიდობისათვის მოძრაობის” მონაწილეებს, რომელთა დახმარებით შეძლებდა არსებული მთავრობის გადაყენებას. „თუ გავითვალისწინებთ, – წერს ჩერჩილი – რომ ჰესი ისე ახლოს იდგა პიტლერთან, საკვირველი უნდა ჩანდეს ის გარემოება, რომ მან არ გვაცნობა რუსეთზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, რომლის მიმართ სწარმოებდა ასეთი ფართო სამზადისი? საბჭოთა მთავრობა ძალიან დაინტერესებული იყო ჰესის

* ბრაკენი – უ. ჩერჩილის პირადი მდივანი

ეპიზოდით და მან ბევრი არამართებული კერძია შექმნა მის ირგვლივ"-ო[9,55]. ალბათ, გულისხმობდა სტალინთან საუბარს კრემლში, დაზვერვის მიერ რ. პესის ინგლისში შეტყუების თაობაზე, რომ ამ მისის უკან პერცოგი პამილტონი იდგა. ჩერჩილი კი შეეწინააღმდეგა. თუ რატომ ცდილობდა პრემიერ-მინისტრი პერცოგის „გათეთრებას”, ეს ნაჩვენები იქნება ჩვენს საკვლევ თემაში.

რაც შეეხება ენტონი იდენის მემუარებს „ანგარიშსწორება”, საგარეო საქმეთა მინისტრი აქ პესის გაფრენას სულ ცოტა ერთ ფურცელს უთმობს. იდენი ვარაუდობს, რომ შესაძლოა პესის პქონდა შიში რუსეთთან ომის შემთხვევაში, მაგრამ ჩერჩილის მსგავსად, ის დარწმუნებულია იმაში, რომ მან პიტლერის გეგმის შესახებ არაფერი იცოდა. ის იზიარებს მოსაზრებას, რომ ინგლისში პესის გაფრენის იდეა მამა-შვილ პაუსპოფერებიდან მომდინარეობდა. მაგრამ – ფიქრობს საგარეო საქმეთა მინისტრი – ინგლისში გაფრენის გადაწყვეტილება პესის უნდა მიეღო. რაც შეეხება ამ მოვლენისადმი რუსების დამოკიდებულებას, იდენი ისევე როგორც ჩერჩილიც, საზგასმით აღნიშნავს: „პესის თავდადწევის დრამას არასოდეს შეუწყვეტია რუსების დაინტერესება. ისინი ძნელად იჯერებდნენ, რომ ამ მოვლენის უკან არაფერი იყო საიდუმლო და რომ ინგლისის მთავრობა არ იყო მასში გახვეული. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი, კვლავ და კვლავ, უბრუნდებოდნენ ამ საკითხს და ჯვარედინად დამკითხავდნენ, იქნებოდა ეს მოლოტოვი, შვერნიკი თუ სტალინი, რომელიც ყველა ხელსაყრელ მომენტში საყვედურს არ მალავდა. იმის მიუხედავად, რომ მე ყველა დეტალი წარვუდგინე და შევეცადე მეჩვენებინა პესის განცხადებათა ჩვენებები, გეჭვობ, რომ ისინი ამით რეალურად დაკმაყოფილდნენ. ინციდენტი, როგორც ჩვენოვის ისევე მათვის, მოულოდნელი და გაუგებარი იყო” [16,257].

ბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-

მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სახელობის ეროვნული არქივი, რომელიც საზოგადოებისათვის 2017 წლამდეა დახურული. არქივი მთლიანად ფიურერის მოადგილის – რუდოლფ ჰესის ინგლისში გაფრენას ეძღვნება. არქივის ქართული თარგმანი მოცემული აქვს ქართველ პროფესორს, ლ. სვანაძეს ამ დასახელებულ ნაშრომში დანართის სახით, ისევე როგორც კბბ-ეს არქივი, რომელიც მთლიანად გამოშიგნულია, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ არსებობს ანუ რუსული მხარეც ასევე დაინტერესებული ყოფილა რ. ჰესის ამ მისით, როგორც ბრიტანული.

ჩერჩილის არქივში მოცემულმა დოკუმენტურმა მასალებმა ნათელი მოპოვინა ჰერცოგი ჰამილტონის საგრძნობ გარევას ამ საკითხში. მასში მოცემულია ჰესის გაფრენის დღეებში პარლამენტი წარმართული დისკუსიის აღწერა, სადაც თავიანთ მოსაზრებებს აყალიბებდნენ დეპუტატები შექმნილი ვითარების ირგვლივ, მაშინ როცა პრემიერ-მინისტრს ამ საკითხზე წერტილი ქონდა დასმული, ფიურერის მოადგილის „პირად ტყვედ“ აღიარების მოტივიდან გამომდინარე.

თავი I

ჰიტლერისა და ჰესის სულიერი იდენტიფიკაციის განცდის მოტივები

რეფლექსური იდენტობის შესატყვისი სინონიმების მონაცვლეობა აზრის მკვეთრი ცვალებადობის საშუალებას არ იძლევა. გონების თვალსაწიერზე გამოკვეთილ ელასტიურ ჩარჩოში განთავსებისას, სახელმწიფოს ეს ორი მოხელე ერთმანეთს ანდამატივით იზიდავს და ერთიანი პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბების ჩვეულ ინერციას ავლენს. რ. ჰესი ა. ჰიტლერის სულის „მესაჭე“ და მისი იდუმალი სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. მისი ლოიალური მიდგომა ჰიტლერის ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და გადაჭარბებული ერთგულების ნიმუშია. რაოდენ უცნაური და მრავლისმეტყველია ასეთი გრძნობით დაავადებული ინდივიდის ფსიქიკა, რომელიც მისი სულიერი სისადავისა და ნათელი აღტკინების არც თუ უბრალო გამოვლინება გახდება. რ. ჰესი იყო ჰიტლერის „მეორე მე“ ანუ მისი „ალტერ ეგო“, მეორე კაცი მესამე რაიხის ისტორიაში, მისი შეუცნობელი წარმოსახვის უკანასკნელი მოჰკანი.

რ. ჰესის შინაგანი მოქმედების ძალა ბრმა, ავტორიტატული თაყვანისცემის მიმანიშნებელია. მისი ინტუიციური ჭვრეტა გონების თვითმმართველობის ფუნქციების გაძლიერების ფონზე, პიროვნების თვისებრივი გარდაქმნის მამოძრავებელია. ინდივიდის სრულყოფილებისაკენ სწრაფვა ბიოლოგიური ეპოლუციის შედეგია, რომელიც ზნეობრივი იდეალის შექმნის ჯერარსულ მექანიზმს თავისთავად გულისხმობს. მორალი სახელმწიფოსა და სამართალზე ადრე წარმოიშვა, ამიტომ პოლიტიკაში მისი დამკვიდრება, იძულებით ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში, ზნეობის სუბიექტი არის

პიროვნება, რომელიც თვითგამორკვევისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის უნარით უნდა გამოირჩეოდეს. პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი ზნეობის მაკიაველისეული გაგება არამყარია, რადგან მხოლოდ ზნეობრივ ადამიანს შეუძლია დაუშვას გარკვეული კომპრომისი პოლიტიკურად მომგებიანი შედეგის სასარგებლოდ. მას ამას ავალდებულებს თავისი სახელმწიფოებრივი ფუნქცია. უზნეო ადამიანი ვერასდროს ვერ გადაუხვევს ზნეობრივი გზიდან, რადგან არასოდეს არ იქნება ზნეობრივი.

რ. ჰესი ფაშისტური ტოტალური რეჟიმის დამყარებიდან მუდამ მაღალ სახელისუფლებო ინსტაციებზე იდგა, რაც ფიურერთან უშუალო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. მათ შორის ურთიერთმიმბაძველობის კონტურები ისეთი დიდია, როგორიც გენეტიკურ შთამომავლობასთან მიმართებაში. ბუნებრივია, რადგან ისინი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ – გერმანიის ძლიერებისა და აყვავების საქმეს. სამსახურეობრივ სფეროში, რ. ჰესის მოვალეობები შესაბამისი უფლებამოსილებით განისაზღვრებოდა: როგორც იმპერიის მინისტრი, ის ხელს აწერდა ყველა დეპრეზზე, რომელიც ქვეყნის სოციალურ საკითხებს შეეხებოდა. მის კომპეტენციაში შედიოდა თანამდებობის პირთა მოხსნა-დანიშვნის უფლება-მოვალეობანიც, მათ შორის სასწავლო სამეცნიერო სფეროშიც. იმ საიდუმლო საბჭოსთან, რომელსაც ჰესი კურირებდა, პიტლერს საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები ჰქონდა. მათი მხრიდან ანტისოციალურმა განწყობამ, რაც სხვა ეროვნების ადამიანებზე გაბატონების მისწრაფებაში გამოიხატა, ქვეყანაში დისკომფორტული სიტუაცია შექმნა.

გეოპოლიტიკოსმა კარლ ჰაუსკოფერმა განავითარა თეორია „სასიცოცხლო სივრცის“ შესახებ. დასახელებულმა თეორიამ პრაქტიკული განხორციელება ა. პიტლერისა და რ. ჰესის მიერ

წარმოებულ პოლიტიკაში ჰქოვა. სამყაროს მოწყობის ეს ახლებური ინტერპრეტაცია, სხვა რასის ხალხისათვის ფიზიკური ხელყოფისა და სულიერი განადგურების მიზეზი აღმოჩნდა. ე. წ. „ბროლის ღამე“ ებრაელთა პოლიტიკური დისკრიმინაციის კულმინაციას წარმოადგენდა, რომლის მიზანი გერმანიისგან ებრაელთა იზოლაცია იყო. ავსტრიის, სუდეტის ოლქის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის დამპყრობს, ამ სახელმწიფოთა ოკუპირებული ტერიტორიები, სწორედ, გერმანიის „სასიცოცხლო სივრცის“ რეალიზებისათვის სჭირდებოდა. გერმანელებით დასახლებული და ამ ქვეყნის მცხოვრებთაგან ევაკუირებული ეს ტერიტორიები უნდა ყოფილიყო პიტლერის მსოფლიო ბატონობის ბაზისი.

ისტორია იტევს მრავალ უჩვეულო პიროვნებას, რომელთა ყოფამაც ძირეულად შეცვალა სამყაროში მიმდინარე პროცესები. ამ უჩვეულო პიროვნებათა - პანიბალის, კეისრის, ნაპოლეონის და მრავალ სხვათა შემდეგ ჩნდება - პიტლერი, საკუთარი მიზანდასახულობით. გერმანიის ფიურერი, თავისი გეგმებით, გონიერივი დისკრედიტაციის ზღვარზე მყოფს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე პოლიტიკოსს, ქვეყნის მეთაურს. თუმც პოლიტიკას თავისი სპეციფიკა და მორალიც გააჩნია. ნიკოლო მაკიაველის „მიზანი ამართლებს საშუალებას“ თავისებურ წინააღმდეგობაში მოდის პოლიტიკის სუფთა ხელებით კეთების პრაქტიკასთან. ხშირად ასეა: თეორიული დასაბუთების ზოგიერთი მცდელობა, შესაბამისი პრაქტიკული რეალიზების საშუალებას არ იძლევა.

პიტლერის დიპლომატიურმა დემარშებმა, რომელიც ნაცისტებისათვის სახარბიელო პერსპექტივებით მთავრდებოდა, წონასწორობიდან გამოიყვანა მრავალი ქვეყანის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრება. დიდი ბრიტანეთის ტრადიციულმა გულმოდგინებამ ტოლი არ დაუდო ნაცისტური გერმანიის მზაკვრულ

რევანშებს, რაც ა. პიტლერის მიზანმიმართული კურსის განმსაზღვრელი შეიქნა. ფიურერის ორ ოფიციალურ შეთავაზებას ზავის დადების შესახებ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ მეტად უცნაური „დუმილის პოლიტიკით” უპასუხა. პიტლერი, თავის საჯარო გამოსვლებში, სურდა რა, რომ ნიადაგი მოესინჯა ინგლისთან ურთიერთობისათვის, დიპლომატიური მანევრირების ორ ძირითად მეთოდს მიმართავდა: პირველი - ზავისადმი მისწრაფების ტენდეციურ დამოკიდებულებაში ვლინდებოდა, მეორე - მოულოდნელად გადაზრდილ საბრძოლო განწყობაში აისახებოდა. ეს პიტლერის ფსიქოზის კულმინაციური წერტილი იყო, რაც პარალელურად მისით ხალხის აღტკინების ორატორის თავისებურ პროფესიულ ხერხს წარმოადგენდა. „აუდიტორიის ყურადღებას იგი იპყრობდა უძრავი და გამჭოლი, თითქმის პიპროზური ხედვით. შემდეგ ის ალაპარაკდა, თავდაპირველად წყნარად და პირფერული დიმილით, ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა ჩახლეწილ ყვირილში გადაიზარდა, რომელიც ემოციის ძალით არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებდა“[22,25].

პოლიტიკურ სივრცეში ჩვეული მაგალითები არც თუ მრავლად მოიპოვება. ეს მოკრძალების, შიშისა და ძრწოლვის საუცხოო სინდრომს ქმნიდა, რითაც დატყვევებული იყო მთელი აუდიტორია. პიტლერი -თავისი არსებობით იყო უიშვიათესი პიროვნება-მოვლენა. ის თავის წინამორბედ თუ თანამედროვე პოლიტიკოს-ლიდერებთან: ბისმარქთან, ნაპოლეონთან, სტალინთან, ჩერჩილთან ერთად თავისებურ ისტორიულ-პოლიტიკურ გალერეას ქმნიდა, რომელსაც საზოგადოება თავისებურად უფრთხილდება. პიტლერის პიროვნებისადმი რ. ჰესის პატივისცემა განუზომელია. ის სიპარავის ბოლომდე ფიურერის ერთგული დარჩა. შპანდაუს ციხეში იზოლირებულ პატიმარს თავის ბედზე არასოდეს დაუჩივლია, არ გამოუხატავს უკმაყოფილება პიტლერის მიმართ. ეს ამ ისტორიის

თავისებური აკორდია, რომლის სრულყოფილი გააზრება უსათუოდ დაგვეხმარება მოვძებნოთ ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიტლერმა წინასწარ იცოდა რ. პესის ინგლისში გაფრენის შესახებ. აღნიშნული საკითხი ამ ბურუსით მოსილი მოვლენის ისტორიის ერთი მხარეა, რომლის გამომზეურება და გაანალიზება რეფლექსური იდენტობის შესატყვისი ეფექტის ტოლფასია: ა. პიტლერი-რ. პესი, სულიერი იდენტიფიკაციის განცდის მოჭარბებული სინთეზი. ერთ-ერთი მათგანის სახელის ხსენებისას, უბრალოდ, შეუძლებელია მეორის არ გახსენება.

ქაოსური სიბრტყე თვალსაწიერზე გამოკვეთილი სივრცის ანარეკლია. როდესაც საუბარია რ. პესის ერთგულებაზე, პიტლერის საპასუხო რეაქციის იგნორირებაც შეუძლებელია. ადექვატური ლირებულების მქონე ეს გრძნობა, გრძნობათა პარმონიას ქმნის ქმნილებათა მიწიერ სიმარტოვეში. კოორდინაციის თავისებური დიდაქტიკა ინდივიდის საუკეთესო ნების გამომხატველობაზე არის დამოკიდებული. თეორიულად დაუსაბუთებელი „მინდას“ ფორმულა ლოგიკური დატვირთვის შედეგია. უწყვეტი დინების ეს მოჭარბებული ინტუიცია დაუკმაყოფილების შემთხვევაში, მეტწილ, არასასიამოვნო განცდას წარმოშობს, თუმცა შეგუების პროცესი იმდენად დინამიურია, რამდენადაც შინაგანი ძალისხმევის მეტ-ნაკლებად დათრგუნვის მექანიზმი. რ. პესის მისიის ჩავარდნის გამო, პიტლერის სული ბობოქარი მდელვარებისა და მრისხანების შერწყმის კულმინაციას აღწევს. ინერციული დესტაბილიზაციის ეს მძლავრი იმპულსები პესის დაკარგვითაც იყო გამოწვეული. პიტლერის ოფიციალური თანხმობის გარეშე რ. პესი ინგლისში არ გაფრინდებოდა. ამას ადასტურებს ვოლფ რიუდიგერ პესის* მიერ გაზეთ „იზვესტიას“ კორესპონდენტთან

* ვოლფ რიუდიგერ პესი – რუდოლფ პესის ერთადერთი ვაჟი, რომელიც მიუნხენის ერთ-ერთ გარეუბანში გრევეფილნგში ცხოვრობდა. ვოლფი დაარქვეს პიტლერის ძვლი საბრძოლო სახელის მიხედვით, ხოლო რიუდიგერი – ნიბელუნგების საგას გმირების მიხედვით ეწოდა.

მოყვანილი საუბრის ფაქტი. ვოლფ რიუდიგერი ხაზს უსვამს მამის პიტლერთან შეხვედრას, რომელიც ა. პიტლერის კაბინეტში შედგა ო. პესის ინგლისში გაფრენამდე, რამდენიმე დღით ადრე. ფიურერსა და მის მოადგილეს შორის გამართული ოთხსაათიანი დიალოგი საქმისადმი სერიოზული მიღებობის მიმანიშნებელია, ხოლო „ხმები, რომელიც დახურულ კარს მიღმა მექანიკურად დაბლდებოდა ან მაღლდებოდა“[პრესა 6,3] [42,297] მიუთითებს იმაზე, რომ მათ შორის დავა მიმდინარეობდა. აზრთა უთანხმოება ყოველთვის შინაგანი დისკომფორტის მიზეზი ხდება. აფორიაქებისა და დაურწმუნებლობის კრიტერიუმები დაუსაბუთებელი არგუმენტაციის სათანადო ცირკულირების ფონზე ინდივიდთა საამისო განწყობილების შექმნის საფუძველია. ეს კი მათი თავისუფალი ურთიერთობის კიდევ ერთი უდავო დასტურია.

პიტლერის შემრიგებლური სიტყვები ოთახიდან გამოსვლისას: „ჰესს, შენ ყოველთვის იყავი და ხარ ჩამოყალიბებული ჯიუტი კაცი“[42,297] – მიგვანიშებს, რომ მან ვერაფერი იღონა, ო. ჰესს ინგლისში გაფრენის გადაწყვეტილება შეეცვალა. მაგრამ ოფიციალური დასტური ბოლოს მაინც მისცა. ო. ჰესი იყო ერთადერთი კაცი ნაცისტურ გერმანიაში, რომელიც ფიურერისგან განსხვავებულ აზრებს მისივე თანდასწრებით გამოთქვამდა. ამას ისეთი უშუალობით აკეთებდა, რომ ა. პიტლერის გულისწყომას არ იმსახურებდა.** ბუნებრივია, რადგან მათი ურთიერთობა პირადი გრძნობების განსაკუთრებულ სტრუქტურაზე გახლდათ აგებული. ასეთი სულიერი პარმონიის პარალელურად, მათ შორის არსებობდა რაღაც თვითნებური ზღვარი, რომელიც პატივისცემისა და რიდის

**პიტლერთან ასეთი დამოკიდებულებით თვით ჰ. გერინგიც ვერ სარგებლობდა. გავისსენოთ შემთხვევა, როდესაც გერინგი 1942 წ. 8 თებერვალს საავაციო კატასტროფაში დაღუპული შეიარაღებისა და საბრძოლო მასალათა მინისტრის, ფრიც ტოდტის ადგილის დაკავების მიზნით სასწრაფოდ ჩავიდა პიტლერთან, რასტენბურგში. პიტლერმა მას უარი უთხრა ამ თანამდებობაზე აღბერტ შპეერის უპავ დანიშვნის გამო. ჸ. გერინგმა ხმა ვერ ამოიღო.

გრძნობას აუცილებლად ბადებდა. რ. პესის სიტყვიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ერნესტ რემისაგან განსხვავებით, მასში შესაბამისი მოქმედებების რეალიზების იდეა არ დომინირებდა. პიტლერის ფინანსთა მინისტრის შვერინ ფონ კროზიგის სიტყვებით რომ ვთქვათ: „პესში ფიურერი ხედავდა თავის უერთგულეს მიმდევარს. პირად ცხოვრებაში წუნდაუდებელს, რომლისთვისაც უცხოა ინტრიგა და პატივმოყვარეობა“[42,123].

ფიურერის მოადგილე მის პოზიციას მათორ რემის მიმართ ესარჩლებოდა „გრძელი დანების დამის“ წინ, თუმცა გამძვინვარებული პიტლერისათვის გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. „რემის დახმარების გარეშე, პიტლერი, ალბათ ვერასდროს მიიღებდა ხალხის რეალურ მხარდაჭერას, რესპუბლიკის დამხობის თვალსაზრით“, რომ „რემის ფულებით პიტლერმა შეძლო პარტიის ორგანიზება და SA**-ს მოიერიშე რაზმების შექმნა. მისივე ფულით იყიდა გაზეთი „ფიოლკიშერ ბეობახტერი“. . [30,58]. მაგრამ ფიურერმა არ აპატია აზროვნებაში რადიკალური შემობრუნება, რა თქმა უნდა, უარყოფითი გაგებით. რემი „თადარიგში გასულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აგენტებად იყენებდა და მათგან იღებდა ინფორმაციებს ნებისმიერი ფარული პოლიტიკური საქმიანობის ყველა ფორმის შესახებ. საერთოდ, რემმა ერთი შეცდომა დაუშვა, მას ეგონა, რომ ყოველთვის ხელთ ეჭირა პიტლერი“[51,52-53].

დამაფიქრებელია, რ. პესის გონებაში სრულიად გაბედული წამოწყება, ე. რემის დაცვის მიზნით. ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, სუსტი მხარის აპოლოგეტიც ამ უკანასკნელის ბედს გაიზიარებს ხოლმე. მაგრამ ეს იყო რ. პესი, ერთადერთი კაცი ნაცისტურ გერმანიაში, რომელიც პიტლერის დიდი ნდობით სარგებლობდა.

** SA – Sturmabteilung „მოიერიშე რაზმები“. მომდინარეობს სიტყვიდან Strong Arm ანუ „ძლიერი მძლავი“, რომელიც ზემოთდასახელებული ორგანიზაციის პირველი ჩანასახი იყო.

ცნობილია, რომ 1934 წლის 30 ივნისს ე. წ. “რემის პუტჩის” დღეებში დახვრიტეს გრეგორ შტრასერი, ჰიტლერის ძველი თანამებრძოლი. იგი ჯერ კიდევ 1932წ. 4 დეკემბერს საკუთარი რისკის ფასად მოლაპარაკებებს აწარმოებდა რაიხსკანცლერ შლაიხერთან. ეს ფაქტი ჰიტლერისა და ჰესისათვის აშკარა გამოწვევა იყო. შტრასერის ცდა, ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ინტერესებით გაემართლებინა ეს მოლაპარაკებები, ჰიტლერმა უხეშად აღკვეთა: „თქვენ მე ზურგში დანა ჩამეცით! – უყვირა შტრასერს – თქვენ არ გინდათ კანცლერი გავხდე, თქვენ გსურთ, ნაციონალური მოძრაობის გახლეჩა!”[50, 53]. – შტრასერმა უსიტყვოდ დატოვა ოთახი. „მარტო ის, რომ ჰიტლერი ავსტრიიდანაა უკვე ცუდია, ამასთან ის ძალიან ნერვიულია, რაც უკვე კატასტროფის ტოლფასია”[38,234]. – უთხრა გრეგორმა ერთ-ერთ თანამებრძოლს თავის ქნევით. ფაქტიურად, ჰიტლერისა და შტრასერის გზები გაიყო. შტრასერის სიკვდილის შემდეგ, რ. ჰესის კარიერის აღმასვლა იწყება. ჰესის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა მთელი პარტიული პრესა და რაიხსტაგში არჩეული ყველა ნაციონალ-სოციალისტი დეპუტატი (პრუსიელთა გარდა). მას ერთადერთი მიზანი გააჩნდა: მომავალში აღარ უნდა განმეორებულიყო რომელიმე პარტიული ფუნქციონერის “ჯანყი” ფიურერის წინააღმდეგ.

ფაქტია, რომ რ. ჰესმა ჰიტლერისაგან განსხვავებული თვალსაზრისი გამოავლინა ებრაელებთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ისტორიას ვერ ააშორა, კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი, ე.წ. “ბროლის დამის” ნახევრადკოშმარული მოვლენის სახით, რაც ანტისემიტიზმის თავისებური პრეამბულა შეიქნა.

ცნობილია, რომ რ. ჰესმა მხოლოდ 1938წ. 9 ნოემბრის დამეს შეიტყო, რომ გერმანიაში სინაგოგები იწვოდა და ებრაელებს კლავდნენ. ფიურერის მოადგილე ნაწყენი დარჩა, რადგან მას პირადად წინასწარ არაფერი აცნობეს ამ აქციის შესახებ.

ძალადობის ასეთი ფორმა მისთვის მიუღებელი იყო და ის შეეცადა კიდეც შეეჩერებინა იგი, მაგრამ უშედეგოდ. „რ. პესმა გერმანია ებრაელთა მასიური განადგურების წინ დატოვა. მიიღებდა თუ არა ის ებრაელთა ხოცვა-ქლეტაში მონაწილეობას ისევე, როგორც სხვა ნაცისტები, პესი გერმანიაში რომ დარჩენილიყო?”[38,246]. პესი საკუთარ თავს ახასიათებდა, როგორც რადიკალს. 1934 წ. ერთ-ერთ თავის რადიო-გამოსვლაში ამბობდა: „ერთგულება ნიშნავს აუცილებელ მორჩილებას, როცა არ კითხულობენ გაცემული ბრძანების მიზანშეწონილობას, როცა არ კითხულობენ, რამდენად საფუძვლიანია ბრძანება, არამედ ასრულებენ მას”[38,246]. ნიურნბერგის პროცესზე, რ. პესს არ უნდოდა დაეჯერებინა თუ რა ბარბაროსული გზით გადაიჭრა ებრაელთა განადგურების საკითხი, მისი ინგლისში ტყვეობის პერიოდში. როგორც ვოლფ რიუდიგერის ინტერვიუდან ირკვევა, თავის დროზე დედამ უთხრა: რ. პესი „იმ საღამოს სახეშეცვლილი და ღრმად დანაღვლიანებული დაბრუნდა”[პრესა6,3]. ილზესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში რ. პესი ებრაელებთან მიმართებაში თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს: „მან* განმანათლა ებრაელთა პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე, რამაც გულის სიღრმემდე შემძრაო”[41,125]. როგორც ჩანს, ფიურერის მოადგილეს პიტლერის შეუვალობა აწუხებდა, რაც რასობრივი გენოციდის დაფუძნებაში უკვე ყოფილის არავითარ საფუძველს არ ქმნიდა. მან, როგორც პიტლერის თანაგუნდელმა კარგად უწყოდა, რომ ამ უკანასკნელის დემაგოგიურ დაპირებებს თავის დროზე „ნდობა გამოუცხადა ყველა კათოლიკემ და თვით ებრაელობამაც, მაგრამ მან ყველა გააცერა”[37,21]. თუმცა, ფიურერმა რ. პესის შუამდგომლობა დააკმაყოფილ პაუსპოფერების

* ე.ო. ფიურერმა

ნახევრადებრაულ ოჯახთან* დაკავშირებით. ფიურერის მოადგილებ
ჰაუსპოფერების ოჯახს მისცა საგანგებო საბუთი, რომელიც მათ
რასობრივი დევნისაგან დაიცავდა. რ. პესისადმი მიწერილ აღ.
ჰაუსპოფერის წერილში ნათქვამია: „ის გარემოება, რომ ჩვენ,
როგორც დაბალი სისხლის გერმანელები** ბოლომდე არ
მიგვახვებეს ნაგვის გროვას, განსაკუთრებით თქვენი მადლიერი
უნდა ვიყოთ”[41,135].

მაშასადამე, ჰაუსპოფერების ოჯახი მსგავსი რეპრესიების ქვეშ
არ მოყოლილა. ჰიტლერი, თავის მხრივ, ძალიან აფასებდა პესის
მისდამი კეთილგანწყობას და ასევე დიდ პატივს სცემდა მას. 1941
წლის 10 მაისს, როდესაც მისი მოადგილე გერმანიის ქ.
აუგსბურგიდან ინგლისში გაფრინდა, ფიურერმა თავისებური
სიფრთხილის ზომები მიიღო ლონდონზე მასირებული საჭარო
თავდასხმების თვალსაზრისით. დედაქალაქზე ყურადღების
კონცენტრირება, რ. პესს შოტლანდიაში თავისუფლად დაფრენის
საშუალებას მისცემდა. ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოეთის ზღვის
სანაპირომდე, ჰ. პაიდრიხის თვითმფრინავთა ექსკორტის მიცილების
შემდეგ, მისი ჰაერში განადგურების შესაძლებლობა ნაკლები
იქნებოდა. ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება ფიურერმა და მისმა
მოადგილემ ზემოთაღნიშნული ოთხსაათიანი დიალოგის ბოლო
ნაწილში მიიღეს. სავარაუდოა, რომ ჰიტლერმა რ. პესს ინგლისში
გაფრენაზე თანხმობა მისცა, აღნიშნულ ღონისძიებებზე შეთანხმების
შემდეგ. იმპერიის უშიშროების ხელმძღვანელის, პაიდრიხის მეუღლე
თავის მემუარებში, იგონებს 10 მაისის დღეს, პაიდრიხის
თვითმფრინავ „ME-109“ ლა-მანშზე ფრენისა და ინგლისისაკენ
მიმართულების აღების ფაქტს. ხოლო დიდი ბრიტანეთის სარადარო
სამსახურმა აშკარად შენიშნა, თუ როგორ გამოეყვნენ

* კარლ ჰაუსპოფერის მეუღლე მართა მაიერ დოსი ებრაელი იყო
** იგულისხმება ებრაელობა

თვითმფრინავთა რიცხვი უკვე ეულად დარჩენილ მფრინავს და გაბრუნდნენ უკან. მიგვაჩნია, რომ ჰაიდრიხი თავისი ექსკორტით, ჰიტლერის ბრძანების შესაბამისად, დანიშნულების ადგილას უფრო ადრე მივიდა და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროსთან ელოდებოდა რ. ჰესს, რომლის გამოჩენისთანავე მხარდამხარ ამოუდგნენ და მიაცილეს ზღვის ბრიტანულ სანაპირომდე. იქედან გამომდინარე, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ვფიქრობთ, ჰაიდრიხს „ემისრის“ მტრის ტერიტორიაზე მშვიდობიან გადაადგილებასთან ერთად, საზღვრის წინასწარი დაზვერვის ფუნქციაც ექნებოდა დაკისრებული. ვთვლით, რომ მას შესაბამისი სიტუაციისათვის კარგად შეიარაღებული თვითმფრინავთა რიცხვი ჰყავდა, რომელიც როგორც თავისი, ასევე რ. ჰესის დაცვის საშუალებას მისცემდა. მიგვაჩნია, რომ ჰაიდრიხის მთავარი და ძირითადი ამოცანა ფიურერის მოადგილის შოტლანდიაში უვნებლად დაშვებაში მდგომარეობდა. ამ თვალსაზრისით, ჰიტლერის მხრიდან რაც შეიძლებოდა გაკეთდა, მეტის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელი იყო. მაშასადამე, რ. ჰესის გერმანიიდან გაქცევის მტკიცება, თითქოს ჰიტლერთან მისი უთანხმოების გამო, ამ ფაქტით უგულველყოფილია. რეალობის ექვივალენტი არ არსებობს, რეალობა რეალობად რჩება. ყოველგვარი ნაზრევის ფორმულირება შეიძლება, ოდონდ ჰიპოთეზისა თუ ვერსიის სახით. ეს მოსაზრებაც ამ დონეზე რჩება, თუმცა დონესაც თავისი ისტორიული შრეები გააჩნია, რომელიც წარსულთან რაღაც ფესვებით არის დაკავშირებული. რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, მით ახლოს ხარ წარსულთან, წინა ცხოვრებასთან. ასეა მეცნიერებაც, რომელიც დასაბუთებისა თუ აზრთა ობიექტური ჩამოყალიბების გარეშე არ იქმნება. ისტორია, რომელიც სულ მცირე, ნახევარი საუკუნის შემდეგ უნდა დაიწეროს, ცხოვრების ამსახველი მატიანეა, მეტწილად მეცნიერულ ნაზრევზე აგებული. ისტორია და

მეცნიერება სხვადასხვა ცნებებია, ოდონდ აუცილებლად ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიძლება ის ერთ ცნებად წარმოვიდგინოთ და ვაღიაროთ, რომ ისტორიული მეცნიერება ფალსიფიკაციის ყოველგვარ გამოვლინებას უნდა გამორიცხავდეს. რ. პესის ინგლისში გაფრენა თავისთავად ისტორიაა, მაგრამ ორმოცდაათი წლის შემდეგ, ის ისტორიული მეცნიერების მსჯელობის საგანი ხდება. მსჯელობა ცოდნაა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გროვდება და ყალიბდება. ცოდნის გარეშე თვით სამყაროც არ იარსებებს. არარეალური სამყაროს არსებობა იგივეა, რაც საკუთარი „მეს“ განცდა ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

ჰიტლერი და პესი რეალური სამყაროს შვილები, სიკვდილის შვილები იყვნენ. ერთი ავსტრიის მიწაზე, ხოლო მეორე ეგვიპტის ქ. ალექსანდრიაში დაბადებული. ორივემ იცოდა თავისი მიწის, სამშობლოს სიყვარული. არც ერთი მათგანი ბელადად არ დაბადებულა. ისინი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები იყვნენ. პოლიტიკოსი თუ ქვეყნის ბელადი, უპირველეს ყოვლისა პიროვნებაა, ამიტომ ჰიტლერისა და პესის ურთიერთობაში არაფერია უცნაური და მიუტევებელი; ხოლო სხვების მიმართ მძაფრი სიძულვილი და ურთიერთშორის ასეთი სიყვარული გონების ზე-საიდუმლოს უფრო წარმოადგენს, რომელსაც კონკრეტული ნივთმტკიცებები არ გააჩნია. რატომ წერს კაცი სიკვდილის წინ ანდერძს? მისთვის ყველაფერი ამაო უნდა იყოს, ის ხომ კვდება? ეს კაცის შეუცნობელი ბუნების ქვეცნობიერი ნაწილის ლოგიკური ალგორითმია, რომელიც გარდაუგადი აუცილებლობის ძალით ან თუნდაც ინსტიქტით არის ნაკარნახევი.

პიროვნების მონაცემთა ლოკალურ ბაზისში დეკლასირებული მონაცემების სინქრონული მოდიფიკაცია, დიამეტრული სხვაობის

პროგნოზირების საშუალებას იძლევა. მისი მოძრაობაში მოყვანის ინფლაციურ სტრუქტურას განაპირობებს ინერცია, სიხშირე და მიკრო-ტალღები. პომეოპათიაში დევალვაციის ხანგრძლივი ან სამუდამო პროცესები სტერეოტიპების ერთდროული სიმბოლური მაუწყებელია. დინამიური ურთიერთმონაცვლეობა კი გააქტიურების კოეფიციენტის მყარი მაჩვენებელია. მკვეთრი შემობრუნება პოზიტიურ თუ არაპოზიტიურ მონაკვეთზე გონების ამგვარი ცირკულაციის შესაბამისად ხდება. ინდივიდის რაციონალური დინამიკა ტვინის გრაფიკულ გამოსახულებათა სქემაში მუდამ თავსდება. პიტლერის გონებრივი ზღვარი მისი შინაგანი დისკრედიტაციის აპოთეოზი იყო. თუმცა მისი სული, დიდი წარმატებების მიუხედავად, მაინც დისკომფორტს განიცდიდა. ის მიღწეულით არასდროს კმაყოფილდებოდა. უფრო და უფრო მეტის სურვილი შინაგანი დანაკლისის შევსების მადას უდვივებდა, რაც სულიერი გამოფიტვისა და ცარიელი გარსის კოშმარული სისუსტე გახლავთ. საკუთარ პიროვნებასთან ჭიდილის გრძნობა შეუვალია. მარცხისა და უბედურების ერთბაშად მოზღვავებული განცდა, თვითრწმენის დაკარგვასთან ერთად, სულის ხორცთან ძალისმიერი გაყრის ინიციატორია, თვითმკვლელობის ძირითადი მოტივის არც თუ დეფიციტური მეთოდია. ეგზალტაციის თვითდაკნინების ტონუსები სტიქიური გარდასახვის კატალიზატორია. მისი ქმედითუნარიანობის ასეთი სიმძლავრე გარე ფაქტორების აღქმისას მოპასუხე შინაგანი მუხტის ურთიერთშეხებაში მოსვლის პროპორციულია. თვითკონტროლის ათვისების შეგნებული ვარიაცია ნებისყოფის გამოვლენის მტკიცე გარანტია. გარე სამყაროსთან ფსიქიკური ლობირების შექმნის კონცეფტუალური პირობები აზროვნების სისტემური კონსოლიდაციით სრულდება. დახვეწილი მანერების ზომიერი წარმოჩენა პიროვნებათა შეგუების ადაპტირებული

ვარიანტია. ინდივიდთა ურთიერთშევსების მექანიზმი კი სინთეზური ხელოვნების იშვიათი ნიმუშია, დეფორმაციის ყოველგვარ ნაზავს მოკლებული. ექსცენტრულობის კოორდინატები თრგანიზმში გამოვლენილი დივერსიული ქმედებების პარალელურად მიმდინარეობს და მისი არაერთგვაროვანი დესტაბილიზაციის მიზეზი ხდება. ფუნქციონალური მოშლის ეს ავთვისებიანი სიპტომი, პიროვნებათა დაავადების ქრონიკული კატაკლიზმებით რომ გვახსენებს თავს, საერთოდ დემოგრაფიის შემაფერხებელი ნიშნით ხასიათდება. საუკუნის ნოსტალგია მისი დიდების მომაკვდინებელი ფენომენის უკუპროპორციულია. პირამიდის ამ უმაღლეს მწვერვალზე ათვლის სათავე მყისვე დავიწყებას ეძლევა და დროის ორაზროვანი ინდიფერენტიზმის მსხვერპლი ხდება.

ჰიტლერსა და ჰესს შორის დიამეტრული სხვაობა ლიკვიდირებულია და ისინი მეტამორფოზული ხასიათის გამო ურთიერთდამოკიდებულების უჩვეულო სურათს ქმნიან. ეპოქის კვალი თაობათა მუდმივ მონაცემების გრაციოზულობასა და მეტნაკლებად განსხვავებულ კოლორიტულ თვისებებს სძენს. ამიტომაა, რომ მათი გახსენებისას უნებლიერ წარმოქმნილ ეიფორიას ვერ ვმალავთ, იმდენად დიდია მათი გენიის აღიარების შინაგანი მოთხოვნილება. ლირებულების დადგენა მისივე ფასეულობის მიხედვით ხდება. ამას ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების პიროვნების გაანალიზებისას მათი ნაკლის მიხედვით ვიწყებთ, ხოლო კაცობრიობის დიდ შთამომავლებთან მიმართებაში, პირიქით. ეს მეტად უცნაური და გნებავთ ზედმეტად დამაფიქრებელიცაა. მიუხედავდ იმისა, რომ განუსჯელობის სინდრომს აქ გვერდს ვერ ავუვლით, ამ პიროვნებათა ხიბლი მარადიულია და მეხსიერებაში თვითნებური შემორჩენის მოუშორებელი ტვირთია. მათ არსებობაში არის რაღაც საერთო, გენეტიკის მსგავსი, ქვეყნიერების დასაბამიდან

რომ იღებს სათავეს. ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი ზოგჯერ მათი მოღვაწეობის სფეროს სრულფასოვანი წარმოჩენის შემაფერხებელია. „ადამიანი, რომელიც დიდი იყო სიცოცხლეში, ათჯერ დიდი ხდება სიკვდილის შემდეგ” – კარლეილის ეს ცნობილი გამონათქვამი თანამედროვეთა მიმართ საზოგადოების ჩვეული გულგრილობის კიდევ ერთი უდავო დასტურია.

რ. ჰესი მის მიერ შექმნილ კონსტრუირებად სამყაროში მარტო არ აღმოჩნდა, მასთან ერთად მოიაზრება პიტლერი. მან რუდოლფზე გაცნობის დღიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დღიდან ჰესის ცხოვრება ოპტიმისტურმა იდეებმა წარმართა. სწორედ, ეს კაცი მოევლინა მას პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მხესნელად. „პიტლერი ის კაცია, ვისაც ძალუმს გერმანიის აღორძინება, მხოლოდ მას და ერთადერთ მას”[1,127]. – უცნაური შთაგონებით ეუბნებოდა რუდოლფი თავის მომავალ მეუღლეს ილზე პრიოლს, რომელზეც ამ კაცმა ასევე დამატყვევებელი გავლენა მოახდინა. რ. ჰესმა ამ „ახალი აღმოჩენით”, თავის საკონკურსო ნაშრომს, „კაცი, რომელიც იხსნის ჩვენს ქვეყანას”[16,15] ერთგვარი კონკრეტული პასუხი მოუმებნა. უსათუოდ, ეს ადოლფ პიტლერი იყო.

1923წ. მიუნხენის ლუდის პუტჩმა მის ორგანიზატორებს არასახარბიელო შედეგი მოუტანა, თუმცა თავის მხრივ მათი პოლიტიკური კარიერის პატარა დასაწყისი შეიქნა. ეს გახლდათ პიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის თავისებური ისტორიული თუ პოლიტიკური ფონი, რომელმაც თანდათანობით დიდი ასპარეზი შეიძინა. ლანდსბერგის ციხემ ორი ოდიოზური ფიგურის პიტლერისა და ჰესის დაახლოებაში თავისებური როლი ითამაშა. აქედან მოყოლებული რ. ჰესს პიტლერის პოლიტიკური ორბიტა 1941 წლამდე არ დაუტოვებია. საითაც „ტრიბუნი”* გეზს აიღებდა, იქეთ მიჰყვებოდა

* „ტრიბუნი” – ა. პიტლერის მეტსახელი, რომელიც რ. ჰესმა შეარქვა

მას „რუდი”**. „მე მისი ერთგული ვარ, როგორც არასდროს, მე მიყვარს ის”[38,228] - წერდა პესი. პატიმრობის პერიოდში, ის პიტლერისათვის რამდენიმე როლს ერთდროულად თამაშობდა: როგორც დისკუსიების თანამონაწილე და პარტნიორი, როგორც საცდელი აუდიტორია პიტლერის მონოლოგებისათვის. ლანდსბერგის ციხეში დაისახა ახალი პოლიტიკური მიზანი: „ჩვენ ცხვირები უნდა შევყოთ რაიხსტაგში... მარქსისტებს ვაჯობოთ; თუ ეს უფრო დიდხანს გაგრძელდება, უმჯობესია ისინი დავხვრიტოთ!” პესის კითხვაზე, თუ როდისთვის იმედოვნებს პიტლერი ხელისუფლებაში მოსვლას, მომავალმა ფიურერმა უპასუხა: „მინიმუმ ხუთ, მაქსიმუმ შვიდ წელიწადში”[38. 228]. სინამდვილეში, ეს მოხდა 8 წლის შემდეგ, პიტლერის მიერ მაშინ გაკეთებულ პროგნოზზე ერთი წლით გვიან.

რ. პესი გერმანიიდან გაიქცა და ავსტრიას შეაფარა თავი. მაგრამ, მალე საკუთარი გადაწყვეტილების თანახმად, თავის თანამოაზრებთან ციხეში ბრუნდება და მათ ხვედრს იზიარებს. მხოლოდ, სტიქიური ბუნების ადამიანს თუ შეეძლო ამის გაკეთება, რომელშიც მოულოდნელობა, უჩვეულო მგზებარება და ენთუზიაზმი ჭარბადა მოძალებული. ამ სამი თვისების მატარებელ დიდოსტატს ფაშისტური გერმანიის ბიბლიად წოდებულ „Main kampf”*** -ის შედგენაშიც მიუღია მონაწილეობა, რომელსაც მას ციხეში ყოფნისას კარნახობდა ავტორი - პიტლერი. წიგნი პიტლერის აგრესიულ გეგმებთან ერთად გამსჭვალულია პ. პაუსპოფერის შორსმჭვრეტელური იდეებით. „სასიცოცხლო სივრცე აღმოსავლეთით” - პაუსპოფერის გეოპოლიტიკის ეს ქვაპუთხედი, იქცა „Main kampf”-ის საგარეო პოლიტიკური ნაწილის ცენტრალურ დებულებად. თვითონ პ. პაუსპოფერმა ორი ათეული წლის შემდეგ

** „რუდი” – ასე ეძახდა ფიურერი პესს შინაურულად
*** Main kampf- ჩემი ბრძოლა

ნიურნბერგის პროცესზე აღიარა, რომ „...ეს იდეები ჰესის მეშვეობით აღწევდა ჰიტლერამდე, მაგრამ მან ისინი სწორად ვერასოდეს ვერ გაიგო და მას ჩემი წიგნები არასოდეს არ წაუკითხავს”[38,228].

როგორც ცნობილია, კ. ჰაუსპოფერმა რ. ჰესი ლანდსბერგის ციხეში ყოფნისას, სულ მცირე, რვაჯერ ინახულა. უნდა ითქვას, რომ კ. ჰაუსპოფერის ანტისემიტიზმი უფრო ზედაპირული და ტრადიციული იყო, მასში არ იგრძნობოდა ებრაელების მიმართ პერსონალური სიძულვილი. გერმანელებს, კ. ჰაუსპოფერის თეორიის პროპაგანდისტული ვარიანტის მიხედვით, – როგორც „ერს სივრცის გარეშე” – დაპყრობითი ომი უნდა ეწარმოებინათ, რათა შესაბამისად უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ. თავის წიგნში „წყნარი ოკეანის გეოპოლიტიკა” კ. ჰაუსპოფერი იაპონიას აზიაში იგივე როლს აკუთვნებდა, რა როლიც უნდა ეთამაშა გერმანიას ევროპაში. წიგნით „Main kampf"-ით შექმნეს ნაცისტური გერმანიის უძლეველობის ფენომენი, რამაც სათავე დაუდო მესამე რაიხის კრახის გარდაუვალ აუცილებლობას.

ძალმომრეობა ანუ სოციალური ექსპლოატაცია, უპირველესად, ადამიანის ბიოლოგიური ბუნების ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას. პიროვნების ფსიქიკური სტრუქტურის შინაგანი წონასწორობის დარღვევა, ავტომატურად იწვევს მის აგრესიულ რეაქციას. აგრესიული მიდრეკილება ადამიანის ბუნების აღუკვეთელი ინსტიქტია, რომელიც გლინდება ომებში, ადამიანებთან ურთიერთობების დროს, კონკურენციასა და კლასობრივ ანტაგონიზმი, რასობრივ დაპირისპირებასა და სხვა კონფლიქტებში. თუმცა, ჰიტლერთან მიმართებაში გაცილებით შორს წაგიდოდით. ომი მისი ნევროზული ფსიქოზის გამოვლინების შედეგი იყო. ფსიქიკური დეგრადაციის ნიშნები, რ. ჰესთანაც შეინიშნებოდა. მაგრამ მისი მისია ინგლისში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ,

„კაცთმოყვარეობის მოტივით იყო ნაკარნახევი”, ანუ ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილების მიზნით. გამოთქმული აზრი თავისებურ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც 1935წ. რ. პესის მიერ „ნიურნბერგის კანონებზე”, ასევე 1938წ. ავსტრიის ანშლუსზე ხელმოწერილ დეკრეტებთან. მსგავს დეკრეტებზე ხელმოუწერობის შემთხვევაში, არსებითად, არაფერი შეიცვლებოდა, გარდა იმისა, რომ რ. პესს სათანადო სტატუსს ჩამოართმევდნენ და მის ადგილზე სხვა ამას მაინც გააკეთებდა., ან 1941 წლისათვის მასში ფსიქიური გარდატეხა მოხდა მამობრივი ინსტიქტიდან გამომდინარე. ვოლფ რიუდიგერ პესი, ამ დროს, 3 წლის იყო. თუ თვალს გადავავლებო შვილთან მამის დამოკიდებულებას, მსგავსი ალტერნატივა დასაშვებად მიგვაჩნია. სახელმწიფო მოღვაწე გაცილებით პუმანური და დამყოლია, როცა მას ოჯახი პყავს. ეს გრძნობა ლოკალიზებულია ადამიანის გონებაში და პიროვნების შინაგანი სამყაროს მოძრაობისა და ცვალებადობის მოდიფიკაცია მასზე გავლენას ვერ ახდენს. ინდივიდი ყოველთვის ამოდის თავისი მოთხოვნილებიდან ანუ „მე”-ს უშუალო ინტუიციიდან. თუმცა პოლიტიკოსისა და პიროვნების გამიჯვნის გარკვეული პორიზონტი არსებობს. პიროვნებათა ფსიქიკური მონაცემებისა თუ ფაქტების აღნუსხვა გათვითცნობიერების ლოკალური შენაერთია, რომელიც შინაგანი კოორდინირების საშუალებას იძლევა. აღქმის ეს უტყუარი კორექცია მისდამი ზუსტი მიდგომის უშუალო კატალიზატორია. მსგავსი უნარის წარმოჩენა ინდივიდის თანდაყოლილი თვისებაა, ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით გაფართოებული. დაკვირვების ბუნებრივი სტიქია, როგორც მზარდი განვითარებისა და შთაგონებითი ემანაციის პროდუქტი, თანდათანობით ივსება და ყალიბდება. თუმცა, ყოველი ინდივიდი ასეთი გონებრივი „რიტუალით” როდი გამოირჩევა. მისი სუსტი იმპულსები გაუცხოების

სინდრომს წარმოშობს და პიროვნება არაზუსტი შეხედულებების მქონე ხდება. ინდივიდის ინტიმური განცდები აზროვნების თავისებური პერიოდიზაციით გამოირჩევა. მასში სენტიმენტალურობა ისე ჭარბადაა, როგორც ინდიფერენტიზმი. ანტონომიური მგრძნობელობის თანაბარი არსებობა განწყობის მკვეთრი ცვალებადობის მაუწყებელია. ხასიათის მოჩვენებით სირთულეს უცნაური მუხტებიც თან ერთვის, რაც განსაკუთრებულობის ნიშნით იკვეთება. მათი, როგორც დამკვირვებელთა თვალთახედვა ხშირად დინამიურია, გარკვეული ზომიერების ფარგლებში. შინაგანი ექსცენტრულობის ჩახშობის პარამეტრები უკმაყოფილებისა და გაღიზიანებადი განცდების ფონზე, პიკანტური ვნების ინსცენირების მომასწავებელია. ეს საუცხოო იდეალიზმის კლასიკური ნიმუშია, წლების მანძილზე გამორჩეული ელეგანტურობით გამოვლენილი. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან და ზოგჯერ შეუცნობად გარემოში კვდებიან. მათი ხასიათის კონუსისებური შტრიხები უმრავლესობისათვის მეტად მიუწვდომელი და გაუგებარია. ასეთ შემთხვევაში, განმარტოების ალბათობა დიდია, როცა დიდია მოზღვავებული ემოციების ნეიტრალიზაციის სურვილი. შესაძლებელია, გარკვეულ მონაკვეთზე მოხდეს ინდივიდის ბურანიდან გამორკვევა, არსებულთან შეგუება და საკუთარ თავთან მარტოდ არ დარჩენის ხელოვნური პირობების შექმნა. რ. ჰესის შინაგანი სამყაროს წაკითხვა ბევრმა ვერ შეძლო. აბსტრაქტულ გარემოებათა ვაკუუმში მოხვედრილმა, ყველაზე მარტოხელა კაცის სახელი დაიმკვიდრა მთელ მსოფლიოში. ოცი წლის და მეტი წელის განმავლობაში, ოჯახის წევრების უნახავობის ლამის გამაოგნებელი ფაქტი, რ. ჰესის პიროვნების ტიპიური მონაცემებით აიხსნება, რაზეც დღესდღეობით დაუჯერებელი პიპოთეზა მეტყველებს.

ფიურერის მოადგილის ორეულის შექმნის ილუზია აბსურდია,

ისევე როგორც მისი თვითმკვლელობის ნონსესი. რ. ჰესმა ბუნებრივი გრძნობების მოჭარბებული სიპტომები ვერ ჩაკლა შპანდაუს ციხეში მეუღლისა და ვაჟის შეხვედრისას, რომელიც 1969წ. შედგა, მისი დაპატიმრებიდან ოცდარვა წლის შემდეგ. ასევე, მან თავისი უახლოესი მეგობრის ა. ჰაუსკოფერის სიკვდილის ცნობის მოსმენისას, ვერ უკუაგდო თვალებში მომდგარი ცრემლი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამნეზიის სიმულირების გაცემის ტოლფასი იყო. როგორც ცნობილია, ნიურნბერგის პროცესის დაწყების წინ, ამერიკელების ინიციატივით, რ. ჰესი შეახვედრეს კ. ჰაუსკოფერს. „რუდოლფ, შენ რა ვერ მცნობ?... ოცი წელი ჩვენ სახელებით მივმართავდით ერთმანეთს. თუ მოთმინებით აღიჭურვები, შენ დაგიბრუნდება მეხსიერება. მაშინ შენ გაიხსენებ ძველ მეგობრებს... ნუთუ შენ არ გახსოვს ალბრეხტი, ის ადარ არის ჩვენ შორის!“[42,134]. როგორც ცნობილია, ა. ჰაუსკოფერი უკმაყოფილო იყო გერმანიის პოლიტიკით და ცდილობდა ამ პოლიტიკაზე თავისი გავლენა მოეხდინა. ირკვევა, რომ რ. ჰესი მეგობრობდა, ჰიტლერის პოლიტიკით უკმაყოფილო კაცთან. არა მარტო მეგობრობდა, ა. ჰაუსკოფერი ჰესის მრჩეველი გახლდათ ინგლისურენოვანი ქვეყნების საკითხებში. ფიურერის მოადგილე მფარველობდა ჰაუსკოფერების ოჯახს, სანამ გერმანიაში იყო. ცნობილია რომ მან მისცა დედით ებრაელ ალბრეხტს საგანგებო საბუთი, რომელიც ხელშეუხებლობის გარანტს აძლევდა. თავისთავად ინტერეს მოკლებული როდია ის, რომ კ. ჰაუსკიფერი არწმუნებდა ჰესს გაფრენის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. ფიურერის მოადგილეზე მისი გავლენა დიდი იყო. დამაფიქრებელია, რა ხელს აძლევდა მამა-შვილ ჰაუსკოფერებს რ. ჰესის გერმანიიდან წასვლა? ისინი კარგავდნენ კაცს, რომელიც ჰიტლერისგან იცავდა მათ. რატომ სურდათ დაეკარგათ ფიურერის მოადგილის სახით პატრონაჟი? ფაქტობრივად,

ისინი რჩებოდნენ პიტლერის გავლენის ქვეშ, ვისი პოლიტიკაც არ მოსწონდათ. ვფიქრობთ, მათ პიტლერის ჰესისადმი ურყევი სიყვარულის იმედი ქონდათ, რამაც ამ შემთხვევაში არ გაამართლა. უფრო სწორია ვივარაუდოთ, რომ პაუსკოფერები დარწმუნებულები იყვნენ ამ მისის წარმატებაში, რომელიც არა მარტო შეცვლიდა ვითარებას საგარეო პოლიტიკის სფეროში, არამედ დადებითად იმოქმედებდა თვით ჰესის რენომეზეც. არ გამოვრიცხავთ, რომ პაუსკოფერებს თავისი გეგმა ქონდათ, რომლის შესახებ შესაძლოა თვით ჰესმაც კი არ იცოდა, მაგრამ გვიან გაიგო პიტლერმა. მაშასადამე, ჰესის მისის წარმატების შემთხვევაში, ფიურერის მოადგილის გმირად გადაქცევის აპოთეოზი შესანიშნავად მოერგებოდა მისი გაპირველკაცების პაუსკოფერისეულ იდეას.

როგორც ცნობილია, ჰესის გაფრენის შემდეგ, ა. პაუსკოფერი არაოფიციალური ცდისას, მოლაპარაკებები ეწარმოებინა შვეიცარიაში, დასავლელ მოკავშირეებთან ომის დამთავრების შესახებ, ორთვიან „საპატიო პატიმრობაში” აიყვანეს, 1941 წელს. საბოლოოდ, ის მიემხრო პიტლერის მოწინააღმდეგებს, რომლებმაც 1944წ. 20 ივლისს პიტლერზე თავდასხმა მოახდინეს. მაშინ გამძვინვარებულმა ფიურერმა თქვა: ჰესი უნდა ჩამოვახრჩოთ, სწორედ აქედან იწყება ყველაფერით. ამ წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ა. პაუსკოფერი ალპებში იმალებოდა. 1944წ. 7 დეკემბერს დააპატიმრეს და ბერლინის ციხეში, მოაბიტში ჩასვეს. ის სიკვდილით დასაჯეს 1945წ. 23 აპრილს.

ჩვენ, ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში, ბუნებრივ ინსტიქტებს გემორჩილებით, იმდენად დიდია მათი ჩვენზე ზემოქმედების საშური ძალა. სკეპტიკური აზროვნების ჩამოყალიბება ხშირად განცდილი სიბრალულის გამო ხდება. ამ საშინელი გრძნობის წარმოქმნისას მოზღვავებული ტკივილის გამკლავება მხოლოდ ცრემლს შეუძლია.

ცნობილია, რომ პიტლერი პესის გახსენებისას ატირდა იტალიის მმართველ ბენიტო მუსოლინთან საუბრის დროს. 1941წ. 2 ივნისს ფიურერის დაუინებული მოთხოვნით „ბრენერის უდელტებილზე შედგა შეხვედრა პიტლერსა და მუსოლინს შორის“[48,49]. საუბარი დახურულ კარს მიღმა წარიმართა, რომელსაც დუჩეს სიძე და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი გალეაცო ჩიანო, ესწრებოდა. მოგვიანებით, მან ამ საუბრის დეტალები წარმოგვიდგინა თავის მემუარებში. საუბრის თემა, ძირითადად, პოლიტიკური ასპექტით შემოიფარგლა, „ფიურერი პირველი ალაპარაკდა თავისი მოადგილის თაობაზე და ატირდა“[7,343]. ადოლფ პიტლერი განიცდიდა პესის სავალალო მდგომარეობას დიდ ბრიტანეთში, რომელიც მისი მისიის ჩავარდნამ გამოიწვია. ის მდელვარების, სინაწელისა და სიბრალულის მოზღვავებულ გრძნობებს თანაბრად განიცდიდა, საყვარელი ადამიანის დაკარგვისას რომ ეუფლება კაცს, საკუთარი უსუსური მდგომარეობის განცდის გამო. როგორც ცნობილია, პიტლერმა მუსოლინის მსგავსად არაერთხელ სცადა რ. პესის ინგლისელთა ტყვეობიდან გამოხსნა, მაგრამ ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახური ყოველთვის დროულად იგებდა ანალოგიური მცდელობების შესახებ და შესაბამისად, ფიურერის მოადგილის ადგილსამყოფელის შეცვლის სხვადასხვა ვარიანტებს ადგენდა. ამიტომ, რ. პესმა დიდი ბრიტანეთის რიგი ცნობილი საპყრობილები გამოიარა: გლაზგო, მიტჩეტ-პლეისი, ლონდონის ტაუერი და ა.შ.

მაშასადამე, რ. პესის სახელმწიფო მოდალატის ამპლუაში განხილვა გონიერების საზღვრებს სცილდება. პიტლერი, რომელშიც ძალაუფლებისა და პატივმოყვარეობის დაუთრგუნავი სინდრომები ჭარბად იყო, შურისგების მიზნით მძევლად აიყვანდა მის მეუღლესა და სამი წლის შვილს, არა თუ დახმარების ხელს გაუწვდიდა მათ. ამის შემდეგ, რ. პესს პირადი ახირების მოტივით განა შეეძლო

ოჯახის გაწირვა და ინგლისში გაფრენა საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით? თუ გერმანიიდან მისი გაქცევის თეზისიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ის თავის ყველაზე ახლობელ ადამიანებს ნაცისტებთან არ დატოვებდა. ასეთ შემთხვევაში ის წავიდოდა არა ინგლისში, არამედ რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს ქალაქში, რომელიც იმ დროს ემიგრანტთა თავშესაფრად იყო ქცეული. მაგრამ, ნაცისტურ გერმანიაში პესის ოჯახი ერთადერთი გახლდათ, ვისაც მისი ინგლისში გაფრენის გამო, პიტლერის მსახვრალი ხელი არ შეხებია. მიუხედავად იმისა, რომ ფიურერის მოადგილემ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო, ფიურერის ბრძანებით დააპატიმრეს: ალ. პაუსკოფერი, რ. პესის პირადი ადიუტანტები: კარლ პაინც პინჩი და ალფრედ ლაიტგენი, აგრეთვე პირადი მძღოლი ლიპერტი. ამის შემდეგ, ფიურერის ნებართვით, ილზე პრიოლს თანხმობა ეძლეოდა მიეღო ქმრის წერილები და მასზე თავადაც ეპასუხა. რ. პესის ოჯახის ხელშეუხებლობისა და მისდამი სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ფაქტით, პიტლერი არ მოერიდა საზოგადოების „განათლებას“, თუ პირველთა დაპატიმრების შემთხვევაში ეს გაითვალისწინა. ყოველივე ამის ანალიზი სათუოს არ ხდის პიტლერის წინასწარ ცოდნას, პესის ინგლისში გაფრენის შესახებ. ამ ჩვეულებრივმა მოვლენამ განსაკუთრებული დატვირთვა, რ. პესის მიერ, ამ დეტალის სიკვდილამდე საგულდაგულოდ დამალვის მცდელობის შედეგად შეიძინა. ფიურერის როლის „გამორიცხვა“ ამ მისიაში, ისევ ნაცისტური გერმანიის ინტერესების გათვალისწინებით მოხდა, რომ არ დაკარგულიყო საზოგადოების რწმენა მათი ბელადისადმი, ასეთ წარუმატებელ მისიაზე დასტურის მიცემის გამო. ასეთი ნიუანსის თვიციალურად გამოკვეთა ნაცისტის მხრიდან, არც პიტლერის სიკვდილის შემდეგ იყო მიზანშეწონილი, გერმანიის ათასწლეულთა მატიანეში მისი „განუმეორებელი

ფენომენის“ იდეალური წარმოსახვის გამო. რ. პესი საკუთარი ინდივიდუალობის დამკვიდრების ერთგვარ პრეტენზიასაც აყენებდა, როცა აცხადებდა „ბარბაროსას გეგმის“ არცოდნის შესახებ. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, დიდი ბრიტანეთის მხრიდან მეომარი მხარისათვის ზურგის გამაგრება, თუნდაც მისი ნეიტრალიტეტის სახით, „მშვიდობის ემისარს“ დამაჯერებლობის ნიდაბს აცლიდა, რასაც ის ინგლისში ჩასვლის დღიდან დაჟინებით იმეორებდა აიგონ კირკატრიკთან და ჯონ საიმონთან ოფიციალურ დაკითხვაზე. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, ბიგერბრუკის ვიზიტმა პესთან ინგლის-გერმანიის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ნუსხაში გარკვეული პარაგრაფები გამოჰყო. ბრიტანეთის მთავრობის მიერ კარგად მოფიქრებული ეს ნაბიჯი ფიურერის აზროვნების შემობრუნებისაკენ იყო მიმართული. შედეგმაც არ დააყოვნა. რ. პესის მიერ ორმოც-ორმოცდაათიანი გვერდი მემორანდუმის გაკეთება და ბიგერბრუკისათვის გადაცემა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყების მაცნე გამოდგა, რამდენადაც აქ სიტყვა „სამშვიდობო“ აღარ ფიგურირებდა. ამდენად, გაფრენა პოლიტიკური მიზნით იყო შენიდბული, ხოლო მოტივი ინგლისთან კომპრომისული ზავის მიღწევა გახლდათ. ა. პიტლერის ნების იგნორება ამ მისიაში, მხოლოდ და მხოლოდ, რ. პესის მოღალატეობისა და გონებრივი მენტალიტეტის დაქვეითებით იყო შესაძლებელი, რაც აქ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე აბსოლუტურად გამორიცხულია. ამნეზიის ანუ მეხსიერების დაკარგვის სიმულიაცია პოლიტიკური საიდუმლოების დაცვის მოტივით იყო ნაკარნახევი. ფსიქიურად არამდგრად მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიტყვას და საქმეს ნაკლები დირებულება ექნებოდა. ამასთან, სამედიცინო ექსპერტთა კომისიას, რომელიც დიდ ბრიტანეთში საგანგებოდ იყო შერჩეული, არ დაუდასტურებია ტვინის

ბიოსფეროში რაიმე მსგავსი ლაფსუსების არსებობა, რაც ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემდა. ჰიპოკრამფის იმ ნახევარსფეროში, რომელშიც გრძელვადიანი და მოკლევადიანი მეხსიერებაა მოთავსებული და მათვის ახალი ცნობებისა თუ ინფორმაციების მიმწოდებელი ნერვული სისხლძარღვების დაზიანების კვალი ამ ექსპერტიზის დასკვნაში არ მოიხსენიება. მაშასადამე, ამნეზიის ცნობილი ჰიპოთეზა არ დასტურდება. შესაძლებლობის ყოველგვარ ზღვარს აღემატებოდა თითქმის ოთხსაათიანი ფრენა, „ME-110“-ის ტიპის თვითმფრინავით, რომლის თავდაპირველი კონსტრუქციული მოდელი რ. ჰესის ინსტრუქციების საფუძველზე, თანდათან განსხვავებული სტილის ხდებოდა – თავისი დამატებითი საწვავი ავზებით, მფრინავის კაბინაში დამონტაჟებული სხივადი ანტენითა* და შესაბამისი რადიო-მოწყობილობით*, რომელშიც პაუზების დროს გერმანიის ცნობილი კომპოზიტორების: ვაგნერის, ბახის, შოპენისა და სხვათა კლასიკური სიმფონიური კომპოზიციები გაისმოდა. ასეთი კომპონენტების არსებობა, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავდა ფრენის გაადვილების უზრუნველყოფას, რაც გამაოგნებელი და თავბრუდამხვევი ფანტაზიის რეალობაში განხორციელების ნათელ მაგალითს იძლევა. ვერაფერი შეედრება სორცშესხმულ გენიას, საუკუნის მესაჭის სულისკვეთებით გაუდენთილს, რომელიც მუდამ ხიბლს ბადებს და არა შურსა და სიხარბეს. საუკუნის ისტორიის მომხვეჭველობითი სიდიადე

* რ. ჰესმა მისი ფრენის კურსის განსაზღვრისათვის, თვითმფრინავში რადიომიმღების დამონტაჟება მოითხოვა. მაგრამ გარემოებას ართულებდა სპეციალური სხივადი ანტენა, რომელიც ჩრდ. დანიაში იყო განთავსებული. როგორც მას რადიოკვანძის ხელმძღვანელმა იოზეფ ბლუმელმა განუმარტა, სამხ. გერმანიიდან მისი გამოყენება შეუძლებელი იყო. თუმც, როგორც შემდეგ გაირკვა, სადგურს მიმართულება შეუცვალეს.

** საკითხის უკეთ გააზრებისათვის შევეცდებით განვმარტოთ ავიაციაში რადიომიმღების გამოყენების მეთოდი. ძირითადად, ამ პერიოდში კ. წ. რადიო-კომპასექტით სარგებლობდნენ, რომელიც ღამით, ჰაერში ფრენის მიმართულებას პირდაპირ, მარჯვნივ თუ მარცხნივ წარმართავდა. კურსის შესაძლებელი ცვლის დროს მორზეს ცნობილი კოდი გაისმოდა. ბერეა N (Dah-did ან dash-dot) მარცხნივ გადახრას, ხოლო A (Did-dah dot-dash) მარჯვნივ გადახრას ნიშნავდა. ეს კი მფრინავს სწორი ორიენტირების საშუალებას აძლევდა.

გენიოსების კომპლექსური შემოქმედებითი დატვირთვის დირიქორია. ამ შემთხვევაში პიროვნება-კომპლექსი, ცნებათა პორიზონტზე, მენტალური ნუსხის ჩამონათვალში, წამყვან ადგილებზე მონაცვლეობის აქტივობით გამოირჩევა, რომლის ქაოტურ სიბრტყეშიც გადანაცვლება ურთიერთქმედების ძალებს დაასუსტებს, მაგრამ არ მოსპობს. კონტრასტული ფაქტების თანხვდომა ამ მისიაში, კარგად გააზრებული ობიექტური სინამდვილის ილუსტრირების საშუალებას იძლევა. ტაქტიკური მოსაზრებების საფუძველზე, წარმოქმნილი რიგი საკითხები ჩვენი თვალთახედვის მერიდიანულ სიბრტყეში განთავსებისას, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცალკეულ დაჯგუფებად იყოფა.

1939 წელს, ა. ჰიტლერის მიერ ანდერძის შეცვლისა და ჰ. გერინგის უშუალო მემკვიდრედ დანიშვნის ფაქტს, რ. ჰესი ჩვეული სიმშვიდით შეხვდა. ყოველ შემთხვევაში, მას არ გამოუთქვამს რაიმე პროტესტი ან მინიჭნება დასახელებული ფაქტის მიმართ; თუნდაც იმიტომ, რომ ამ ანდერძის თავდაპირველი ვარიანტი ასევე საჯაროდ იყო ცნობილი, ხოლო მისმა შეცვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნაცისტურ წრეებში, ამ პიროვნებაში განაწყენებისა და შეურაცხყოფის სიმპტომებს უთუოდ წარმოშობდა. მაგრამ უზადო ინტელიგენტი და დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი მსგავს შტრიხებს აშკარად როდი ავლენს, ისევე როგორც ეს არ გამოხატა აშშ პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა უ. ჩერჩილის მიმართ, რ. ჰესის ჩაფრენის თაობაზე ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო.

ზემოთდასახელებული ფაქტი, რ. ჰესის გერმანიიდან გაქცევის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად არის მიჩნეული. მაგრამ ჰიტლერის მზრუნველობა მის ოჯახზე, ამ მოსაზრების იგნორირებას ახდენს. მადლიერების გრძნობა ჩვეული პარამეტრებით როდი იზომება. ის ლოკალიზებულია ადამიანის სამყაროში და მოქმედების მართებული

შეფასებისას გონების სათანადო რეაქციით გამოიხატება. სიკეთის ქმნა ანგარიშიანობაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული, ინდივიდი სამაგიეროს დაბრუნების მოლოდინში არ უნდა იღწვოდეს. ეს არ არის გეგმაზომიერი ქმედებების მარეგულირებელი ძალა. ეს გრძნობაა პიროვნების სინდისზე აღმოცენებული. ამიტომ, როდესაც საუბარია სიკეთეზე, იქ ანგარიშიანობისა და ანგარების სინდრომები უნდა გამოირიცხოს. რაოდენ დასანანია, რომ რეალურ სამყაროში ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენენ. სავსებით დასაშვებია, რომ რ. ჰესმა, ციხეში იზოლირებულმა ადამიანმა, პიტლერის მიმართ მადლიერების გრძნობა უტყვი დუმილით გამოხატა და ამით ფიურერის რენომეს ჩრდილი არ მიაყენა. იქნებ, პიტლერმა მის ოჯახზე მზრუნველობით სრული გარანტია შეიქმნა მისი დუმილის მოსაპოვებლად? მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, რ. ჰესს ხომ ამ თვალსაზრისით მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდა. მისი კერპი ბუნება, ინგლისელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, საწყის პოზიციებს არ თმობდა, იმდენად დიდი იყო მასში მოვალეობის კეთილსინდისიერად ასრულებისა და იმ ქვეყნად პირნათლად წარდგომის სურვილი. ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, რ. ჰესმა თავის საბოლოო სიტყვაში, ბრალი დასდო რა მართლმსაჯულებას უფლებამოსილების გადამეტებაში, განაცხადა: „მე პასუხისმგებლობას მხოლოდ უფლის წინაშე ვატარებ და დარწმუნებული ვარ, რომ ის მაპატიებსო“[1.592]. ნუთუ ჰესს თვითკონტროლის უნარი არ შესწევდა, ან გერმანიაში მის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა რიცხვი არ ეფარდებოდა მართლმსაჯულების ნორმატიულ კანონებს? ფაქტი ჯიუტია. ის თავს დამნაშავედ არ თვლიდა. დაუჯერებელია, ახალგაზრდა კაცს თავისი დანაშაულებების აღიარების გამბედაობა არ აღმოაჩნდა მაშინ, როცა მან აღიარა მეხესიერების დაკარგვის სიმულიაცია სასჯელის

გამოტანის წინ? „მე მინდა სასამართლოს ვაუჩერ, რომ ამ მომენტიდან ჩემი მეხსიერება მთლიანად სასამართლოს განკარგულებაშია. საფუძველი, რომელიც არ არსებობდა მისი დაკარგვის მიზნით, სუფთა ტაქტიკური ხასიათისა გახლდათ“[1,582]. საკითხის ამგვარი დასმა, მისდამი შავი ლაქების ჩამოშორებას არ გულისხმობს. თუმცა, ფიურერის სურვილის გარეშე, მას არასდროს არაფერი არ გაუკეთებია. ორი ადამიანის გონების გამუდმებით ერთ პოზიციაზე ყოფნა შეუძლებელია. მათ შორის წინააღმდეგობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ შეურიგებელ ხასიათში არასდროს გადაზრდილა. არაფერი არ ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს ისე, როგორც ერთფეროვნება.

1945წ. ჰიტლერის თვითმკვლელობამ თავის ბუნკერში საქორწილო ცერემონიის შემდეგ, რ. ჰესზე დიდი გავლენა მოახდინა. ნიურნბერგში წარმოთქმული განცხადებით, მან ერთგვარი მინიშნება გააკეთა, იქ მყოფი ბრალმდებელი ნაცისტებისათვის, რადგან მიხვდა, რომ ისინი ცდილობდნენ ჰიტლერზე დანაშაულთა გადაბრალებას.

ყოველი ადამიანი ინთენდება საზოგადოების ტოტალურ ოკეანეში და მრავალ მისნაირთა შორის, თავს მაინც ეულად და მარტოსულად გრძნობს. საკუთარი თავისადმი რწმენა მასში იმდენად დიდია, რომ სხვებისადმი უნდობლობის ალმაცერ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ეჭვიანობის საწყისი კრიტერიუმები, სწორედ ნდობის დაკარგვის მოახლოებულ შეგრძნებასთან ერთად ჩნდება. თუმცა, მოჩვენებითი შემეცნების ფონზე, მისი წარმოქმნის საბაბსაც არ გამოვრიცხავთ. თავმოყვარეობისა თუ პატივმოყვარეობის შელახვა ეჭვიანობის ნიადაგზე აღძრული სკანდალისა თუ კონფლიქტის შედეგად ხდება. ამ შემთხვევაში, საქმის მსვლელობა უფრო გართულებულ სახეს ლებულობს და ინდივიდთა გამიჯვნის ალბათობაც მეტია. გაწონასწორებული, ზომიერი ადამიანი შესაფერის ემოციებს

აშკარად არ ავლენს, თუმცა ემოციურ ადამიანთან შედარებით ნაკლებად როდი უყვარს. უურადღების კონცენტრირება რეკომენდირებულია, მაგრამ როდესაც მეორე მხარე ფარული ეჭვიანობის მოწმე ხდება, მის გულში მაშინვე დაცინვის ობიექტად იქცევი ან სიბრალულის გრძნობის გამომწვევ მიზეზადაც. არც ერთი მათგანი ურთიერთობაზე დადებითად არ აისახება და დროთა განმავლობაში შინაგანი გაღიზიანების მოტივი ხდება. საფარველახდილი ეჭვიანობა ურთიერთობის გამწვავების დროებითი შენელების ინიციატორია. თავდაჯერებულობის ნიდაბი შინაგანი მგზებარების დაძლევის ერთ-ერთი მარეგულირებელი საშუალებაა. რ. პესისა და პიტლერის დამოკიდებულებაშიც მსგავსი შტრიხების დეტალური აღქმის ვარიაცია გვხვდება. დიდი სიყვარული ეჭვიანობის დასაბამია ოდითგან, რომელიც თავისებური ეგოისტური ექსცენტრულობის გამოვლენის ნიმუშია. „რ. პესი, – პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის პანს ფრანკის დახასიათებით, – თავის შეხედულებებსა და ქცევებში აბსოლუტურად სუფთა, მაგრამ ეჭვიანობით მოცული პიროვნება გახლდათ“[42,124]. ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში მსგავსი ლაფსუსები ყოველთვის მეტ-ნაკლებად იჩენს თავს. ამ შემთხვევაში, თუ ფიურერისა და მისი მოადგილის ურთიერთობას მამათმავლობის სახელით შევნიდბავთ, მაშინ რა ვუწოდოთ ფანატიკურ მორწმუნები დმერთის ყოვლისშემძლეობისადმი ბუნებრივი ეჭვის აღმოცენებას? ხომ არ განვიხილოთ სიყვარული აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღების ტრაგიკული მოლოდინით აღძრული ეჭვის საფუძველი? მოცემულ საკითხში ჭეშმარიტების ძიება ნებაყოფლობითია და ის ურთიერთობის რაგვარობის გარკვევაში უთუოდ დაგვეხმარება. ეს თავისთავადი პროცესია, რომელიც კანონზომიერებას ნაკლებად ემორჩილება. ცნობიერებაზე მისი ასახვა გონებრივი

დისკრედიტაციის ფონზე იქმნება. საზოგადოებასთან პიროვნების შეგუების მექანიზმი ურთიერთმოპასუხე მუხტების სინქრონული სინთეზის შედეგად ყალიბდება. ქვეცნობიერების ზოგად თეორიების ალიანსი, ინდივიდზე შეხედულებათა შექმნის კურსის სწორად აღებაში გვეხმარება. პირველი შეხედვისთანავე, რეფლექსური გაანალიზების ეს უჩვეულო სინდრომები მაშინვე იჩენს თავს და მასთან დაახლოება-არდაახლოების შინაგანი ხმის კარნახს ვემორჩილებით. თუ გონებას დავძაბავთ, რომ შევიგნოთ ის რაც აუცილებელია, დაგვეუფლება უსიამო განცდა და გონებაც უსიამოდ გაირჯება. საზოგადოებრივი ეტიკეტის ნორმებში მოქცეულები ანალოგიური ქცევის ცხოვრებაში გატარების მომხრენი არიან.

რ. ჰესის გარემოცვას შეუმჩნეველი არ დარჩენია ფიურერის მოადგილის ასტროლოგიით გატაცება. მას შეერყა ჯანმრთელობა, გადავიდა ვეგეტატიულ საკვებზე და ჰიტლერთან სადილობის დროს თავისი ულუფა თან დაჰქონდა. ფიურერთან მისი დაბეზღების შემდეგ, ჰიტლერი იძულებული შეიქნა მისთვის ამის გაკეთება აეკრძალა: „მე მყავს არაჩვეულებრივი მზარეული, თქვით რაც გნებავთ და იგი მოგიმზადებთ. ჩემთან სადილობისას თქვენი სპეციფიკური საჭმლით მოსვლა აღარ შეიძლება.“ რუდოლფის თავის მართლებაზე ადოლფმა სიტყვა მოუჭრა: „თუ ასე არ გინდათ, მაშინ ნუდარ მოხვალთ, სახლში დარჩით და იქ ისადილეთ.“ როგორც ცნობილია, „რ. ჰესი იმ დღიდან მოყოლებული სუფრასთან ძალიან იშვიათად ჩნდებოდა“[38,216]. მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ რუდოლფს ჰიტლერი სამუდამოდ შეზიზდებოდა, რასაც მისი დამბეზღებლების მიმართ არ გამოვრიცხავთ. ფიურერის მოადგილე პიროვნულად არც ერთ ნაცისტთან არ იდგა ისე ახლოს, როგორც ჰიტლერთან და შემდეგ მამა-შვილ ჰაუსპოფერებთან. თუ ჰიტლერი მას ზემოთმოხსენებული

ინციდენტის გამო დროებით შეძულდებოდა, ეს სიძულვილიც მას ეკუთვნოდა, როგორც დიდი სიყვარულის განუყოფელი ნაწილი.

როგორც ცნობილია, ალბრეხტ ჰაუსპოფერი სამშვიდობო მოლაპარაკებათა ციკლს რ. ჰესის დავალებით აწარმოებდა, რომელიც მისის ორგანიზების ერთგვარ პოლიტიკურ სარჩულს წარმოადგენდა. ფიურერის მოადგილის მიერ წარმართული არც ერთი მოლაპარაკება თუ შეხვედრა არ შედგებოდა ჰიტლერის სურვილის გარეშე. ა. ჰაუსპოფერის მიერ მამისადმი კარლ ჰაუსპოფერისადმი მიწერილი წერილიდან მოყვანილი ციტატა: „მე ვერაფერს ახალს ვერ შევიტყობ მანამ, სანამ ფიურერი და მისი მოადგილე ხელახლა არ მორიგდებიან“[1,672]. – ამის ილუსტრირების საშუალებას ნამდვილად იძლევა. გაფრენის ისტორიის ამ კუთხიდან დანახვა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში უთუოდ დაგვეხმარება. კერძოდ, ვფიქრობთ, გაფრენა ა. ჰიტლერისა და რ. ჰესის შეთანხმებული მოქმედების შემდეგ განხორციელდა. მაგრამ ჰიტლერი, რამდენადაც კარგად იყო ინფორმირებული დასახული გეგმის რეალიზებაში, იმდენად ეჭვი ეპარებოდა მასში გაწეული რისკის ალბათობაზე. რისკთან დაკავშირებული გარდაუვალი შიშის გრძნობა – გამბედაობის კლების სიმპტომია ან მომეტებული გულადობის გამოვლენის სტიმული. ანალოგიურ მონაცემთა ბაზას არც ფიურერი და მისი მოადგილე განეკუთვნებოდა, რომლებიც მატერიალური სამყაროს მარადიული გამჭირვალობის ხედვის ეპიცენტრში მოექცნენ. დროის მაშინდელი ანარეკლი ამ ინდივიდებს ისე მკაფიოდ წარმოაჩენს, თითქო გარკვევით ვხედავთ როგორ იკვეთება ბნელში მათი ნაკვები, სახის მიმიკა, მოძრაობის თავისებური რკალი და სხვა პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც გამოირჩევიან მშვიდ ან აღელვებულ სიტუაციებზე რეაგირების თანხვდომი მორგების გასაოცარი ნიჭით.

თვითკონტროლის ფუნქციის დაკარგვა ფუნქციონალური დანიშნულების მოშლის მაჩვენებელია, ხოლო კონტროლის შესუსტების მექანიზმი იმავე დანიშნულების დაუძლურების სინდრომი. დარეგულირების რაღაც შუალედური, უსახო ძალა ორგანიზმში მიმდინარე სუსტი ძვრების შედეგად წარმოიქმნება. ამ დროს, მას უნარი არ შესწევს ინდივიდუალურად გაუმკლავდეს ამა თუ იმ სირთულეს, რომლის დაძლევის შემდეგ ის სხვაზე ბევრად დამოკიდებული ხდება. დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა ზრდასრული ადამიანის სანუკვარი ოცნებაა, თუმცა გარე სამყაროსთან ჰიდილი, ზოგჯერ, ამ გრძნობის ჩაკვლის მამოძრავებელი ბერკეტია. საზოგადოებასთან შეგუების ჩვეული მეთოდების უარყოფა, არა დამოუკიდებლობის მოპოვების, არამედ განდეგილობის ექვივალენტით სრულდება. არსებულთან საკუთარის მოხერხებულად შერწყმა თავისუფლების განცდის სიამოვნებას არ მოგვანიჭებს, მაგრამ ურთიერთობისთვის შედარებით უკეთეს პირობებს გვთავაზობს. პიროვნებათა შორის დისტანცია სელოვნურად ქმნის შეუვალობის იმიჯს. ამ დროს მორიდებისა და გაუბედაობის სოციალური რეფლექსი იმდენად დიდია, რამდენადაც განწყობილების გამომუშავების სტიმული. ასეთი სულისკვეთების ადამიანებში ძლიერია საზოგადოების სათავეში მოქცევის სურვილი. ისინი ზოგჯერ ტრაგიკულად ასრულებენ სიცოცხლეს, მათ ირგვლივ შექმნილი სიტუაციდან ნებისმიერი გზით თავის დაღწევის გამო. პიროვნების კომუნიკაციებულური ბუნება ზოგჯერ საზოგადოების აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ ამავე დროს გაკილვის საგანიც ხდება, რადგან ურთიერთობისას პიროვნების დადებითი და უარყოფითი მხარეები აშკარად ჩანს. ყოველივე ეს რ. პესს კარგად ქონდა შეგნებული. დასავლეთ ბერლინის სექტორში მდებარე შპანდაუს ციხის პატიმარი თავის თანამემამულე

თანამზრახველებთან კონტაქტებს ხშირად გაურბოდა. თანაბარი სტატუსის მქონე პატიმართაგან გამოირჩეოდა, რადგან წარსული დიდების ნაშთი მასში ისევ ღვიოდა. ციხის ბაღში მომუშავეთა რეპლიკებსა თუ ზედამხედველების საყვედურებს წარსულიდან პასუხობდა: - რომ ის ფიურერის მოადგილე იყო, შპეერი კი არქიტექტორი. სხვაგვარად, ეს საქმე მის და არა ჩემს კომპეტენციაში შედისო. უფლებააყრილმა პატიმარმა თაგმოყვარეობის შენარჩუნება და დაცვა მისი „ქასტური კარჩაკეტილობის“ საშუალებით შეძლო, რომლის დროსაც წინააღმდეგობის გაწევის სურვილი ნელდება. რ. ჰესი ციხის ეზოში მყოფ დანარჩენ პატიმრებთან იშვიათად სეირნობდა და საუბრობდა. მან იცოდა, რომ ამ დროს ადამიანს გულის გახსნის სტიმული ეძლევა და წლების მანძილზე ნალოლიავები საიდუმლოს უნებლიერ გამედავნების ალბათობაც მეტია. სწორედ, ამ მიზეზით დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მისი არაერთგზის თხოვნისა და დაპირების მიუხედავად, მას არ დართო ნება სახლში წასულიყო. იგივე მოტივით იყო ნაკარნახევი რ. ჰესის ა. შპეერთან საუბარი ციხის ეზოში, ხანმოკლე სეირნობის დროს. როგორც შპეერი იხსენებს, რ. ჰესმა საუბრის თემას მოულოდნელად გადაუხვია და ინგლისში თავისი გაფრენის საკითხს შექმნა. მას ალბერტისთვის ლამის მეგობრული კილოთი მიუმართავს: „იცი თუ არა, შენ, – უკითხავს ჰესს – რა მითხრა ჰიტლერმა ინგლისში გაფრენამდე ორი დღით ადრე?“ – და პასუხის გაცემის მოლოდინში არც შეყოვნებულა, ისე დაუმატებია: „იფრინე ჰესს, მაგრამ ძალიან ფრთხილად!“ [50,64]. რ. ჰესის მხრიდან ეს აშკარა აღიარების ტოლფასია, რითაც მან ნათელყო გაფრენაში ჰიტლერის ფარული მონაწილეობა. გულახდილობა ერთგვარი შვებისმომგვრელი საშუალებაა, რადგან ამ დროს სიცრუის კოეფიციენტი საგრძნობლად კლებულობს. ადამიანი

მტკიცე ნებისყოფის უნდა იყოს, ან დიდი მოვალეობის გრძნობით დატვირთული, რომ ასეთი საიდუმლო საფლავში ჩაიყოლოს. სიკვდილის მოახლოების წინ, დიდი ხნის დაფარულის გამჟღავნება მომაკვდავის აფორიაქებული სულის დამშვიდების საუკეთესო ხერხია. შესაძლებელია, ხანდაზმული ბერიკაცი-პატიმრის მკვლელობა სათანადო მოტივით იყო ნაკარნახევი, როცა რ. ჰესის მხრიდან ადგილი ქონდა გულგახსნილობის მსგავს მომენტებს. მაგალითად, ამერიკელი ციხის კომენდატან, იუჯინ ბიორდთან, ფარული საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ მას პატიმართან ფარული კონტაქტები მკაცრად ქონდა აკრძალული. ა. შპერთან ჰესის საუბარი ინგლისში გაფრენის საიდუმლოს გამჟღავნების ილუსტრირების საშუალებას იძლევა. როდესაც ადამიანის გონება ერთსა და იმავე საგანს ჩასჭიდებია, მთლიანად მასზე დამოკიდებული ხდება და ეს, რა თქმა უნდა, იწვევს ცხოვრების რიტმის მოღუნებას. რ. ჰესის არსებაში ჰიტლერთან გაიგივებული ცნება არ არსებობდა. მან თითქოს სამუდამოდ დაგმანა მეხსიერების ეს უჯრედი და მენტალური ხელოვნების იშვიათ ნიმუშად აქცია. გრძელვადიანი მეხსიერების ტაბუდადებული ნაწილის რეაბილიტაცია ურთიერთობის გააქტიურების ხანგრძლივი პროცესის შედეგია. ეს, იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდი დადებითად განეწყობა კონკრეტული პირის მიმართ და მასთან დაახლოებას საჭიროდ ჩათვლის. პიროვნების ასეთი დელიკატური ბუნება, ხშირად, არ არის მსგავსი კომპონენტების გამოვლენის ინიციატორი. თავის მხრივ, იშვიათობას წარმოადგენს მასთან დაახლოების მცდელობის წარმატებით დაგვირგვინებაც. ჰიტლერი ჰესის ცხოვრებაში კეთილსინდისიერად ჩაერთო. მისი უშუალო მითითებით რუდოლფმა შეირთო ილზე პრიოლი. „რატომ არ ირთავთ ფროილინ ილზეს, ის მშვენიერი ქალიშვილია?!“[38,203] – უთქვამს ჰიტლერს მისთვის და რუდოლფის

ყოფილისათვის დაოჯახების საკითხში ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვამს. ილზე მეუღლის თვალში ამაღლებული სიყვარულის, პატივისცემისა და ნდობის ერთგვარი განსახიერება იყო. თუმცა მოგვიანებით, რ. ჰესმა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ჩვეული წესიდან გამომდინარე, ოჯახის ინტერესების იგნორირება მოახდინა.

ინგლისში გაფრენის წინ ილზესთან შესულმა მეუღლემ შენიშნა „დუგლას კლაიძესდეილის გადაშლილი წიგნი, რომელსაც ილზე რატომდაც იმ დღეს კითხულობდა“[42,308]. ეს წიგნი ავტორმა კ. ჰაუსკოფერს აჩუქა წარწერით*, ამ უკანასკნელმა რ. ჰესს გადასცა. ერთადერთი, რაც ჰესმა იმ წუთებში მოიმოქმედა, წიგნის წინა ფურცელზე ჰერცოგი ჰამილტონის პორტრეტისათვის თვალის შევლება იყო. „ძალზე მიმზიდველი კაცია“[16,37] – ხმადაბლა უთქვამს, რის შემდეგ ილზეს მრავალმნიშვნელოვან მზერას წააწყდა და უხერხულად შეიშმუშნა. რუდოლფის წუთიერი ყოფილი გვაფიქრებინებს, რომ მას მეუღლისათვის უველაფრის გულახდილად თქმის სურვილი დაებადა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. სჯობდა, ილზე ორაზროვანი ლოგიკის ბურუსში დაეტოვებინა.

ადამიანის გონის ფორმათა სიმბოლური წარმონაქმნები, უველაზე მეტად მის საქციელში ვლინდება. ამას ინდივიდი უფრო გვიან ხვდება, ვიდრე გარშემომყოფთა თვალი აღიქვამს. ის სიმართლის დამალვისას ორი ალტერნატიული მოსაზრებით ხელმძღვანელობს. გონების მომართვა ინდივიდში, სიცრუის დაბალანსების მიზნით, დროის არააქტიური დრამის ადექვატური ხდება. ინდივიდს რატომდაც ჰგონია, რომ „მეორე“ მის მიერ შეთავაზებული ცრუ ილუზიების მოზიარე გახდება. ამ შემთხვევაში მას უნდა გააჩნდეს წარმოსახვის უნარი, ანუ უნდა განსაჯოს და

* „საუკეთესო სურვილებით და იმის იმედით, რომ ჩვენი პირადი მეგობრობა ჩვენსავე სახელმწიფოთა ურთიერთგაგებაში გადაიზრდება“

იაზროვნოს იმგვარად, როგორც ის მოიქცეოდა მოცემულ სიტუაციაში. „მეორის“ ადგილზე საკუთარი თავის წარმოდგენა, პიროვნული „მეს“ უპირატესობის შინაგანი დათრგუნვის პრწყინვალე ორგანიზატორია. ამისდა მიხედვით, შესაბამისი კატეგორიების ადამიანთა არსებობა დასტურდება. ერთნი ფიქრობენ, აზრი არა აქვს რაიმეს დამალვას მაშინ, როდესაც ხედავს, რომ მეორე მხარე აღქმის საშურ უნარს ფლობს. მეორენი ვარაუდობენ, რომ მისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია და უხერხულობის დემონსტრირების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ არ მიიჩნევენ რეალური ახსნა-განმარტების მიცემას. თუმცა, რ. ჰესთან მიმართებაში იყო მესამე – გარე ძალა. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მუდმივი წესი ანდამატივით იზიდავდა.

ფიურერის ბრძანებით, რ. ჰესს 1939 წლიდან სამუდამოდ აეკრძალა ფრენა, მაგრამ აკრძალვის ვადა დაიყვანა ერთ წლამდე, როდესაც შეიტყო, ამით „ის დიდად დანაღვლიანდა“ [42,275]. უმაღლესი კლასის მფრინავისათვის ეს კატასტროფის განცდის ტოლფასი იყო. ჰიტლერმა უმაღლ შეიგნო, რომ საუკეთესო მეგობარს მეტ გულისტკივილს მიაყენებდა, ვიდრე მასზე ზრუნვის მაქსიმალურად გამოხატვის საშუალება ეძლეოდა. რ. ჰესი, როგორც მფრინავი, ომში მონაწილეობას ვერ მიიღებდა და ამით მასში მოსალოდნელი საშიშროების საფრთხეეც პარალელურად თავიდან იქნებოდა აცილებული. სახელმწიფო ბელადის მხრიდან მისი მოადგილისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენა ჩვეულებრივ ურთიერთობათა დონეს უთუოდ აღემატება, მაგრამ მათ შორის დაახლოების მეგობრული ტენდენციები იმდენად დიდი და ხანგრძლივი იყო, რომ მას ვერავითარი პოლიტიკური ზღვარი ვერ დაძლევდა. მათთვის ის ბარიერი, რაც პოლიტიკასა და პირად ცხოვრებაში არსებობს, წაშლილი იყო. თანაცხოვრების უმეტესმა

წლებმა ურთიერთშეჩვევის რეალური სურათი მოგვცა.

თვითგადარჩენის ინსტიქტი პიროვნების ბუნების განუყოფელი მხარეა, მაგრამ საყვარელი ადამიანის სიკვდილის პირისპირ ხილვაც ამაზრზენია. მაშინ, შინაგანად იმძლავრებს სიკვდილთან გამკლავებისა და შებრძოლების ინსტიქტი, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს. მიუნხენში ჰიტლერის სიტყვით გამოსვლის წინ, ნაციონალ-სოციალისტური და კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს შორის აგრესიული შეხლა-შემოხლის დროს, ოპოზიციის ერთ-ერთმა წევრმა ლუდის კათხა გადმოისროლა ჰიტლერის მიმართულებით. „რ. ჰესი, რომელიც იქ ფიურერის მომავალ მძღოლთან, ემილ მორისთან ერთად იმყოფებოდა, წინ აღუდგა მას. ფიურერის მოადგილეს მისგან კეფაში მიყენებული ჭრილობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში იარად დარჩა“[16,15], რაც მოგვიანებით მისი იდენტურობის დამამტკიცებელი საბუთი შეიქნა. ჰიტლერისადმი ასეთი ერთგულების გამოვლენა რ. ჰესის შინაგანი სამყაროს იდუმალი გამოძახილი იყო. ის მიიღილდა უსასრულობისაკენ, რომელიც ინდივიდის ისეთივე ჭირვეული თანამგზავრია, როგორიც შთაგონება შემოქმედისა.

შპანდაუს ციხეში, პოლკოვნიკ ი. ბიორდის შეკითხვაზე: „საშუალება რომ შეგექმნათ, კვლავ ემსახურებოდით ჰიტლერის ტიპის კაცე?“ – რ. ჰესმა უპასუხა „რა თქმა უნდა, პოლკოვნიკო. მე არ მექნებოდა სურვილი ხელიდან გამეშვა შესაძლებლობა მოადგილედ მემსახურა ისეთ კაცთან, როგორიც ჰიტლერი იყო. მე ყოველთვის ვიყავი შეწირული კაცი“[2,227].

სიდიადე სულიერ დირებულებათა შემოქმედებითი გენია. მისი შექმნა ცხოვრების ფასდაუდებელი მონაპოვარია. ხანმოკლე შთაგონების მიუხედავად ის მწვერვალია, ადამიანურ სხვა ღირსებათა ერთობლიობის ნაკრები. ასეთი ადამიანები იშვიათად

იბადებიან, სხვების მსგავსად კვდებიან, მაგრამ მათი სიდიადე გაცილებით დიდია სიკვდილის შემდეგ. ნუთუ ჩვენ მოკვდავთ არ შეგვწევს უნარი სიცოცხლეშივე მისი შეფასებისა და აღიარების, ნუთუ შიში, რომელიც ამ შემთხვევაში სულმდაბლობის გამომხატველია, გვაიძულებს უარი ვთქვათ სიმართლის აღზევებაზე და ჩავკლათ ჩვენი შეხედულებები მასზე მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად საჭიროა. რთულია ყველა დაარწმუნო შთაგონების წიაღში აღზრდილ ჭეშმარიტებაზე, რადგან მას შენდაგვარი შთაგონება არ გააჩნია. რთულია სხვას დაანახო ეს ჭეშმარიტება, რადგან ეს მისი არ არის და მას შენი საზომით ზომავ. უფრო ადვილია გაუზიარო, რათა შენვე დაინახო პროცესში შინაგან ცდომილებათა საფრთხე, თუკი ასეთი არსებობს. ყველაფერი შესაძლებელია და თუ შესაძლებელია დასაშვებიცაა.

სიდიადე – დიდების შარავანდედით მოსილი კაცობრიობის ეს უკვდავი ნაშიერი, რწმენისათვის ფასდაუდებელი მონაპოვარია. თუ გწამს მიხვალ დარწმუნებამდე, რომ რაღაც ყოველთვის მთელი რჩება, ხელშეუხებელი. ამ შემთხვევაში დირს თვითშემოქმედებითი სამუშაო გასწიო, ჩადგე სხვების სამსახურში იმ შეგრძნებით, რომ საჭირო ხარ. კარგი საქმის კვალი სიმშვიდის მომგვრელ კვარად იქცევა, ხოლო სიმშვიდე სიამაყის გრძნობის გარე გამოვლინებას ახშობს და კეთილშობილებას გძენს. სხვების გესმის და ამასთან ისიც გესმის, რატომ არ შეუძლიათ მათ შენი გაგება. ჩნდება მიმტევებლობის მომენტი, ამით შეგიძლია მათგან მომართულ სიამაყის გრძნობას სიკეთე დაუპირისპირო. ეს იქნება უანგარო სიკეთე, რომელიც მუდამ მაღლიერების შეგრძნებით მთავრდება. ამ თვისებებით აღჭურვილი ადამიანი იშვიათობას წარმოადგენს და ამიტომ ეს ამ ცხოვრების ნაკლია. ამის მიუხედავად, მას თავისებური გამართლება აქვს. ეს უმცირესობაა, რომელიც უმრავლესობისგან

მკვეთრად გამორჩეულია და ამავე დროს, მათში გაფანტული. ისინი მთელი ცხოვრება შეიძლება ეძიო, რადგან თითოეული მათგანი სიმრავლეში გაბნეული თვითშემოქმედებითი ნატეხია. იმ წესებით ცხოვრობს, რომელსაც საზოგადოება ადგენს, იმავე საზოგადოების წესებს გაურბის კიდეც, რადგან ინდივიდუალური თვითმყოფადობის სტიქიურ რყევას განიცდის. რაც მისაღებია, განსაზღვრულიცაა. საზოგადოება – ესაა თაობების მუდმივმოქმედი თანაცხოვრება, იმის გაზიარება რაც მას აქვს და იმის მიღება, რასაც შენ შემატებ. ყველაფერი ეს თავისთვის რეგულირდება. ესაა თაობათა არსებობის მუდმივი საწყისი, მას დასასრული არ აქვს. რ. ჰესი იმ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა, რომელ საზოგადოებასაც ქმნიდა მის დროსთან ერთად. იმ ეპოქამ გახადა ის, იმ დროისათვის, იმგვარად ცნობილი. ფიურერის მოადგილე, სწორედ, დროის მაჯისცემას აყვა, როგორც თავად ამბობდა: „სიტუაციის შეცვლის მიზნით”. მივყვეთ ფაქტების კონსტატაციას, პიროვნებათა თვითგამორკვევის საფუძველზე. რ. ჰესი ნაცისტი გახლდათ, ტირანული რეჟიმის სულისჩამდგმელი და შეიძლება ითქვას, მამოძრავებელი ძალა. რ. ჰესი ადამიანი იყო, რადგან ის ასეთად დაიბადა. როგორც ყველა პოლიტიკოს, მასაც ქონდა შეცდომები და ამით შთამომავლობას საკუთარი თავის განსჯის უფლება მისცა. ვინც შეცდომას უშვებს იმთავითვე უნდა იცოდეს, რომ თაობათა მსხვერპლია. სრულიად შესაძლებელია, პოლიტიკოსი საკუთარ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებდეს, მაგრამ პატრიოტიზმის გრძნობას ვერსად გაექცევა. მათი ძირითადი საზრუნავი გავლენის მოპოვებასთან ერთად ქვეყნის მომავალი უნდა იყოს. თუ ადამიანი კმაყოფილების გრძნობით არ შეივსება, ის თავის მემკვიდრეს ვერ განაწყობს ლმობიერი ქმედებებისაკენ. ამას მივყავართ ადამიანში დადებითი გრძნობების დეფიციტამდე, რაღაცის შევსების სურვილი და გამუდმებული

განუხორციელებლობა, მას სხვებისადმი ტკივილის ადვილად მიყენებაში ეხმარება. სწორედ, ადამიანთა ინტერესების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო ინტერესები: სხვისი ტერიტორიების მიტაცების სურვილი, საკუთარის დაბრუნების ინტერესი. ადამიანები იწირებიან სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის და ეწირებიან ადამიანთა ნებას, რომელიც ინტეგრირებულია ამავე ინტერესებში.

ყველაზე ცუდი კარგის დამახინჯებაა. ყველაზე კარგი ერთი ადამიანის მიერ, მეორე ადამიანის ჭეშმარიტი აღიარება. რ. ჰესს სასოწარკვეთილებამ უკანასკნელი ნუგეში ვერ წაართვა. დიახ, ის თავს ადამიანად გრძნობდა ყველაზე შემაშფოთებელ გარემოებაშიც და თავის დაჭერა შეეძლო ყველაზე გაუწონასწორებელ სიტუაციაში. დაუკვირვებელი თვალი მარტივად იტყოდა: ყველაფრის მიმართ გულგრილი რჩებოდა, მაგრამ სულის სიღრმეში გრძნობდა, აწუხებდა და რადგან ვერაფერს შეცვლიდა მშვიდად იყო. მასში დიდი ძალა იყო, ზოგჯერ ხილული, ზოგჯერ უხილავი. ძლიერი გონება ნებისყოფის თანამოზიარე ხდება და პიროვნებაში იწყება თვითზიარების პროცესი. ყველაფერს ზემოდან ხედავ და არაფრის შეცვლის სურვილი არ გიჩნდება, რადგან იცი ყოველი ახალი წინააღმდეგობებითაა სავსე. შპანდაუს ციხეში მყოფი პატიმარი ჰესი, სწორედ, ასე იქცეოდა. ციხის მოძღვარმა მას სთხოვა წერილი დაეწერა შეწყალების თაობაზე. რუდოლფმა უარი უთხრა. მოგვიანებით, ოჯახისა და მოძღვრის დაუინებული თხოვნით მან ასეთი წერილი დაწერა*, მაგრამ ერთი სიტყვაც არ გალდათ მასში მონანიებაზე. ამჯერად, მან თავის ყველაზე ერთგულ თვისებას არ უდალატა – ზომიერება გამოიჩინა. თუ თვალს გადავავლებთ, ციხეში მასთან დაახლოებულ პირთა სიახ, რ. ჰესთან განშორება ყველას

* მან კეთილისმსურველები არ გაანაწევნა, თუმცა იცოდა არ გაათავისუფლებდნენ

უმძიმდა. მოძღვარიც კი უფრო მეტს აკეთებდა მისთვის, ვიდრე ეგალებოდა. ზოგჯერ ციხის მცველებიც თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რაც წესით არ უნდა დაემალათ. ერთი შეხედვით ის ნაცისტი იყო, თუმცა მასთან ერთი საათის გატარებაც საკმარისი გახლდათ, რომ ადამიანურ გრძნობებს თავი შეეხსენებია თანამოსაუბრეთათვის. ფიურერის მოადგილე ადამიანთა სიბრალულს გაურბოდა, არ ითხოვდა არა იმიტომ, რომ არ ჭირდებოდა, არამედ სათანადო სურვილი არ გააჩნდა, იქნებ იმიტომ გულის სიღრმეში გრძნობდა არ იმსახურებდა. სამაგიეროდ, ის უყვარდა მცირეოდენ ჯაუფს ადამიანებისას, მაგრამ ხომ უყვარდათ. „თავისუფლება რუდოლფ ჰესს“ – ასეთი იყო იმ ლოზუნგების შინაარსი, რომლებიც ციხესთან საგანგებოდ შეკრებილ ხალხს ეჭირა ხელთ. ერთხელ ფიურერის ყოფილი მოადგილის დაბადების დღეზე შპანდაუში მივიდნენ. ჰესმა არ დაიჯერა, როცა უთხრეს დაბადების დღის მოსალოცად შეიკრიბნენ. როდესაც მან თავის ყურით მოისმინა მათი შეძახილი სახეზე ნათელი მოეფინა, „მართლაც“ ჩაილაპარაკა თავისთვის. ჰესი ნასიამოვნები დარჩა - არადამაკმაყოფილებელი ნათქვამია მისი მისამართით ამ შემთხვევაში. ის ბედნიერი იყო იმ წუთებში იმის შეგრძნებით, რომ ვიღაცას უყვარდა, მისი დაბადების დღე ახსოვდათ. აღსანიშნავია, მოძღვრის მეუღლის მიერ გაგზავნილი მარწყვის ტორტი პატიმარი ჰესისათვის და ყვავილები დაბადების დღეზე. როცა ჰესმა ტორტი უკანვე დაუბრუნა, იმ მიზეზით, რომ ასეთს არ ჭამდა, სასწრაფოდ ალუბლის ტორტი გაუგზავნა. პატიმარი მოკრძალებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ახლო მყოფ ადამიანებზე თავისი საუბრით, მანერებით, გონებამახვილობით, საზრიანობით და იმით, რომ მასში გახუნებული არაფერი იყო. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც პატიმარი დათანხმდება მეუღლესთან შეხვედრას, სიხარულისგან ფეხზე წამომხტარი რუდოლფი დაცვამ შეაჩერა იმ

მოსაზრებით, რომ შეხვედრა ჩაიშლებოდა თუკი შეეხებოდა, რადგან განრიგით ეს მკაცრად იკრძალებოდა, რუდოლფმა შესძახა ის, რაც ქმედებაში ვერ განახორციელა - „ილზე გიკოცნი ხელებს”.

„ბუნება ჩვენ გვაიარადებს საოცარი ძალით, რასაც დავიწყება ქვია” – წერდა ილზე. მარტოობაში დარჩენილი პესის მეუღლე ამ დასკვნამდე შინაგანმა სიძლიერემ და შთაგონებამ მიიყვანა. მან საკუთარი თავი შესწირა რუდოლფს, რომლის ხვედრითი წილი მისი ცხოვრების წარმართვაში განუზომელია. რ. პესს შეეძლო მხოლოდ ერთი წერილით ახალგაზრდა ქალის მთელი გრძნობების ფაქიზად გადახალისება. შვილის აღზრდაში ციხიდან ეხმარებოდა ილზეს, სულიერად ამხნევებდა, მასზე ზრუნავდა. საოცარია, მის წერილებს არც იუმორის გრძნობა აკლდა, მაშინ როცა ციხის ეზოში გაღიმებული პესი თანაგუნდელ პატიმართ არ უნახავთ. ორთავე, ილზეც და რუდოლფიც, განიცდიდა ერთმანეთის ხვედრს, ცხოვრების სამძიმილს და ორივესთვის ნათელი იყო – მათ აკავშირებდათ უფრო დიდი, თვით უბედურებაზეც ძლიერი და მაღალი, რასაც სიყვარული ქვია. ილზე თავს ბედნიერად მხოლოდ რუდოლფთან გრძნობდა და ეს იყო მთავარი. მან მასთან საკუთარი თავი იპოვა. ვოლფიც უნახავი მამის მოკრძალებული სიყვარულით შემოსა. 25 წელი შვილს მამა არ ენახა, მაგრამ ძლიერ უყვარდა. ცნობილია, რომ პესის გარდაცვალების შემდეგ, ვოლფს სტენოკარდიული შეტევა მოუვიდა და დაკრძალვის მთელი ეს პროცესი, მისმა მეუღლემ, ანდრეა პესმა წარმართა.

ილზე ცხოვრების მძიმე წლებმა ვერ გატეხა, ის სიცოცხლის ბოლომდე პესის ერთგული დარჩა. „ნურასდროს შესწირავთ საკუთარ სინდისს სარგებლიანობის საკურთხეველს” – სწერდა პატიმარ მეუღლეს პოლდერლინის ამ სიტყვებს და ხელმძღვანელობდა ცხოვრებაში სწორედ ამ მოსაზრების გათავისებით. მას არ შეეძლო

იმ გრძნობის განვითარება, რასაც სინამდვილით მოკლულ გრძნობას დავარქმევდით. ის მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობდა. შარლ გაბელი წერს: „ჰესი არ არის მოგონებების კაცი, მისი წარსული მხოლოდ მას ეკუთვნის” – (11,381) ანუ სხვას არ უზიარებდაო, გარდა მეუღლის მისამართით წერილებში, სადაც ერთად გატარებულ სასიამოვნო ეპიზოდებს იხსენებდა. გავიხსენოთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში პატიმარი ჰესი თავისი ოჯახის წევრების ნახვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მას არ სურდა ვინმეს სიყვარული ენახა, რადგან ციხეში საპასუხო გრძნობის გამოვლენის საშუალება არ ეძლეოდა. ხოლო მოზღვავებული გრძნობების უპარეზე ტკივილს დატოვებდა მასში, დათრგუნავდა ამ ტკივილზე ფიქრი. ეს კი ისედაც უხალისო ციხის კედლებში ვერაფერი შეებისმომგვრელი საშუალება გახლდათ. პირიქით, მის მწუხარებას ერთიორად გააღრმავებდა. რუდოლფ ჰესმა ძალიან კარგად იცოდა, ამის გამკლავება მას ასეთ პირობებში არ შეეძლო. ამ შემთხვევაში, მან საკუთარი უძლურების დანახვა შეძლო, მაგრამ ეს არ გახლდათ მისი სისუსტე. მსგავს სიტუაციაში 2 ალტერნატიული გზა მოიძებნება: პირველი, ადამიანი მოსალოდნელი საშიშროების წინაშე შესაძლოა დაპატარავდეს და მეორე, ადამიანი შესაძლოა საკუთარ თავზე ამაღლდეს, თითქოს ხელმეორედ დაიბადა. ამ სიტუაციაში, მას თვითგამორკვევის მეტი უნარი ეძლევა და შეუძლია პარალელი გაავლოს წარსულსა და აწყმოს შორის – ვინ იყო და ვინ არის. რა განცდებით შეძლო ეცხოვრა და როგორია ეხლა. წლებმა უნდა გაიაროს მრავალი გამოცდილებით, რომ შენი ცხოვრების პატარა ეპიზოდი შექმნა და ასეთი შეიძლება იყოს არა ერთი. რ. ჰესმა ციხეშიც კი შეძლო ეცხოვრა. დიახ, მან შეძლო საინტერესო ეპიზოდების შექმნა. მან თავისი არათანაბარი რეაქციით შეძლო ხასიათის მრავალსახეობის შექმნა ციხის კედლებში. პატიმარი ამით სხვების ყურადღებას

ადვილად იპყრობდა. შეეძლო გულგრილად მოქცეოდა მასთან ახლოს მყოფ დაცვას, გაეღიზიანებია ისინი, მთელი დღე არ ამდგარიყო საწოლიდან, უარი ეთქვა პირად პიგიენაზე და მისთვის საყვარელ გასეირნებაზეც. რ. ჰესის მიზანმიმართული რეაქციის არსი შთამბეჭდავი გამოხატულების მიმანიშნებელია. ის გახლდათ პიროვნება და სახელმწიფო მოხელე. შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა ერთგვაროვან დამოკიდებულებას

1986 წლის შობის წინა დღეებში ტელევიზიონთ გამოსულა ცნობილი ებრაელი მოღვაწე გოლო მანი. მას განუცხადებია: „ჰესის სასჯელი არის ერთდროულად ბოროტი და გროტესკული. ნიურნბერგის გადაწყვეტილებით, მისი სასჯელი უფრო მსუბუქი ჩანდა, ვიდრე გერინგის, მაგრამ სინამდვილეში საქმე პირიქითაა... ჰესი ბაბუაჩემს, ცნობილ მათემატიკოს, ებრაელ ალფრედ პრინგაჟაიმს, უშუალოდ დაეხმარა დაეტოვებია გერმანია, 1939 წლის სექტემბერში. ჰესი არ გახლდათ მილიტარისტი, ის მტრულად იყო ომისადმი განწყობილი... ის ბუნების მოყვარული კაცი იყო, ასე ვთქვათ ასაკოვანი ბიოსკაუტი, ჰესი სუფთა წყლის რომანტიკოსი გახლდათ”[1,328].

ალბერტ კრებსი, რომელიც მოგვიანებით ჰამბურგის გაულაიტერი გახდა, წერდა: ჰესი სრულებით არ გავდა პრიმიტიულ უცნაურობას, ან კიდევ შეზღუდულ ფანატიკოს. ის დახვეწილობით და მგრძნობიარობით იყო გამორჩეული. მისი შეხედულებები უზადო და კანონიერ ხაზებს შეესატყვისებოდნენ, მაგრამ იმავდროულად ეს იყო ჰესი, ვინაც ქვეცნობიერად შექმნა უცოდველი ფიურერის სახე. როდესაც ჰესი საუბრობს „უცოდველი ფიურერის” თაობაზე, მილიონობით ადამიანი ზუსტად აღიქვამს მას ისე, როგორც ჰესი, რამეთუ ჰესი არის მისი ესოდენ დიდი ამდიარებელი. კრებსის თქმით, ჰესი იყო ერთადერთი ადამიანი ხელქვეითაგან, რომელსაც

ფიურერის პრინციპები არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ, საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ინტერესებისათვის.

ამრიგად, პიტლერისა და რ. ჰესის ხანგრძლივმა პირადმა ურთიერთობამ, გარკვეულწილად, გავლენა იქონია, მათი პოლიტიკური შეხედულებების ჯერ ჩამოყალიბებასა და შემდეგ ცხოვრებაში მათ გატარებაზე. რ. ჰესის ინგლისში გაფრენა პიტლერის ცოდნისა და ნებართვის გარეშე არ მომხდარა. სახელმწიფო მისიის ამ ფორმით განხორციელებას თავისი დიპლომატიური დატვირთვა ქონდა. ფიურერის პოლიტიკური ნების ასრულება მისი მოადგილის ცხოვრების მიზნად გადაიქცა, რამაც ძირეულად შეცვალა ამ უკანასკნელის მორალური ყოფა-ცხოვრება, მაგრამ არა ფსიქოლოგია. რ. ჰესი სიცოცხლის ბოლომდე პიტლერის ერთგული დარჩა. ეს იყო ნებაყოფლობითი და არა ძალდატანებითი პოლიტიკური ნაბიჯი, რასაც გვერდითი მიმართულებაც გააჩნდა. ფიურერის მოადგილე, როგორც ავლნიშნეთ ერთგზის, თავისი ინდივიდუალურობის ერთგვარი დამკვიდრების პრეტენზიასაც აცხადებდა, როდესაც ომის შეწყვეტის მოტივი დაასახელა დიდ ბრიტანეთში ჩაფრენის მიზეზად. მისივე თქმით, ის განიცდიდა უაზრო მსხვერპლს იმ უდანაშაულო ადამიანებისას, რომლებიც უსამართლო ომს ეწირებოდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ომი ფიურერის პოლიტიკა იყო, თუნდაც ამ სიტყვებით ჰესი ფიურერს საჯაროდ ეწინააღმდეგებოდა. ებრაელთა განადგურების საკითხში კი მსგავსი ინიციატივა აშკარად ვერ გამოავლინა, რადგან ამით უპირისპირდებოდა მას, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა. თავის მხრივ, ეს გამოიწვევდა მისეულ შეგრძნებათა ერთდროულ გარდასახვას და შესაბამისად, პიროვნების ნგრევის ულმობელ ტრანსფორმაციას.

თავი II

ინგლისში გაფრენის მიზეზების ტიპოლოგიური ნიშნების დეტალური ანალიზი

რ. ჰესი სქოლასტიკური აზროვნებისადმი მიღრეკილების მქონე პიროვნება, მისტიკური სამყაროს წიაღში გამოძერწილი და ჰალუცინაციებით შებოჭილი კაცი, თავის ხელმძღვანელ-პროფესორ, გეოპოლიტიკოს, პ. ჰაუსკოფერთან ერთად, ერთგვარ „სიმფონიურ შედევრს“ ქმნიდა მთელ ნაცისტურ გერმანიაში. ციური ხილვადობის ფონზე თვითდაჯერებული იერსახის მატარებელმა დამთრგუნავი შთაბეჭდილება მოახდინა თავის ასისტენტზე. მან უწინასწარმეტყველა რ. ჰესს, ინგლისში გაფრენის მცდელობის წარმატებით დაგვირგვინება, რაც ინგლისის სამეფო სასახლის გობელინებზე, ფეხით მოსიარულე რუდოლფის, სიზმრად ნანახის მონათხრობით გააძლიერა. გონივრულად დაგმანულ და დახშულ კარს მიღმა თუ ბუნების წიაღში, ალპების მთებს გადაღმა, ამ თემაზე საათობით საუბარმა რ. ჰესის გონებაში ირეალური სურათის წარმოსახვა შეძლო. მის ფანტაზიაში ნელ-ნელა აიკრიბა აზრთა უკუპროპორციული ანუ უარყოფითი მხარეები და თანდათანობით ჩანაცვლებულმა იმპულსურმა გადაწყვეტილებამ იმდლავრა. სწორედ, აქედან ჩამოსული რ. ჰესი შესთავაზებს ჰიტლერს ინგლისში პერსონალურად გაფრენის იდეას, რაც ამ უკანასკნელის განცვიფრებას გამოიწვევს. შემთხვევითი არ არის, რომ რ. ჰესის მისის ჩავარდნის შემდეგ, პ. ჰაუსკოფერის ოჯახს ფიურერის რისხვა არ აცდება, მისი მოადგილის პიროვნების იდეოლოგიურად მომზადებაში, ასეთი დიდი წვლილის გამო. ინგლისში გაფრენის იდეის რიგობრივი მაჩვენებლების

მიხედვით, საჭირო შეიქნა ამ ქვეყნის არისტოკრატიასთან კავშირის დამყარება. ამ შორსმჯგრეტელური მიზნის სულის შთამბერავის როლში, უსათუოდ, პერცოგი პამილტონი გამოდგებოდა, რომელიც 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილების მიღების შემდეგ რ. პესის ოჯახში ვახშმად იმყოფებოდა. „პესმა ოლიმპიურ თამაშებზე ყოფნისას ერთხელ მიგვიწვია ბერლინში, ლანჩხე პონორი და მე – იხსენებს ჩიპსი ჩენონი თავის მემუარებში. ჩვენ უარი ვუთხარით, მაგრამ მე მახსოვს, რომ „დუგლო“ კლაიდსდეილი, როგორც მაშინ პერცოგს ეძახდნენ, წავიდა, ისევე როგორც პატ ჯერსიც. მსოფლიომ არ იცის, რომ პერცოგიც ამგვარად გახვეულია ამ საქმეში“[8,304]. პერცოგი პამილტონი – მსოფლიოს ჩემპიონი, ევერესტის მთებზე გადამფრენი და რაც მთავარია, სამეფო კარის ცერემონიმაისტერი – ინგლისის მეფესთან შედწევის საუკეთესო გარანტი. ამასთან, კ. პაუსკოფერის შვილის ალბრეხტ პაუსკოფერის კეთილმოსურნე მეგობარი და მასთან ფრიად დაახლოებული პირი ყოფილა. ალ. პაუსკოფერი, თავის მხრივ, რ. პესის მრჩეველი იყო ინგლისურენოვანი ქვეყნების საქმეებში. თუ თვალს გადავავლებთ ა. პაუსკოფერისა და პამილტონის კორესპოდენციას, იქ ცალკეული შტრიხების საფუძველზე, აზრის ვერტიკალური ანუ სწორხაზოვანი ჩამოყალიბების უცნაურ სიფერმკთალეს ვაწყდებით. ა. პაუსკოფერი პერცოგს ბოლო წერილში რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის ქალაქში შეხვედრას თხოვს, ომის წინ ინგლის-გერმანიას შორის ურთიერთგაგების მოლაპარაკების თაობაზე. პამილტონი „პოტენციურად მძლავრი უმცირესობის“ თაოსნობით ჩამოყალიბებული, ე.წ. „მშვიდობის პარტიის“ წევრად მოიაზრებოდა, რომელიც უ. ჩერჩილის პოლიტიკის ოპოზიციური დაჯგუფების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. მსგავსი ოპოზიციური

ჯგუფების არსებობის კერა, ჯერ კიდევ, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გერმანია და ინგლისი იყვნენ. ე. წ. „კლაივდენის* ჯგუფი” ანუ მიუნხენური პოლიტიკის გამტარებლები გერმანიაში და „ფოკუსი”, გერმანიისადმი დამყვავებლური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული შეურიგებელი ოპონენტები იყვნენ, უ. ჩერჩილის უშუალო მონაწილეობით, რომელიც „კონსპირაციის მიზნით, ამავე დაჯგუფებაში „ოსკარის” ფსევდონიმით მოიხსენიება”[1,361].

ინგლისთან ზავის საჭიროება განპირობებული იყო, ჰიტლერის მეტად სარისკოდ გათვლილი, პოლიტიკური ჩანაფიქრის მაქინაციური ფორმულირებით 1:1-ზე. იმის თქმა გვსუს, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, მას დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობისათვის თუ არ, ნეიტრალიტეტისათვის მაინც უნდა მიეღწია. ამ ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა კარგად იცოდა ფიურერის დაუდგრომელი ბუნების შესახებ, მისი მსოფლიოს გერმანიზაციის უჩვეულო იდეა, რომლის ბატონ-პატრონიც თავად იქნებოდა. ამიტომ, ბოლშევიზმის მოძულე პრემიერ-მინისტრი ორ უკიდურესობას შორის იმყოფებოდა: ნაცისტური გერმანია ან ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც მსოფლიოს ბოლშევიზაციას ლამობდა. არსებობდა მესამე გზა, რომელიც უ. ჩერჩილმა საბოლოოდ აირჩია. მსოფლიოს ეს ორი „ჩამყლაპავი ძალა” ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდა და მათი ბრძოლით დასუსტების შემდეგ, დანარჩენი სახელმწიფოები გადამწყვეტ ფაზაზე თავის სიტყვას უსათუოდ იტყოდნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა მეორე ფრონტის გაუხსნელობა. ჰიტლერის

* კლაივდენი – ეწოდა ლორდების ასტორების ე.წ. „ქანთრი ჰაუზის“ სახელის მიხედვით, რომელიც ლონდონიდან 50-60 კმ-ზე მდებარეობს, მდ. ტემზას სანაპიროზე. ჯონ ჩერჩილის მამულის მარლბოროს მსგავსად, ისიც ჰქოცოვი ველიგბორნისთვის აუგიათ ბრიტანელ ხალხს, ნიშნად ნაპოლეონზე ვატერლოოსთან გამარჯვებისა. ველიგბორნის შთამომავალთ იგი გაუსხვისებიათ და ბოლოს, მეოცე საუკუნის დამდეგს შეუქციათ აშშ-დან ინგლისში გადმოსახლებულ ასტორებს.

პოლიტიკური სპექტრი ინგლისისადმი „ცეცხლთან თამაშის“ პოლიტიკით შემოისაზღვრებოდა. მან კარგად იცოდა დიდი ბრიტანეთის კუნძულებრივი სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა და როგორც საზღვაო ქვეყნის უპირატესობა. ერთადერთი გზა ავიაციის მეშვეობით ჰაერიდან მისი დაბომბვა იყო, რაც ახლად შექმნილ ავია-გამანადგურებელ „მესერშმიტის“ მოპიკირეთ ბრწყინვალედ გამოსდიოდათ. მათი გამომგონებელი იყო ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, ვილი მესერშმიტი. მის საპატივცემულოდ ამ ახალი მოდელის თვითმფრინავებსა და მის დამამზადებელ ქარხანასაც, რომელიც ქ. აუგსბურგში მდებარეობდა, „მესერშმიტი“ უწოდეს. ეს ქალაქი 1941 წლის მაისის დღეებში მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა. რ. ჰესი, სწორედ, ქ. აუგსბურგიდან განახორციელებს თავის საბეჭისწერო გაფრენას. ბრიტანეთის კუნძულების ჰაერიდან დაბომბვის გეგმა ცნობილია ე.წ. „ადლერის“ სახელწოდებით. მისი რეალიზების დღეებში, დიდ ბრიტანეთში სიკვდილის კოეფიციენტი არნახული მაჩვენებლებით იზრდებოდა. ჰაერიდან დაბომბვის პარალელურად ბრძოლა ხმელეთიდან ჯავშანტექნიკის გამოყენებით წარმოებდა, რომლის ნათელ დადასტურებას დიუნკერკის ცნობილი ბრძოლა წარმოადგენს, რომელმაც ნაცისტური გერმანიის აშკარა უპირატესობა წარმოაჩინა. ინგლისის პარლამენტი სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან აშკარა რეაქციულ და აგრესიულ ქმედებებზე გადავიდა. უკვე საყოველთაოდ გაისმოდა მოთხოვნები პრემიერ-მინისტრის ნეგილ ჩემბერლენის გადადგომის შესახებ, რომელიც უკანასკნელი ძალებით ჩასჭიდებოდა მმართველობის სადავეებს. პარლამენტი მსგავსი რეაქცია მანამდეც დომინირებდა, მაგრამ მან 1940 წლის მაისის პირველ რიცხვებში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 6. ჩემბერლენი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებად მოიაზრებოდნენ იმ ხანად საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰალიფაქსი და საზღვაო მინისტრი, პარლამენტის წევრი კონსერვატორიული პარტიიდან, უ. ჩერჩილი. ამ უკანასკნელმა ინგლისის პრემიერ-მინისტრ 6. ჩემბერლენთან აუდიენციის დროს უპირატესობა წინასწარ გათვლილი დიპლომატიური ფანდის დახმარებით მოიპოვა. ლორდი ჰალიფაქსი ყოფილი პრემიერ-მინისტრის 6. ჩემბერლენის პოლიტიკის გამტარებელი ანუ პრომიუნხენური ორიენტაციის მქონე პიროვნებად ითვლებოდა. სწორედ, ამ მიზეზით უ. ჩერჩილმა ის თავიდან მოიშორა და აშშ-ში გაგზავნა ელჩად იქ გარდაცვლილი ლორდი ლოთიანის ნაცვლად, ისევე როგორც მეორე პროგერმანელი სამუელ ჰორი იმავე სტატუსით ესპანეთში „მიავლინა“. პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა პოლიტიკური დიდსულოვნება გამოავლინა 6. ჩემბერლენის მიმართ და სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში რიგით წევრად დატოვა. ამრიგად, ინგლისისათვის მძიმე დღეებში, სახელდობრ, 1940 წლის 10 მაისს უ. ჩერჩილი პრემიერ-მინისტრი გახდა. აქვე დავძენთ, რომ მისი გაპრემიერების უახლოეს პერიოდში კიდევ ერთი თანამდებობრივი ცვლილება განხორციელდა. საგარეო საქმეთა მინისტრად ენტონი იდენი დაინიშნა, რომელმაც 1938 წ. 6. ჩემბერლენის პოლიტიკით განაწყენებულმა ფორინ ოფისი* ნებაყოფლობით დატოვა. უ. ჩერჩილის პრემიერ-მინისტრობის ერთი წლის თავზე ინგლისის პარლამენტში გაისმა საპროტესტო ხმები. თუმცა, უ ჩერჩილი ყოველივე ამას სრული ინდიფერენტიზმით ხვდებოდა. ინგლისის დედაქალაქი ცეცხლის ალში გახვეულიყო. ინგლისის წარმატების განსაზღვრა გერმანიასთან ბრძოლაში არავის შეეძლო, თვით უ. ჩერჩილის გარდა. პრემიერ-მინისტრი ლოდინისა და მოთმინების

* ფორინ ოფისი - ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ტაქტიკას ამჯობინებდა. მან სადაზვერვო ინფორმაციების საშუალებით იცოდა, რომ ინგლისისადმი განკუთვნილი გერმანიის სარეზერვო საშუალებები იწურებოდა და პიტლერი პირს აღმოსავლეთით, საბჭოთა კავშირისკენ იბრუნებდა. როგორც ცნობილია, პიტლერის ევროპაში გაბატონების მცდელობის მორიგი ავანტიურა რუსეთზე იყო გათვლილი, რადგან საფრანგეთთან მიმართებაში მან თავისი მისწრაფება შედარებით ადრე დაიკმაყოფილა. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ პიტლერი შემდეგი ისტორიული დილემის წინაშე დადგა: ინგლისი თუ რუსეთი? მან არჩევანი რუსეთზე შეაჩერა, ინგლისთან კი დროებით „კეთილსასურველი ნეიტრალიტეტის“ დამყარებას შეეცადა, რაც ფიურერის მიერ ზავის დადების ოფიციალურ შეთავაზებაში გამოიხატა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს იქნებოდა დროებითი შეთანხმება, რადგან პიტლერისათვის ზავის დადება არაფერი იყო, თუ არა ფარატინა ფურცელი, კალამი და მელანი. როგორც იოსებ სტალინმა მართებულად შენიშნა იოახიმ ფონ რიბენტოპთან საუბრისას, გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტზე (1939 წ. 23 აგვისტო) ხელმოწერის შემდეგ: მელანიც კი არ იქნება შემშრალი, როცა გერმანია ომს დაიწყებს-ო. პიტლერს რუსეთის დაპყრობა ავდანეთში გაჭრის საშუალებას მისცემდა, შემდეგ კი მას ბრიტანეთის იმპერიის უმდიდრესი კოლონიის ინდოეთის დაპყრობის შესაძლებლობა ეძლეოდა, რაც ინგლისის ცალ ფეხზე წამოჩების გარანტი იყო. მაგრამ რუსეთი – ესაა უზარმაზარი სივრცე უკიდეგანო ტრამალებით, სადაც ერთ დროს ნაპოლეონის უძლეველობის ფენომენი დაიმსხვრა და სადაც, საბოლოოდ, „ნაცისტური მზის ჩასვენება“ მოხდა. „გენიალურიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია“ – უკან მობრუნებისას ნათქვამი ნაპოლეონის ეს სიტყვები პიტლერის რუსეთზე მარცხით

დასრულებულ ექსპანსიასაც კარგად მოერგებოდა.

ჰიტლერს, რაინისპირა ქვეყნებში მოპოვებულმა რიგმა გამარჯვებებმა, უძლეველობის უსაზღვრო რწმენა შთაუნერგა და აღაფრთოვანა. მაგრამ შეურაცხყოფილი დარჩა, როდესაც უ. ჩერჩილმა მის მიერ შეთავაზებულ ზავს 1940 წ. 19 ივნისს პარლამენტში, ორი დღით ადრე, ვიდრე საფრანგეთის მიმართ „მელანქოლიურ გადაწყვეტილებას” მიიღებდნენ, ამგვარად უპასუხა: „შესაძლებელია ჩვენ მოწყვალება გამოვიჩინოთ, მაგრამ თხოვნა მოწყვალების შესახებ ჩვენ არ გვექნება”-ო. პასუხად, ჰიტლერი 19 ივლისს ოპერ-კრიოლის სასტუმროს შენობაში რაიხსტაგის სხდომას იწვევს, სადაც კატეგორიული ფორმით დასძენს: „ბრძოლა ორიდან მხოლოდ ერთის განადგურებით დასრულდება, ბატონი ჩერჩილი ალბათ ფიქრობს, რომ ეს იქნება გერმანია. მე ვიცი, რომ ეს იქნება ინგლისი”[45,222]. ეს ჰიტლერის მხრიდან პესიმიზმის პირველი დოკუმენტაციური მოწმობა გახლდათ, რომელიც გამოწვეული იყო პერსპექტივის უქონლობით ინგლისთან ზავის დადებაზე. ასეთი რადიკალურობა, გარკვეულწილად, რ. პესის მგრძნობელობით ბუნებაზე აისახა. ფიურერის მიზანმიმართული პოლიტიკის წარუმატებლობის შიშმა მისი მოადგილის პირად მისწრაფებაზე კატალიზაცირის როლი შეასრულა. ინგლისში პერსონალურად გაფრენის იდეა, პოლიტიკური მოვლენების ასეთი მკვეთრი ცირკულირების ფონზე, თანდათანობით გამოკვეთილ სახეს იღებდა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ერთგვარ მეტამორფოზულობას იძენდა. რ. პესის ფარული კონტაქტები დიდი ბრიტანეთის გამოჩენილ ადამიანებთან, მის ექსტრავაგანტურ მისიას წარმატების მეტი დამაჯერებლობით ნიდბავდა. თავბრუდამხვევი წარმატების მოლოდინში, მან მომავალი მხოლოდ დადებითი ემოციების ფონზე შეაფასა და საკუთარ

გულისთქმას აყოლილი გათვითცნობიერების ძლიერმა ტალღამ მოიცვა. მესამე რაიხი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. რ. ჰესის ინგლისში გაფრენამ კი თავისებური რეკორდი მოხსნა მისი ძლიერების ამპლუას. თუმც დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ჰიტლერისგან დაუკითხავად არაფერი მოუმოქმედებია. ფიურერის მოადგილეს მხოლოდ დაკარგული პრესტიჟის რეაბილიტაციისათვის არ მიუშურებია დიდი ბრიტანეთისათვის. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: 1939 წ. ფიურერის ანდერმა ცვლილება განიცადა, უფრო სწორად სუბიექტთა გადანაცვლება მოხდა. ანდერმის თავდაპირველ ვარიანტში დასახელებულ მემკვიდრედ, რ. ჰესის შემდეგ, რაიხსმარშალი ჰერმან გერინგი იყო მოხსენიებული, რომელიც მოცემულ მეორე ვარიანტში ფიურერის მოადგილეს ჩაენაცვლა. ამ უკანსკნელმა კი ტექსტში გერინგის ადგილი დაიკავა. ეს ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თუნდაც იმიტომ, რომ მასზე აგებულია რ. ჰესის გერმანიიდან გაქცევის ერთ-ერთი ვერსია. ისევე როგორც ჰიტლერის მეხოტბე ჰერმან რაუშნინგი და ოტო შტრასერი გაიქცა ფიურერიდან შორს, რომლებსაც გესტაპოს გრძელი ხელი ვერა და ვერ მისწვდა. რ. ჰესის შემთხვევაში, საქმე სხვაგვარი გამოხატულების მატარებელია. მესამე რაიხის კანცელარიაში არსებობდნენ ისეთი იმანენტური პრინციპის მქონე ადამიანები, რომლებიც იერარქიულ საფეხურზე სვლის ჟინს იმგვარად დაებრმავებინათ, რომ ჰიტლერთან დაახლოების ყოველგვარი მანევრირების გამოყენებას არ ერიდებოდნენ. რ. ჰესის მოადგილე, მარტინ ბორმანი, ასეთი ტიპის ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. სწორედ, მან დაიკავა პარტიულ კანცელარიაში ფიურერის მოადგილის ადგილი, მისი ინგლისში გაფრენის შემდეგ. რ. ჰესის ინგლისში გაფრენა ისტორიის შეუქცევადი პროცესია.

გაფრენის ფაქტების მთელი სიუხვით წარმოდგენა უთუოდ დიდ ჭეშმარიტებას გვაზიარებს. ჭეშმარიტების შეგრძნება კვლევის თეორიულ ფონზე, არაერთგვაროვანი გააზრების საფუძველს იძლევა. რას ვუწოდებდით რ. ჰესის ინგლისში გაფრენის საიდუმლო მხარეს, თუ არა სახელმწიფო დონეზე მომზადებულ მისიას, რომლის დანიშნულება იყო არა ომის შეწყვეტა ევროპაში, არამედ, მისი ხელახალი გაჩადებისათვის ზურგის გამაგრება „ახალი მოკავშირის” სახით, თუნდაც ამ მოკავშირეს ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა შესძლებოდა. რ. ჰესის მიერ ინგლისში ჩატანილი თუ პატიმრობის პერიოდში საგანგებოდ შედგენილი მოლაპარაკებათა პუნქტები ამ პოლიტიკურ მანევრს ისახავდა მიზნად. ეს არ უნდა ყოფილიყო აშკარა, ოფიციალური მოლაპარაკება მსოფლიო საზოგადოების თვალის დასახავად, არამედ სრულიად საიდუმლოდ, საბჭოთა კავშირისაგან აშკარად ფარულად. ტაქტი გამართლებულია. თითქოს მეგობრული, ინკოგნიტოდ ჩასული ფიურერის მოადგილე, უიარაღო, არანაირ საშიშროებას ბრიტანელი ხალხისათვის არ წარმოადგენდა. მაგრამ ინგლის-გერმანიას შორის გაცხარებული ომის დროს, ნაცისტთა საბრძოლო თვითმფრინავის მიერ მოწინააღმდეგებ ქვეყნის საზღვრის შეუტყობინებლად გადაკვეთამ და მის ტერიტორიაზე აღმოჩენამ, ტრადიციების დამცველი სახელმწიფოს, დიდი ბრიტანეთის კონსერვატორ პრემიერ-მინისტრს, თავისი ქვეყნის უპატივცემულობა აგრძნობინა. უ. ჩერჩილმა ამით მსოფლიოს დაანახა, რომ ნებისმიერი მსგავს სიტუაციაში, რ. ჰესის ბედს გაიზიარებდა. პრემიერ-მინისტრმა ინგლისში საგანგებოდ ჩასული ფიურერის მოადგილე „საპატიო ტყვეობაში” დატოვა, ნიურნბერგის სამხედრო სასამართლო პროცესამდე. მაშასადამე, ის დასაჯეს უკანონო ქმედებისათვის, რაც დიდი ბრიტანეთის საზღვრის გადაკვეთის

მოტივით იყო ინსპირირებული. თუმცა, რ. ჰესის გონიერად სრულიად შესაძლებლად დაუშვა მისი სამხედრო ტყვედ აყვანის ფაქტი. აქვე, უნებურად გვახსენდება საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვები, მარენგოსთან ბრძოლის წინ: „თუ გინდა მტერზე სრული გამარჯვება მოიპოვო, იმოქმედე ისე, როგორც ის მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში-”ო. როგორც ცნობილია, ფიურერის მოადგილემ ჰიტლერს წერილობითი იდეა შესთავაზა მისის ჩავარდნის შემთხვევაში, მისი არანორმალურად გამოცხადების გამო. ეს სრულიად ადექვატური რეაქცია იყო, რითაც ამ გაფრენის მოტივირება შეიძლებოდა იმგვარად, რომ მსოფლიოს მასმედიის თვალში არ გაშუქებულიყო ინგლისში გაფრენის საკმაოდ სერიოზული მხარე, - „ბარბაროსას” გეგმით გათვალისწინებული საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გარდაუვალი რეალობა.

მაშასადამე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უშუალო განკარგულების შესაბამისად, რ. ჰესი „საპატიო ტყვედ” გამოცხადდა. მაგრამ მისი მშვიდობიანი, თუმცა არაოფიციალური დესპანის პრეტენზია უიარაღოდ მოსვლის შესახებ, მეომარი ქვეყნისათვის ანგარიშგასაწევი არ გამოდგა. მისი „სამხედრო ტყვის” ამპლუაში ყოფნა უსათუოდ დიდი მონაპოვარი იყო, ომის დროს, ბრძოლის წარმატებული პროპაგანდის მიზნით.

ცივილიზებულ სახელმწიფოში პოლიტიკური ამბიციების დათრგუნვა თითქმის გარდაუვალია მოზღვავებული ემოციების ფონზე. ოპონენტთა მკაცრი რეაგირების მასშტაბური ზრდა ქვეყანაში აღმოცენებული კრიზისის ტოლფასოვანია. კრიტიკული ზღვარის არსებობა თუ უკიდურესობის წარმოშობა პროტესტის ერთ ტანდემში აისახება. სახელმწიფის ლიდერის პოლიტიკით გამოწვეული უარყოფითი რეაქცია, უპირველეს ყოვლისა, თვით მის პოლიტიკურ კარიერაზეა დამიზნული. ამდენად, უ. ჩერჩილისა და

ჰიტლერის შეუთავსებადი ანუ ანტაგონისტური პოლიტიკური კურსის საჯარო დემონსტრირება, ფიურერის გეგმაში ნაკლებად შედიოდა, მაგრამ ჩერჩილს თავისებურად აკმაყოფილებდა. მას, განსხვავებით მისი წინამორბედისაგან, მკვეთრად ჩამოყალიბებული ანტინაცისტური შეხედულებები გააჩნდა. 6. ჩემბერლენის კარიერა მისმა უსუსურმა პროფაშისტურმა მსოფლიმხედველობამ შეიწირა. „მიუნხენის გარიგებამ” მორიგი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში. პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო მოღვაწის განსჯა, ძირითადად, მისი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით ხდება. ინდივიდის შეხედულებათა ალიანსი, დროდადრო, პროცესების ვიზუალურად წარმოსახვისა და სათანადოდ წარმართვის გარკვეულ უნარ-ჩვევებს იძენს.

სახელმწიფოს პრობლემების მოგვარების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: პირველი – მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებათა შედეგად. მეორე – ომის გზით. დიპლომატია მანევრირების ცუდი წარმოჩენა მშვიდობიანი მოლაპარაკების დასრულების სათავეა. თავის მხრივ, სამშვიდობო მოლაპარაკებათა ორი ძირითადი ასპექტი დომინირებს: კონფიდენციალური და ოფიციალური მოლაპარაკებები. ამათგან რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება, დამოკიდებულია არა მარტო არსებული მოვლენების ირგვლივ აზრთა ურთიერთშეჯერებაზე, არამედ პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელ ალლოსა და შორსმჭვრეტელობაზე. ჰიტლერის დიპლომატიური სვლის მორიგი გამოხატულება, უ. ჩერჩილთან დაზავებაზე კონფიდენციალური მოლაპარაკების წამოწყების ინიციატივა იყო, რამაც 6. ჩემბერლენის შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილი, ოფიციალური სახე მიიღო. ჰიტლერის აზრით „ახლად გამომცხვარი” პრემიერ-მინისტრი თავისი წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელებას უბრალოდ ვერ გამოიყენდა

იმდენად, რამდენადაც ეს მიუღებელი იყო ქვეყნის იმდროინდელ საკანონმდებლო ორგანოსთვის. ინგლისის პარლამენტმა, სადაც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების რიცხვი სჭარბობდა, ამხელა და დაგმო წინა პრემიერის ნაცისტური ორიენტაცია. უ. ჩერჩილი ფაშისტური სულისკვეთებისა და მათი იდეალისტი ფიურერის მეხოტბე არასოდეს ყოფილა. თუმცა, ის უკიდურესი ანტიბოლშევიკი იყო. ბოლშევიკური რუსეთი კი პიტლერის რევანშისტული განწყობის მორიგ მსხვერპლად წარმოიდგინებოდა. ამ ჭრილში, ორი სახელმწიფოს ლიდერის ურთიერთმიახლოებული პოლიტიკური ამბიციების განედზე, ზავის დადების მცირე შანსი გამოიკვეთა, რომელიც პიტლერმა ხელიდან არ გაუშვა. თავის მხრივ, რ. პესის ოპტიმალური ხედვა განაპირობა დიდ ბრიტანეთში საიდუმლოდ დაარსებულმა გ. წ. „მშვიდობის პარტიის“ თვითნებურმა მხარდაჭერამ. ვუწოდოთ მას პირობითად თვითნებური, რადგან მათი მიზანი გერმანიასთან ზავის დადების შესახებ, თავისებურ პარმონიაში მოდიოდა პიტლერის მისწრაფებასთან. „მშვიდობის პარტიის“ წევრების ვინაობა, რომლებიც ინგლისში ჯერ კიდევ 1880წ. დაარსებული საიდუმლო ორდერის „გოლდენ დაუნის“ საზოგადოების რიგებში შედიოდნენ, გარკვეული მოტივით კონსპირირებული იყო. ეს ორგანიზაცია გერმანიაში 1919წ. დაარსებული „ტულეს საზოგადოების“ პროტოტიპს წარმოადგენდა, რომელიც მასონების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მათ წამდათ მაგიური ძალის არსებობა და მისი ზემოქმედება ინდივიდის შინაგან სამყაროზე, რასაც ფსიქიკას ვუწოდებთ. ბედისწერის შეუცნობადი იმპულსების გამოკრთომა ზებუნებრივი ძალთა ქმედების მატარებლად ესახებოდათ. მათ შეგნებაში „იდუმალი სამყაროს“ რწმენა, გამოუვლენელი თვალსაჩინოების თეზისებით იკვებებოდა.

გონების ეპოლუციის გარკვეულ სტადიაზე, ადამიანში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ჩამოყალიბებული აქტიური და პასიური იმპულსები, ურთიერთმონაცვლეობის ექვივალენტით განისაზღვრება. მაგრამ გამონაკლის სიტუაციებში რომელიმე მათგანის ჩანაცვლების ჭარბი დოზირების გამო, რეაქციაც ადექვატური ხდება. პირველ შემთხვევაში, დამახასიათებელ კომპონენტებად შეიძლება დავასახელოთ: მოდუნება, გარემო ძალებისადმი შეგუება ანუ ადაპტაცია. მეორის შემთხვევაში აგზნებადობა, სტრესი, მისი უმაღლესი ფაზა ისტერიკა, შოკირება. ამ ორი კომპონენტის (აქტიური, პასიური) თანაფარდობის შემთხვევაში სახეზეა ნორმალური, ფსიქიკურად გაწონასწორებული ადამიანი. ადამიანთა კატეგორიის ასეთი ტიპის სახესხვაობა ხშირად ურთიერთშეგუების კონტრასტულ ხასიათს უნდა ატარებდეს. არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. პიროვნების კულტის გაფეტიშება მისი შემოქმედებითი ბუნების, საზოგადოებაში მისი თვითდამკვიდრებისა და ადიარების მიხედვით ხდება. პიტლერი ჰესის სულის აპოკალიფსი იყო. ასეთი განსაკუთრებულად თუ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანები მომავალს ხშირად სიზმრად ნანახისა თუ ბედისწერის განჩინების წიგნის მიხედვით სჯიდნენ. მოვლენათა კანონზომიერ ცვალებადობას ბუნების დაუწერელი კანონებით უდგებოდნენ. რ. ჰესი, მასონების ამ შეხედულებებთან სიახლოვის გამო, „ტულეს საზოგადოებაში”, მიუნხენის უნივერსიტეტში გეოპოლიტიკის ფაკულტეტზე სწავლების დროს შევიდა. ამ ფაკულტეტის დამაარსებლისა და ამავე საზოგადოების წევრის, პ. ჰაუსპოფერის იდეოლოგიური გავლენა თავის ასისტენტზე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მთელი მისი ცხოვრება განსაზღვრა. პ. ჰაუსპოფერი უსაზღვრო მენტალური მონაცემებისა და დიდი ინტელექტუალური

შესაძლებლობების გამო, გერმანიისა და დას. ევროპის რიგ სახელმწიფო უნივერსიტეტებში საპატიო წევრად ითვლებოდა. გარკვეული ასპექტით მისი ცხოვრების საინტერესო დეტალების წარმოჩენას დროდადრო შევეცდებით.

„გოლდენ-დაუნის“ საზოგადოებაში წარმოდგენილი იყო ქვეყნის თვალსაჩინო პირები, ელიტა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებისა, ბრიტანეთის არისტოკრატიის ნალები. მათგან თამამად გამოვარჩევდით: პოუტ ფ. ბ. იუტსის, მსახიობ ფლორენს ფარს, მწერალ არტურ მახენს, ნოტარიუს ალეისტერ გროუელს, რომელმაც საკუთარი ორდერიც კი შექმნა „არგენტეუმ ასტრუმის“ სახელწოდებით.

ბრიტანეთის არისტოკრატიის წევრებიდან უნდა დავასახელოთ სამი საკმაოდ პოპულარული ფიგურა: ჰერცოგი ჰამილტონი, RAF*-ის პოდპოლკოვნიკი, ბედფორდის ჰერცოგი და სერ აივონ კირკპატრიკი, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილი პირველი მდივანი ბერლინში. ამ საზოგადოებაში თავისი ადგილი სამეფო ოჯახის წევრებმაც ჰპოვეს. ცალკე აღნიშვნის დირსია, მეფე გეორგ V-ის ვაჟები: მეფე ედუარდ VIII, შემდეგ ჰერცოგი უინდორელი და კენტის ჰერცოგი. ეს უკანასკნელი, მისი ძმის, ინგლისის მეფის გეორგ VI-ის ინიციატივით, 1939 წელს მის პოლიტიკურ მრჩევლად დაინიშნა. კენტის ჰერცოგი „მშვიდობის პარტიის“ აქტიური წევრი და მისი ერთგვაროვანი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების მომხრედ ითვლებოდა. უ. ჩერჩილის მსგავსად, კენტის ჰერცოგიც ანტიბოლშევიკური ორიენტაციის მატარებელი პიროვნება იყო. მას ცოლად ყავდა ბოლშევიკების ფრიად მოძულე ქალბატონი, საბერძნეთის პრინცესა მარინა. ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ არის, რომ კენტის ჰერცოგი პრონაცისტი ანდა ჰიტლერის

* RAF(აბრ.) _ Roial Air Force _ სამეფო საპატიო მალები

პიროვნებით აღფრთოვანებული ყოფილიყოს. უბრალოდ, ის ბოლშევიზმის წინააღმდეგ გერმანიასთან ზავის დადების მომხრეთა რიგებში ირიცხებოდა.

აზრთა ასეთმა თანხვდომამ პიტლერისა და რ. პესის შინაგანი სამყარო დადებითად განაწყო. რ. პესმა კონტაქტი დაამყარა „გოლდენ დაუნის”, აწ დასახელებულ, ორ მეტად გავლენიან წევრთან: კენტის პერცოგთან და პერცოგ პამილტონთან, შოტლანდიის პირველ პერთან. ამასთან, ეს სამუშალი პირველი კლასის მფრინავები გახლდნენ და ამ თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთს არაერთჯერ შეხვედრილან. ცნობილია, რომ რ. პესს თავისი სოლო გაფრენისას, პამილტონის მამულში კენტის პერცოგი ელოდებოდა და მისი თვითმფრინავის დაშვებისას მოკლე საფრენ ბილიკზე შუქი, სწორედ, მას უნდა ჩაერთო. ფიურერის მოადგილემ ვერ მოახერხა თვითმფრინავის ნორმალურად დასმა, - პარაშუტით გადმოხერა, როცა სპირომეტრი O-ს უჩვენებდა. თვითმფრინავი დაეშვა იგლშემთან ახლოს, ფლურს ფარმიდან ცოტა მოშორებით, პამილტონის მამულიდან - დუნგაველ კასტლიდან - 12 მილის მანძილზე. ერთი შეხედვით, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში თავსდება. ასეთი შემთხვევები ავიაციაში, არც თუ იშვიათია. მაგრამ ყურადღება ერთ მეტად საგულისხმო დეტალს უნდა მიექცეს. რ. პესს გერმანიიდან აფრენისას დამატებითი საწვავი ავზები ქონდა ჩადგმული, რომელიც ფრენის სიშორისათვის იყო განკუთვნილი. მას პამილტონის მამულში დაშვება ქონდა განსაზღვრული, მაგრამ ვერ გათვალა ინგლისური „სპიტფაიერების” დადგენების ფაქტი, რადგან საავიაციო ძალების მეთაური თავად პამილტონი იყო. ნიშანდობლივია, რომ პამილტონის პირად განკარგულებაში მყოფმა ტერნპაუზის ბაზამ „სპიტფაიერები” არ დაადევნა, ხოლო მოულოდნელად ზემოთაჭრილ

ორ „სპიტფაიერს” ჰაერშივე მოუვიდათ მკაცრი ბრძანება ცეცხლის გაუხსნელობის შესახებ. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენისადმი ჰამილტონის დამოკიდებულება ცალსახაა. ის მდელვარებისა და გაკვირვების უჩვეულო შერწყმას ავლენს, განსხვავებით პრემიერ-მინისტრისაგან, რომელიც ამ ამბავს განსაკუთრებული სიმშვიდითა და თითქოს „უინტერესოდაც” შეხვდა. „მე მივდივარ ძმები მარქსების საყურებლად”-[43,340]. ეს მისი ბოლო სიტყვები იყო ჰამილტონთან* საუბრისას. უნდა ითქვას, რომ ჩერჩილმა დაასწრო ჰამილტონსა და თვით მეფეს, რომელმაც კენტის ჰერცოგის რჩევით, რ. ჰესს ხელშეუხებლობის სტატუსი მიანიჭა. მაგრამ გვიანი გახლდათ. უ. ჩერჩილმა ფიურერის მოადგილე „სამხედრო ტყვედ” ოფიციალურად გამოაცხადა. საჯაროობა კი რ. ჰესის პატიმრობაში დარჩენის ერთ-ერთი მამხილებელი მოტივი იყო. სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრმა ჰამილტონისა და კენტის ჰერცოგები მოხერხებულად გამოაძევა ამ ისტორიული მოვლენის ეპიცენტრიდან, მათივე რეპუტაციის შეულახაობის მოტივით, ისევე როგორც ბრიტანეთის სამეფო კარი ცდილობდა გულმოდგინედ დაემალა ყოფილი მეფის ჰერცოგი უინდორელის სკანდალური სასიყვარულო თავგადასავალი. კენტის ჰერცოგი ამ მოვლენებიდან მაღე, 1942 წლის აგვისტოში, ავიაკატასტროფაში დაიღუპა, შოტლანდიის მთებში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. მისი სიკვდილის საეჭვო მიზეზები ინგლისელმა ისტორიკოსმა, რობერტ ბრედონმა გამოიკვლია და ვარაუდობს, რომ ის მოკლეს. გამოთქმული

* ჰამილტონი – ძველი ისტორიული გვარია, ისევე როგორც სკოტები. ჰამილტონები ლორდის ტიტულს 1445 წელს, სკოტები კი 1600წ. ატარებენ. პირველი კლანის ანუ საგვარეულის მეთაური ჰერცოგი ჰამილტონია, გვარის რეზიდენცია (Clan Seat) Cadzow Castle და საგვარეულო მემორიალი – ჰამილტონისა და ბრანხოლის რეზიდენცია – Branxholm Castle (ჰაუიკში) , მემორიალი – ბუკლოთა ძველი ეკლესია. სამეფო კარზე ბუკლოს გათავისუფლების შემდეგ მის თანამდებობაზე ინიშნება ჰერცოგი ჰამილტონი, ხოლო ბუკლო ჩერჩილმა თავის საგვარეულო ციხეში ჩაკეტა. მას ბრალად ედებოდა გერმანიასთან საზავო შეთანხმების მიღწევის ლობიზმი.

მოსაზრების თანახმად, თვითმფრინავში კენტის ჰერცოგთან ერთად, რ. ჰესიც იმყოფებოდა, რომელსაც ასეთივე ბედი ეწია. გარკვეულწილად, ეს დაუსაბუთებელი არგუმენტია, რომელიც ერთერთი ვერსიის დონეზე რჩება. ამ ინციდენტის პარალელურად, რ. ჰესი ლონდონის ტაუერში იმყოფებოდა და საინტერესოა, თუ როგორ აღმოჩნდა ის კენტის ჰერცოგთან? ამ იდეის ავტორები გვაწვდიან ინფორმაციას ნამდვილი ჰესის დაღუპვისა და მისი ორგულის პატიმრობის შესახებ, რასაც ცნობილი ქირურგის, პიუტომასის, სამედიცინო ექსპერტიზას გამოყენებით ადასტურებენ.

მოვლენათა ასეთი კოორდინირების ფონზე, ალტერნატიული არჩევანის სრული დემობილიზაციის გათვლით (გამოირიცხა ლორდი ლოთიანი, ს. ჰორი), ჰერცოგი ჰამილტონი უდავოდ ბოლო და მთავარი შანსი გახლდათ, ინგლის-გერმანიის ურთიერთობის მოგვარების მხრივ, ინგლისის სამეფო კარზე მისი ფუნქციონალური დანიშნულების გამო. ჰერცოგი არისტოკრატიული მანერებისა და შოტლანდიური თავაზიანობის ერთგვარი ნაზავი იყო. მიზეზე-შედეგობრივი კავშირის ამ სინქრონულ ლანდშაფტში, ჰამილტონის სამეფო ოჯახთან ნათესაური ხაზის არსებობა დასტურდება. კონტინენტზე ასეთი კაცის არსებობა ჰარმონიულ ფერებს ქმნიდა ნაცისტი ლიდერების ტიპიურ წარმოსახვაში. გერმანელი ა. ჰაუსპოფერისა და ლორდი კლაიდსდეილის ნაცნობობის გადაზრდა პერმანენტულ მეგობრობაში, პოლიტიკურ მოვლენათა დიაპაზონზე არსებული თანაბარი შეხედულებების მკვეთრი გააქტიურების შედეგია, რომელიც გონებაში მერიდიანული განლაგების დროს, მსგავსების აღქმის სპონტანური შეგრძნების საშუალებას იძლევა. ამ პიროვნებათა მიერ ფენომენის საჯარო ურთიერთაღიარებამ, გიგანტური ძვრები მოახდინა ინდივიდუალური „ტრაქტატის“ შექმნა - ათვისებაში. ჰერცოგმა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო სამეფო

ინსტიტუტს - ცნობილ ჩატემ ჰატემ ჰაუზს - ა. ჰაუსპოფერის პიროვნება შესაბამისად წარუდგინა. დოქტორი ჰაუსპოფერის სალექციო თემა: „ნედლეული და კოლონიები გერმანული თვალთახედვით” – გერმანული პოლიტიკის თვითმიზნური ხედვის გამოხატულების მატარებელი იყო. ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გერმანიისათვის კოლონიების ჩამორთმევის მზარდი უკმაყოფილების დამალვა გერმანოფილმა დოქტორმა ვერ შეძლო. ეს, საერთო ჯამში, აუდიტორიის ფრთხილი დამოკიდებულების საბაბი შეიქნა. მით უფრო, როცა ალბრეხტი მოსალოდნელი ომის ფანტასტიურ შედეგებზე ალაპარაკდა. ამის შემდეგ, სხდომის წამყვანის ლორდ ალენ ოფ ჰარტვუდის შესავალი სიტყვა ა. ჰაუსპოფერის წარდგენისას, ინგლის-გერმანიის შესაძლებელი ურთიერთდაახლოების შესახებ, ჰიტლერის საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითად აქსიომას აღარ წარმოადგენდა. ამ მიზნით, 1940 წლის აგვისტოში, შვეიცარიაში ა. ჰაუსპოფერისა და „მშვიდობის პარტიის“ ერთ-ერთი წევრის, ჰერცოგი ბედფორდის, შეხვედრა შედგა. ეს შეხვედრა ქალაქ უენევაში პოლიტიკური მოტივით იყო ინსპირირებული. როგორც ირკვევა, ჰიტლერის მიერ ზავის მეორე ოფიციალურ შეთავაზებაზე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ორაზროვანმა დუმილმა, ამ პარტიის წევრთა მხრიდან საზავო პირობების შემუშავებაზე მოლაპარაკების დაწყებისათვის მზადყოფნის გამოთქმის ინიციატივა განაპირობა. ასეთი სახის მოლაპარაკების წარმოება ინგლისელების მხრიდან არაოფიციალურ წამოწყებად მიგვაჩნია, მათივე ქვეყნის მთავრობისაგან ოფიციალური დასტურის უქონლობის გამო. პრემიერ-მინისტრისაგან განსხვავებით, ჰიტლერი ამ მოლაპარაკებათა მსვლელობის საქმის კურსში იყო. ფიურერი და მისი მოადგილე თანხმობას გამოთქვამდნენ ინგლისელთა მიერ წამოყენებულ წინადადებაზე,

1939 წლის 23 აგვისტოს დადებულ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დენონსირების თაობაზე. როგორც ჩანს, ჰიტლერი ინგლისთან ზავის სანაცვლოდ ყოველგვარ დათმობაზე წავიდოდა. ამ შემთხვევაში, მას რისი იმედი უნდა ქონდა? მართალია, ჰერცოგი ბედფორდი პარლამენტში მეტად გავლენიან წევრად ითვლებოდა, მაგრამ ის უმრავლესობაში არ მოიაზრებოდა. ინგლისის მთავრობასთან კომპრომისზე წასვლის შემოვლითი გზები პირდაპირ პრემიერის გულზე გადიოდა. მისი ცირკულიარი გერმანიასთან ნებისმიერი მოლაპარაკების აკრძალვაზე, მთავრობის ნებისმიერი წევრისათვის საყოველთაოდ მისაღები უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ანალოგიურ ცდებს მაინც ქონდა ადგილი პორტუგალიასა და ესპანეთში, რომელიც უშედეგოდ მთავრდებოდა. სამოელ ჰორისა და რ. ჰესის შესაძლებელი შეხვედრა მადრიდში, მიტოვებული ჩონგბურთის კორტზე, რომლის ორგანიზატორად ისევ ა. ჰაუსკოფერი გვევლინება, საიდუმლო გითარებაში რჩება. ისტორიკოსთა ერთი ნაწილის ვარაუდით, ეს შეხვედრა არ შემდგარა. მეორეთა აზრით, სწორედ, ამან შეასრულა კატალიზატორის როლი რ. ჰესის ინგლისში გაფრენაში, რომელიც ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა.

როგორც ავღნიშნეთ ერთგზის, უ. ჩერჩილმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ს. ჰორი ელჩად წარგზავნა ესპანეთში, ისევე როგორც ჰალიფაქსი „მიავლინა“ აშშ-ში, იქ გარდაცვლილი ლორდი ლოთიანის* ნაცვლად. უ. ჩერჩილმა ამით, ამავდროულად, პირადი გრძნობების განელებაც შეძლო, რაც ს. ჰორის რჩევით, ნ. ჩემბერლენის მიერ, 1937 წელს მთავრობის შემადგენლობაში მისი შეუყვანლობით იყო გამოწვეული. პირადულის დათრგუნვა კოლიტიკური შურისძიების ხარჯზე, შინაგანი კმაყოფილების

* ლორდი ლოთიანი – ახალგაზრდობაში ფილიპ კერი, 1930 წლიდან ლორდი (მარკიზი), – ლოთიანი. მან ეს წოდება თავისი ბიძაშვილისგან მიიღო.

განცდის მაჩვენებელია. სახელმწიფოს მეთაურის ხელში ძალაუფლების ფენომენი განუსაზღვრელობითი ხასიათის მატარებელია. თავისუფლების მაქსიმალური განცდა, ხშირად, მოზღვავებული ენერგიის განცდის გადმოფრქვევის დროს ხდება. ამ შემთხვევაში, ძალაუფლებისა და თავისუფლების ცნებათა გაიგივება შეუძლებელია. თავისუფლება ძალაუფლების წინა ფორმას წარმოადგენს, რომლის უგულველყოფა ძალაუფლების დაკარგვასთან ერთად ყოვლად დაუშვებელია. მათი დაკარგვა ან მოპოვება, კონკრეტული პირის შინაგანი მოქმედების უნარის დაკინება-გაძლიერების შესაბამისად ხდება. თუ დაკუშვებთ იმას, რომ პოლიტიკოსი პიროვნებაცაა, მაშინ პოლიტიკოსის შეფასებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სამართლიანობის კრიტერიუმით. თუ ზნეობრივი პრინციპით შევაფასებთ, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოგვეცხადებინა, რადგან სფერო რომელშიც ისინი მოღვაწეობდნენ, მეტწილ, ძალადობას ემყარება.

უ. ჩერჩილისა და ს. პორს შორის შეუთავსებლობის ფაქტორი იმდენად დიდი იყო, რომ ამ უკანასკნელმა ელჩად მივლინების ოფიციალურ შეთავაზებაზე, პრემიერ-მინისტრს უარი არ უთხრა. როგორც ჩანს, მან გუმანით იგრძნო პოლიტიკური ამინდის შეცვლის მოახლოებული რაკურსი. ამასთან, ის ჩერჩილის პიროვნებას ძალიან კარგად იცნობდა. ამიტომ, პორის მიუნხენური პოლიტიკის გაგრძელებასა და მთავრობაში მოსალოდნელ გაუთავებელ წინააღმდეგობებს წერტილი უნდა დასმოდა. ბუნებრივია, ამის შემდეგ მას თავისი საქმიანობა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ესპანეთში გადაეტანა. დიპლომატიური არხით ნაცისტებთან გაჩაღებული ფარული კონტაქტები მისი პოლიტიკური მრწამსის რეალურად განხორციელების ერთადერთი საშუალება იყო. ს. პორის მხრიდან ეს ფარული ბრძოლა მდგომარეობდა უ.

ჩერჩილის სახელისუფლებო პოზიციების თუ არ მოსპობის, დასუსტებისათვის მაინც. ის მოლაპარაკებას აწარმოებდა ესპანეთში, ყოფილი სტუდენტის, შემდეგ გერმანიის საელჩოს თანამშრომელის, პაინრის შტემერის მეშვეობით. მისი თაოსნობით შედგა მადრიდში სპეციალურად ჩამოსული აღ. პაუსპოფერის ჰორთან შეხვედრა. მათი საუბრის თემა, ჩვეულებისამებრ, ზოგადიდან კონკრეტულზე დასულა. სახელდობრ, ორ სახელმწიფოს ჰორის ზაგის დამყარების ძირითადი მოტივი „ჩერჩილისა და პიტლერის გადადგომისათვის”[24,257] შეუფარდებიათ. ეს აზრი დაუჯერებელია იმდენად, რამდენადაც გვიჭირს მისი გაგება. თუნდაც, ასეთი ვარაუდის დაშვება წარმოუდგენელია, იმდროინდელ პოლიტიკურ ურთიერთობათა სპექტრში. როგორც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, ასევე ნაცისტური გერმანიის ფიურერს, ხელისუფლებაში საკმაოდ მყარი პოზიციები გააჩნდათ და ამათგან, თუნდაც ერთის ჩამოშორება ქვეყნის სადაცებიდან, ინიციატორთათვის (ს. ჰორი და ა. პაუსპოფერი), არც თუ სახარბიელო შედეგით დასრულდებოდა. ჰორის დიპლომატიური სიბეცე, მეტწილ, განაწყენების სინდრომა წარმოშვა და ჩერჩილის მისით შეცვლის ნაცისტურმა იდეამ ყოველგვარი აზროვნების უნარი ჩაუხშო. სიხარულისა და სიბრაზის უშუალო შერწყმა გონების ანაზღეული დაგმანვის ბრწყინვალე ორგანიზატორია. ამ დროს, ინდივიდი თანამოსაუბრებელ უნებლიერ დამოკიდებული ხდება მანამ, სანამ ტვინი მოდუნებული მდგომარეობიდან არ გამოვა და გათვითცნობიერების ჩვეულ რიტმს არ დაუბრუნდება. ეს სპონტანური პროცესი შესაძლებელია რამდენჯერმე განმეორებით განხორციელდეს, თუმცა არა ყოველ ინდივიდში. ამ დროს, პიროვნებას გადაწყვეტილების მიღება უჭირს, მის გონებაში მიკროტალდების ხშირი მონაცვლეობის გამო ან

მიღებული გადაწყვეტილების უმაღლ შეცვლა სჩვევია. ამიტომ ეძახდნენ სამოელ ჰორს, მეტსახელად, „მერყევ სემს”, რასაც ჯოკ კოლვილი, უ. ჩერჩილის პირადი მდივანი, მისი ინტრიგისადმი მიღრეკილებას მიაწერს.

პრინც მაქს ჰოპენლოესა და ს. ჰორის მადრიდის შეხვედრაზე გამოთქმული აზრები რადიკალურად განსხვავდება, ამ უკანასკნელის ა. ჰაუსჰოფერთან საუბრისაგან. ჰოპენლოეს წინადადებებს ინგლის-გერმანიის დაზავების პირობების შესახებ, რაც გერმანიისათვის აღმოსავლეთ ევროპისა* და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიკუთვნებითა და ამ ტერიტორიებზე გავლენის სფეროების გაზრდით შემოიფარგლა, ინგლისელმა დიპლომატმა გადაჭრით უპასუხა: „ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგების მიღწევა შეუძლებელია, ორი საფუძვლიანი მიზეზის გამო: პირველი, ჰიტლერმა ნდობა დაკარგა დიდი ბრიტანეთის თვალში და მეორე, წამოყენებული წინადადებანი გულისხმობს გერმანიის დიქტატურას ევროპაში, რასაც ინგლისი არასოდეს შეურიგდებაო”[24,265]. ჰოპენლოე ჰიტლერს აპოლოგებად დაუდგა. მან, ხაზი გაუსვა რა ფიურერის უდიდეს ნდობას გერმანელი ხალხის მიერ, აღნიშნა: „ამით ვერც გერინგი და ვერც სხვა ვინმე ვერ დაიტრაბახებსო”[24,266]. თუ ჰოპენლოეს საუბრის შტრიხებს მივყვებით, აშკარაა, ჰორთან მოლაპარაკებას, უშუალოდ, ჰიტლერის განკარგულებით ასრულებდა. გერმანიაში დაბრუნებისას, ის ფიურერთან უნდა წარმდგარიყო და სიტყვა-სიტყვით უნდა ჩაებარებინა მოლაპარაკებათა ანგარიში. აი, რატომ ვერ შეიკავა თავი ჰოპენლოემ ჰიტლერის უარყოფითად მოხსენიებისას და რატომ გახდა იძულებული ჰორის სიტყვები არა თუ უპასუხოდ დაეტოვებინა, არამედ მუქარითაც გამასპინძლებოდა. ს. ჰორისა და

* კერძოდ, ჰოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის

პრინცის იტალიურ ჩანაწერში სრულიად განსხვავებული ვერსია
 ფიგურირებს, თუმცა თავისებურ შეთანხმებაში მოდის ა.
 ჰაუსკოფერთან გამართულ ზემოთდასახელებულ
 მოლაპარაკებასთან. ს. პორის გაპრემიერების იდეა იტალიურ
 ჩანაწერშიც გვხვდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ინიციატივა
 თვით პორიდან მოდის. ინგლისელ დიპლომატს საკუთარი
 ამბიციების დათრგუნვა ვერ მოუხერხებია და სრული
 პირდაპირობით განუცხადებია, - უ. ჩერჩილის მთავრობაში
 მდგომარეობის შერყევის შესახებ, - რაც საპარლამენტო
 უმრავლესობაში, თითქოს, ნდობის ვოტუმის დაკარგვით იყო
 განპირობებული. პრემიერ-მინისტრის პოსტზე ს. პორის
 კანდიდატურა მოიაზრებოდა, როგორც გერმანიასთან
 კომპრომისული ზავის დადების საუკეთესო გარანტი. „იგი (ე.ი
 პორი) იქვე გადააყენებდა ენტონი იდენს და შეცვლიდა მას რიჩარდ
 ბატლერით”[24.266]. ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: ვინ აწვდიდა
 ასეთ ინფორმაციას ს. პორს ან გნებავთ ა. ჰაუსკოფერს? ვის უნდა
 გამოეძახა მადრიდში ახლად წარგზავნილი დიპლომატი ისევ
 ლონდონში, როგორც ამას თავად პორი სრული დამაჯერებლობით
 ამბობს პრინც ჰოპენლოესთან საუბრისას? როგორც ჩანს, საქმე
 ეხება მეტად სერიოზულ შეთქმულებას უ. ჩერჩილის წინააღმდეგ.
 ალბათ, ეს იყო „მშვიდობის პარტიის” წევრთა ფარული მოძრაობა,
 რომელშიც დამყვავებლური პოლიტიკის მომხრენი შედიოდნენ. ამის
 დასტურია, ჰაროლდ ნიკოლსონის მემუარებში, მოცემული ციტატა:
 „თუ მოვლენები ცუდად წარიმართება, შეიძლება თავი იჩინოს
 მოძრაობამ, რომელიც მთელ წარუმატებლობას „ომის
 გამჩადებლებს”* დააბრალებს და ჩერჩილს შეცვლიან ს. პორით ან
 კიდევ სხვა რომელიმე დამყვავებლით, რაც ინგლისის

* იგულისხმება უ. ჩერჩილი და მისი მომხრეები

სახელმწიფოს განადგურების დასასრული იქნება ო”[24,266][23,146-147]. საინტერესოა, თუ რომელ მოვლენებსა და მოძრაობას გულისხმობს ავტორი. პ. ნიკოლსონის თვალთახედვა აშკარად იგრძნობა მის ჩანაწერებში. ის უ. ჩერჩილის მომხრეთა რიგებს მიეკუთვნება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათთვისაც ცნობილი ყოფილა რაღაც ოპოზიციური მოძრაობის მსგავსი, თანაც საკმაოდ სერიოზული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიკოლსონი ამის მოხსენიებას თავის მემუარებში სათანადოდ არ მიიჩნევდა. ალბათ, მათ სმენას უთუოდ მისწვდა უ. ჩერჩილის კონკრეტული პირით შეცვლის ფაქტი. სხვა სავარაუდო კანდიდატები პრემიერ-მინისტრის პოსტის შესაძლებელი დაკავების შესახებ, მის მემუარებში არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, აშკარად გამოკვეთილი სახე ამ პოსტზე ს. პორის პიროვნებამ შეიძინა, რომელიც ნაცისტებისა და ამასთან ნაცისტური ორიენტაციის მომხრეთა მხარდაჭერა გააჩნდა. ამ ინფორმაციის გავრცელების ინიციატორად „აბგერის”* ხელმძღვანელი ადმირალი კანარისი სახელდება. ის, ინგლისელებთან კონტაქტებს, რამდენიმე არხის მეშვეობით ახორციელებდა. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ს. პორის გზით მადრიდში, რომელიც 6. ჩემბერლენისა და პალიფაქსის გვერდით დამყვავებლური პოლიტიკის გამტარებელთა სამკუთხედს კრავდა. სხვაგვარად, ისინი ნაცისტებთან ომის წარმოების მომხრენი არ იყვნენ. საამისოდ, მათ გააჩნდათ საკუთარი ალტერნატიული მოსაზრებანი ფიურერის „ეიფორიული” გადაწყვეტილების სასარგებლოდ. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უ. ჩერჩილის ნაძალადევი ყოფილი მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, აღნიშნული ჯგუფის გავლენითაც ფიქსირდება. პრემიერ-მინისტრს ქვეყანაში არსებული არსებითი დაძაბულობის განმუხტვისათვის

* აბგერი – გერმანიის სამხედრო დაზვერვა

დრო სჭირდებოდა. ამასობაში, კი მებრძოლ მხარეთა სამხედრო პოტენციალური შესაძლებლობებიც გაირკვეოდა.

ბრიტანეთის მთავრობის წევრების მნიშვნელოვანი უმცირესობა გრძნობდა, რომ ომი ტრაგედია იყო. ძალაუფლების მქონე ამ ოპოზიციურ დაჯგუფებას პიტლერთან ზავის დადების დიდი სურვილი გააჩნდათ. ზავისადმი სურვილი, პიტლერის ნებით თუ უნებლიერ, სწრაფად ძლიერდებოდა. 1941 წლის მაისის პირველ დღეებში, როდესაც გერმანიის მხრიდან ინგლისის მსხვილ ქალაქებზე ინტენსიურ დაბომბვას ქონდა ადგილი, ბუნებრივია, დაიბადებოდა კითხვა: თუკი პიტლერი დაბომბვას გააგრძელებდა, შეძლებდნენ კი ისინი წინააღმდეგობის გაწევას? ინგლისელების მორალურად გატეხვის იმპულსები უკვე აშკარად ჩანდა, რაც ადამიანების უკმაყოფილო და აღშფოთებული ტონით გამოიხატებოდა. სწორედ, ამ დროს, რ. პესის ინგლისში გაფრენა ზავის დადების მიზნით, უსათუოდ, „მშვიდობის ემისრის” რანგში უნდა განხილულიყო, როგორც თავად ფიურერის მოადგილე ვარაუდობდა. დოქტორ კარლ ფონ ვაიცჰეკერის* გამონათქვამის თანახმად: „ეს იყო არა ლოგიკური, არამედ ფსიქოლოგიური აუცილებლობა”[43,229]. ადოლფ პიტლერი თავის საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. 1941 წლის გაზაფხულს ფიურერმა და რ. პესმა გამონახეს დრო, რათა მოენახულებინათ ძველი პატრონება ფრაუ ელზა ბრუკმანი. შეხვედრის დროს საუბარი გაფრენის თემას შეეხო. განშორებისას, პიტლერმა სტუმართა სპეციალურ წიგნში დატოვა ჩანაწერი: „საბოლოო გამარჯვების წელს”, რ. პესმა კი ჩაწერა: „თავგადასავლების ეპოქა ჯერ არ დასრულებულა”[43,274].

ხმელთაშუა ზღვაზე აპრილის ომმა ჩერჩილისათვის ავბედითი

* კარლ ფონ ვაიცჰეკერი – ნაციისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელისმამა

მიმართულება მიიღო. გააგზავნა რა ბერძნების, რომლებიც იქ შეჭრილ იტალიელებს ეომებოდნენ, დასახმარებლად საექსპედიციო კორპუსი, მან შეასუსტა თავისი პოზიციები ჩრდ. აფრიკაში. ახლა, როცა იტალიელების დასახმარებლად ჩრდ. აფრიკაში ჰიტლერმა ჯარი გაგზავნა გენერალ რომელის მეთაურობით, სიტუაცია ინგლისისათვის არაკეთილსასურველად შეიცვალა. ბრიტანელებმა უკან დაიხიეს. ამავდროულად, დაიწყო განხორციელება ოპერაციისა, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო გეგმა „ბარბაროსას“ შესანიშნავად: ძალების მნიშვნელოვნად გადასანაწილებლად. ბულგარეთიდან საბერძნეთში შეიჭრნენ გერმანიის დივიზიები. აპრილისათვის გენერალ რომელმა დაიპყრო თითქმის აფრიკის მთელი ჩრდილო სანაპირო, ტობრუკის სიმაგრის გამოკლებით. გარდა ამისა, ბრიტანეთმა საბერძნეთში მარცხი იწვია. კვირის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ საბერძნეთი დაკარგულია, ბრიტანეთის ჯარები კი, რომელთა იქ შესვლა ჯერ დასრულებულიც არ იყო, ახლა ევაკუაციას არ ექვემდებარებოდნენ. ამ დროს, რ. ჰესი იწვევს ა. ჰაუსკოფერს შეხვედრის ახალ რაუნდზე (12-15 აპრილამდე). როგორც წინა შეხვედრების (მარტში) შესახებ, ასევე ამ პერიოდში არ დარჩენილა რაიმე წერილები ანდა ზეპირი მოწმობები, მათ მიერ განხილული თემების თაობაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი შეიძლება ყოფილიყო კარლ ბურკჰარდტან* შეხვედრა, რომელიც ალბრეხტმა ნახა თვის ბოლოს ჟენევაში. კ. ბურკჰარდტის მეშვეობით რიჩარდ ბატლერი დაუკავშირდა პრინც მაქს ფონ ჰოჰენლოეს, რომელიც ჰიმლერის მეგობართა წრის წევრი იყო და გავლენით სარგებლობდა გერმანიის ადმინისტრაციაში. ჰოჰენლოეს შეკითხვაზე, თუ რა ეშველებოდა ჩერჩილს, ბურკჰარდტმა უპასუხა: „იგი შემთხვევის

* კარლ ბურკჰარდტი – ჟენევაში საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წევრი.

წყალობით გახდა პრემიერი და ჩამოვა კვარცხლბეკიძეან, როგორც კი მოვლენები სხვა მიმართულებას მიიღებენო”[43,202]. სამზადის ეწეოდა ფონ ჰასელის ცოლი ილზე^{**}, რომელმაც აროსში პ. ბურკარდტს შეხვედრისას უთხრა: „ალბრეხტი უნევაში მიემგზავრება ორმაგი მიზნით, თითქოს ჰესისგან, ფაქტიურად კი როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელი”[43,277]. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ჰაუსპოფერებს ტავისი გეგმა ქონდათ. ის მოქმედებდა თითქოს ჰესის ნებართვით, მაგრამ ჰესისაგან ფარულად. შეხვედრების მიღმა კი ეძებდა ჰიტლერის საწინააღმდეგო მოძრაობას, რაც ებრაელთა პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებოდა. მისთვის ცნობილი იყო ჰესის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ და ვის მოიაზრებდა ჰიტლერის გადაყენების შემთხვევაში მის ადგილზე, თუ არა მის მოადგილეს, რომელსაც ოფიციალური სტატუსიც ამის საშუალებას აძლევდა.

რ. ჰესის ზუსტი მითითების გარეშე ალბრეხტს გამგზავრება არ შეეძლო. ფიურერის მოადგილის გაფრენის შემდეგ, მან ჰიტლერს ვრცელი ახსნა-განმარტება მისცა. იგი მასში ამტკიცებდა, რომ აპრილში ბურკარდტისაგან მიიღო შეტყობინება, რომელიც შეიცავდა მოკითხვას მისი (ალბრეხტის) ძველი ინგლისელი მეგობრების მხრიდან და მიწვევას უნევაში შესახვედრად, მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს. როდესაც ომის შემდეგ, ბურკარდტს უჩვენეს ეს დოკუმენტი, მან თქვა: „ვიდაცამ, ცხადია ახსენა ალბრეხტ ჰაუსპოფერის სახელი, სთხოვა მისთვის საუკეთესო სურვილები გადაუცა, მაგრამ ძველი ინგლისელი მეგობრის წრის სახელით მოკითხვის გადაცემა არ შეეძლო, რამდენადაც მათგან არავის არ იცნობდა”[12,277]. ფონ ჰასელის დღიურში, ალბრეხტთან

*ილზე ფონ ჰასელი – გერმანიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ულრის ფონ ჰასელის მეუღლე

საუბრის ჩანაწერიდან* ირკვევა, რომ ბურკჰარდტის ბარათი ინგლისელი მეგობრების მოკითხვითა და უნივერსიტეტის შეხვედრაზე მიწვევით, დაწერილი იყო პესის დასარწმუნებლად, თვით ილზე ანდა ალბრეხტის მიერ, რათა შვეიცარიაში მისი გამგზავრების სანქცირება მოეხდინათ. როგორც ირკვევა, პესის ნებართვის გარეშე ის ვერცერთ შეხვედრას ვერ დაესწრებოდა, არადა როგორც ჩანს ა. ჰაუსკოფერს ამ ქვეყანაში წასვლა ძალიან სჭირდებოდა. არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ სინამდვილეში ინგლისის წრეებში ბურკჰარდტი გამოიყენეს ან ის გამოდიოდა, ნებით თუ უნებლიერ, „ორმაგი ჯვრის კომიტეტის“ ხელმძღვანელობის შუამავლად, მაგრამ იძულებული იყო ეს დაემალა. წითელი ჯვრის წესებით, მის თანამშრომლებს ეკრძალებოდათ პოლიტიკაში ჩარევა. ჰიტლერისადმი მიმართულ განცხადებაში ალბრეხტი აღნიშნავდა, რომ ბურკჰარდტმა გამოავლინა დიდი შეშფოთება, რადგან საზავო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, მისი სახელი შეიძლება გახმაურებულიყო. ფონ ჰასელის ჩანაწერების მიხედვით, ალბრეხტი და ბურკჰარდტი შეთანხმდნენ მეორე შეხვედრაზე, რომელიც უნდა შემდგარიყო უახლოეს რამდენიმე კვირაში, მას შემდეგ რაც ბურკჰარდტი ისე დაუკავშირდა ინგლისელებს. ამასვე ამბობდა კ. ჰაუსკოფერი ომის შემდგომ დაკითხვაზე, რომელიც ამ შეხვედრების საქმის კურსში ყოფილა. ის ამტკიცებდა, რომ მეორე შეხვედრისას ალბრეხტი უნდა გაეგზავნათ მადრიდში სამუელ ჰორთან მოსალაპარაკებლად. რ. ჰესი დაკავებული იყო ზავის დადების შესაძლებლობის ძიებით, ჩემი მოკლული შვილი (საუბარია ალბრეხტზე) გახლდათ ის პიროვნება, რომელიც განახორციელრბდა ამ საქმეს. იგი შვეიცარიაში შეხვდა ბურკჰარდტს, რომელმაც სთხოვა მას იქ კიდევ ჩასულიყო, რათა

*საუბარი შედგა 10 მარტს

ერთად გამგზავრებულიყვნენ მადრიდში ლორდ ტემპლეუდთან (ს. ჰორი) მოლაპარაკების მიზნით. როდესაც ჩემი შვილი დაბრუნდა შვეიცარიიდან, მას კვლავ პქონდა საუბარი პესთან, რის შემდეგ ის გაფრინდა ინგლისში. ჩემთვის უცნობია, რის შესახებ საუბრობდნენ ისინი ამ შეხვედრის დროს”[43,286].

ამგვარად, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ჰორთან დასაკავშირებელი გზები იყო თუ არა პესისა და ა. ჰაუსპოუერის საუბრის მსვლელობის ერთ-ერთი თემა? (12-15 აპრილის დროს). 19-20 აპრილის შემდეგ, სადაზვერვო მონაცემებში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ პესი გაფრინდა მადრიდში, რათა პირადად გადაეცა პიტლერის ულტიმატუმი ფრანკოსათვის, თუკი გერმანელები შეიჭრებოდნენ ესპანეთში და აიღებდნენ გიბრალტარს. 16 აპრილს ს. ჰორსა და ბატლერს შორის გამართული საუბრის დროს, ბატლერმა დაამშვიდა ესპანეთის ელჩი: ციხესიმაგრე ტობრუკი ჯერ კიდევ ინგლისელთა ხელშია და კარგადაა გამაგრებული. სწორედ, ამ საკითხთან დაკავშირებით პესის სახელი პირველად გამოჩნდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქადალდეში.

ა. ჰაუსპოუერის ინგლისელ მეგობარს, პერცოგ ჰამილტონს 10 მაისის დამეს უკვე სცოდნია, რომ ალფრედ ჰორნის* ფსევდონიმით ჩასული მფრინავი რ. პესი იყო. უ. ჩერჩილის არქივში ვკითხულობთ: „ჩემმა მდივანმა მომახსენა, რომ შოტლანდიიდან ტელეფონზე მირეკავდა პერცოგი ჰამილტონი. იგი იუინებდა, საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს ეხებათ. მე ვთხოვა

* საინგერესოა, რ. პესის ამ ფსევდონიმის ისტორია. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ვარაუდია გამოთქმული. RAF-ის მაიორის, გრევამ დონალდის აზრით სახელი ალფრედი ანგლო-საქსურად Alf ანუ Olf-ი, გერმანულად შეესაბამება Rot Olf-ს, რომლის უდერადობაც რ. პესის თითქოს ძალიან მოსწონდა. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის მოსაზრებით, ფსევდონიმის არჩევა განაპირობა წერილების ბოლოს მისი ნამდვილი სახელის წინა ასოს H-ს გამოყენებამ. ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა იმ მოსაზრებას, ვინც მიიჩნევს, რომ რ. პესმა სახელი - ალფრედი - მისი უმცროსი ძმისაგან ისესხა, რომელიც წლების მანძილზე ნაცისტური გერმანიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის უფროსის ერსებ ბოლეს მოადგილე იყო. გვარი ჰორნი, მისი სიდედრის მეორე ქმრისაგან აიღო, რომელიც გერმანიაში მსახიობი გახდათ.

ბრეკენს, გაეგო თუ რისი თქმა სურდა მას ჩემთვის. პერცოგთან სატელეფონო საუბრიდან, რამდენიმე წუთის შემდეგ ის (ბრეკენი) მომიბრუნდა სიტყვებით: „შოტლანდიაში რ. პესი ჩამოფრინდაო”[9,48].

ფრიად დამაფიქრებელია, ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია პესის პიროვნების დასადგენად, აივონ კირკპატრიკისა და ჯონ საიმონის საგანგებოდ გამოძახების შესახებ. უ. ჩერჩილი ან საბოლოოდ არ იყო დარწმუნებული მფრინავის ვინაობაში და ამისათვის სათანადო მტკიცებულებანი სჭირდებოდა, ანდა მან წინასწარ იცოდა მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ და სხვებისათვის თვალის ახვევის მიზნით გააჭიანურა იდენტიფიკაციის დადგენის დრო. შესაბამისად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში რ. პესის ვიზიტზე ახსნა-განმარტებითი სახის განცხადების გაკეთებაც დააგვიანა. ამან პარლამენტის წევრებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც უკვე ხმამადალი რეპლიკების სახით გაისმოდა. ვფიქრობთ, უ. ჩერჩილს ან ასეთი სახის განცხადების გაკეთება მოფიქრებული არ ქონდა, რასაც ადასტურებს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ა. იდენტან მისი გაცხარებული კამათი, ტიპიური განცხადების შედგენასთან დაკავშირებით ან პრემიერ-მინისტრის მხრიდან ეს მანევრი სწორი იყო, თუ რ. პესის საქმე კონფიდენციალურობის იმიჯით უნდა შენიდბულიყო. როდესაც პიროვნება ან ინდივიდთა ჯგუფი დაუყოვნებლივ ელოდება ასეთ ფანტასტიურ ამბავზე თფიციალურად რაიმეს შეტყობას, მისი გონება საამისოდ მთლიანად მობილიზებულია და უფრო აქტიური, ვიდრე ჩვეულებრივ დროს. ამიტომ, მას უნდა გადასცე აბსოლუტური სიმართლე ანდა მომხდარის შესახებ არაფერი თქვა. ამომწურავი ცნობების მიღებისთანავე პიროვნებისადმი დაუფლებული

მოუსვენრობა ქრება, მაგრამ შემდგომში დიდია მისით ამ საქმის მსვლელობით დაინტერესების ურყევი სურვილი. მეორე შემთხვევაში წავაწყდებით აშკარა წინააღმდეგობას, მაგრამ მით უკეთესი. ამ დროს პიროვნების შინაგანი ძალების ჯერ ნეიტრალიზება, შემდეგ კი თანდათან მოდუნება ხდება. თუმცა, ინდივიდს ყოველთვის ექნება სიმართლის გაგების სურვილი, მაგრამ მას ნაკლები რეაქციით შეხვდება. ამ შემთხვევაში, დიდ როლს თამაშობს დროის ფაქტორი და მასთან პირველი პირის მოჩვენებითი დაუინტერესებულობის ვიზუალური ხედვა. ასეთი ინტერპრეტაციის მატარებელია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის საქციელი, როდესაც მშრალი, არაფრისმთქმელი განცხადება გააკეთა პარლამენტში ჰესის ჩამოფრენიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ამასთან, მან არ უპასუხა არცერთი დეპუტატის შეკითხვას ამ ფაქტის შესახებ. სამთავრობო კულუარებში ცხარე კამათი მიმდინარეობდა ჩერჩილსა და იდენს შორის. ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე ვარიანტი შეადგინა, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა უარყო ისინი. ბოლოს ტელეფონის ყურმილიც კი დაუგდო პრემიერს კატეგორიული სიტყვებით: „განცხადება არ იქნება”, იმდენად არ მოეწონა შედგენილი განცხადების ასლი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ეხებოდა ყალბი განცხადების გაკეთებას, რასაც უფრო მეტი გამოხმაურება მოყვებოდა პარლამენტის წევრების მხრიდან. ამიტომ, მართებული გახლდათ იდენის პოზიცია განცხადების გაუკეთებლობის შესახებ. თუმცა, უ. ჩერჩილი, როგორც პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებლობას გრძნობდა თემთა პალატის წინაშე, რადგან ის კონსტიტუციით ვალდებული იყო დეპუტატებისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ანგარიში წარედგინა.

აშშ-ს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლის პარიმანის

მოგონებების მიხედვით, 1941 წლის 28-30 სექტემბერს, მოსკოვში გამართული კონფერენციის შემდეგ, სამი დღის განმავლობაში დასავლეთის დელეგაციათა ხელმძღვანელები, პარიმანი და ბივერბრუკი სტალინს 3-3 საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ. საუბრის პროცესში სტალინმა იკითხა ჰესი. ის, როგორც ჩანდა, ძალიან დაინტერესდა ბივერბრუკის მონაყოლით და ამბის მისეული შეფასებით. სტალინმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ჰესი ინგლისში ჰიტლერის თხოვნით არ გამგზავრებულა, მაგრამ სამაგიეროდ მისი ნებართვით წავიდა, რასაც ბივერბრუკი დაეთანხმა.

ბივერბრუკის ნაამბობის თანახმად, ჰესი ინგლისში ბრიტანელი არისტოკრატიის არც თუ დიდი ჯგუფის დახმარებით, ჩერჩილის საწინააღმდეგო მთავრობის შექმნის მოსაზრებით ჩამოვიდა. ეს განპირობებული იყო გერმანიასთან ზავის დადების მიზნით, რის შემდეგ გერმანია ინგლისის დახმარებით განახორციელებდა რუსეთზე თავდასხმას. „იოსებ სტალინი კმაყოფილებით ისმენდა ბივერბრუკის საინტერესო და დეტალურ კომენტარებს” – ვკითხულობთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მუდმივი მოადგილის, პარი ჰოპკინსის მემუარებში.

როგორც ჩანს, სტალინის კმაყოფილების გამომხატველი სახის რეაქცია მისავე აზრებთან შესაბამისობაში მოსვლის მიმანიშნებელია. ამ დროს, გარდაუვალია მოსაუბრის მიმართ სიმპათიური განწყობის დაუფლებაც, რაც ინდივიდის მსაზღვრელობითი ბუნების ნებაყოფლობით გამოვლენაზეა დამოკიდებული. სწორედ, სტალინთან შეხვედრის შემდეგ, ბივერბრუკი მეორე ფრონტის გახსნის კატეგორიული მომხრე შეიქნა. ამასთან, ინგლისში დაბრუნებულმა გააკეთა საყოველთაო განცხადება რუსეთის გადაუდებელი და საჭირო დახმარების აღმოჩენის თაობაზე. „ჩვენ რუსეთთან ერთად ვინაწილებთ ყველა

დარდსა და სიხარულს” – ერთმნიშვნელოვნად დასძინა ლორდმა.

მოცემულ შემთხვევაში, ინგლისელი ლორდისა და საბჭოთა კავშირის მეთაურის მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვა. მათი მხრიდან, საღი აზროვნების არსებობა და შემდეგ, ამ აზრების გამოთქმა ისეთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხზე, როგორიცაა რ. ჰესის გაფრენა, მისის მოტივის ლაკონური ახსნის ერთგვარი ლოგიკური დასასრულია. იოსებ სტალინ - ლორდ ბივერბრუკის საუბარი, აგრეთვე, გადმოცემულია 1983 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებში: „საბჭოურ-ინგლისური ურთიერთობები დიდი სამამულო ომის დროს 1941-1944წ.წ.” ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მათ შორის შეხვედრა 30 სექტემბერს შედგა. სტალინს უკითხავს ბივერბრუკისათვის: „როგორ არის ჰესი?” ამ უკანასკნელს უთქვამს: „მე ვიყავი მასთან 8 სექტემბერს”. სტალინის ირონიულ კითხვაზე: „განა ის ასეთი სტუმართმოყვარეათ?” – ბივერბრუკს მახვილგონივრული პასუხი გაუცია: „ის იმყოფება მავთულხლართებით შემოვლებულ სახლში, გისოსებიანი სარკმლების მიღმა*”. მან გადმომცა საკუთარი ხელით დაწერილი დაახლოებით 40-50 გვერდიანი მემორანდუმი, რომელშიც რუსეთის საწინააღმდეგო თეზისია განვითარებული. ის საყვედურობდა, რომ ინგლისის გადარჩენის მიზნით ჩამოსულს ციხეში ამყოფებდნენ და ახლობლებთან მიმოწერის ნებას არ აძლევდნენ. ბივერბრუკთან საუბრის პროცესში – როგორც თავად ლორდი აღნიშნავს, – ჰესი დაუინებით მოითხოვდა ჰიტლერთან დაკავშირების უფლებას. „ჩემი პირადი შეხედულებით, რომელსაც ჩერჩილი არ იზიარებს – განაცხადა ბივერბრუკმა სტალინთან საუბარში, – ჰესი ინგლისში ვიღაცის ნებართვით ჩამოვიდა, რადგან თავისი მომხრეების მეშვეობით ინგლისის მთავრობის

* ე. ი. სხვაგვარად პატიმრობის ჩვეულ ფორმაშით – (მ.ფ.)

საწინააღმდეგო მოძრაობა გამოეწვია. თუმცა, როგორც ირკვევა, მას შეთანხმებულ ადგილზე არ დახვდნენ, (მაგ. კენტის პერცოგი...) ან კიდევ არ მიაწოდეს საჭირო ინფორმაცია. ამასობაში მას საწვავი გამოელია და პარაშუტით დაშვება მოუხდა. ჩერჩილი კი ფიქრობს, რომ ჰესი არანორმალურია”[1,677].

ბივერბრუკის მიერ ხსენებული მემორანდუმის მხოლოდ სახელწოდება: „გერმანია-ინგლისის ურთიერთობაზე გერმანია-ბოლშევიკების ომის კუთხიდან”, შესულია უ. ჩერჩილის არქივში[1, 18], რომელიც 1974 წელს ჩერჩილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა. იმუამად, სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ქართველი პროფესორის, ლ. სვანაძის დაუინებული მოთხოვნის მიუხედავად, ამ დოკუმენტის ტექსტის გამომზეურება არ მოხდა. როგორც თავად პროფესორი გვამცნობს: მრავალი მიზეზების მოტანით, მათ სცადეს დოკუმენტის არარსებობის დადასტურება.

უ. ჩერჩილის არქივში მოცემული ერთ-ერთი დოკუმენტის საფუძველზე ბრიტანეთის მთავრობას საქმის კურსში ჩაუყენებია ირლანდიის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, რ. ჰ. მელვილი. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ა. კირკპატრიკის ირლანდიაში გამგზავრების ფაქტი[ჩერჩილის არქივი1,4], ლონდონის საპატიმროში ჰესის დაკითხვის შემდეგ. თუმცა საელჩოს ყოფილი წევრის გამგზავრებას ამ ქვეყანაში, პირადი ბიზნესით ხსნიან. ეს ვერსია უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ვფიქრობთ, კირკპატრიკმა მელვილს ჰესის დაკითხვის ანგარიში პირადად წარუდგინა, ისევე როგორც კრემლში ბივერბრუკმა სტალინს. სავარაუდოა, რომ კირკპატრიკი ამისთვის სპეციალურად გაემგზავრა, ხოლო ბივერბრუკი თითქოს არამიზნობრივად, კონფერენციაზე დასწრების მოტივით, მაგრამ ამ საკითხისათვის საკმაოდ მომზადებული. გავიხსენოთ, როგორ იწყებს საუბარს სტალინთან: „მე ვიყავი

მასთან 9 სექტემბერს”. ბივერბრუკმა იცოდა, რომ სტალინთან ამ თემაზე საუბარი გარდაუვალი იყო და როგორც ჩანს, ამისთვის სათანადოდ მომზადებულა. ალბათ, მას სურდა განაწყენებული სტალინის დამშვიდება, მასთან ზემოთმოხსენებული რუსეთის საწინააღმდეგო მემორანდუმზე „ალაპარაკებით”. ამიტომაც ისაუბრა ჰიტლერის წვლილზე ჰესის გაფრენაში, ჩერჩილის მთავრობის გადაყენებასა და რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-გერმანიის დაზაგებაზე, მაგრამ დაუმალა ის, რაც კრემლში 1944 წლის ოქტომბერში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან საუბრისას თავად სტალინმა ირონიით თქვა: „რ. ჰესი შეიტყუეს ინგლისში, ამის უკან უნდა იდგეს ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურით”[1,179] [43,466].

საბჭოთა ლიდერი მშვიდად ისმენდა უკვე კარგად ნაცნობ აზრებს. მისთვის მნიშვნელობა ქონდა იმას, რომ ყოველივე ამას თვით ინგლისელი ლორდი, ჩერჩილის მეგობარი უყვებოდა.

ხაზგასასმელია, სტალინთან ბივერბრუკის საუბრის დიპლომატიური სტილი. ვფიქრობთ, საუბარი მან ჩერჩილის მითითების შესაბამისად წარმართა. ერთის მხრივ, მას სწადდა ასეთი მნიშვნელოვანი აზრების გადმოცემით დაემალა მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ინგლისის დაზვერვის როლი რ. ჰესის გაფრენაში. მეორის მხრივ, მან საბჭოთა დიქტატორის თვალში წინ წამოსწია ინგლისის მთავრობის რენომე, ხაზი გაუსვა რა გერმანიის მხრიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიისაგან შემოთავაზებულ ზავზე უარყოფით პასუხს. ამის შემდეგ, სტალინი კიდევ უფრო მეტის გაგებით არ უნდა დაინტერესებულიყო და არც დაინტერესებულა. აკი ის მდუმარედ, ლიმილნარევი სახით უსმენდა ლორდს. კრემლში, უ. ჩერჩილთან გამართული საუბრის დროს სტალინმა ჰერცოგი ჰამილტონიც ახსენა ჰესის საქმესთან დაკავშირებით, რაც პრემიერ-მინისტრმა კატეგორიული ტონით

უარყო.

უ. ჩერჩილის არქივში დაცულია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მან თავდაცვის მინისტრს გაუგზავნა[1,11-12]. იგი ემყარება ავიაციის მინისტრის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 2 ივნის გაგზავნილ წერილს. სინკლერი წერდა ჰერბერტ მორისონს ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის მიერ გავრცელებული პამფლეტის თაობაზე, რომელიც ჰერცოგი ჰამილტონის რ. ჰესთან პირად მეგობრობას შეეხებოდა. სინკლერი ატყობინებდა მორისონს, რომ ჰერცოგს, რომელიც სამეფო საჰაერო ძალების ოფიცერია, „უშუალოდ გადასცეს პამფლეტის დაბეჭდილი ვარიანტი”[ჩერჩილის არქივი1,7], რომელიც მის რეპუტაციას აზიანებს. ამასთან დაკავშირებით, კომპარტიის ხელმძღვანელმა ჰარი ჰოლიგმა განაცხადა სასამართლოს უწყების მიღებისთანავე, ჰესის დაუყოვნებლივ მოწმედ აყვანის შესახებ. ჩერჩილი ამის კატეგორიული წინააღმდეგი წასულა, თუმცა ის მიუღებლად არ თვლიდა ჰამილტონის სურვილს თავისი დირსება სასამართლოში დაეცვა. ჩერჩილი თავის უარს ჰესის ჰალუცინაციებით ხსნიდა: „არავინ იცის, რას იტყვის ის ჯვარედინი დაკითხვის დროს”[1,12]. როგორც ჩანს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სურვილი გაითვალისწინეს, რადგან ჩვენთვის უცნობია საქმის მსვლელობა. ფაქტი ერთია, ჩერჩილის მხრიდან ჰერცოგის დირსების რეაბილიტაციის მცდელობა, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დასტურდება. მათი პირადი ურთიერთობის მოტივით, მსგავსის დაშვება წარმოსახვის უბრალო ლამინირებად მიგვაჩნია. უ. ჩერჩილის მკვეთრად გამოხატული პოზიცია, ჰერცოგის დირსების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ჩვეულ კრიტერიუმებს ცდება და მისი მხრიდან, ეს მარტო კეთილშობილური მიდგომით არ არის ნაკარნახევი. მოვალეობათა დიაპაზონზე გალდებულების წარმოჩენა

ქვეცნობიერი იმპულსია, რომლის საჯარო გამოვლენა აუცილებლობის ინსტიქტითაა ნაკარნახევი. ამიტომ, ინდივიდმა უნდა ჩაკლას ვალდებულების სპონტალური შეგრძნება, თუ მისი წარმოქმნის მოტივი რეალურ შემეცნებას ბოლომდე არ ექვემდებარება. მაშასადამე, უ. ჩერჩილის მხრიდან პერცოგის დაცვა მისთვის ანგარიშგასაწევ მოთხოვნილებად იქცა. პრემიერ-მინისტრის ოპტიმალური ხედვა შორსმჭვრეტელობის უნარით გამოირჩეოდა. მან იცოდა, რომ პამილტონს მხოლოდ ჰესის ნაცნობობისთვის არ მოუწევდა თავის დაცვა სასამართლოში. აქ იყო უფრო მნიშვნელოვანი, რაც სასამართლო მსვლელობისას უთუოდ გამოიკვეთებოდა. „ამიტომ – წერს უინსტონი – პერცოგი პამილტონი მაინცდამაინც ნუ გამოეკიდება თავისი რეაბილიტაციის მიზნით, სასამართლოში ჰესატან სარჩელს-ო”[ჩერჩილის არქივი1,12]. ნუთუ პერცოგი პამილტონი გახვეული იყო ჰესის სკანდალურ ამბავში და ამ საქმეში მისი სახელის გამჟღავნება პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური ანოტაციების ჩრდილქვეშ დგომის საშუალებას არ მისცემდა. გამოთქმული ერთ-ერთი მისაზრების თანახმად, „დაუპატიჟებელ” გერმანელ ვიზიტორს ჩერჩილი და მისი ზოგი კოლეგაც ელოდა. სხვაგვარად, რატომ არ გაუხსნეს მტრის საბრძოლო ტიპის თვითმფრინავს ცეცხლი საზღვრის გადაკვეთის დროს. როგორც ცნობილია, ის დააფიქსირა სარადარო სამსახურმა და ორი სლოვაკელი მფრინავიც დაადევნა. მფრინავთაგან ერთ-ერთი სერჟანტი ვაცლავ ბაუმანი, ფსევდონიმით „ფელიქსი” მეორე სერჟანტი ლეოპოლდ შრომი, მეტსახელად „პოლდა” გახლდათ. ჰაერში აჭრილებს მალე მოუგიდათ უკან დაბრუნების მითითება. ეს იმდენად დაუჯერებელი იყო თვით მფრინავებისთვისაც, რომ ამ მითითებამ განმეორებითი ბრძანებითი სასიათი მიიღო. მეტი დამაჯერებლობისთვის მოვიყვანთ მათ დიალოგს:

კონტროლი: „ფელიქს”, რეპარტი „კასტლი”. შეწყვიტე აქცია და დაბრუნდი უკან. დამიდასტურე.

„ფელიქსი”: პელოუ „კასტლ”, ფელიქსი გპასუხობს: ის სასროლ მანძილზეა.

„კასტლი”: ბოდიში, ფელიქს, ძველო მეგობარო, ეს შეუძლებელია, ახლავე უნდა დაბრუნდე.

ფელიქსი: წყეულიმც იყავით, მაშ რატომდა დაგვადევნეთ?”

ამასთან დაკავშირებით, ესკადრილის მეთაურმა ჯონ სიმპსონმა თავისი ხელმძღვანელობისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა, მაგრამ გარკვეული პასუხი არ მიუღია. თუ გავიხსენებთ, რომ ავიაციის ხელმძღვანელი პერცოგი პამილტონი იყო, ეს ფაქტი კომენტარს აღარ საჭიროებს. დავძენთ, უ. ჩერჩილი ელოდა რ. პესს ინგლისში, ხოლო პერცოგი პამილტონი მის გერმანელ მეგობარს ა. ჰაუსპოუერს, ამიტომ ეს უკანასკნელი ჩერჩილთან საუბრის პროცესში გაოცებას ვერ მალავდა, პრემიერი კი მას მშვიდად უსმენდა.

რ. პესის ინგლისში ჩასვლით, ჩერჩილს ომის შეჩერებისა და მილიონობით ადამიანის გადარჩენის შანსი ეძლეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მან ეს გზა უარყო, რადგან მას ხელისუფლებაში მხოლოდ ომი ინარჩუნებდა. ამასთან დაკავშირებით, ჩერჩილის არქივში მოცემულია, მოსკოვში ინგლისელი ელჩის სერ არჩილბად კლარკ კერის მოსაზრება, რომ პესს კავშირი ქონდა ე. წ. მშვიდობის თუ ზავის პარტიასთან, რომლის წევრები მას პირდებოდნენ ინგლისში ჩამოსვლის შემთხვევაში არა მარტო ზავის დადებას გერმანიასთან, არამედ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომში ბრიტანეთის ჩაბმასაც. კლარკ კერის ლონდონში გამოგზავნილი დეპეშებიდან ცხადია, რომ მშვიდობის პარტია მეორე ფრონტის გახსნას სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა.

ბუნებრივია, პარტიის წევრები გერმანიასთან დაზავების მომხრენი იყვნენ, მეორე ფრონტის გახსნა კი გერმანიის წინააღმდეგ ინგლის-აშშ-ის ერთობლივ ინტერვენციას ისახავდა მიზნად. არაერთგზის ავღნიშნეთ, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა იცოდა ყველა ის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ციკლი, რაც ჰქსსა და მშვიდობის პარტიის რიგ წევრებს შორის მიმდინარეობდა. ამიტომ ჩერჩილმა დაქსასა ყველაზე გაძედული გერმანოფილები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავიხსენოთ პაროლდ ნიკოლსონის მოსწრებული გამონათქვამი: „თანამედროვე პროგერმანიზმი არის ტალღა და არა მოქცევა. იგი მხოლოდ მერყეობისა და ინგლისის სისუსტის გამოვლენის შედეგია”[24,248].

როგორც ჩანს, ჰიტლერის მოადგილეს ინგლისში ჩაფრენისას სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი დახვდა. „უკვე ყველაფერი გვიანი იყო” – აღნიშნა კიდეც „ადამიანთა მოდგმის პატიმარმა”[18,13]. სწორედ, ამის გააზრების შემდეგ ჰქსმა თავი მშვიდობის დესპანად აღიარა, თუმცა „მშვიდობის მტრედობის” პრეტენზია მისი ინგლისში ჩაფრენის უგუნური გამართლების ცდა იყო. უ. ჩერჩილის პათეტიკური განაცხადი „ჰქსი ჩემი ტყვეა”, ამ გაფრენის ერთ-ერთ კვანძს ხსნის. შესაძლებელია, პრემიერის საიდუმლო ინიციატივით ფიურერის მოადგილე დიდ ბრიტანეთში SIS-ის სპეციალური განყოფილებებმა MI5 და MI6 შეიტყუეს. როგორც ირკვევა, დაზვერვის ეს უწყებები, უშუალოდ, პრემიერ-მინისტრის, სურვილისამებრ, მისავე დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ცნობილია, რომ უინსტონი გერმანელ ოპოზიციონერებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. 1939 წელს მაისში ლონდონში ჩამოვიდა ოპოზიციის „იდეური” ხელმძღვანელი კარლ ჰერდელერი, რომელიც პრემიერ-მინისტრს შეხვდა. საუბარი ძირითადად გერმანიაში არსებული ოპოზიციური ჯგუფის ირგვლივ მიმდინარეობდა, რაზეც

ჩერჩილს დიდი დაინტერესება გამოუმჯდავნებია.

ანალოგიური, რიგი ფარული კონტაქტები და მოლაპარაკებები ხორციელდებოდა პ. გერინგის მეთვალყურეობის ქვეშ. დავიწყოთ იმით, რომ მისი საიდუმლო მრჩეველი, ვოლტატი 1939 წლის ივლისში იმყოფებოდა ლონდონში ორმაგი დავალებით. დავალება, შეეხებოდა მოლაპარაკებებს ვეშაპებზე ნადირობის შესახებ, პარალელურად კი აწარმოებდა არაოფიციალურ მოლაპარაკებებს. კითხვაზე: „ბერლინში თუ დაინტერესდნენ ამით?” მან უპასუხა: „რა თქმა უნდა! თვით გერინგი მაშინ თავის მამულში, კარინხოლში იმყოფებოდა, მაგრამ ბერლინში დარჩა მისი ადიუტანტი ბოდენშტაცი, რომელსაც მე რეგულარულად მოვახსენებდი ჩემი მოლაპარაკებების შესახებ”[38,230].

როგორც ცნობილია, ვოლტატს ქონდა საკუთარი მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა ინგლის-გერმანიის შეთანხმების მიღწევას. გერმანიაში, ამ დროისათვის, აზრთა სხვადასხვაობა იყო. იოახიმ ფონ რიბენტოპი თვლიდა, რომ „პოლონეთზე თავდასხმის შემთხვევაში ინგლისელები არ იბრძოლებენ და ამიტომ გერმანია-ინგლისის თანამშრომლობა არაფერში არ გვჭირდება.” გერინგი კი ამის საწინააღმდეგო აზრზე იდგა. ამიტომ ვოლტატის მემორანდუმის შესახებ მან ფიურერს მოახსენა, რამაც თავის მხრივ ამ უკანასკნელის დაინტერესება გამოიწვია:

—„კიდევ ვინ იზიარებს თქვენ მოსაზრებას? — უკითხავს ჰიტლერს.

—„შემიძლია დავასახელო ამერიკის ელჩი ლონდონში უზენადი. მისი აზრი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩემი ლრმა რწმენით გერმანიას არ შეუძლია იმოქმედოს მარტომ, თუნდაც ამერიკელების გარეშე...

—„კიდევ ვინ?”— უფრო ლრმად ჩაეჭიდა საკითხს ჰიტლერი

–,,ჩვენი ელჩი ლონდონში დირკსენი, საგარეო საქმეთა მინისტრის სახელმწიფო მდივანი ფონ ვაიცჰეკერი[38,229].

უნდა აღინიშნოს, რომ ვოლტატი ინგლისელი პარტნიორების რიცხვიდან ასახელებს სერ ჰორას ვილსონს, ის ხელმძღვანელობდა ე. წ. „სამოქალაქო სამსახურს”, პრაქტიკულად პრემიერ-მინისტრის ნ. ჩემბერლენის ახლო მრჩეველი გახლდათ. ვოლტატს არაერთი შეხვედრა ქონია მასთან როგორც დაუნინგ სტრიტზე, ასევე ხაზინის შენობაში, სადაც მას კაბინეტი გააჩნდა, რომელსაც ასეთი ფარული მოლაპარაკებების დროს იყენებდა. „მახსოვს, – იგონებს ვოლტატი – ჩემი ლონდონში მორიგი გამგზავრების წინ, მინახულა დაზვერვის შეფარვა ადმირალმა კანარისმა, რომელმაც მითხრა: „თქვენ მალე მიიღებთ დავალებას ინგლისელებთან მოლაპარაკების წარმართვის შესახებ”-ო[38,229].

მაშასადამე, რ. ჰესის ინგლისში გაფრენამდე, ამ ქვეყანასთან მოლაპარაკების დაწყების ნიადაგი ისინჯებოდა. სხვადასხვა დიპლომატიური არხების გამოყენებით, ამ ქვეყანასთან ფარული მოლაპარაკების დაწყების პერსპექტივა იმდენად დიდი გახლდათ, რომ ამ მისიას პომპეზურობის იერსახეს სძენდა. ამიტომ მის შესრულებაზე, უკვე დასახელებულ პირთაგან*, უარი არავის უთქვამს. ჰ. გერინგს ინგლისთან მოლაპარაკების საკუთარი კონტაქტები გააჩნდა. ამ რანგში, ვოლტატის გარდა, უნდა დავასახელოთ შვედი მრეწველი ა. ვენერ-გრენი, რომელიც წლების მანძილზე მეგობრობდა გერინგთან. ის შვედური ელექტროტექნიკური ფირმის „ელექტროლუქსის” პატრონი იყო. დიდი ხნის წინ კავშირი ჰქონდა კრუპთან. როგორც ირკვევა, გერინგის თხოვნით ვენერ-გრენი 1939 წლის ივლისში ჩავიდა ლონდონში და გადასცა ჩემბერლენს წინადადებები „კოლონიურ

* ვალისხმობთ, ერნესტ ბოლესა და ჰ. გერინგს

საკითხში „კომპრომისის” და საერთოდ, ინგლის-გერმანიის კომპრომისული გადაწყვეტილების შესახებ. გერინგს ჰყავდა კიდევ უფრო ენერგიული ემისარი შვედი მრეწველი ბირგერ დალერუსი. ამ პიროვნების გამოჩენა საერთაშორისო საიდუმლო დიპლომატიის არენაზე, ერთი შეხედვით, შემთხვევითი იყო. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზები: გერინგის შვილმა (პირველი ქორწინებიდან) შვედეთის ქვეშევრდომმა, თომას ფონ კანტცოვმა 1938 წელს მიიღო ადგილი ფირმაში, რომელიც ეკუთვნოდა დალერუსს. დალერუსის კარგად გაცნობით კატცოვი მიხვდა, რომ უზრუნველყოფდა მშვენიერ კავშირებს სიტიში და ბრიტანელ კონსერვატორებს შორის. ამიტომ მან მოიპატიუა დალერუსი გერინგის რეზიდენციაში კარინხოლში, სადაც მან გადასცა გერინგს თავისი იდეა: „ომის თავიდან აცილებისათვის მოეწყოთ შვეიცარიაში გამოჩენილი ინგლისელი მრეწველების შეხვედრა გერინგთან. შესთავაზა შეხვედრის ადგილიც: გრაფი როზენის სასახლე. ფაქტია, რომ ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებათა პროცესში ჩაერთვნენ არა მხოლოდ დიპლომატები, არამედ მრეწველებიც. ანალოგიურ შეხვედრას ადგილი ქონდა უფრო ადრე, დალერუსის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, სადაც განიხილეს ინგლის-გერმანიის ურთიერთობის უმნიშვნელოვანები პრობლემები. სწორედ, ამის შემდეგ დალერუსმა შეძლო გამოსულიყო ახალი შეხვედრის ორგანიზატორად. ის დაბრუნდა გერმანიაში და შეხვდა გერინგს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, შეხვედრის ადგილად* უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს დალერუსის მეუღლის მამული „ზიონკე ნისენ კოგ”-ი, შლეზვიგ-ჰოლშტეინში, დანიის საზღვართან ახლოს. შვიდი ინგლისელი მრეწველი ჩარლზ სპენსერის ხელმძღვანელობით, სათითაოდ, განსხვავებული მარშუტით

* დასახელებული იყო შვეცია, იახტა ბალტიკაში

ჩამოვიდნენ ჰამბურგში. შემდეგ მანქანებით, რომლებზეც ამართული იყო შვედური დროშები, გაემართნენ „ზიონკე ნისენ კოგ-ში”. როგორც ცნობილია, გერინგი ამ დროს ისვენებდა ზილტის კუნძულზე, საიდანაც ის წავიდა მახლობელ სარკინიგზო სადგურზე, ხოლო აქედან პირადი მატარებლით დალერუსის მამულში. ირკვევა, რომ ჰ. გერინგი ინგლის-გერმანიის მოლაპარაკების არა მარტო მომხრე, არამედ აქტიური მონაწილეც ყოფილა. უფრო მეტიც, 1939წ. აგვისტოს შუა რიცხვებში ინგლისში მისი გაფრენის იდეა მუშავდებოდა. ერთი შეხედვით, ეს გეგმა გამოიყურებოდა სუფთა ნაცისტური სტილის ავანტიურად. ჰ. გერინგი, 1939წ. სექტემბრიდან პიტლერმა თავის მემკვიდრედ დანიშნა. ის „ლუფტვაფეს” მსოფლიო ომისათვის ამზადებდა და მოულოდნელად ლონდონში?

კულისებს მიღმა არსებულ დიპლომატიას აქვს თავისი სპეციფიკური კანონები, რომელიც ლოგიკურ განხილვებს არ ექვემდებარება. საბოლოოდ, როგორც ვიცით, რ. ჰესი გაფრინდა ინგლისში იმ მომენტში, როდესაც გერმანია ამ ქვეყანასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რატომ არ გაფრინდა გერინგი ომამდე? ცნობილია, რომ გერინგის გაფრენის გეგმა დაწვრილებით შემუშავებული იყო. ამას ადასტურებს, 1939 წ. 21 აგვისტოს ლონდონში, ბერლინში ინგლისის ელჩის, ნევილ ჰენდერსონის განცხადება: „ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ გერინგმა მოახდინოს საიდუმლო ჩამოსვლა ოთხშაბათს, 23-ში. ჩანაფიქრი მდგომარეობს იმაში, რომ ის უნდა დაჯდეს რომელიდაც ცარიელ აეროდრომზე, სადაც მას დახვდება ავტომანქანა, რომელიც წაიყვანს ჩეკერსში*. ამ დროისათვის მომსახურე პერსონალი უნდა დაეთხოვათ, ხოლო ტელეფონები უნდა გაეთიშათ. ყველაფერი

* საყურადღებოა, რომ შეხვედრის ადგილად დასახელებულია ჩეკერსი, ჩერჩილის საზაფხულო აგარაკი

მეტყველებდა იმაზე, რომ ხდებოდა დრამატული ამბავი და ჩვენ ველოდით მხოლოდ მტკიცებულებას გერმანიის მხრიდან”[38,237]. როგორც ვიცით, გერინგი ლონდონში არ გაფრენილა. მთელი ეს დეზორიენტირებული მანევრი მიმართული იყო ბრიტანელი ლიდერების სიფხიზლის „მოდუნებისაკენ”, ისინი ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ, რომ კუნძხე დებდნენ „ბერლინის იასამანს”.

ცნობილია, რომ რ. ჰესის ინგლისში გაფრენის ერთ-ერთ მოტივად, უ. ჩერჩილის სახელისუფლებო პოზიციებიდან ჩამოშორება სახელდება. საუბარია, ინგლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ფიურერის მოადგილის ხელმძღვანელობით. ამიტომ იყო დაინტერესებული პრემიერ-მინისტრი, მესამე რაიხის რომელიმე ბელადის და მით უფრო, რ. ჰესის ჩამოსვლით მის ქვეყანაში. ადვილი შესაძლებელია, ჩერჩილს სურდა, მის მიმართ უარყოფითად განწყობილი ე.წ. „ოპოზიციონერთა” რიგები პიტლერის საწინააღმდეგოდ მოემართა და ეს ყველაფერი ეწარმოებინა SO1 და SO2*-დმი მიცემული დავალების პარარელურად. ჩვენთვის ცნობილია, რომ სადაზვერვო უწყების ამ სპეციალურ ქვეგანყოფილებებს დაავალეს პიტლერის მოწამვლა ან მისი ტანსაცმლის მომაკვდინებელი ბაქტერიით გაუდენთა. გავიხსენოთ, თუ რას ეუბნება ფიურერი კარლ ვოლფს მის წინააღმდეგ მოწყობილი „გენერალთა შეთქმულების” შესახებ 1944 წელს ბერგხოფში დადებული ბომბის აფეთქების შემდეგ: „რ. ჰესი უნდა ჩამოვახრჩოთ, ეს ყველაფერი იქედან მოდისო”[37,118]. ვფიქრობთ, პიტლერი მიუხვდა ჩერჩილს ჩანაფიქრს, მაგრამ იმ წუთებში ვერ გათვალა მისი მოადგილის ერთგულების ფასი. თუმცა, მოგვიანებით, მან ეს აზრი უარყო. რ. ჰესი კი სიკვდილის

* SO1 – SO2(აბრ) Spesial operations - სპეცსამსახურები

ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. როდესაც მას საპყრობილები ჰქიტლერის ეს ფრაზა შეგნებულად უთხრეს, ის ძალიან შეწუხდა და დანანებით წარმოთქვა: „მართლა ასე თქვა? ის შემირიგდებოდა მე, აუცილებლად შემირიგდებოდა.” ჰესის მეტი არაფერი უთქვამს.

მაშასადამე, უ. ჩერჩილის ჩანაფიქრმა რ. ჰესის ჰქიტლერის წინააღმდეგ უარყოფითად განწყობისა არ გაამართლა. სამაგიეროდ, ომის დროს ფიურერის მოადგილის უბრძოლველად ხელში ჩაგდებამ, მსოფლიო მასშტაბით მას თავისებური „პოპულარობა” შესძინა. ამიტომ გამოაცხადა მან რ. ჰესი პირად სამხედრო ტყვედ, რაც ესოდენ ძვირფასი მონაპოვარი იყო, ომის დროს საბრძოლო პროპაგანდის თვალსაზრისით.

ამრიგად, რ. ჰესის ინგლისში გაფრენის მიზანი ერთის მხრივ პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელებით იყო მოტივირებული, ორ ფრონტზე ომის აცილების საშიშროებიდან გამომდინარე. ის ძირითადად მიმართული იყო ბოლშევიკური საფრთხის მქონე ქვეყნის, რუსეთის წინააღმდეგ. დეზავიურებული ინგლისი რუსეთთან ომში ჰქიტლერის დიპლომატიური რევენანსის მორიგი გამოხატულება იყო, რადგან რუსეთის დამარცხების შემთხვევაში ინგლისთან ზავი დროებითი იქნებოდა. რ. ჰესი დიდ ბრიტანეთში მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლისდვრის აცილების მოტივით ჩავიდა ანუ კაცომოყვარული მისით, რაც გაცხარებული გერმანია-ინგლისის ბრძოლის დროს ერთობ რეალური და ანგარიშგასაწევი გახლდათ. ეს მის მისიას დამაჯერებლობის იმიჯით ნიღბავდა, რაც თავისთავად წარმატების მეტი შანსის შემცველია. ასე რომ კარგად გააზრებული და ინგლისის პრემიერ-მინისტრზე დამიზნული მისიის არსი კარგად გათვლილი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. უინსტონ ჩერჩილმა შეთავაზებულ ზავზე უარით უპასუხა. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრი უარს იტყოდა დაზავებაზე, მისი გადაყენება შეეძლოთ

იმდროინდელ არისტოკრატიასთან კავშირის დამყარებით, მთავარი იყო თვით მეფე როგორ პოზიციას დაიჭერდა საკითხთან მიმართებაში, ვისთანაც აუდიენცია უნდა უზრუნველყო პერცოგ ჰამილტონს, რომლის უკან დიდი ბრიტანეთის დაზვერვა იდგა. ჰამილტონთან დაკავშირება ალბრეხტ ჰაუსკოფერის პრეროგატივაში დატოვეს, რომელიც იმხანად ჰქონის მრჩეველი გახლდათ ინგლისურენვანი ქვეყნების საკითხში. ჰამილტონი მისი ნიჭის უდავო ამდიარებელი გახდა, რაც მათ შორის დამეგობრების საფუძველი შეიქნა. პ. ჰაუსკოფერმა კი რ. ჰქონი იდეოლოგიურად მოამზადა გაფრენის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. რ. ჰქონი მისი სტუდენტი იყო და მასზე მისი გავლენა დიდი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჰქონი მისი იდეებით იყო აღზრდილი და თავადაც ამ კუთხით ქონდა გააზრებული გაფრენის ჭეშმარიტება. მან სხვა შედეგი ვერ ირწმუნა, გარდა გამარჯვებისა. იქნებ ეს მისი ერთგვარი სისუსტეც გახლდათ, მაგრამ მასში უდაოდ იდო ძალისხმევა გამარჯვების მიღწევის საქმეში. ამ ძალისხმევამ ის უფრო ფართო ასპარეზზე გაიყვანა და ამიტომ ბოლომდე გაწია რისკი. გამარჯვების რწმენამ გააძლიერა და ამ იმედით ცხოვრობდა, მაშინაც კი როცა იმედი ფაქტობრივად ხელიდან გამოეცალა. მაგრამ სულით არ გატეხილა, რადგან სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო ამ მისის მიზანშეწონილობოს სისწორეში, ეს იყო მთავარი.

ინგლისში გაფრენას ერთი მიზანი ქონდა, ნებისმიერ შემთხვევაში ჰქონი წავიდოდა თუ გერინგი. ინგლის-გერმანიის ურთიერთობის საკითხი ყოველმხრივ იხილებოდა და დღის წესრიგში იდგა. ისინჯებოდა სხვადასხვა გარიანტები და შემოვლითი გზებიც ამ სახელმწიფოსთან კავშირის დამყარების მიზნით. უფრო მეტიც, მათი შესაძლებლობების მაქსიმუმი ამით არ იწურებოდა. ისინი ცდილობდნენ იმ ოპოზიციური ტალღის აგორებას, რასაც ჩერჩილის

საწინააღმდეგო ქმედითი ნაბიჯები უნდა მოყოლოდა. რადგან პრემიერ-მინისტრი გერმანიასთან ზავის დადების მომხრედ არ მოიაზრებოდა, შეიქმნა დაჯგუფება „პოტენციურად მძლავრი უმცირესობისა.“ ასევე ფარულად იხილებოდა გერმანიაში პიტლერის გადაყენების საკითხი, რომელიც აუცილებელ წინაპირობად მიიჩნეოდა ინგლისთან ზავის დადების წინ. ამ თვალსაზრისით, ძალიან აქტიურობდა ა. ჰაუსკოფერი, რომელიც საბოლოოდ ამ საქმეს შეეწირა.

თავი III

დაზვერვის ანონიმური ვარიაცია პოლიტიკური როლების ტელეოლოგიურ განზომილებაში

ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ანონიმური როლის განსაზღვრა, რუდოლფ ჰესის მისიაში კარგად გააზრებული მომიჯნავე ფაქტების ანალიზის შედეგად მიმდინარეობს. მისი დისბალანსი არაერთგვაროვანი კოორდინირების ხარჯზე ხდება. გარემოებათა გეგმაზომიერი კლასიფიკაცია, დაზვერვის სანიმუშო მეთოდებისა და პროფესიული დახელოვნების ერთგვარ ნაზავს იძლევა. რ. ჰესის ინგლისში გაფრენის ტიპოლოგიური მახასიათებლების მიღმა, ორი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის რეალური მოქმედების შედეგს ვაწყდებით. აბვერის მეთაურის, ადმირალი კანარისის ფარული კავშირები დიდი ბრიტანეთის რიგ წარმომადგენლებთან, საკუთარი საიდუმლო არხების გამოყენებით წარმოებდა. როგორც ცნობილია, ის ვატიკანის მეშვეობით ლორდ ჰალიფაქსთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. მოლაპარაკებათა დიაპაზონზე ფიგურირებს ქალი – მადამ სინესკუს სახელით, ბერლინში 1940 წ. ტყვედ ჩავარდნილი პოლონეთის ყოფილი სამხედრო ატაშეს მეუღლე. ადმირალი კანარისი დროდადრო ნახულობდა მადამ სინესკუს, ხოლო მისი წასვლის შემდეგ მასთან SIS-ის ადგილობრივი განყოფილების უფროსი მიდიოდა და კანარისთან საუბრის შინაარს გადასცემდა. კოდირებული ინფორმაცია დეპეშით გადაიცემოდა ლონდონში, სტიუარტ მენზისის დახმარებით, რომლის სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ყოვნა, უ. ჩერჩილში ერთგვარი დისკომფორტის წარმოქმნის

სტიმულს ქმნიდა. როგორც დე კურსი* იტყობინება, მენზისმა უინსტონს პირადად გადასცა კანარისიდან მოსული საიდუმლო ცნობები, „ულტრა” მასალებთან ერთად. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ამგვარად, მიიღო ცნობა პიტლერის აღმოსავლეთისაკენ შებრუნების შესახებ.

როგორც ჩანს, კანარისი საკუთარი ქვეყნის გამცემლობაზე მიდიოდა. შინაგანი სიმდაბლის გამოვლინების ეს არასასიამოვნო სიმპტომი, საზოგადოების გაკილვის საგანი ხდება. ასეთი ინდივიდი სხვა ეროვნების ხალხთა მხრიდანაც დიდ აღფრთოვანებას არ უნდა ელოდოს, რადგან მასში პატრიოტიზმის მცირე ნიუანსი არ მოიძებნება. საკუთარი ქვეყნისადმი შეგნებული დალატი პიროვნებაში გამოკვეთილ ვერტიკალს იძენს და მასში საპირისპირო თვისებასთან განშორების კლებადი კოეფიციენტი ლამის ნულს უტოლდება. დალატი - თვისებაა, რომელიც ხშირად შინაგანი ძალების კონკურენციის მიღმა რჩება, ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში იჩენს თავს. ასეთი პიროვნებისადმი შიშისა და სიფრთხილის შეგრძნების ალბათობა უფრო მეტია, ვიდრე სიყვარულისა და მისი მოქმედებით გამოწვეული აღტაცების სურვილი. სათანადო ენთუზიაზმს მოკლებული ამ პიროვნებათა გარემო, განსხვავებულ აზროვნებას აყალიბებს. ისინი საკუთარი თავის მიმართ არად დაგიდევთ სხვათა დამოკიდებულებასა და განცდებს. მათი დაინტერესების სფერო მხოლოდ ასეთი მიმართულებით შემოიფარგლება იმის მიუხედავად, რომ მათ იციან რასაც აკეთებენ. სადაზვერვო სამსახურის ასეთი ტიპის ადამიანებით დაკომპლექტება გონების დიდ ძალისხმევასა და გათვითცნობიერების რთულ მეთოდებს მოითხოვს. ამ სამსახურის ხელმძღვანელად მთავრობის მიერ სპეციალურად შერჩეული პირი

* დე კურსი – SIS-ის ადგილობრივი განყოფილების ოფიცერი

ინიშნებოდა, ეს უკანასკნელი კი მის შემაღვენლობაში* სხვა
ადამიანების მოძებნასა და შეყვანას უზრუნველყოფდა, ოდონდ
აუცილებლად თავის ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებით.
ნიშანდობლივია, რომ ჩერჩილმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ
მაშინვე გაათავისუფლა უსაფრთხოების საშინაო სამსახურის
დამფუძნებელი და მეთაური სერ ვერნორ კელი. ის SIS-ის მეთაურის
პოსტზე სტიუარტ მენზისის დანიშვნის წინააღმდეგი იყო, რადგან
მასში პრემიერ-მინისტრი გერმანელებთან კომპრომისული ზავის
დადების მომხრეთა მიმართ გულშემატკივარსა და თანამოზიარეს
ხედავდა. ასეთ რიგებში კი ნ. ჩემბერლენის სამხედრო კაბინეტის
ისეთი გავლენიანი წევრები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ
ჰალიფაქსი, ჰორი და საიმონი. მათი მთავარი კრედო კომუნიზმის
წინააღმდეგ გერმანიის გაერთიანება გახლდათ, რასაც იმპერიის
გადარჩენის ერთადერთ შესაძლებლობად მიჩნევდნენ. ჩერჩილმა
იცოდა, რომ გერმანიასთან კომპრომისული ზავი დროებითი
იქნებოდა, ეს კი ამ უკანასკნელს დროის მოგების საშუალებას
მისცემდა. ნაცისტებთან ომი ადრე თუ გვიან გარდაუვალი იყო.
დედით ამერიკელ პრემიერს გერმანიასთან ბრძოლაში მოკავშირედ
აშშ-ი ესახებოდა, მენზისს კი ამერიკისადმი ცივი დამოკიდებულება
გააჩნდა. ეს უინსტონს მენზისის SIS -ის მეთაურად დანიშვნის
საწინააღმდეგო მიზეზს აძლევდა. ამიტომ ჩერჩილმა მენზისთან
დამაკავშირებელ რგოლად და მასზე კონტროლის გაწევის მიზნით
თავისი პირადი მდივანი მაიორი დეზმონდ მორტონი დანიშნა,* ხოლო
სადაზვერვო სამსახურის ფილიალების SO1-სა და SO2-ის
სელმდლვანებლად ჰიუ დალტონი მიავლინა. პრემიერ-მინისტრის
მხრიდან ეს მეტისმეტად კარგად გათვლილი მანევრია. მან, ამით

* დეზმონდ მორტონი — დაზვერვაში პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან მუშაობდა

ერთგვარი კონტროლი დააწესა პრემიერ-მინისტრის კომპეტენციიდან უკვე გამოსული დაზვერვის საქმიანობაზე და მას მიზანმიმართული, საკუთარი ნება-სურვილის ძლიერი გამოხატულების ტაქტიკა შესძინა. ამავდროულად, მან მეორე სახელისუფლებო ორგანოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთგვარი დამორჩილებაც მოახერხა, რამეთუ მას SIS-სი ექვემდებარებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი და მისი მუდმივი თანაშემწე კადოგანი, ჩერჩილისაგან განსხვავებული სტერეოტიპების მატარებლები აღმოჩნდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე რიჩარდ თსტინ ბატლერი (რაბი) გერმანიასთან ზავის დადების იდეას არამარტო იზიარებდა, არამედ მისი სისრულეში მოყვანის რალურ გზებს სახავდა. კენეტ და კურსი იგონებს შეხვედრას, რომელიც მას ბატლერმა მოუწყო თავისი პირადი მდივნის, ბრიტანულ ელიტაში საკმაოდ მიღებული ფიგურის, ჩენონის სახლში, ბელგრეივ-სკვერში. შეხვედრის თარიღად 1940 წლის 7 ივნისი სახელდება, საფრანგეთის დაზავებამდე ცოტა სხით ადრე. ბატლერის ცნობით, ისინი ვატიკანის გზით ჰიტლერთან შეხვედრას გეგმავდნენ და მისი მხრიდან, მათ მიერ წამოყენებულ საზავო პირობების მიღებაზე მუშაობდნენ. ამის შემდეგ, ბუნებრივია, და კურსს გაუჩნდა კითხვა საზავო პირობების შესახებ. ბატლერის თქმით, ისინი გერმანიის მფლობელობაში მხოლოდ რეინის დატოვების მომხრენი იყვნენ. თავის მხრივ, და კურსმა ასეთ ინიციატივაზე უარი განაცხადა, შესთავაზა რა დახმარებისათვის მიემართათ აშშ-ის ელჩისათვის, უოზეფ კენედისათვის. ამ უკანასკნელის როლი იმით ამოიწურებოდა, რომ მას ამერიკელებზე გავლენა უნდა მოეხდინა, მათთვის შთაგონებინა, რომ იმ შემთხვევაში თუ გერმანია უარს იტყოდა ამ საზავო წინადადებების განხილვაზე, მაშინ კონგრესი უნდა გამოსულიყო „პარლამენტის მემორანდუმის” მსგავსის ინიციატივით, რომელიც აშშ-ს

ბრიტანულთან გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის უფლებას აძლევდა. ცნობილია, რომ ბატლერმა ამერიკის ელჩისათვის ამ იდეის გადაცემა დე კურსს დაავალა, რომელმაც ეს მისია წარმატებით შეასრულა. როგორც ეს უკანასკნელი იხსენებს, ჟ. კენედი მისდა გასაოცრად დამყოლი აღმოჩნდა. ამ საუბრის შემდეგ ბატლერმა კარლტონ კლუბში მოიხმო დე კურსი და ამცნო ჰალიფაქსის კმაყოფილება და სურვილი ჟ. კენედისთან კვლავ შეხვედრის შესახებ. მალე, იმავე საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულების შესაბამისად, დე კურსი სენ ჯეიმსის პარკის ხიდთან „შემთხვევით“ ჩიპსი ჩენონს შეხვდა, რომელმაც მას ამერიკის ელჩთან მოლაპარაკების გაწყვეტის აუცილებლობა ამცნო. „ჩემი უფროსი ჟ. კენედისთან მოლაპარაკების დაწყების გამო დიდ უსიამოვნებაში აღმოჩნდა. თქვენ ჩემს უფროსთან მიმოწერა უნდა გაანადგუროთ, შემდეგ გაემგზავრეთ შოტლანდიაში და დაჰყავით იქ რამდენიმე კვირა. ამასთან, არც ერთ დიპლომატს არ შეხვდეთ“[43,202]. ირკვევა, რომ ჟ. ჩერჩილს სპეციალური სადაზვერვო არხის წყალობით, ზემოთდასახელებული ინგლისელი მაღალჩინოსნების მიერ, მოლაპარაკების დაწყების მცდელობა აუწყეს. მან ისიც განჭვრიტა, რომ ამჯერად ეს, ამ რანგში, უსათუოდ პერსპექტიული წამოწყება იქნებოდა, საქმეში მეტად გავლენიანი ფიგურების ბატლერისა და ჰალიფაქსის უშუალო ინიციატივის გამო. ეს უკანასკნელი პრემიერ-მინისტრისათვის იმდენად ანგარიშგასაწევი გახლდათ, რამდენადაც მისი მოცილე კანდიდატის აღქმიდან გამომდინარე. პოლიტიკური კონკურენტობის სიმწვავის შეგრძნება გადაჭარბებული სიფრთხილის საწინდარია. ამ დროს, მის შეგნებაში მეორის კონტროლის მაქსიმალური ხედვის იმპულსები იმძლავრებს და თვითდაკვირვებისა და თვითრწმენის ურთიერთშეფარდებითი ქმედებების მარეგულირებელი ძალის გავლენის ქვეშ ხვდება. კონკურენტზე

გამარჯვების მოპოვების და ამ გამარჯვების შენარჩუნების მოტივით, ის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, რათა მასზე გავლენის მოხდენის უნარი შეგწევდეს ანდა მთავრობის უშუალო სადავეებიდან მისი ჩამოშორების მიზეზით ქვეყნიდან წარგზავნო ელჩის საუკეთესო „ტიტულის” საბაბით. როგორც ვიცით, უ. ჩერჩილმა ეს დიპლომატიური მანევრი ორი პიროვნების პორისა და პალიფაქსის მიმართ განახორციელა. ცნობილია, თუ როგორ ჩამოაშორა ნ. ჩემბერლენმა სერ რობერტ ვანსისტარტი საგარეო საქმეთა სამინისტროს, მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო და ის ელჩად დანიშნა.

უ. ჩერჩილს საკუთარი დიპლომატიური ალდო განსხვავებულ აზრს უკარნახებდა. მან იცოდა, რომ ამ ცნობილი და გავლენიანი ადამიანების გვერდით იდგა მისი მეგობარი, „მეგობარი ცუდ ამინდში”, – როგორც თავად უწოდებდა ლორდ ბივერბრუკს. ის იყო პარლამენტის აქტიური წევრი მემარჯვენე ფრთიდან. გერმანელებთან დამოკიდებულების საკითხში მისი მსოფლმხედველობა გამოიხატა იმით, რომ თავის გაზეობში: „სანდი ექსპრესში” და „ივნინგ სტენდარტში” პოპულარული ავტორის, ლიდელ ჰარტის სტატია დაბეჭდა, სადაც ავტორი მოითხოვდა გერმანიასთან ზავის სწრაფად დადებას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით. გარდა ამისა, ის ჟ. კენედის მეგობარი იყო, რომელიც გერმანიასთან დროებითი ზავის დადების მომხრეთა რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ. ეს პესიმისტი ავტორი* თავის ერთ-ერთ არაოფიციალურ მოხსენებაში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის მხარდამჭერად გამოდის, მისი კვლავ დაბრუნების ინიციატივით, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებაში, თითქოს მხოლოდ ლოიდ ჯორჯს მიუძღვდა ლომის წილი. ეს იცოდა

* იგულისხმება ლორდი ბივერბრუკი

ჩერჩილმა. ამ იდეის გამტარებელთა დაჯგუფებაში თავს იყრიდა გერმანიასთან ზავის დადების მომხრეთა საზოგადოების ნაღები ე.წ. ბრიტანეთის ელიტა, რომელთაც უ. ჩერჩილის პრემიერ-მინისტრობიდან გადაყენების ისეთივე მეთოდები გააჩნდათ, როგორიც 6. ჩემბერლენის შემთხვევაში გამოიყენეს. ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებები, ასევე სადაზვერვო სამსახურები ჩერჩილის ირგვლივ ანალოგიური ლაფსუსების წარმოქმნას იტყობინებოდა. დიდი ბრიტანეთში წარმოქმნილი ძლიერი დაჯგუფება, „მშვიდობის პარტიის” სახელწოდებით, ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს პრემიერის ჩამოსაგდებად, რაც გერმანიასთან მოლაპარაკების აუცილებელი წინაპირობა იყო. ბერლინში, ინგლისის საელჩოს ყოფილი მდივნის, კირკპატრიკის კითხვაზე: „რას იტყოდით ინგლისის მთავრობაზე?” რ. ჰესმა უპასუხა: „ო, ეს არარაობაა. ვინ შედის ჩერჩილის მთავრობაში? არავინ სულელთა გარდა, რომლებსაც სურთ გერმანიის განადგურება და მსოფლიოს დაყენება ბოლშევიკური საფრთხის წინაშე. მხოლოდ მეფეს შეუძლია ჩვენთან ზავის დადება”**[1,620]. რ. ჰესმა, იცოდა ბრიტანული საზოგადოების განწყობა მებრძოლი სულისკვეთების მქონე პრემიერ-მინისტრის მიმართ. უ. ჩერჩილის მიერ სახელწიფოს მართვის ძირითადი კურსი, რაც მან თავისი მოვალეობის შესრულების დაწყების წინ თავის სიტყვაში გამოკვეთა – „მე არაფერს გთავაზობთ გარდა ოფლისა, ცრემლისა, ბრძოლისა და სისხლისა”[33,579] – გერმანიასთან ომის დაწყებას მოასწავებდა. ამიტომ, რ. ჰესმა თავისთან ა. ჰაუსპოფერი იხმო და თხოვა ყველა იმ პირთა სიის შედგენა, ვინც ჩერჩილის საწინააღმდეგო დამოკიდებულებას ამჟღავნებდა და რჩევა ჰკითხა ამ ადამიანებთან შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ. შემდეგ კი ასეთ წრეებში

** „Черная берта.”. დოკუმენტი 3.10.1941. Архив КГБ СССР

შეღწევის „სპეციალური დავალებით” აღჭურვა. „მშვიდობის პარტიის” წევრთა მიერ, უ. ჩერჩილის პოლიტიკასთან მკვეთრი დაპირისპირების უშუალო ფონზე გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადაყენების მზაკვრული შეთქმულების იდეა. მსგავსი მოსაზრება გერმანიაშიც დაიბადა, ჯერ კიდევ 1938 წელს, რომელიც „პოლიტიკურ კომბინაციას” წარმოადგენდა. ე.წ. „ვენლოს ინცინდენტი”, რომელიც მარცხით დასრულდა, ინგლისის დაზვერვის მხრიდან კარგად დაგეგმილი სპეციალის ცუდი დასასრული გახლდათ. PCXA*-ს მე-6 სამმართველოს უფროსის, ვალტერ შეღწენბერგის დამსახურება დაზვერვის ამ დიპლომატიურ თამაშში უდავოა. დაზვერვის ხელოვნების უბადლო ოსტატმა, აბვერის პრესტიჟი იმდენად მაღლა ასწია, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბრიტანეთის დაზვერვის ორი ოფიცერი, რომელიც პოლანდიაში მოლაპარაკებას აწარმოებდა „შემელის” ფსევდონიმის მქონე შეღწენბერგთან, დააპატიმრეს ბერგჰოფში აღმოჩენილი ბომბის გამო, მათზე ბრალდების მიტანით. ეს ფიურერის უშუალო განკარგულება გახლდათ, მათი მოლაპარაკების ძალიან სერიოზულ ეტაპზე. ვალტერი ინგლისში უნდა გამგზავრებულიყო ცალხელა ლორდთან პალიფაქსთან შესახვედრად, რომელიც ამ შეხვედრების საქმის კურსში იყო, ისევე როგორც პიტლერი. მათ უნდა მოესაუბრათ ფიურერის გარეშე, გერმანია-ინგლისის ურთიერთობების შესახებ, რაც პიტლერის პოლიტიკურ გეგმებში არ შედიოდა. ის მიხვდა, რომ საქმე თანდათან დაძაბული ხდებოდა, მით უმეტეს, როცა მას ვერმახტის გენერალიტეტში ფარული მოწინააღმდეგები უკვე პყავდა. მისი სისუსტის გამოვლინებასთან ერთად, მისი

* PCXA_(აბრ) - Reichssicherheitshauptamt – იმპერიის უშიშროების მთავარი სამართველო. შეიქმნა 1939 წ. 27 სექტემბერს. 1942 წლის მაისამდე მას ხელმძღვანელობდა რაინჰარდ ჰაიდრიხი, ხოლო ხეხი პატრიოტების მიერ პრადაში, მისი მკვლელობის შემდეგ – ერნსტ კალტენბრუნერი, წარმოშობით ავსტრიელი

პოლიტიკური კარიერის კრახის გარდაუვალი სიპტომები იქვე იჩენდა თავს. ამიტომ, ფიურერმა დროულად მოზიდა თავისკენ მმართველობის სადაცები და ძალისმიერი ბერკეტის გამოყენების წყალობით, დაზვერვის ეს ორი აგენტი სტივენსი და ბესტი ცოცხლად შეიპყრეს, მათთან ერთად მყოფი პოლანდიელი აგენტი სასიკვდილოდ დაჭრეს. საქმის ასეთი ტრაგიკული დასასრულის გამო, უკმაყოფილო იყო თვით შელენბერგიც, რომელმაც პიტლერთან შეხვედრის დროს ეს არ დამალა გერინგის, ჰაიდრიხის, რიბენტოპის, გებელსის და სხვათა თანდასწრებით. მათ გასაოცრად, პიტლერმა ვალტერის აღშფოთებას დუმილით უპასუხა. დუმილში კი ჭეშმარიტების მარცვალი უთუოდ იყო, რასაც ფიურერი ხმამაღლა არ აღიარებდა. „ვენლოს ინციდენტმა” მნიშვნელოვნად დასცა SIS-ის პრესტიჯი. ოთხასწლიანი ისტორიის მქონე ბრიტანეთის დაზვერვამ სამარცხვინო დარტყმა განიცადა. მსგავსი ანგარიშსწორებისათვის ის წლების მანძილზე ემზადებოდა, პრესტიჯის რეაბილიტაციის თვალსაზრისით და მაშინ, როცა „ვენლოს ინციდენტის” ამბავი თითქოს დავიწყებული იყო, მსოფლიო უფრო მნიშვნელოვანი, სენსაციური ამბის მოწმე გახდა. შოტლანდიაში შეიტყუეს ფიურერის მოადგილე რ. ჰესი. მისი გაფრენის დღეს, ლონდონზე მასირებულ თავდასხმას ქონდა ადგილი ამ ქალაქზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით, რასაც რ. ჰესის შოტლანდიაში დაშვების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყო. პრემიერ-მინისტრი ამ დროს დიტჩლში, თავისი მეგობრის საზაფხულო აგარაკზე ისვენებდა. მან ცნობა – „ჰესი შოტლანდიაშია” – ყოველგვარი ემოციების გარეშე მიიღო. ასეთი ცნობისადმი ჩერჩილის დაუინტერესობლობის ფაქტმა, იქ მყოფთა გაკირვება გამოიწვია. ამ სენსაციურმა ამბავმა ლამის გააოგნა მთელი მსოფლიო და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

გულხელდაკრეფილი უყურებდა კომედიას, სტუმრების თანდასწრებით. იმ საღამოს, ის უჩვეულო აუდელვებლობით ყველას დაამახსოვრდა, განსაკუთრებით მასთან მისულ პერცოგ პამილტონს. პიტლერისაგან განსხვავებით უინსტონს არავითარი გათამაშების სცენისათვის არ მიუმართავს. როგორც ვიცით, პიტლერმა მოისმინა რა პესის „გაუჩინარების” ამბავი, ოთახში ბოლოას სცემდა და სმამადლა გაჰყვიროდა. თვალთმაქცობის პირველხარისხოვანი როლის გამოვლენა, მას არც პესის ადიუტანტებთან და არც მის მეგობარ პაუსკოფერებთან მიმართებაში არ დავიწყებია, გარდა ვილი მესერშმიტისა, რომელმაც ფიურერის მოადგილეს თვითმფრინავით სარგებლობის უფლება მისცა. უფრო მეტიც, მან პესის მეუღლეს ილზე პრიოლს სახელმწიფო პენსიაც კი დაუნიშნა, არათუ მისი ქონების კონფისკაცია მოახდინა. ცალკე აღნიშვნის დირსია, თუ ასე ლმობიერად რატომ მოექცა პიტლერი რ. პესის ოჯახს. ვ. მესერშმიტის შემთხვევაში, იქნებ ეს მისი პროფესიით აიხსნას. ის ცნობილი ავიაკოსტრუქტორი გახლდათ და მისი სატუსადოში ჩასმა მეცნიერების ამ დარგისათვის უდავოდ დიდი დანაკარგი იქნებოდა, განსაკუთრებით ომის ამ ეტაპზე. მაგრამ რ. პესის ოჯახი მას სამაგალითოდ უნდა დაესაჯა, იმ შემთხვევაში, თუ მისი მოადგილე მისდა დაუკითხავად გაფრინდა ინგლისში. მოდალატის დაუსჯელობის მწარე გამოცდილების ფასი პიტლერმა კარგად იცოდა. მან SA-ს მოიერიშე რაზმების მეთაურს ერნსტ რემს საკუთარი ხელით დაახალა ტყვია საწოლში, მის წინააღმდეგ განუხორციელებელი შეთქმულების სანაცვლოდ. მით უფრო, მოღალატე პესის მიმართ ის მიმტევებელი არ იქნებოდა.

უ. ჩერჩილის 10 მაისის საღამოს გამოხატული პოზიცია ორაზროვანი შთაბეჭდილების მატარებელია. პრემიერ-მინისტრი ან წინასწარ იყო ინფორმირებული ფიურერის მოადგილის ინგლისში

ჩამოფრენის თაობაზე ანდა უფრო მნიშვნელოვანი საკითხის ფონზე, ვგულისხმობთ ლონდონის მასირებული დაბომბვას, ეს იმდენად უსუსურად მოეჩვენა, საჭიროდ არ ჩათვალა მეორე დილამდე თავისი მითითებების გაცემა. ამასთან, რ. პესი უკვე გლაზგოს სამხედრო ბარაკებში იყო ინტერნირებული. თუმცა ჩერჩილის არგაოცების ფაქტორს ვერაფრით ვერ ვხსნით. შესაძლოა, მან წინასწარ იცოდა, როგორც „ბარბაროსას გეგმის”, ასევე რ. პესის ჩამოფრენის შესახებ. „არ მითხრათ ახლა ხელთ გვყავს ფიურერის მოადგილე რ. პესიო”[43,340] – როგორც ვიცით, ეს იყო ჩერჩილის პირველი სიტყვები ჰამილტონთან სატელეფონო საუბრისას. 1969 წელს, გაზეთ „იორკშირ პოსტში”, გამოქვეყნებული ალბერტ ჯეიმს პეილის სტატიაში მსგავსი მოსაზრების კვალს ვაწყდებით. დიდი ბრიტანეთის შრომის მინისტრს, ერნსტ ბევინს შეფილდის მუნიციპალიტეტში საგანგებოდ ჩასული ჯ. პეილისათვის გასაშიფრად წარუდგენია კოდირებული ტექსტი იმ თვალსაზრისით, რომ ამ კოდის ანბანი თავად პეილის შედგენილი ყოფილა. ამიტომ, მას მისი წაკითხვა არ გაჭირვებია. ბევინს ეს შეტყობინება გერმანიის სამრეწველო წრეებიდან მიუღია, სადაც იუწყებოდნენ რ. პესის ჩამოსვლას ინგლისში ჰამილტონთან შესახვედრად. შრომის მინისტრს ტელეფონით უცნობებია ჩერჩილისათვის ეს გასაოცარი ამბავი.

მაშასადამე, რ. პესის ლამის ლეგენდადქცეული გაფრენა ჩერჩილის მოულოდნელობით გამოწვეულ ჩვეულ კრიტერიუმებს არ ერითმება და ამიტომ მისი რეაქციაც ადექვატური იყო. ყალბი მანერების წარმოჩენა ყოველი ინდივიდის დირსების დამამცირებელი პანორამაა. ჩერჩილის ეტალონი მისთვის დამახასიათებელი ნატური პარამეტრებით იზომება. ნიშანდობლივია, რომ რ. პესის გაფრენის შესახებ ინგლისში ასევე წინასწარ იყო ინფორმირებული ჯონ კოლვილი – ნ. ჩემბერლენის პირადი მდივანი, რომელიც უინსტონმა

თავისი პრემიერ-მინისტრობისას იმავე თანამდებობაზე დატოვა. ამ უჩვეულო პოლიტიკური უესტის ახსნა, პირველ რიგში, იმით არის შესაძლებელი, რომ ჯ. კოლვილი ჩემბერლენის გერმანიასთან დაახლოების კურსს არ ეთანხმებოდა, რამაც ის უინსტონში ნდობის მოპოვების სტიმულად გადააქცია. როგორც ცნობილია, ჯ. კოლვილი პირადად შეესწრო საგარეო საქმეთა სამინისტროში ალ. კადოგანის მდივნის და პამილტონის სატელეფონო საუბარს. ის პამილტონთან საუბარში საკუთარი ინიციატივით ჩაება, რადგან ამ სამინისტროში უ. ჩერჩილის დავალებით იყო წარგზავნილი. „პრემიერ-მინისტრმა შეიტყო რა, რომ თქვენ რადაც საინტერესო ინფორმაცია გაქვთ, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამომგზავნა. მე ახლახან მოვედი სამინისტროში და შევესწარი თქვენს საუბარს. მსურს გავარკვიო რას გვთავაზობთ. რა მოხდა? ვინმე ხომ არ ჩამოსულა?”[1.535-536] საყურადღებოა, რომ ეს ხდება მაშინ, როცა პამილტონს პრემიერ-მინისტრი ჯერ კიდევ არ ჰყავს ინფორმირებული ჰესის გაფრენაზე. ჯ. კოლვილმა, როდესაც ჰერცოგისგან მოისმინა ფიურერის მოადგილის შოტლანდიაში ჩამოფრენის შესახებ, ჩერჩილს ტელეფონით ამცნო და პამილტონს ამ უკანასკნელის მითითება გადასცა, ლონდონში დაუყოვნებლივ წასვლის შესახებ. საინტერესოა, იმ ფაქტის არსებობაც, რომ ჰერცოგმა პირველად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ა. კადოგანს დაურეკა. უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს, რომ ჩერჩილმა თავისი პირადი მდივანი, სწორედ, იქ წარგზავნა. როგორც ჩანს, ჰესის გაფრენის თაობაზე იცოდა ფორინ ოფისმაც და ვინაიდან, მის დაქვემდებარებაში SIS-ი შედიოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უწყება წინასწარ იყო ინფორმირებული გაფრენის უკელა იმ მოსამზადებელი სამუშაოს ირგვლივ, რაც სადაზვერვო სამსახურს უკავშირდებოდა. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთის დაზვერვამ 1940

წ. 23 სექტემბრით დათარიღებული წერილი ჩაიგდო ხელთ. წერილი ვინმე „A”-ს ავტორობით ლისაბონიდან (პორტუგალია) იყო გამოგზავნილი. 5 თვის განმავლობაში, ჰამილტონმა არაფერი იცოდა წერილის არსებობის შესახებ. ამ დროის განმავლობაში, დაზვერვა ადგენდა ავტორის ვინაობას. როგორც გაირკვა, ეს პროფესორ პ. ჰაუსპოფერის შვილი ა. ჰაუსპოფერი იყო, რომელიც ინგლისსა და გერმანიას შორის ურთიერთგაგების გზების გამონახვის თაობაზე, პირადად ჰამილტონთან შეხვედრას ლისაბონში ითხოვდა. ამ დროს ჰერცოგი ჰამილტონი RAF-ის სამხედრო ბაზის – ტერნპაუზის* – მეთაურის მოვალეობას ასრულებდა. 1941 წლის 26 თებერვალს, მან მიიღო წერილი MI5-ის ხელმძღვანელ სტამერსისაგან. ეს უკანასკნელი წერილში ჰერცოგს ეკითხებოდა, ხომ არ აპირებდა ის უახლოეს მომავალში ლონდონში ჩასვლას? თანაც დასძენდა, რომ ჰერცოგისათვის უნდა ეცნობებია არც თუ უმნიშვნელო საკითხი. ამავე წლის მარტში, ჰამილტონი ესტუმრა სტამერსს მის ოფისში ჰაუქტონ ჰაუზში**. ასეთი არაოფიციალური შეხვედრის დროს, სტამერსმა ჰამილტონს ჰკითხა იმ წერილის არსებობის შესახებ, რომელიც ა. ჰაუსპოფერს ეკუთვნოდა. როგორც ჰამილტონი გვამცნობს, მან იფიქრა, რომ ეს ეხებოდა წერილს, რომელიც მას ა. ჰაუსპოფერმა 1939 წლის ივლისში გაუგზავნა. მალე აშკარა გახდა, რომ ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა წერილების შესახებ. სტამერსმა გამოიღო მაგიდის უჯრიდან აღნიშნული წერილის ფოტოგრაფირებული ასლი, რომელიც ჰამილტონს, მისივე თქმით, მანამ არ ენახა. ამ შეხვედრიდან მცირე ხნის შემდეგ, ჰამილტონმა მიიღო ბრძანება RAF-ის მე-13 შტაბის ჯგუფიდან. ბრძანების თანახმად, ის უნდა წვეოდა ავიაციის ჯგუფის კაპიტანს ბლეკფორდს

*ტერნპაუზი – ედინბურგის საზღვართან მდებარეობს

**ჰაუქტონ ჰაუზი – მოგვიანებით ლონდონის ეკონომიკის სკოლა

და მაიორ რობერტსონს. შეხვედრა შედგა 1941 წლის 15 აპრილს, 11:30 წთ-ზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ისინი მოხარული იქნებოდნენ, თუ პამილტონი წავიდოდა პორტუგალიაში, რადგან მოეპოვებინა ყოველგვარი ინფორმაცია ა. პაუსკოფერისაგან. პამილტონის უსიამო ნათქვამზე: „რა თქმა უნდა წავალ, თუ ამას ზემოდან მიბრძანებენ”, მათ უპასუხეს: „მსგავს საქმეებზე თავისი ნებით მიდიან და არა ბრძანებით”-ო[43,290].

როგორც აღნიშნული დიალოგიდან ჩანს, პერცოგი აგენტის როლში გამოდიოდა, რაც მან საუბრის პროცესში კარგად გაითავისა. როდესაც ამ საკითხზე, მისგან უარის თქმის ბოლო შანსიც გამოირიცხა, მას მოსაფიქრებელი დრო მისცეს მოცემული შეთავაზების განხილვისათვის. მეორე დღეს, პამილტონმა მოინახულა ლორდი იუსტას პერსი, ნიუკასლის უნივერსიტეტის რექტორი, რადგან მას სურდა რჩევა ეკითხა ისეთი პიროვნებისათვის, ვინც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. პერსი ადრე მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრის სტენლი ბოლდუინის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ირიცხებოდა, რომელიც მან 1936 წელს დატოვა. მან ურჩია პამილტონს მხოლოდ გარკვეული ვალდებულების შესრულების შემდეგ წასულიყო პორტუგალიაში. ორი დღის შემდეგ, 29 აპრილს პამილტონმა მისწერა ბლეკფორდს: „მე მზად ვარ წასასვლელად, თუკი თქვენ ეს კიდევ გსურთ. ამასთან, უნდა შევასრულოთ ორი პირობა. მე, რა თქმა უნდა, არ მინდა მქონდეს საუბარი ვინმესთან, ელჩის ცოდნის ან კონსულტაციის გარეშე. ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით, არანაირი სირთულე არ შემექმნება. გარდა ამისა, რათა თავიდან ავიცილო შესაძლებელი გაუგებრობა ან შეფერხება, გთავაზობთ სანამ გავემგზავრები ჩემი მდგომარეობა ავუსსნა სერ ალექსანდრე კადოგანს, საგარეო საქმეთა სამინისტროში. მინდა ვიცოდე, როგორ

ავუხესნა A-ს, „რატომ ვპასუხობ მის წერილს შვიდი თვის დაყოვნების შემდეგ. ვფიქრობ, საშიში იქნება იმის თქმა, რომ SIS-ის ხელმძღვანელობამ ხელში ჩაიგდო ეს წერილი გასული წლის შემოდგომას და ის ახლა გადმომცეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა მქონდეს ახსნა-განმარტება ჩემთვის წერილის ასე დაგვიანებით გადმოცემის გამო”[ჩერჩილის არქივი 1,11]. ბლეკფორდის წერილში პასუხი მარტივადაა ახსნილი. „ქვეყნიდან გაუსვლელობის საბაბით,” პამილტონს შეეძლო თავიდან აეცილებინა ა. ჰაუსკოფერის წერილზე პასუხის დაგვიანებით გამოწვეული უხერხულობა და არა მარტო უხერხულობა. შვიდთვიანი ინტერვალი გარკვეულ ეჭვებს წარმოშობდა გერმანელის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ალბრეხტმა კარგად უწყოდა პამილტონს რა სპეციალური „პროცედურები” უნდა გაევლო საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელსაც უსათუოდ საკმარისი დრო დასჭირდებოდა. აი, რას წერს რ. ჰესს: „ჰერცოგს არ ძალუმს ლისაბონში გაფრენა. . . ვიდრე ქვეყნის დატოვების უფლებას არ მიიღებს ავიაციის მინისტრის სინკლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჰალიფაქსისაგან”[1,674]

როგორც ირკვევა, პამილტონმა ავიაციის კაპიტანს პასუხი 10 მაისს გასცა. საყურადღებოა, რომ ამ დღეს რ. ჰესი აუგსბურგიდან გაფრინდა პამილტონთან შესახვედრად. სრულიად შესაძლებელია, რომ ნაცისტური გერმანიის თვითმფრინავის, „ME-110“-ის შოტლანდიის საზღვართან გამოჩენა პამილტონს ა. ჰაუსკოფერის ვიზიტს აფიქრებინებდა, ის ხომ არაერთხელ ყოფილა მასთან დანგაველ-კასტლში. თუ გავითვალისწინებოთ, რომ პამილტონის მეგობარი ფიურერის მოადგილის დავალებით მოქმედებდა, მას უსათუოდ ეცოდინებოდა პამილტონის პასუხი „ქვეყნიდან გაუსვლელობის საბაბით,” ლისაბონში დათქმულ დროზე ჩაუსვლელობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად

დასაშვებია, რომ რ. ჰესს მის ტერიტორიაზე შეხვედრის გადაწყვეტილება მიეღო. ეს მოსაზრება აძლიერებს ა. ჰაუსკოფერისა და ჰერცოგის შეხვედრის შესაძლებლობას, რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს დედაქალაქში, 1941 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შვიდთვიანი ჰაუზის განმავლობაში ა. ჰაუსკოფერისაგან არაფერი ისმოდა, მისი მხრიდან ამ უკანასკნელისათვის ლისაბონში შეხვედრაზე თანხმობის შეტყობინება აბსურდია. ვფიქრობთ, მათ შორის მეორე შეხვედრა დაიგეგმა სადღაც აპრილის ბოლო რიცხვებში. ხოლო, შეხვედრის გაჭიანურების გამო, რ. ჰესმა თავად მოიყვანა სისრულეში დიდი ხნის ჩანაფიქრი. უ. ჩერჩილის მემუარების მიხედვით, ჰერცოგ ჰამილტონს უკვე 10 მაისის დამეს სცოდნია ალფრედ ჰორნის სახელის ქვეშ ამოფარებული პიროვნების ნამდვილი ვინაობა. გავიხსენოთ, რომ რ. ჰესი ინგლისელებს მოგონილი სახელით და გვარით გაეცნო. ამ საკითხთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი. ბრიტანეთის მთავრობამ ინგლისში ინკოგნიტოდ ჩაფრენილი „უცნობი მფრინავის“ პიროვნების დასადგენად საგანგებოდ გამოიძახა: ა. კირკპატრიკი და ჯ. საიმონი. ორივენი ბერლინში მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, დიპლომატიური სამსახურით იყვნენ დაკავებულები და რ. ჰესს არაერთხელ შეხვედრილან. ვფიქრობთ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ან საბოლოოდ არ იყო დარწმუნებული გერმანელი მფრინავის ნამდვილ ვინაობაში, ანდა მან წინასწარ იცოდა მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ და მსოფლიო საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით გააჭიანურა იდენტიფიკაციის დადგენის დრო. როგორც ვიცით, მან პარლამენტში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი სახის განცხადების გაკეთებაც დააგვიანა, რამაც პარლამენტის წევრებს შორის აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. ჩერჩილის მისამართით მწვავე რეპლიკები

უკვე სმამადლა გაისმოდა. უნდა აღინიშნოს, რომ უ. ჩერჩილს ასეთი ტიპის განცხადების შინაარსი მოფიქრებული არ ქონდა. ამასთან დაკავშირებით პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ანტონი იდენს შორის გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა. ყალბი განცხადება შეურაცმყოფელი იქნებოდა. პარლამენტში, სადაც ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ასეთ სენსაციურ ამბავზე დეტალების გაგების მიზნით მოითხოვს ოფიციალურ კითხვა-პასუხს, მათ ან აბსოლუტური სიმართლე უნდა უთხრა, ანდა მომხდარის ირგვლივ არაფერი თქვა. ამ უკანასკნელს დიპლომატიაში დუმილის პოლიტიკა ეწოდება. თუმცა, პრემიერ-მინისტრმა მესამე გზა აირჩია. მან პარლამენტში მშრალი, არაფრისმთქმელი განცხადება გააკეთა და ისიც, ჰესის ჩამოფრენიდან რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ, თუკი რ. ჰესის საქმე კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო, პრემიერ-მინისტრის მხრიდან ასეთი მანევრი მაინცდამაინც დასაგმობი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის პარლამენტის წინაშე კონსტიტუციურ ვალდებულებას გრძნობდა.

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ა. ჰაუსპოფერისა და ჰამილტონს შორის ეს კორესპოდენცია ყალბი იყო და მისი ერთადერთი მიზანი რ. ჰესის ბრიტანეთში შეტყუება გახლდათ, მაშინ რა იყო თვით ამ შეტყუების მიზეზი? რისი თქმა შეეძლო მას ბრიტანეთის მთავრობისათვის ომის საწყის ეტაპზე? ან რატომ ქონდა რუდოლფს იმის იმედი, რომ მას ვინმე მოუსმენდა ამ ქვეყანაში?

აივონ კირკპატრიკთან საუბარში რ. ჰესმა გვამცნო: „მწამდა, რომ აქ ზავის დადების ძლიერი სურვილი ქონდათ. . . მე ვთვლიდი, რომ ჰამილტონის მეშვეობით მოვძებნი ძლიერ, ზავისმოსურნე პარტიასთან მისასვლელ გზას, რომელიც ასევე დამეხმარება 2-3 დღეში გერმანიაში დაბრუნებაში.” კირკპატრიკის შეკითხვაზე „თქვენ თვლით, რომ ჰერცოგს შეუძლია რამე გააკეთოს იმისათვის, რომ

ინგლისმა გერმანიასთან ზავი დადოს?” პეტერ უპასუხა: „რა თქმა უნდა, მას შეუძლია მეფესთან მისვლა და საუბარი ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენი საბრძოლო გეგმების შესახებ, მაშინ მეფე ისურვებს ზავის დადებას ჩვენთან”[1,620]. პეტერ ურყევი რწმენა ბრიტანეთში „მშვიდობის პარტიის” და ამ ქვეყნის მონარქის დახმარებაში, დაზვერვის მონაწილეობა „საიდუმლო მიმოწერის” ორგანიზაციაში პეტერ და პამილტონს შორის, ფიურერის მოადგილის ამ სარისკო ნაბიჯის წარუმატებლობით დასრულდა. ორმაგი აგენტი, დუშკო პოპოვი, თავისი მემუარების დასკვნით ნაწილში, ასახელებს ინგლისში ზავისადმი განწყობილ ლორდებს: ბროკეტი, ლონდონდერი და ლამინგტონი.

როგორც ვიცით, გერმანიასთან კავშირს კომუნიზმის წინააღმდეგ იზიარებდა კენეტ დე კურსი. მან თავისი შეხედულებები გადმოსცა სტიუარტ მენზისისადმი გაკეთებულ ანგარიშში, რომელმაც თავის მხრივ გაუგზავნა პალიფაქსს, ამ უკანასკნელმა კი ნ. ჩემბერლენს. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დე კურსს სთხოვა ანგარიში უშუალოდ მისთვის გაეგზავნა. მსგავსი შეხედულებების მატარებელი გახლდათ, იმ დროისათვის ყველაზე პრესტიჟული ინგლისელი მწერალი, ბასილ ლიდელ პარტი*, რომლის აზრებმა დიდი გამოხატულება პპოვა გერმანიის დიპლომატიურ დაზვერვაში, რომელსაც პფეფენ ფონ სალომანი ხელმძღვანელობდა.**

როგორც ცნობილია, 10-11 მაისს, ანუ პეტერ გაფრენის მეორე-მესამე დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბერლინში დარეკა ა. პაუსპოფერის ყოფილმა სტუდენტმა შტამერმა, რომელიც მუშაობდა მადრიდის საელჩოში და თხოვა გადაეცა მისთვის, რომ 12 მაისს მადრიდის მეცნიერებათა აკადემიაში უნდა შემდგარიყო

* 1939 წლის ზაფხულში მოხუცმა გენერალმა სერ იან პამილტონმა პეტერ ურყევის სტუმრად შოტლანდიაში, სადაც მას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ლიდელ პარტის

** პფეფენ ფონ სალომანი - რ. პეტერ პირადი სადაზვერვო სამსახურის უფროსი

ლექცია[43,347]. რამდენადაც ალბრეხტმა დაავალა შტამერს სერ სამუელ ჰორთან დაემყარებინა კავშირი, ეს ცნობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოდირებული სიგნალი, რაც ნიშნავდა, რომ ამ რიცხვში დანიშნული იყო დაპირებული შეხვედრა ჰორთან. ცნობილია, რომ ომის შემდეგ შტამერმა შეადგინა ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჰესის გაფრენამდე გარკვეული დროის განმავლობაში შვედეთის საელჩოს მეშვეობით, მან მადრიდში დაამყარა კონტაქტი ს. ჰორთან, რომ ალბრეხტი და სამუელი მივიღნენ შეთანხმებამდე, რომ ჰიტლერისა და ჩერჩილის გადადგომა მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის. ამ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ჰორი ანდა სხვა ვინმე მადრიდში შვედეთის საელჩოდან იყო ინფორმირებული ჰესის შოტლანდიაში გაფრენის შესახებ და შტამერმა უდეპეშა ალბრეხტს, რათა გაეფრთხილებია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ა. ჰაუსჰოფერმა შტამერის დეპეშაზე რეაგირება არ მოახდინა. ბუნებრივია, ოფიციალურ განცხადებამდე, მან უკვე იცოდა ჰესის ინგლისში გაფრენის შესახებ. ამიტომ, მას ცალკე თავსატეხი გაუჩნდა, როგორ აეხსნა ჰიტლერისათვის ჰესის მისიაში მისი მონაწილეობის „აუცილებლობა“ იმგვარად, რომ ფიურერის საყვარელი მოადგილესათვის ჩრდილი არ მიეყენებია. ის, ხომ რ. ჰესის დავალებით კურირებდა სამშვიდობო მოლაპარაკებათა ამ ციკლს, რასაც ალბრეხტი ჰიტლერთან საუბარში ვერ აღიარებდა. 12 მაისს ის გამოიძახეს ბერხეტეგადენში. ამ დროისათვის, ჰიტლერს უკვე ჰესის ცოცხლად გდარჩენის ნაკლები იმედი ქონდა. ის ვარაუდობდა, რომ ჰესმა ან ავიაკატასტროფა განიცადა და ჩამოვარდა ჩრდილოეთის ზღვაში ანდა უმაღ ჩამოაგდეს სადმე ბრიტანეთში. ამიტომ, დაკითხვის ნაცვლად მან ალბრეხტს მისცა კალამი და ფურცელი მოთხოვნით,

დაეწერა სია თავისი ბრიტანელი მოკავშირეებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. ფიქრობდა რა, რომ ჰესმა განიცადა მარცხი, პიტლერმა გადაწყვიტა გამოეყენებია მისი, როგორც ინგლისურენოვანი ქვეყნების ექსპერტის, ჭკუა. ამით, პიტლერს დასტური სჭირდებოდა იმისა, თუ რამდენად წარმატებული გამოდგებოდა ჰესის მისია ინგლისში, რადგან მისი მოადგილის შესახებ ამ ქვეყნიდან არავითარი ინფორმაციები არ კეთდებოდა. ეს იყო 1941 წლის მაისის დღეები, როდესაც გერმანიის მხრიდან ინგლისზე ინტესიურ დაბომბვას ქონდა ადგილი. ინგლისელების მორალურად გატეხვის იმპულსები უკვე აშკარად ჩანდა. როგორც თავად ფიურერის მოადგილე ვარაუდობდა, მისი გაფრენა ინგლისში ზავის დადების მიზნით, უთუოდ „მშვიდობის ემისრის“ რანგში უნდა განხილულიყო. დავძენთ იმასაც, რომ ბურკარდტ-ჰაუსკოფერის საუბრისას გადაწყდა ს. ჰორისა და რ. ჰესის შეხვედრის ადგილი მადრიდის მახლობლად, მიტოვებულ სატენისო კორტზე. მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. რატომ არ დაელოდა რ. ჰესი ს. ჰორთან შეხვედრას და რატომ გაფრინდა ის ინგლისში? ჰორთან შეხვედრის ცნობას ჰესი ძალიან აღუფრთოვანებია და დათანხმებულა, მაგრამ მოულოდნელად ცვლის თავის გადაწყვეტილებას. ის მიფრინავს ჰერცოგ ჰამილტონთან, ვისთანაც თითქოს შეხვედრის რეალური შანსიც კი არ ქონდა. ეს საკითხი დამაფიქრებელია, თუ ჰამილტონ - ჰესის ნაცნობობასაც გამოვრიცხავთ, როგორც ამას თავად ჰერცოგი ადასტურებდა. მაშასადამე, ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებათა დიაპაზონზე ორი მეტად სერიოზული ფიგურა გამოიკვეთა: სამოელ ჰორი და ჰერცოგი ჰამილტონი. ამათგან, ჰირველი ტიპიური პროგერმანელი და მეორე ჩერჩილის ჰოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ფიგურად მოიაზრება. საინტერესოა, ჰესმა რატომ გამორიცხა ერთი და მიანიჭა მეორეს

უპირატესობა. ამასთან დაკავშირებით, გვახსენდება ჰამილტონ – ჰაუსპოუერის კორესპონდენცია, თუმცა ვერც იმ ფაქტს ვუარყოფთ, რომ ამ უკანასკნელს ბოლო წერილზე პასუხი MI-6-მა დასწერა. ამასვე გვატყობინებს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში, რომელიც იმ დროისათვის ინგლისში იყო ემიგრირებული. უფრო მეტიც, ის ცნობილია ინგლისის დაზვერვის აგენტად, კოდური სახელით A-54.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს, რაზეც ჩვენ საუბარი უგვე გვქონდა. ინგლისის დაზვერვის დავალებით ჰერცოგი ჰამილტონი უნდა შეხვედროდა ა. ჰაუსპოუერს შვეიცარიაში მის მიერ დათქმულ მისამართზე. ამის შესახებ მან მისწერა ალბრეხტს 1941 წ. 10 მაისს. სწორედ, ამ დღეს მიფრინავს რ. ჰესი შოტლანდიაში. საოცარი „დამთხვევაა“. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰერცოგისა და ა. ჰაუსპოუერის შორის ეს პირველი შეხვედრა არ იქნებოდა. სხვაგვარად, რ. ჰესი ამას უსათუოდ დაელოდებოდა. სავარაუდოა, რომ მათ შორის შეხვედრას ადგილი უფრო ადრეც ქონდა, როდესაც მან ჰაუსპოუერის წერილის შემდეგ 10 დღიანი შვებულება აიღო (იანვართებერვალში) და დღემდე უცნობი მიმართულებით ქვეყნიდან გაემგზავრა. ამ რიცხვებში ალბრეხტი უენევაში იმყოფებოდა, მაგრამ უცნობია ვის შეხვდა. ამის შემდეგ, ჰერცოგმა კიდევ 10 დღიანი შვებულება აიღო (აპრილი-მაისი) და ისევ გაუჩინარდა. თამამად ვერ დავასკვით, რომ ამ დროის მანძილზე ის შვეიცარიაში ა. ჰაუსპოუერს ხვდებოდა, მაგრამ ვიტყვით შემდეგს. ა. ჰაუსპოუერისაგან წერილის მიღების შემდეგ, სადაც შეხვედრის ადგილი იყო მითითებული,* ის შვეიცარიაში მიდის. ვფიქრობთ, ამ შეხვედრაზე მათი მომდევნო შეხვედრის თარიღიც გადაწყდა და

* „რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის დედაქალაქი“ – ასეთად კი შვეიცარია ან პორტუგალია სახელდება

მეორედ მიემგზავრება. ცალკე დაინტერესების საგანია, ამას ჰერცოგი საკუთარი ინიციატივით აკეთებდა თუ ვინმეს დავალებით? როგორც ვიცით, როდესაც დაზვერვამ პამილტონს ა. ჰაუსპოფერის წერილის საფუძველზე, მის ავტორთან შეხვედრა შესთავაზა, მან თქვა: „მე წავალ მაშინ თუ ამას ზემოდან მიბრძანებენ”. აქედან ჩანს, რომ ის მარტო ინგლისის დაზვერვის კარნახით არ მოქმედებდა, აქ ფიგურირებდა მესამე ძალა – ინგლისის მთავრობის სახით.

ამრიგად, რ. ჰესის ინგლისში გაფრენას წინ უძღვდა გარკვეული სახის მოსამზადებელი ლონისძიებანი. აზრთა ურთიერთთანხვედრამ ამ მისის განხორციელების რეალური სურათი მოგვცა. ფიურერსა და მის მოადგილეს შორის ურთიერთდამოკიდებულების პრაქტიკა, პოლიტიკაში შეთავსებადი კურსის გატარების გარანტად იქცა. სახელმწიფო მისის მომზადებისას, რომელიც პიტლერის მიზანმიმართულ დიპლომატიას ემსახურება, შეუძლებელია, ფიურერის როლი გამოირიცხოს. მათი პიროვნული დაახლოების ასპექტები იმდენად დიდია, რომ რ. ჰესი ფიურერის ნებართვის გარეშე ინგლისში არ გაფრინდებოდა. თუმცა, პიტლერის სახელის უარყოფა წარუმატებელი მისის ხსენებისას აუცილებელი იყო, რადგან გერმანიაში ფიურერის პრესტიჟი ილახებოდა. ამიტომ, რ. ჰესმა თვით ფიურერის სიკვდილის შემდეგაც არ აღიარა პიტლერის მონაწილეობა მის გაფრენაში. ის სიკვდილის ბოლომდე პიტლერის ერთგული დარჩა. ამით, მან კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ფიურერთან თავისი ახლო ურთიერთობის ფაქტი, რაც მისი ინგლისში გაფრენის გადაწყვეტილების განმსაზღვრელი შეიქნა. რ. ჰესი ინგლისში საკუთარი ნებითა და პიტლერის თანხმობით გაფრინდა.

ინგლისის დაზვერვის როლი მდგომარეობდა პრემიერ-მინისტრისასთვის ინფორმაციის დროული მიწოდების

მნიშვნელობაში. დაზვერვა თვალყურს ადევნებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გამოვლენილი განსხვავებული აზროვნების მქონე პოლიტიკოსების ნაბიჯებს. დაზვერვის როლის მნიშვნელობა მისავე ანონიმურობაში იყო. ისინი თავიდან არ მუშაობდნენ უშუალოდ „ჰესის შემოტყუების” საკითხზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ფაქტმა განსაზღვრა არგუმენტი, ისევე როგორც მდგომარეობა ქმნის შეგნებას.

თავი IV

ჰერცოგი პამილტონი და რუდოლფ ჰესი

რუდოლფ ჰესის ინგლისში გაფრენის ამ უპრეცედენტო მოვლენის გაანალიზებისას, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის წინ წამოწევა გვიწევს. კვლევისადმი ფუნდამენტალური მიდგომა, ამა თუ იმ საკითხის კონკრეტიზაციას საჭიროებს. თემის განტოტების ჩვეულ მეთოდს მისი სპეციფიკა და წარმოსახვითი თეორიების სინთეზი გვაძლევს. სწორხაზოვანი და მძლავრ ობიექტურ შეგრძნებაზე დამყარებული კვლევის დიამეტრული სურათი კოორდინირების ორიგინალური აქსიომაა, რადგან ინდივიდუალურია. აქედან გამომდინარე, ერთსა და იმავე საკითხზე არსებობს მრავალი მოსაზრება, ჰიპოთეზა თუ ვერსია, რასაც ვიზიარებთ ან არ ვეთანხმებით. ტენდენციურობა შესაძლებელია ცალსახა დამოკიდებულებამ გამოიწვიოს. დაუსაბუთებელი არგუმენტაციის ჯეროვანი მითი კოლოსალური ძალისხმევის მამოძრავებელი ბერკეტია. დიფუზიური მოვლენების მსგავსი ეს კონფიგურაცია, შიგა და შიგ, ორიენტირების არსებობისა და შერწყმის გამოკვეთილ ვერტიკალს იძენს. ჩნდება ურთიერთდამოკიდებულებისა და თანხვედრი მოვლენების შიგთავსი, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა რაციონალური ბერკეტების ამოქმედებას იწყებს. დაკვირვებისა და გააზრების ობიექტური სწრაფვა სისტემური აღქმის რეჟიმში, დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა. ფასეულობათა

ათვისება უპირატესობის სინდრომს გვიტოვებს. ორიდან ერთის იგნორირება აზროვნებაზე დაფუძნებული ინტუიციური ლობიზმია, რომელიც უთუოდ კავშირშია გონებასა და რეალურ მენტალიტეტან.

რუდოლფ ჰესისა და ჰერცოგი ჰამილტონის ურთიერთდამოკიდებულების ერთი მთლიანი სურათის წარმოდგენა შეპირისპირების ფონზე, პრინციპულად საკვანძო საკითხია. მათი გზები არასოდეს არ გადაკვეთილა, თუმც ოფიციალურ დონეზე მათ ნაცნობობას არ გამოვრიცხავთ. სწორედ, ნაცნობობიდან იწყება ურთიერთობის მარტივი ფორმის ჩამოყალიბება, რაც ცივილური საზოგადოებრივი სტრუქტურიდან იღებს სათავეს.

ამ თავში მოყვანილი ჰაუსკოფერების არქივიდან ამოღებული დოკუმენტური მასალა არამარტო ნათელს ხდის ჰერცოგი ჰამილტონისა და რ. ჰესის ნაცნობობას, არამედ მიუთითებს ჰამილტონის როლზე რ. ჰესის გაფრენაში.

ეს არის ასლი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის მოხსენებიდან, რუდოლფ ჰესის დატყვევების შესახებ. ისინი გამოქვეყნებული იქნა 1999 წელს, MI – 5 ის მიერ. ჩანაწერი: „ორიგინალი PF 54592 ჰაუსკოფერი 86 X Box 487 Held R. 3. 6” აღნიშნავს საქაღალდეს, საიდანაც ეს დოკუმენტები არის ამოღებული.

ჰაუსკოფერის არქივი
ასლი: ყუთი 5
ედინბურგი
12 მაისი, 1941

Cen 6/95/B. R. 1/

BR to ა.ს.მაკივერს, Esg

ძვირფასო მაკივერ

ეს-ეს არის მაცნობელი ტელეფონით ამ დილით, მას შემდეგ
როცა მე გაცნობეთ თქვენ, რომ შაბათ-კვირას, 10-11 მაისს,
დაახლოებით შუაღამისას „მესერშმიტ-110” დაეშვა რენპრენშირში. ის
აღმოჩნდა ახალი მანქანა და იარაღი არ ყოფილა გამოყენებული. მას
მართავდა ერთი კაცი, რომელმაც განაცხადა, რომ აქვს ცნობა
ჰერცოგი ჰამილტონისთვის. ის აყვანილი იქნა RAF-ის მიერ და ახლა
იმყოფება მერიპილის ბარაკებში, გლაზგოში. ეს ინფორმაცია
გადმომცა შოტლანდიის ადგილობრივმა დეპარტამენტმა, რომელმაც
თავის მხრივ, შეიტყო რეპრენშირის პოლიციისგან. მე დავუკავშირდი
სუპერვიზინგის დეპარტამენტს (D.A.P.M.) შოტლანდიიდან, იმავე
დეპარტამენტის F/Lt №18 ჯგუფს და RAF-ის ბაზა ომტოს
შოტლანდიის ოგემსის მეთაურს, რომელიც ცდილობდა უფრო მეტი
ინფორმაციის მოპოვებას. შევძელი მეცნობებინა, რომ ფაქტები
რომლის შესახებ ნათქვამია ზემოთ, იყო არსებითად სწორი და
ვაცნობე რაფ-ის საინფორმაციო სამსახურის შოტლანდიის მეთაურთ,
რომ საქმე გადაეცეს უმაღლეს ავტორიტეტულ პირთ.

მე გადმომცეს ინფორმაცია თქვენთვის, რომ ჰერცოგი
ჰამილტონი არის ეჭვმიტანილთა სიაში.

თქვენი ერთგული

რ. ვატტი

მაიორ პ. პ. პურფექტისაგან.

შოტლანდიის რეგიონალური თავდაცვის ოფიცერი
ას მაკივერი, ესქ.

ყუთი ნომერი 500,

ოქსფორდი.

ამ დოკუმენტის მიხედვით ნათელია, რომ პერცოგი ჰამილტონის
სახელი ფიგურირებს რ. ჰესის გაფრენაში. ფიურერის მოადგილე
ჭკვიანი კაცის სახელით სარგებლობდა და ის სერიოზული მიზნის
გარეშე ინგლისში არ გაფრინდებოდა, მით უფრო საკუთარი
სიცოცხლის ფასად. მისი აზროვნება რეალობას მოწყვეტილი როდი
გახლდათ. საყურადღებოა წერილი, რომელიც მან დაუტოვა ჰიტლერს
გაფრენამდე: „თუ ჩემო ფიურერო, ჩემი გაფრენა აღმოჩნდა
წარუმატებელი, მაშინ მე გამომაცხადეთ გიჟად. გერმანიის
ინტერესებისათვის ასე სჯობია”[37,103]. ამის პარალელურად
მოვიყვანთ დიალოგს, რომელიც შედგა ავიაციის მარშალ პერმან
გერინგსა და ავიაკოსტრუქტორ ვილი მესერშმიტს შორის. ეს
უკანასკნელი გერინგმა დაადანაშაულა იმ მოსაზრებით, რომ მას რ.
ჰესისათვის თვითმფრინავის წაყვანის უფლება არ უნდა მიეცა,
თითქოსდა მისი გონებრივი დისკრედიტაციის მიზეზით. გერინგის ამ
გამოწვევაზე ვ. მესერშმიდტმა უპასუხა: მაპატიეთ ბატონო მარშალო,
მაგრამ არ ვიცოდი მესამე რაიხის იმპერიაში მესამე კაცი შეშლილი
თუ იყო, რატომ თქვენ არ გაუშვით სამსახურიდან. ასეთ ჭკვიანურ
პასუხს გერინგის კმაყოფილება გამოუწვევია. ლიმილით შეგებებია
მის ნათქვამს და პასუხად უთქვამს: რა გონებამახვილი ყოფილხარ
ვილ, განაგრძეთ თქვენი საქმე, მე ვიქნები იმის გარანტი, რომ ამ
საკითხზე თქვენ არ მოგეკითხებათ. ეს მომავალში მართლაც
დაპირებისამებრ მოხდა. რ. ჰესი სიმულირებდა მეხსიერების
დაკარგვას მას შემდეგ, როცა მიხვდა მისია ჩავარდა. მას დიდხანს

არ უნდოდა ამ მარცხის დაჯერება და ებრძოდა აზრს, რომ რწმენად არ ჩამოყალიბებულიყო. ეს უცხო ქვეყანაში მყოფ რუდოლფს შემართებას წაართმევდა, რაც ესოდენ სჭირდებოდა ინგლისთან ზავის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. პერცოგი ჰამილტონი მისი ჩაფრენის მომენტში ბდამორიგეო ბაზა ტერნპაუსში, ოფიციალურად კი შვებულებაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ფიურერის მოადგილე ამის შესახებ ინფორმირებული იყო, ამიტომ აიღო კურსი ჰამილტონის მამულისაკენ. მიგვაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთის საავიაციო სისტემის საუკეთესოდ მცოდნე პერცოგმა, საშიშროება იგრძნო ინგლისური რადარის მხრიდან, რომელიც უცხო თვითმფრინავს შემოსვლისთანავე დააფიქსირებდა. ეს მისი განადგურების უტყუარ შესაძლებლობას ქმნიდა. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, ჰამილტონმა გადაწყვიტა თავად ყოფილიყო საავიაციო ბაზაზე და თავად მიეღო უსაფრთხოების ზომები, რომ რ. პერსი პარმი არ გაენადგურებინათ. როგორც ცნობილია, მან გასცა ბრძანება: „არ ესროლოთ“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ პერცოგი ჰამილტონის უკან SIS იდგა, დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ეს სამსახური არ იქნებოდა დაინტერესებული პიტლერის მოადგილის ლიკვიდაციით. ფაქტია, რომ რ. პერსი პიტლერის ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ და სამხედრო ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ომის დროს ძვირფასი „ნადავლი“ იქნებოდა. ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა რატომ მაინცდამაინც პერცოგი ჰამილტონი? განა არ შეიძლებოდა SIS იგივე პირობები დაეყენებია იმ ადამიანისთვისაც, ვინც პერცოგს დროებით შეცვლიდა ტერნპაუსის ბაზაზე. ვფიქრობთ, დაზვერვა ინფორმაციის გაუონვას მოერიდა, ჰამილტონი კი უკვე საქმის კურსში ყავდათ. თუ შესაძლებლად მივიჩნევთ იმ მოსაზრების დასაბუთებას, რომ პერცოგი დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაშინ უნდა დავეყრდნოთ იმ

კერძიას, რომ ჰამილტონი ელოდა პესს. ამიტომ იმყოფებოდა ის პესისათვის საშიშ ზონაში, რათა დაეცვა და ეხსნა ა. ჰაუსპოფერის მეგობარი დაღუპვისაგან. როგორც ვიცით, დაზვერვამ პერცოგ ჰამილტონს დაავალა ა. ჰაუსპოფერთან შეხვედრა და იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფებოდა, ჰამილტონიც რამდენიმე დღით საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა თავისი ქვეყნიდან. ოფიციალურად ცნობილი არაა, მათი შეხვედრა შედგა თუ არა. თუ დიახ, მაშინ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პერცოგი დამოუკიდებლად იმოქმედებდა. ჰამილტონი ყველა შემთხვევაში ალბრეხტს პირისპირ შეხვედრისას მიანიშნებდა პოლიტიკურ ანგაუირებაზე, რომ ის საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ალბრეხტიც გაუგებდა მას და პესის ინგლისში გაფრენის საქმეს წინ აღარ წამოსწევდა. გავიხსენოთ, რას ეუბნება ის რუდოლფს ერთ-ერთ წერილში. „მას (პერცოგს) არ შეუძლია თავისი ქვეყნიდან გასვლა, თავის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ისევე როგორც მე არ შემიძლია დავტოვო ჩემი ქვეყნის საზღვრები ჩემს მთავრობასთან შეუთანხმებლად”[1,674]. გამომდინარე აქედან, თუ პერცოგი ჰამილტონის რანდევუ გერმანელ მეგობართან შედგა რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის ქალაქში, ა. ჰაუსპოფერი ეჭვს გარეშეა უნდა მიხვედრილიყო, რომ ინგლისის მთავრობა საქმის კურსში უდაოდ იყო. აკი პერცოგს ალბრეხტთან შეხვედრის მიზნით, ქვეყნის საზღვრების გადაკვეთა უხდებოდა. შესაძლებელია, აქ მეორე საკითხიც გამოიკვეთოს. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ, ა. ჰაუსპოფერმა ივარაუდა, რომ მთავრობაც ზავის მოსურნე იყო. ამიტომ, მისცეს ჰამილტონს მასთან შეხვედრის უფლება. ცნობილია, რომ ინგლის-გერმანიის დაზავებას ბევრი მომხრე ყავდა დიდი ბრიტანეთის მთავრობაში. ვფიქრობთ, ა. ჰაუსპოფერს მხედველობაში არ მიუღია დაზვერვის როლი და მისი

დანიშნულება პერცოგისა და პაუსკოფერის შესაძლებელი შეხვედრის მოწყობაში. ალბათ, ა. პაუსკოფერი და რ. პესი ამ საკითხში ვერ ხედავდნენ დაზვერვის რეკომენდაციას თუ მთავრობა ზავის მოსურნე იყო, დაზვერვა კი მთავრობის უკან იდგა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პერცოგი დამოუკიდებლად მოქმედებდა თუ მთავრობის კარნახით, ის პესის ამ მისიაში თავიდან ბოლომდე ჩატარდა. ამიტომ, ზემოთმოყვანილი დოკუმენტური მტკიცებულება სიმართლეს შეესაბამება და კიდევ ერთხელ აძლიერებს ჩვენს მოსაზრებას, ამ საკითხში პამილტონის ქმედითი როლის შესახებ. „ის ეჭვმიტანილთა სიაში ირიცხება” – ატყობინებს ვატტი, რეგიონალური თავდაცვის ოფიცერი მაკივერს - ასის ხელმძღვანელს. პერცოგი პამილტონის მისამართით თვით შოტლანდიელები ასეთ ბრალდებას ვერ გაძედავდნენ, რომ საქმე უფრო სერიოზული არ ყოფილიყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. პერცოგი სამეფო კარზე დაახლოებული პირი გახლდათ, ამიტომ მისი მბრალმდებლები დეზინფორმაციას არ დაეყრდნობოდნენ, მას გადაამოწმებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მას მწვავე კორესპოდენციის საბაბად არ გაიხდიდნენ. თუ პერცოგი ამ საქმეში სუფთა გახლდათ, ამას უბრალოდ არ აკადრებდნენ. შოტლანდიის რეგიონალური თავდაცვის ოფიცერი საქმეში ჩახედილი იყო და მას ზუსტად ეცოდინებოდა რას ამბობდა. სიფრთხილე და ზომიერება გამორჩეულ კაცთა ხვედრია. ფრთხილი ადამიანი ყოველთვის გაწონასწორებულია თავის ქმედებებში, შორსმჭვრეტელია ბუნებით, სიტყვაძუნწია მეტყველებაში. ბოლომდე აანალიზებს რა შექმნილ ვითარებას, საქმის დასასრულამდე ხედავს შედეგს. ამგვარი ნათელი გონების იშვიათი ადამიანები მოვლენებს შორიდან უყურებენ, რათა განსჯის უფლება თავად დაიტოვონ. ცივი გონება ყოველთვის ობიექტური გადაწყვეტილებების კონიუქტურაა. თუ ასეთი გონების მატარებელი

ცირკულაციას ახდენს თანამდებობრივ საქმესა და პირად განცდებს შორის და არეგულირებს მათ, სტატუსი თანდაყოლილი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, — ქვოტუმს ქმნის: ინდივიდუალურ ნიჭისა და ჭკუას შორის. ნიჭი ფენომენალური დატვირთვაა, მაგრამ როცა ჭკუა არ აღემატება ნიჭიერებას, ობიექტურ ხედვას აცდება და ადვილი შესაძლებელია ნიჭი ჭკუის გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს. თუ ეს ორი საკუთრება სათანადო სიმაღლეზე არ აღმოჩნდა ერთ ადამიანში, პიროვნება რეალობას მოწყდება. ნიშანდობლივია, რა მიმართულებას შესძენს მას გამოცდილება ან გნებავთ იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც მუდამ მის გარშემო ტრიალებს. ჭკვიანი ადამიანის ამოსავალი ნიჭია, მაგრამ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს ენიჭება. შემდეგ იძენს მიმართულებას იმ სამყაროში, რომელშიც მას უწევს ცხოვრება, იძენს განზომილებას იმისდა მიხედვით, როგორ უწევს ცხოვრება. პიროვნებას უნდა ქონდეს ამ ორი თვისების წარმოჩენის შესაძლებლობა. ძლევამოსილი უნდა იყოს საკუთარ ხედვაში და უფლებამოსილი საკუთარ ქმედებებში. თავაზიანი გაბედულებასთან ერთად და ზომიერი პირდაპირობის პარალელურად. უნდა იცოდეს რევანშის აღება, იერიშზე გადასვლისათვის მზადება აუცილებელ გარემოებებში, მაგრამ ამასთან აუცილებლობის შეგრძნებასაც უნდა ფლობდეს. საჭირო დროს, საჭირო ადგილას უნდა იყოს მიზანმიმართული და უტყუარი. თუ ადამიანის მსაზღვრელობითი ბუნება ქმედითუნარიანობას მოკლებულია, მისგან დიდი საქმეების კეთებას არ უნდა ველოდოთ. თუ პიროვნება გათვითცნობიერების დელიკატურ სიმაღლეზე არ იმყოფება, მასთან ძნელია ნებისყოფის პოვნა, რომელიც ზომიერების ბურჯია. სიმართლის თქმის დაუოკებელი წყურვილი სიმართლის დადგენისას მიღებული

ეიფორიული განწყობის შედეგია. ობიექტურობა შიშის საფუძველს ხსნის და ამის შედეგად გამოწვეული შინაგანი თავისუფლება უშუალობის მფლობელია. კრძალვა თავაზიანობის ნაყოფია, რიდი პატივისცემის პროდუქტი. ამათ პარალელურად, ის უნდა შეურიგებელი იყოს. სხვაგვარად, წარმატებული ვერ იქნება.

არსებობს ადამიანთა ურთიერთობის ფორმები, რომლებიც ძალზედ ინდივიდუალური და შეზღუდულია. პიროვნება ერთსა და იმავე გარემოებაში შეიძლება ერთ ადამიანთან მოიქცეს სხვაგვარად, მეორესთან კი სხვაგვარად. ამიტომ თუ პირველთან ურთიერთობაში უარყოფითი მხარე გამოჩნდა, ეს სულაც არაა მისი მინუსი. ურთიერთობის ფორმას ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა კარნახობს, ამდენად ეს ფორმები ერთგვაროვანი ვერ იქნება.

ჰამილტონ - ჰესს შორის დამოკიდებულება სრულებით არ იყო ისეთი, როგორიც ჰამილტონ - ჰაუსკოფერისა. ამ უკანასკნელთა ურთიერთობამ, გარკვეულწილად, გავლენა იქონია ჰესისა და ჰამილტონის ურთიერდამოკიდებულებაზე, რადგან ა. ჰაუსკოფერი ფიურერის მოადგილესთან ახლო კავშირში იმყოფებოდა. დასახელებულ პირთაგან, სამივე ჭკვიანი და ფრთხილი ადამიანი იყო. მაგარამ მათ შემთხვევაში არსებობდა რიგი გარემოებები, რაც ხელისშემლელ ფაქტორად იქცა სასურველი მიზნის მიღწევაში. დიდი ბრიტანეთის დაზვერვის როლი მათ ურთიერთობაში დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს. მოვიყვანთ დოკუმენტს, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს ჰაუსკოფერ-ჰამილტონის კავშირს. ასევე აღნიშნულია ფაქტი, სადაც პრემიერ-მინისტრის ჩახედულობა იგრძნობა რ. ჰესის მისიაში.

ასლი 1 X

მე გავემგზავრე ავიაციის სამინისტროში დღეს, შუადღისას და ვნახე ავიაციის ვიცე-მარშალი მედჭარსტი A.C.A.S.1 ის შემექითხა: ვიცოდი თუ არა შემთხვევით რაიმე ჰაუსპოფერზე. მე ვუთხარი მას, რომ მივიღე წერილი, სადაც ხაზგასმულია ამბავი, რომელიც ჩემთვის უკვე ცნობილი იყო. ეს არის ჰერცოგ ჰამილტონსა და ჰაუსპოფერს შორის არსებული კავშირი. შემდეგ მედჭარსტმა მკითხა: თუ მსმენოდა ახალი საქმის შესახებ. ვუპასუხე: არა. მან მიამბო შემდეგი: შაბათ დამით, „მესერშმიტ-110“ დაეშვა შოტლანდიაში და მფრინავი, რომელიც დაშავდა გადაიყვანეს ჰოსპიტალში. როდესაც აქ მოიყვანეს, ის კითხულობდა შეეძლო თუ არა ენახა ჰერცოგი ჰამილტონი, რამეთუ მისთვის ჩამოტანილი ქონდა ცნობა ჰაუსპოფერიდან. სამწუხაროდ, მედჭარსტმა არ იცოდა ამ მფრინავის სახელი. ცუდი კომუნიკაციების გამო, მედჭარსტი უძლური იყო დაკავშირებოდა ავიაციის პოდპოლკოვნიკს ჰელკინს, ვისთანაც ის იმედოვნებდა შეისწავლიდა უფრო მეტ დეტალებს. ყოველივე ამის შემდეგ, ავიაციის ვიცე მარშალმა მედჭარსტმა მითხვა, რომ სერ არჩილბად სინკლერი ატარებდა უიკენდს პრემიერ-მინისტრთან და რომ მათ გამოიძახეს ჰერცოგი ჰამილტონი კვირას.

მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა სერ არჩილბად სინკლერზე შეკრებილი ცნობებიდან, რომ მედჭარსტს უნდოდა უფრო მეტი სცოდნოდა ჰაუსპოფერზე. დავპირდი, რომ შევეცდებოდი ცნობების შეკრებას, რეგიონალური ოფისის მეშვეობით ედინბურგში. გავიგებდი უფრო მეტ დეტალებს ამ შემთხვევაზე და განსაკუთრებით მფრინავის სახელს. აგრეთვე ვაუწყე მედჭარსტს, რომ ჩვენ

არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა ამ კაცის შესახებ. მედპარსტმა მითხვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი მისტერ იდენი იყო დაინტერესებული ამ საქმით.

მე დავბრუნდი ოფისში და მოვახსენე ეს მისტერ ვაიტს. ამასთან, ტელეფონით დაგუკავშირდი მისტერ უატსონს, რეგიონალური ოფიცრის ასისტენტს ედინბურგში. მას დავავალე, რომ შეეგროვებინა ცნობები ამ შემთხვევის შესახებ და ეცნობებინა ჩემთვის.

უკანასკნელი ლამის 9 საათიან ახალ ამბებში გერმანიამ გადმოსცა ცნობა, რომ რუდოლფ ჰესი თვითმფრინავით საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა. იმ დღევანდელი გაზეთებიდანაც აშკარა იყო, რომ მფრინავი იყო არა ვინმე სხვა, არამედ რუდოლფ ჰესი. მე ვესაუბრე ედინბურგის მეირს, რომელმაც დამირეკა ამ დილით და მითხვა, რომ ჰესი იმყოფება მერიპილის ბარაკებში, გლაზგოში და რომ ჰერცოგი ჰამილტონი იმყოფებოდა მასთან ერთი საათის განმავლობაში კვირა დილით, რის შემდეგ ის გაემგზავრა პრემიერ-მინისტრის სანახავად.

B.2.a 13. 5. 41

ტ. ა. რობერტსონი

ამ დოკუმენტის მიხედვით, კიდევ ერთხელ დასტურდება ჰერცოგ ჰამილტონსა და ჰაუსკოფერს შორის არსებული კავშირი. მოგეხსენებათ, ა. ჰაუსკოფერი რ. ჰესის დავალებით მოქმედებდა. ყველაფერს რასაც აკეთებდა ალბრეხტი ჰესთან იყო შეთანხმებული. ეს უკანასკნელი კი მას ფიურერს უთანხმებდა. ამდენად, ჰაუსკოფერ-ჰამილტონის ნაცნობობა სახელმწიფო დონეზე იყო აპრიორებული. ამ დოკუმენტის მიხედვით, ასევე დასტურდება ჰამილტონის ჰესთან

შეხვედრა, პესის ჩაფრენიდან მეორე დღეს და იმავ დღეს, ჰამილტონ-ჩერჩილის რანდევუ დიტჩლის აგარაკზე, რომელსაც ავიაციის მინისტრი სერ არჩილბად სინკლერიც დასწრებია. თუმცა, რ. პესის გაფრენის შესახებ ინფორმაცია მეტად გასიდუმლოებული ყოფილა. ცენზურა იყო გამკაცრებული პრესაზე. თვითმხილველსაც, ვინც რ. პესის შოტლანდიაში ჩაფრენას შეესწრო, არ ქონდა უფლება საკუთარი შეხედულებები საჯაროდ დაეკონკრეტებია. გრეპამ დონალდი - მაიორი სამეფო სადამკირვებლო კორპუსიდან, პირველი მსოფლიო ომის დროს მფრინავი და მოგვიანებით გლაზგოს იმ კომპანიის დირექტორი, რომელიც მოხალისედ აგზავნიდა ჯარისკაცებს ROC-თვის ომში, ფიურერის მოადგილის ჩამოფრენის დამეს იმყოფებოდა შტაბში. მან იცოდა გერმანული კარგად, რადგან ოდესაც მიუნხენში ცხოვრობდა. პესის ჩამოფრენიდან 24 საათში მან დაწერა მოხსენება, ეს მოხსენება შემდეგ სტატიად იქცა. ამ სტატიაში დონალდი იხსენიებს თავის თანამგზავრს გიპვნოკში, რომელიც ახლდა პესთან საუბრის პროცესში. ეს ყოფილა RAF-ის ოფიცერი, დონალდმა მას სტატიაში უწოდა „მფრინავი ოფიცერი მალკოლმი“. საერთო ოფიციალურ მოხსენებაში მასზე არაფერია ნათქვამი. ჯეიმს ლიზორის ორიგინალურ ხელნაწერში მოხსენიება დონალდთან ერთად მყოფი პიროვნება, RAF-ის ავიაციის პოდპოლკოვნიკი, მაგრამ ეს ადგილი ამოიდეს გამოსაქვეყნებელი ვერსიიდან. ისმის კითხვა რატომ? შესაძლებელია იმიტომ, რომ RAF-ის ოფიცერი იყო ჰერცოგი ჰამილტონის ძმა, ლორდი მალკოლმ დუგლას ჰამილტონი, ავიაციის პოდპოლკოვნიკი. ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი ყოველგვარ ინიციატივას ახშობდა, ამ ფორმის მკაცრი გაგებით. ამის შესაბამისად მოვიყვანთ კიდევ ერთ დოკუმენტს.

ძვირფასო მისტერ მაკბრიდ

მე მითხრეს მთელი იმ საშინელი ბიზნესის შესახებ, რომელიც დამაფიქრებელია და კატეგორიულად გაფრთხილებთ თქვენ, შეწყვიტეთ პესის ეს ბიზნესი. შეიძლება ეს მოგეწვენოთ მკაცრად., მაგრამ გეტყვით ამის მიზეზს. პირველ ყოვლისა, თქვენ არ გიფიქრიათ, რომ ნებისმიერი ინფორმაციის გაუონვით, შესაძლებელია ისარგებლოს მტერმა, თუ ის გახდება ცნობილი იმ დროისათვის, როცა პესი იქნება გადაყვანილი სამხედრო სამსახურში, ნებისმიერი სამხედრო ნაწილის მიერ. მისთვის საკმარისი იქნება მხოლოდ ორი დღე სისრულეში მოიყვანოს მისი მეთაურის პიტლერის გეგმა, რითაც გასრესს მმართველობის ორგანოს. მეორე, სამხედრო სამსახურის ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ის იპოვა ადგილობრივმა ფერმერმა და გადასცა ადგილობრივ დაცვას. ეს არის ის, რომლის წინააღმდეგაც შენ არ შეგიძლია დავა. ჩვენ ვიცით, რაც მოხდა სინამდვილეში, მაგრამ არ შეგვიძლია გავცეთ ნებისმიერი დროის განმავლობაში ან რაიმე მტრული მოქმედების შემდეგ, რომელიც შესაძლებელია შევიდეს ოფიციალურ საიდუმლო ოქმში. ზემოთ არის რაღაც, რაზეც ჩვენ შევფიცეთ, საფუძვლად კი თავს მოგვახვიეს შეთანხმება, რომ დუმილი ამ შემთხვევაში იქნება სალოცავი ხატი.

თუ თქვენ ისურვებთ გაპყვეთ ამ საქმეს თქვენ წახვალთ რისკზე და თქვენ შეძლებთ შეაშფოთოთ კრაზანას ბუდე. ვწუხვარ ამგვარი უიმედობისათვის, მაგრამ თქვენი გულისათვის.

თქვენი ერთგული

ხელმოწერა W. V. Howleson

დანიელ მაკბრიდი იყო სერჯანტი სამეფო საავიაციო კორპუსიდან. რუდოლფ პესის შოტლანდიაში ჩაფრენის დღეს, ის და

მისი ამხანაგი სერგანტი ემირ მორისი იცავდნენ იგლშემ პაუზის სამხედრო ბაზას. ისინი იყვნენ პირველები, რომლებიც მივიდნენ პესთან მანამ, ვიდრე ადგილობრივი დაცვა ჩამოვიდოდა და გადაიყვანდა მას. ომის შემდეგ, მაკბრიდმა დაწერა საკუთარი შეხედულებები, იმ დამინდელი მოვლენების შესახებ, მაგრამ მისი მოხსენება, ისევე როგორც მორისის, არ გამოაქვეყნეს. ემბარგო დაადეს. უფრო მეტიც, იმავ დამეს მოვიდა წერილი მაკბრიდის სახელზე მისი უფროსი ოფიცრის უ. ვ. პოვიესონისგან: შეაწყვიტა პესის ირგვლივ საკუთარი წამოწყება, რასაც წერილში სპეკულაციით ხსნის. ამ წერილის მიხედვით, აშკარა ხდება თუ როგორი გასაიდუმლოებული ყოფილა პესის საქმე. არის მკაცრი მითითებები და ფარული მუქარაც საიდუმლოს გაცემის შემთხვევაში. საინტერესოა, ვის გულისხმობდა წერილის ავტორი „კრაზანას ბუდეში“. ვფიქრობთ, პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს და მის მთავრობას, რომელიც დაუინებით მოითხოვდა პესის ირგვლივ ატებილი აჟიოტაჟის გაუფასურებას და საერთოდ, ამ საკითხის მიჩქმალვას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამ მიზნით ურჩია მან პერცოგ პამილტონს გამოეტანა სარჩელი სასამართლოდან, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი[კგბ-ეს არქივი2,12]. პამილტონმა ინგლისში კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული ბრალდების ბათილად ცნობისათვის საკითხი ოფიციალურად სასამართლოში წარადგინა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, პრემიერ-მინისტრმა მას უკან დახევა ურჩია. იმ დღეებში ინგლისის პარლამენტი ძალიან შფოთავდა, დეპუტატები ეჭვს ქვეშ აყენებდნენ პერცოგი პამილტონის პოზიციას[2,89]. დეპუტატი გლაზგოდან, ჯ. ჯ. დევიდსონი ფაქტოურად ლორდი-ნაცვალი, საგრაფოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნომინალური მეთაური, ჯიქურ გამოდიოდა

ჰამილტონის წინააღმდეგ: „მე ვესაუბრე ბევრ გამოცდილ მფრინავს – ამბობდა ის, რომლებმაც გამორიცხეს ესოდენ გრძელ და რთულ გზაზე, მისი (პესის) მარტო ფრენა. მაშ, ვინ დგას პესის ზურგს უკან? ხალხი დაეჭვებულია და ამიტომ სიმართლე აინტერესებს. გამორიცხული არაა შოტლანდიელი ხალხის აზრი: პესის თვითმფრინავი რომ არ დამსხვრეულიყო, მას საწვავს ჩაუსხამდნენ და უკან დააბრუნებდნენ გერმანიაში. განა, ვინ არის ამის გარანტი, რომ ეს ასე არ მოხდებოდა!“ დეპუტატმა სლოუნმა კი სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „სპიტფაიერი“ იმიტომ დაადევნეს პესის თვითმფრინავს, რომ უზრუნველყო მისი მშვიდობიანად დაშვება, შეესრულებია თავისი მისია და გაფრენილიყო უკან ისე, რომ შოტლანდიელი ხალხი ამას ვერც კი გაიგებდა”. ამ დროს, მას სიტყვა გააწყვეტია დეპუტატმა სერ პერსი პარდმა: „ამას ვერ გააკეთებდა საწვავის ჩასხმის გარეშე”; რაზეც სლოუნმა უპასუხა: „ბენზინს იოლად მიიღებდა. ავიაციის მინისტრმა ისიც კი უარყო, რომ პერცოგი და პესი ერთმანეთს არასოდეს არ შეხვედრიან, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, პერცოგი ბერლინში ოლიმპიურ თამაშებზე იმყოფებოდა და ესწრებოდა ყველა იმ დონისძიებებს, რასაც თავის მხრივ პესი. პერცოგმა პამილტონმა უნდა გვიპასუქოს უნახავს თუ არა პესი და ესაუბრა თუ არა მას. საკითხი გარკვეულ გამოკვლევას საჭიროებს. საუბარში სპიკერი ჩაერია: „იმედია ბატონი დეპუტატი არ ფიქრობს, ჩრდილი მიაყენოს ლორდთა პალატის წევრებს (საუბარია პამილტონზე). არა, სერ! - გაისმა პასუხად – მე უბრალოდ გაკვირვებული ვარ და მაინტერესებს, ხომ არ უდალატა მას გონებამ”[2,89]

როგორც ვიცით, პერცოგი პამილტონი სამეფო-საპატიო ძალების მეთაური გახლდათ. მაშინ როდესაც გერმანულმა თვითმფრინავმა „მესერშმიტ-110”-მა შოტლანდიის საზღვრი გადაკვეთა, ის

იმყოფებოდა ტერნპაუსის სამხედრო სამორიგეო ბაზაზე. უცნობი, ეულად მფრენი საბრძოლო თვითმფრინავის გამოჩენისას, პამილტონმა განკარგულება გასცა არ ჩამოეგდოთ, მხოლოდ დადევნებოდნენ ინგლისური სპიტფაიერებით. გვიან დამით, ტერნპაუსში მოვიდა ინფორმაცია აღმნული თვითმფრინავის გლაზგოსთან ახლოს ჩამოვარდნისა და დამსხვრევის. ინფორმაციის მიღების შემდეგ, ჰერცოგი დასაძინებლად გაეშურა. უმოკლეს დროში, ის სატელეფონო ხაზზე გამოიძახეს და აცნობეს, რომ ნაცისტი მფრინავი დაუინებით მოითხოვდა მასთან შეხვედრას. როგორც ცნობილია, კვირა დილით, მეორე დღეს ჰერცოგი შეხვდა ამ მფრინავს და ამის შემდეგ, პამილტონი ცდილობს დაუკავშირდეს საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ მოადგილეს ალექსანდრე კადოგანს. ა. კადოგანის მდივანთან სატელეფონო საუბრისას, როდესაც ჰერცოგი არკვევდა როდის შეძლებდა მასთან შეხვედრას, ერთვება პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი ჯოკ კოლვილი და ინტერესდება თუ ასე დაუინებით რატომ ითხოვს პამილტონი ალ. კადოგანთან შეხვედრას. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჯოკ კოლვილის ამ სატელეფონო ჩართვის შემდეგ იცვლება ჰერცოგის გადაწყვეტილება და ის ხვდება პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის ნაცვლად. პამილტონს სიტყვიერი წინააღმდეგობა არ გაუწევია კოლვილისათვის. ის დათანხმდა წასულიყო ჩერჩილის სანახავად დიტჩლში. ცხადია, ჰერცოგი უდაოდ მიხვდა, რომ ჰერჩილის ჩამოფრენის საკითხში, რის შესახებ პამილტონს კადოგანისთვის უნდა ეცნობებია, ჩახედილი იყო პრემიერ-მინისტრიც. უ. ჩერჩილის საპარლამენტო მდივნის მოულოდნელი სატელეფონო ჩართვა ამის მიმანიშნებელი უთუოდ იყო. ჰერცოგი დაჲყვა უმაღლესობის ნებას. გავიხსენოთ, რას ეუბნება პამილტონი ინგლისის დაზვერვას, როდესაც მას შესთავაზეს

დიპლომატიური თამაშის წამოწყება მის უახლოეს მეგობართან ალბორებზე ჰაუსკოფერთან, მისავე დათქმულ მისამართზე - პორტუგალიაში შეხვედრის მიზნით: „მე წავალ მაშინ თუ ამას ზემოდან მიბრძანებენ”[10,289]. გამომდინარე იქედან, რომ პერცოგი აბსოლუტურად მთავრობის ნების აღმსრულებელი გამოდგა, შემდგომ თვით პრემიერ-მინისტრმა იზრუნა მისი სახელის რეაბილიტაციისთვის. რუდოლფ ჰესის ნაცნობობა პერცოგს საზოგადოებაში, გარკვეულწილად, დისკრიმინაციის სტატუს სძენდა, რომელიც განიხილებოდა როგორც ნაცისტთან ურთიერთობის კონტექსტში. როგორც ცნობილია, გერმანია აწარმოებდა ინგლისზე ძლიერ საპაერო თავდასხმებს ჰესის ჩაფრენის დამეს. ფიურერის მოადგილე შოტლანდიის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე პატიმარი გახდა, გამოაცხადეს რა სამხედრო ტყვედ. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა: „რ. ჰესი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ომის დროს საბრძოლო პროპაგანდის თვალსაზრისით”[1,13].

ამდენად, პერცოგი ჰამილტონისა და პატიმარ-ნაცისტ რ. ჰესის ურთიერთნაცნობობის დადგენა აშკარად შეარყევდა პერცოგის რენომეს იმდენად, რამდენადაც ჰესის როგორც პატიმრის მდგომარეობა, მეტწილ არასახარბიელო იყო ქმედითუნარიანობის მოკლების თვალსაზრისით. წინასწარ ვერ განვჭვრებოთ, თუ რა მოხდებოდა ჰესს პარაშუტით დაშვებისას მუხლი რომ არ დაეზიანებია და ადგილობრივი დაცვის მოსვლამდე, მას მოესწრო მისვლა დუნგაველ კასტლამდე, პერცოგის სახლში. ისტორიული მეცნიერებისთვის დამახასიათებელი არაა იმაზე მსჯელობა, დავუშვათ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ასე რომ არ მომხდარიყო. ჩვენი ლოგიკის დიამეტრული სვლა მიმდინარეობს იმის გარშემო რა მოხდა, მომხდარს რა მოყვა ან რატომ. პერცოგი ჰამილტონი, იგივე ლორდი სტრაფორდი ინგლისის დაზვერვის მიერ

წარმოებულ ავანტიურაში დიდი ხნის განმავლობაში ჩაბმული იყო. საქმე ეხებოდა ზავის დადების მცდელობას ინგლის-გერმანიას შორის ანუ ურთიერთგაგების გზების გამონახვას, რასაც ასე დაუინებით მოითხოვდა შოტლანდიაში ჩაფრენილი რ. პესი. მოგეხსენებათ, რომ ა. პაუსკოფერი, ინგლისურენოვანი ქვეყნების ექსპერტი და პიტლერის მრჩეველი საგარეო საქმეთა ურთიერთობებში, რ. პესისა და პერცოგი პამილტონის საერთო ნაცნობი და უახლოესი მეგობარი გახლდათ. თავის ადიუტანტ პინჩთან დიალოგში, რომელიც პესის სახლში შედგა, რ. პესის ერთ-ერთი საცდელი გაფრენის შემდეგ, ფიურერის მოადგილე აღნიშნავს: რა მოხდება, როცა მე ჩავალ დუნგაველ-კასტლში? მივადგები პერცოგის სახლს. კარებს გამიღებს მოსამსახურე და მკითხავს: ვინ ბრძანდებით? მე გადავცემ კონვერტს, პერცოგი როგორც კი დახედავს განცვიფრდება და შინ შემიპატიუებს. „ვისი სახელი იქნება იმ კონვერტზე სერ?” – კითხა პინჩმა. რა კარგი იქნებოდა ჩემი გამომეუენებია პინჩ – უპასუხა რუდოლფმა, მაგრამ არა. ეს იქნება ა. პაუსკოფერის სახელი”[8,73].

რუდოლფ პესის თვალთახედვის არეალი ერთობ სარწმუნო იყო. ცხადია, მის იდეას მხარს უჭერდნენ ნაცისტურ გერმანიაში მნიშვნელოვანი ფიგურები მამა-შვილი - კარლ და ალბრეხტ პაუსკოფერები. ის იმედოვნებდა, ინგლისში მათი დახმარებით პერცოგი პამილტონის ნახვას, რომელიც უინსტონ ჩერჩილის ოპოზიციურად განწყობილი „მშვიდობის პარტიის” წევრად მოიაზრებოდა და რომელსაც უნდა უზრუნველყო ფიურერის მოადგილის აუდიენცია მეფე გეორგ VI-თან. ამ მოლაპარაკებათა შედეგად, რ. პესი იმედოვნებდა, რომ „დაამხობდა ჩერჩილის მთავრობას და ასე მიადწევდა ზავს ინგლისთან. მაგრამ ის, რომ ჩერჩილს მისი დაპატიმრება შეეძლო, ამაზე არც უფიქრია”[9,83].

ადსანიშნავია, რომ რ. ჰესს იმდენად კარგად ქონდა გათვლილი თავისი მისიის მოსალოდნელი ტრიუმფი, მის მარცხზე არც უფიქრია. მისი შინაგანი რწმენა ეიფორიის ისეთ საფეხურზე იდგა, რომ ვერავითარი სხვა ძალა ვერ დაძლევდა. ის, მხოლოდ და მხოლოდ, წარმატებას ხედავდა და წარუმატებლობის განცდა იმდენად მცირე იყო, მასზე ფიქრს დიდ დროს არც უთმობდა. სხვაგვარად, ვერ გარისკავდა. როდესაც მარცხზე უფრო ფიქრობ, ვიდრე განსახორციელებელი საქმის დადებით შედეგზე, რისკის ალბათობა მცირდება. წარმატების ხიბლი მეტ ენთუზიაზმს ნერგავს ადამიანში და აქედან გამომდინარე სტიმულიც დიდია. თუმც, წაგებით დასასრულის გაფიქრებამ შესაძლებელია უკეთესი ბრძოლისთვის შეგამზადოს, ისევე როგორც წარუმატებლობის განცდამ, მაგრამ ეს ყველაფერი ინდივიდზეა დამოკიდებული და იმ გარემოზე, რომელშიც ის იმყოფება უახლოეს მომენტებში. ადამიანის ცხოვრებაში ხშირია იმპულსური მომენტები, როცა არ ცდილობ დაიჯერო, იმდენად გჯერა საკუთრივ შენი. სწორედ, ამიტომ ჰესმა ბოლომდე ვერ გაათვითცნობიერა პინჩის აზრები, რომელიც წინააღმდეგობაში კი არ მოდიოდა მისი უფროსის შეხედულებებთან, არამედ არასახარბიელო რეალობასთან ახლო მყოფი შეწუხებული კაცის პოზიციიდან განსჯიდა მას. ადიუტანტ პინჩს მართლაც აღელვებდა რ. ჰესის ბედი, რამაც ფიურერის მოადგილის თბილი დამოკიდებულება წარმოშვა მის მიმართ. „ნუ სწუხარ პინჩ“ – ეუბნებოდა საუბრის პროცესში ჰესი. რუდოლფი დარწმუნებული იყო, რომ თავად იყო მართალი. იმდენად სასიამოვნო შეგრძნებაა შენივე თვალებით დანახული შენივე განცდები, რომ გაორმაგებული ენერგიით ადვსილი ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავ, ან იმდენად პატარაა ეს დაბრკოლება შენთვის, გადაულახავი აღარაფერი გეჩვენება. ვფიქრობთ, მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა რ. ჰესიც,

რომელმაც ადიუტანტთან საუბარში თქვა: „მე წარუმატებლობაზე არ ვფიქრობ პინჩ, რადგან მე ვარ იღბლიანი ადამიანი”[8,74].

პრემიერ-მინისტრის გადაყენება, რაც უნდა მოყოლოდა ფიურერის მოადგილის ინგლისში ჩაფრენას, ერთობ რთული, გაბედული და შეგვიძლია ვთქვათ, თამამი გადაწყვეტლებაა. პორაჟენცულად განწყობილმა ოპოზიციამ ისიც ვერ უზრუნველყო ჩერჩილს სრული განცხადება გაეკეთებია პარლამენტში, პესის ჩამოფრენასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა მშრალი, არაფრისმთქმელი განცხადების შემდეგ არ დააკმაყოფილა დეპუტატებისგან წამოსული შეკითხვები ამ საკითხზე, არ უპასუხა მათ. თუ ეს ოპოზიციურად გარკვეული წრე იყო ანტისამთავრობო გამოხატულების, მათი მოთხოვნების პოზიციური კურსი თუნდაც ამ საკითხში, რად არ იდგა მძლავრ მოთხოვნათა სიმაღლემდე აყვანილი? ხომ არ ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ეს იყო სუსტი ან დასუსტებული შიგა ფრაქცია იმ დიდი ოპოზიციისა, რომელიც პესის ჩამოფრენამდე არსებობდა, ხოლო ფიურერის მოადგილის ჩამოფრენის შემდეგ ჩერჩილმა დაასუსტა იმ დიდი პოლიტიკური ფიგურების გამოცლით, როგორიც იყო მაგალითად, პერცოგი პამილტონი. ამდენად, პერცოგი ნებით თუ უნებლიერ პრემიერ-მინისტრის იურისდიქციაში მოჟცა. სამთავრობო ლოჟაში გაიქცერა ხმამ, რომ პერცოგი არასოდეს შეხვედრია რ. პესს, არც ბერლინის ოლიმპიადაზე. ამრიგად, პესთან პამილტონის დამაკავშირებელი ერთადერთი რგოლი თუ არ ერთ-ერთი რბილად გახლიჩეს. ამასთან დაკავშირებით, თემთა პალატის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა დეპუტატი სლოუნი იორგშირის საგრაფოდან: „ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც გვითხრა, რომ პერცოგი პესს არასოდეს შეხვედრია, მაგრამ თქვენ ხომ იცით ეს არის ტყუილი”[2,89]. ისმის კითხვა: რას უშავებდა პესის ნაცნობობა პამილტონს ბერლინის ოლიმპიადიდან,

თუკი მათ შორის შემდეგ არანაირი კონტაქტი არ ყოფილა. რატომ მალავდნენ ამ უბრალო ნაცნობობას ასე გულდაგულ?

1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე ბრიტანეთის დელეგაციაში რომლის წევრიც ჰერცოგი ჰამილტონი იყო, შედიოდა რამდენიმე პარლამენტარი: პაროლდ ბალფური, ჯიმ ვიდერბარნი, კენეტ ლინდსეი. ჯეიმს დუგლას ჰამილტონის თქმით, მამამისი ანუ ჰერცოგი ჰამილტონი გერმანიაში წასულა იმ მიზნითაც, გაერკვია როგორ ვითარდებოდა გერმანიის საპაერო ძალები[5,69].

ინგლისის დელეგაციაში იყვნენ ასევე ოფიციალური პირები მაღალი არისტოკრატიიდან: ლორდი აბერდინი, სერ ნოელ კურტის ბენეტი და ლორდი ბარლი.

ცნობილია, რომ მარკიზ კლაიდსდეილმა იგივე ჰერცოგმა ჰამილტონმა ბერლინში ლიუტფაფეს გაცნობის სურვილი გამოთქვა [1,955]. ამ საკითხზე ალბრეხტ ჰაუსკოფერმა თხოვნით მიმართა გერინგს, ამ უკანასკნელმა კი ბრძანება გასცა თავისი მოადგილის და საპაერო ძალების შტაბის უფროსის გენერალ მილხის მისამართით, ნება დაერთოთ ჰერცოგისათვის საავიაციო ქარხნების გაცნობა-დათვალიერების საკითხში. ამის შემდეგ, ჰამილტონს აჩვენეს სტააკენისა და დიობერიცის აეროდრომები, დათვალიერებინებს როხტოფენის ესკადრილია, რომელსაც გერინგი ხელმძღვანელობდა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს. სტუმარი წაიყვანეს ლეხფელდის აეროდრომზეც, მაგრამ მას ახალი ბომბდამშენების დათვალიერების ნება არ დართეს. როგორც ჩანს, ნაცისტები მიხვდნენ ჰერცოგის განზრახვას და ბოლომდე არ გაიხსნენ მასთან. მხოლოდ ის აჩვენეს, რომ გერმანია არ იყო სუსტი ქვეყანა და თავის დაცვა შეეძლო, მაგრამ ის რომ გერმანიას თავად წამოეწყო ომი ან გადასულიყო რევანშზე, ამის გამაძლიერებელი დასტური ინგლისელ სტუმარს, უბრალოდ, შეგნებულად არ მისცეს.

1939 წლის 6 ოქტომბერს, იმ დროს როცა ნაცისტურმა გერმანიამ ომის საფრთხის წინაშე დააყენა მთელი ევროპა გაზეთ „თაიმსში“ იბეჭდება ჰერცოგი ჰამილტონის წერილი. წერილში ის მოუწოდებს ამ ორი ქვეყნის დირსეულ მკვიდრთ, მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას ზავის დადების მიზნით[5,95]. ამავე სტატიის შინაარსი დაახლოებით 10 საათზე გადმოსცა გერმანიის რადიომ. ცხადია, ჰაუსპოფერი და ჰესი მას მოუსმენდა. საფიქრალია, აქვე გაჩნდებოდა ინგლისთან ზავის დადების იმედი. როგორც გამოჩნდა, ჰერცოგი ჰამილტონი ამის დიდი მოსურნე ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ წიგნი რომელსაც იღზე პრიოლი კითხულობდა, მისი მეუღლის გაფრენის წინა დღეებში. ეს წიგნი ჰერცოგმა ალბრეხტ ჰაუსპოფერს აჩუქა წარწერით: „კეთილი სურვილებითა და უკეთესი მომავლის რწმენით, რათა ჩვენი ურთიერთობა გადაიზარდოს ამ ორი ქვეყნის ურთიერთგაბების მიღწევაში“[8,81].

ამდენად, ჰერცოგი ჰამილტონი აშკარად გამოხატავდა თავის სურვილს გერმანიასთან ზავის დადების შესახებ. მისი სენტენციიდან ირკვევა, რომ ჰამილტონი შესაძლებლად თვლიდა ფაშისტებთან მოკავშირეობას და ამ თვალსაზრისის საჯარო გამოვლენას არ ერიდებოდა. ჰერცოგის ასეთი დამოკიდებულება ნაცისტური გერმანიის მიმართ, ვფიქრობთ, მისი გერმანელი მეგობრის ალბრეხტ ჰაუსპოფერთან კონტაქტმა განაპირობა. მათი კეთილსასურველი პოზიცია, მათივე აზრით, გერმანია-ინგლისის ურთიერთდაახლოების წინაპირობად უნდა ქცეულიყო, რაც თავის მხრივ კონტინენტზე მშვიდობის დამყარებას უზრუნველყოფდა.

როგორც ცნობილია, ალბრეხტ ჰაუსპოფერი მშვიდობის დამყარების მოსურნე ყოფილა და ფაქტობრივად გმობდა ჰიტლერის ანტისამშვიდობო და რევანშისტული პოლიტიკის გატარებას სხვა ერების მიმართ. ამის გამო, ის ფიურერის სიმპათიით არ

სარგებლობდა და ალბრეხტის დიდი ხნის სურვილი გამხდარიყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი ამ შეხედულებათა გამო იგნორირებულ იქნა. კარლ ჰაუსკოფერის შვილისთვის ფიურერის ეს შთაბეჯდილება ფარული არ ყოფილა. რ. პესის გაფრენის შემდეგ, 1941 წლის 12 მაისს, ა. ჰაუსკოფერი გესტაპოში გამოიძახეს და უბრძანეს ამ საკითხის ირგვლივ ახსნა-განმარტებითი ბარათი დაეწერა. ალბრეხტი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. მას პესის სახით მფარველი აღარ ყავდა, ამიტომ გადაწყვიტა, საკუთარი თავის დაცვა თავად აელო ხელთ. მან აწონ-დაწონა შექმნილი ვითარების სირთულე და ახსნა-განმარტებით ბარათს დაურთო ყველა იმ პირთა სია, ვისაც ის იცნობდა ინგლისში. პირველ რიგში, მან დაასახელა პერცოგი ჰამილტონი – ჰარლამენტის წევრი, ლორდი დანგლასი* – პრემიერ-მინისტრის პირადი საპარლამენტო მდივანი, ავიაციის მინისტრის მოადგილე ბალფური, განათლების მინისტრის მოადგილე ლინდსეი (ნაციონალ-ლიბერალი), შოტლანდიის საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიდერბარნი. ამასთან, ალბრეხტმა აღნიშნა, რომ აქ ჩამოთვლილ ადამიანებს ახლო კავშირი ქონდა სასამართლოსთან და სამეფო კართან. ჰამილტონის უმცროსი ძმა თავისი მეუღლის მეშვეობით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ინგლისის დედოფალთან. თვით ჰამილტონის სიდედრი - პერცოგინია ნორთუმბერლენდი სამეფო კარის გარდერობის ხელმძღვანელი ყოფილა, ხოლო პერცოგის სიძე - ლორდი იუსტას პერსი, რამდენჯერმე მინისტრი, კონსერვატიული პარტიის გავლენიანი წევრი და ინგლისში ცნობილი პირი გახლდათ. ამავე ჯგუფს, ა. ჰაუსკოფერის თქმით, ახლო კონტაქტები ქონდა ძველ კონსერვატორებთან – სტენლების ცნობილ ოჯახთან: ოლივერ სტენლთან, ლორდ დერბისთან; აგრეთვე გაზეთ „თაიმსის“ მფლობელ

* ლორდი დანგლასი-ინგლისის მომავალი პრემიერ-მინისტრი

ასტორებთან. ამათგან, ოჯახის უფროსი მინისტრის მოადგილე ყოფილა, ხოლო შვილი ერთხანს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შემდეგ კი მადრიდში ინგლისის ელჩის, სერ სამოელ პორის პირადი საპარლამენტო მდივანი. დასახელებულ პირთაგან ასევე მოიხსენიებიან: ლორდი ლოთიანი, აშშ-ში ინგლისის ელჩი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ლორდმა პალიფაქსმა შეცვალა. სტრენგი - ფორინ ოფისის ცენტრალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც 1939 წლის ზაფხულში ინგლისის დელეგაციას ხელმძღვანელობდა მოსკოვში, ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებებზე. ო' მეილი - ელჩი უნგრეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის ყოფილი მეთაური. ასევე, მან დაასახელა საერთაშორისო წითელი ჯვრის ვიცე-პრეზიდენტი და ერთა ლიგის კომისარი დანციგში - პროფესორი კარლ ბურკჰარდტი.

ა. პაუსკოფერმა დასახელებულ გავლენიან პირთა ნაცნობობით თავისებური დამცავი ზოლი შექმნა, პიტლერისაგან მოსალოდნელი რისხვის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, მან ფიურერს თავისი სარგებლიანობის შესაძლებლობა მიაწოდა. პერცოგ პამილტონთან ალბრეხტის პირადი კონტაქტები, მისავე უსაფრთხოების გარანტიად იქცა გერმანიაში იმ მოტივით, რომ ჯერ კიდევ რჩებოდა იმედი პესის ინგლისელებისაგან გამოთავისუფლებისა. სწორედ, ეს მიზეზი საფუძვლად დაედო ალბრეხტის ციხიდან გათავისუფლებას, რაც მისი დაპატიმრებიდან უმოკლეს დროში განხორციელდა. ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, ნაცისტურ გერმანიაში გაკვირვებას თვით ზედა ეშელონებშიც გამოთქვამდნენ, მაგრამ 1944 წელს, როდესაც ფიურერს პესის გათავისუფლების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ა. პაუსკოფერი კვლავ დაპატიმრეს და მოაბიტის ციხეში ჩასვეს. მეორე მსოფლიო

ომის დასასრულამდე, ის პიტლერის ბრძანებით დახვრიტეს. მიუხედავად იმისა, რომ რ. ჰესმა ინგლისში გაფრენამდე დატოვა წერილი, რომელიც მიზნად ისახავდა ა. პაუსპოფერის ხელშეუხებლობას, წერილმა ამ პიროვნების უდანაშაულობის პრეზუმაციის უზრუნველყოფა ვერ შეძლო. ა. პაუსპოფერთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ჰერცოგი პამილტონი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მის რენომეს ჩრდილი მიადგა დიდ ბრიტანეთში და ჰერცოგი თავისებურად განიცდიდა ამას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არასდროს დამდგარა. პრემიერ-მინისტრი, უინსტონ ჩერჩილი ყოველთვის ცდილობდა ჰერცოგის რეაბილიტაციას საზოგადოების თვალში იმ დღეებში, როცა პარლამენტში ცხარე დისკუსიები იმართებოდა პამილტონის ამ გაფრენაში მონაწილეობის შესახებ. ავიაციის მინისტრს, სერ არჩილბად სინკლერს უცდია ჰერცოგის გამართლება და ამ მიზნით აღუნიშნავს, რომ ის არასოდეს არ შეხვედრია ფიურერის მოადგილეს. მით უფრო არანაირი მიმოწერა არ ქონდაო მასთან. მტკიცებულებად კი გამოიყენა ფაქტი, როდესაც პამილტონი უკვე დაპატიმრებულ რ. ჰესს შეხვდა მერიჟილის ბარაკებში, გლაზგოში, ჰერცოგმა ვერც კი იცნოო ჰესი. „მე არ ვიცი, მისწერა თუ არა ჰესმა წერილი პამილტონს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მსგავსი წერილი პამილტონს არ მიუღია, ისევე როგორც რომელიმე პასუხისმგებელ პირს ამ ქვეყანაში”[10,396].

როგორც ცნობილია, შოტლანდიის მიწაზე პარაშუტით დაშვების შემდეგ, ფიურერის მოადგილემ თავი ალფრედ ჰორნად წარადგინა. პირველი კაცი, ვისაც რ. ჰესმა „სიმართლე ამცნო” ჰერცოგი პამილტონი იყო, როდესაც ჰერცოგმა უარი განაცხადა ჰესის ნაცნობობაზე ამ უკანასკნელმა აჩვენა ფოტოსურათი, სადაც გამოსახული იყო რუდოლფი თავის 3 წლის შვილთან, ვოლფ

რიუდიგერთან. ჰამილტონმა დახედა სურათს და თქვა: „მე ვხედავ, რომ ეს კაცი თქვენ ხართ, მაგრამ მე არ ვიცი, არის თუ არა ეს ფიურერის მოადგილე”[7,178]. ამ პასუხმა პესი იმდენად გააოგნა ლამის რწმენა დაკარგა, მისი აქ ჩამოსვლის მიზნის მიღწევის საქმეში. შეიძლება ეს მომენტი ჩაითვალოს მისი უიმედობის პირველ გამოვლინებად ჰამილტონის სამშობლოში. მაგრამ უფრო დიდი უიმედობა წინ ელოდებოდა, როდესაც გეგმა მისი სამშვიდობო შემოთავაზებისა რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. ლონდონი და მიმდებარე ქალაქები, სწორედ, მისი ჩამოფრენის დამეს დაიბომბა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ინგლის თავს დატეხილი უბედურება გამოყენებულიყო ამ ორ ქვეყანას შორის, ომის შეწყვეტის საბაბად და გერმანელების მიერ მიყენებული უზარმაზარი ზარალის ფონზე, მოკავშირეობის ხელი გამოეწოდა დიდ ბრიტანეთს გერმანიასთან ბრძოლის შეწყვეტის მიზნით. სერ არჩილბად სინკლერს ინფორმაციის მინისტრის, დაფ კუპერის მისამართით პარლამენტი საყვედური გამოუთქვამს, როგორ გაჟონაო პრესაში ცნობამ ჰამილტონ - პესის ნაცნობობის შესახებ. როგორც ირკვევა, საქმის გადაბრალებას დაფ კუპერის მოადგილეზე, უოლტერ მონკტონზე ცდილობდნენ, რომელიც ერთ დროს ცნობილი მზვერავი ყოფილა. მაგრამ მონკტონის დირსება დაიცვა ლორდმა სვინტონმა, უშიშროების საკორდინაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ყოფილმა ავიაციის მინისტრმა. როგორც ჩანს, გართულებული სიტუაციით ისარგებლა ინგლისში კომუნისტურმა პარტიამ და ივნისის თვის ბროშურაში გამოაქვეყნა სტატია, პერცოგი ჰამილტონის ბრალდების წაყენების მოთხოვნით. როგორც უ. ჩერჩილის არქივიდან ირკვევა, ეს ბროშურა პერცოგს გადასცეს მგზავრობისას[1,7], რამაც ამ უკანასკნელის აღშფოთება გამოიწვია. სასამართლოში სარჩელის აღმდების შემთხვევაში, ჰამილტონი ფიქრობდა თავის დირსების

დაცვას, მაგრამ პრემიერ-მინისტრი კატეგორიული წინააღმდეგი აღმოჩნდა. იგეგმებოდა რუდოლფ ჰესის სასამართლოში მოწმედ გამოძახების ან საკანში მისი დაკითხვის მცდელობა, ამან კი უინსტონ ჩერჩილის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. „არავინ იცის, რას იტყვის იგი ჯვარედინი დაკითხვის პროცესში”[1,12]. ამასთან, ჰერცოგს ურჩია გამოეტანა თავისი სარჩელი სასამართლოდან, რაც საბოლოოდ დაკმაყოფილებულ იქნა. ისმის კითხვა: რატომ მალავდა ჰერცოგი ჰესთან ნაცნობობას ასე გულდაგულ? რას აძლევდა ეს ჰესს ან რას კარგავდა ამით ჰერცოგი ჰამილტონი? ჰამილტონმა თავისი ბერლინში ყოფნით, ერთგვარი სოლიდარობა უსიტყვოდ გამოუცხადა ნაცისტებს, მიიღო რა მათი მოწვევა, ხოლო რ. ჰესთან საღამოს გამართულ ვახშამზე მისვლით, ხაზი გაუსვა პირად დაინტერესებას ნაცისტებისადმი. როგორც ჩანს, მას არ სძულდა ფაშისტი გერმანელები და ამის დასტურია, მისი ალბრეხტ ჰაუსჰოფერთან მეგობრობა, რომლის მამის იდეები მაინ კამპფის ძირითადი დებულებებია. უ. ჩერჩილის მემუარებიდან ვიტყობთ, რომ ჰერცოგმა მას ტელეფონით აცნობა ფიურერის მოადგილის შოტლანდიაში ჩამოფრენის ამბავი[4,32]. მეგობრის აგარაკზე მყოფი პრემიერ-მინისტრი კინოკომედიას უყურებდა ძმები მარქსების მონაწილეობით, მასთან მივიდა მდივანი და ამცნო რომ ტელეფონთან ჰერცოგი ჰამილტონი სთხოვდა. არსებობს განსხვავებული ვერსია. ჰერცოგი პირადად წავიდა ჩერჩილის აგარაკზე და პირისპირ ამცნო ჰესის ჩამოფრენის ამბავი. მათ საუბარს ავიაციის მინისტრი, სერ არჩილბად სინკლერიც დასწრებია. როგორც ირკვევა, ჩერჩილს უთქვამს არავინ მისესხოს რუდოლფ ჰესი, მე მივდივარ ძმები მარქსების სანახავად და შეუერთდა გვერდით ოთახში მომლოდინე სტუმრებს ფილმის სანახავად. ეს ხდება იმ დროს, როცა ლონდონი მასიურად იბომბებოდა ნაცისტური გერმანიის მხრიდან. როგორც

ჩერჩილი იხსენებს, ის უძლური იყო იმ დამეს რამე გაეკეთებია. მაშინ როდესაც მისი თანამოქალაქენი იხოცებოდნენ, როცა მისი ქვეყნის ათასობით გაუბედურებული ადამიანი შველას ითხოვდა, პრემიერ-მინისტრი გუნება-განწყობის გაუმჯობესებისაკენ ისწრაფვოდა. შესაძლებელია, ერთის მხრივ, მან ხაზი არ გაუსვა ჰესის ჩამოფრენის მნიშვნელობას, ხოლო მეორეს მხრივ უძლური იყო რამე არსებითი გაეკეთებია. როდესაც წინააღმდეგობა საკუთარ ძალებს აღემატება, მისი დაძლევის სურვილიც ნელდება. ამ დროს, ადგილი აქვს სიმშვიდის უჩვეულო გამოვლინებას, რასაც პრემიერ-მინისტრის შემთხვევაში ქონდა ადგილი. პროცესის გახანგრძლივებისას ხდება ძალების კონცენტრირება, რაც ხელს უწყობს უნარის გამომუშავებას გაუმკლავდე თავს დატეხილ პრობლემას. სიმშვიდის დაუფლებისას ენერგიის დაზოგვაც ხდება, მაგრამ როცა პასუხობ წინააღმდეგობაზე მაშინ, როცა ვერ უმკლავდები, ძალების ფუჭი ხარჯვით ორმაგად ზიანდება ფსიქიკა, უღონო ხდები წინააღმდეგობის გაწევის დროს, სასურველი შედეგის მიუღებლობის გამო. როცა მარცხის გაანალიზება ხდება, უმჯობესია შესაფერის სიტუაციას დაელოდო. მანამ კი შეინარჩუნო ის პოზიცია, რაც დამარცხებამდე გეჭირა. პრემიერ-მინისტრის ქმედება გონიერებას მოკლებული როდი გახლდათ. ის რიგითი ადამიანის მსგავსად, მწუხარებას ვერ მიეცემოდა. მისი პიროვნული სიმტკიცე გადამწყვეტი იყო, რათა არ გატეხილიყო საზოგადოება. ამასთან, მას არ სურდა ოპოზიციის რიგები გაეძლიერებია თავისი უკომპრომისო გადაწყვეტილებით. პერცოგთან შესაძლო დაპირისპირება პრემიერ-მინისტრს ჩრდილში არ დატოვებდა. ომის დროს, პერცოგი - ჩერჩილის შესაძლებელი დაპირისპირების წარმოჩენა გამოიწვევდა, არა მხოლოდ პერცოგის რეტროსპექტიულ განქიქებას, არამედ უ. ჩერჩილის ავტორიტეტულ რყევას. ომის

პერიოდში, მოსახლეობაში უარყოფითი მუხტის შეტანა არასასურველი იყო. ლონდონში და მიმდებარე ქალაქებში მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ათასობით იყო. დედაქალაქი ცეცხლის აღში გახვეულიყო. დანგრეული და განადგურებული შენობები, ადამიანთა სახლები იწვოდა, ხოლო უსახლკაროდ დარჩენილი და სიკვდილს გადარჩენილნი შველას ითხოვდნენ. მთავრობაში ნამდვილად არ იყო ურთიერთდაპირისპირებისა და ერთმანეთის მიმართ პოზიციების გარკვევის დრო. განა, პესის ინგლისში ჩაფრენა თავისთავად არ ისახავდა სამოქალაქო ბუნტს, რომლის მიზანიც პრემიერ-მინისტრის გადაყენება უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით, შპანდაუს ციხის პატიმარი ფიურერის ყოფილი მოადგილე ციხის ამერიკელ კომენდატან, იუჯინ ბიორდთან იტყვის: „როგორ მეგონა, რომ ჩემი ინგლისში ჩასვლით ჩერჩილის გადაყენებას მივაღწევდი, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა”[3, 71]. პარლამენტში პერცოგის მისამართით მწვავე დებატები შედგა, რომელიც მიზნად ისახავდა სიმართლის დადგენას, მაგრამ უშედეგოდ. ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია მოვიშველიოთ შემდეგი გამონათქვამი: პოლიტიკოსებისგან სულ ერთია სიმართლეს ვერ დაადგენ, რადგან ბავშვობიდანვე ყველა დილზე არიან შეკრულნიო. თუ პერცოგი პამილტონი 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადაზე ყოფნისას, გერმანიის სამხედრო ტექნიკის ზრდის როგორობით იყო დაინტერესებული, მისი ინტერესის სფეროში ამავე ქვეყნის მაღალი პირებიც შევიდოდნენ. ფაშისტები მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყურადღების ცენტრში ექცევდა. მათ მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ უ. ჩერჩილის წინამორბედი პრემიერ-მინისტრიც ნ. ჩემპერლენი თავისებურ ორბიტაში მოაქცია, რომელმაც იმსანად სხვა ძალა ვერ ირწმუნა, გარდა პიტლერისა. მისი გონება პიტლერის ყოვლისშემძლე ტალღას

იმდენად დაუფარა, რომ საკუთარი ენერგიის მოზღვავებას ვერ გრძნობდა, მისი შექცევითი ხასიათის გამო. მას უკან მიჰქონდა თავისი ენერგია და ივსებოდა ახლით, მაგრამ ეს არ იყო მისი. ან იმდენად შემოიჭრა მასში ახალი, მისდა უნებურად გაქრა ძველი. ამ ფაქტორმა მასში შიშის სინდრომის დაძლევა გამოიწვია, რომელსაც 6. ჩემბერლენი ფლობდა საპაერო ფრენის მიმართ. გარედან შემოჭრილმა სხვა ენერგიამ ის მასზე დამოკიდებული გახადა და შთაუნერგა რწმენა, შინაგანი სიახლის აღტკინების მოთხოვნით. ეს იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომც დაეძლია ვერ დაფარავდა, რამეთუ სამისო მუხტი მას არ ქონდა. რაიმეს დაფარვას ძალა სჭირდება, რადგან ცდილობ. მაგრამ როცა გონება წამახალისებელი ძალისხმევით ივსება, პირველ ადგილზე გადმოინაცვლებს განცდები.

71 წლის პრემიერ-მინისტრი პირველად ჯდება თვითმფრინავში და მიფრინავს პიტლერთან შესახვედრად ბერხტესკადენში. ფიურერის პაციენტურმა განწყობამ იმდენად შეავსო შიშით გამოწვეული ვაკუუმი, რომ ჩემბერლენის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ეს იყო მისი სულიერი გამოღვიძების აკორდი. ცვლილებათა ალგორითმი როდია მარტივად აღსაქმელი. წლების მატებასთან ერთად აზროვნების შიგთავსში გამოკვეთილი შესაძლებლობების მოდუნება ხდება. პიტლერმა თავისი აქტიურობით ჩემბერლენში დადებითი მუხტი შეიტანა. ამას გრძნობდა როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე პიტლერიც. ვინც ადამიანურ გრძნობებზე მაღლა დგას, ცხოვრებაში ერთხელ მაინც აღმოჩნდება ადამიანური განცდების გავლენის ქვეშ, რადგან ეს მას კმაყოფილებას სძენს როგორც მოკვდავს. დიდი ბრიტანეთის საპაერო ძალების ხელმძღვანელი ჰერცოგი ჰამილტონიც მოკვდავი იყო. ის ქვეყნის სამსახურში იდგა, მაგრამ როცა საუბარია ქვეყნის ინტერესებზე გადაწყვეტილებებს საკუთარი გონების ხარჯზე იღებ, რადგან

ამგვარად აზროვნებ. ქვეყნის კეთილდღეობისათვის ამოდიხარ იმ შეხედულებებიდან, რაც ყალიბდება მეტწილ საკუთარი აზრების საფუძველზე. ქვეყნის შიგნით პოზიცია-ოპოზიციის არსებობა მეტყველებს ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული პოზიციების ფიქსირებას. ეს თავისთავად სათავეს იღებს პიროვნების სუბორდინაციის მკეთრად გამოხატული სხვაობიდან. ადამიანები ერთმანეთს არ გავს, მათ შეიძლება რაღაც აერთიანებდეთ ან რამე ქონდეთ საერთო. მაგრამ მოცემულ კონკრეტულ მომენტში ჩვენ მხოლოდ საწყისის ძიებას კი არ ვიწყებთ, არამედ ნათქვამის მიხედვით შესაბამის დამოკიდებულებას ვადგენთ. არაადექვატური შეხედულებების ფონზე შეპირისპირების გარდაუვალი მეტაფაზა იკვეთება. ადამიანი ყალიბდება საკუთარი გამოცდილების ფასად და საზოგადოებასთან მათი ურთიერთობის ეს მხარე ზოგჯერ არსებითია, ზოგჯერ ფამილიარული. საზოგადოების ნება პიროვნების შეგნებას არ უნდა დაუპირისპირდეს. ეს გამოიწვევს გარდატეხის კვალიფიკაციურ კოორდინაციას და სერიოზულ ცვლილებებს შეხედულებათა კვლავწარმოების პროდუქტში. აზრების რეგულირება უნდა მოხდეს ბუნებრივად, მაგრამ როცა საქმე გვაქვს ხელოვნურ მცდელობასთან, ამაშიც ცუდი არაფერია. ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდი გამოიმუშავებს ნებისყოფას და გარე ფაქტორების ხარჯზე ხდება მისი სინთეზი შინაგანი გამოვლინებების მეტაფაზებთან. ესაა მზარდი აღქმის საკითხი, რომლის ნიველირება კონკრეტულ ქმედებებთან შეუძლებელია, რადგან არსებობს ხარისხი და რაოდენობა. რაოდენობის ექვივალენტი არათანაბრობის სიმპტომს გამორიცხავს. აქეე ჩნდება თვისობრიობა, რომელშიც რაოდენობას გადავყავართ. თვისობრიობა საკუთრებასთან ასოცირდება, რომელსაც გამოიმუშავებს ინდივიდი დაგროვილი ენერგიის მიხედვით. ხდება ხარისხის „აკლიმატიზაცია“ შეძენის ხარჯზე და

რაოდენობის „კრემაცია” გაცემის ფასად. დროთა განმავლობაში ერთფეროვანი პასაუები იჩენს თავს და მათდამი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩნდება. თუ წარსულში დაუოკებლად ვესწრაფვით, დღეს ვესწრაფვით დაუოკებლობის გარეშე, ხვალ კი ეს სწრაფვაც შენელდება. „ხვალ” დაძველდება ის, რაც „დღეს” ახალია. ამიტომ წამოცდა ერთ რუს მცველს შპანდაუს ციხეში რ. ჰესის მისამართით. „რა მოსაწყენი ბუზღუნა ბერიკაციაო”, რადგან მას ხშირად ხედავდა და მისგან ყოველთვის ერთი და იმავეს ისმენდა. არადა ფიურერის მოადგილის ნახვა თავისთავად იყო ისტორიული მოვლენა. ფიურერის მოადგილე თავისი არსებობით თავად ქმნიდა ახალ ისტორიულ თავებს. მსოფლიო ისტორია ხომ გამოჩატულების ნიშან-თვისება არ ფიგურირებდა. მათ არსებაში იდო ერთადერთი საერთო – საერთ საქმისადმი ლტოლვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების ასპექტში. ორივე განსხვავებული მენტალიტეტის და სუბიექტური ლირებულებების მქონეა. აქედან გამომდინარე, ეს ორი პიროვნებაში ყოველთვის უცხონი დარჩებოდნენ ერთმანეთის მიმართ, რადგან მათ შორის რაიმე სახის მსგავსება არ იკვეთებოდა. ჰერცოგი ჰამილტონი ინგლისელი არისტოკრატისათვის დამახასიათებელი ცივი გონიერისა და სუფთა გულის მფლობელი იყო. მასში გრძნობების გაუონვა, აღტკინებული სურვილების და შემართების პოვნა შეუძლებელია, იმდენად გაწონასწორებული კაცის იერს ტოვებს იგი. მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავთ გარდა სკეპტიკური, ცივი დამოკიდებულებისა, რაც თავის მხრივ ჰერცოგს გრაციოზულობას სძენს და ერთობ მიუწვდომელს ხდის. რაც მიუწვდომელია, ის იდუმალებითაა მოსილი. იდუმალება კი ინტერესს აღძრავს მასში, ვისაც ამის დანახვა შეუძლია. იბადება სურვილი ჩაწვდე და

შეიმუცნო, გარკვევით ამოიცნო სად გადის მისი პიროვნული დიაპაზონის ზღვარი, მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსი თუ ასეთი მას გააჩნია. სხვისი იდების განსაზღვრა რთულია, რადგან დროთა განმავლობაში იდეათა კლასიფიკაცია ხდება: რთულდება და მარტივდება.

რუდოლფ ჰესი სულ სხვა გონებისა და გრძნობების კაცი იყო. მას დიდი სიხარულიც შეეძლო, დიდი სიყვარული და დიდი მწუხარებაც. ის აღმერთებდა იმ შეგრძნებებს, რომლისგანაც მან ცალკე სამყარო შექმნა. ის ძალიან მგრძნობიარე კაცის იერსახის მატარებელია, მიუხედავად მისი პოლიტიკური საქმიანობისა. რ. ჰესი კონტრასტული ბუნების ადამიანი იყო. მასში ერთმანეთს ებრძოდა სინდისი და თავისუფლება, სიტყვა და საქმე, სიყვარული და თავდადება. როდესაც უკვე ინგლისში მყოფმა რუდოლფმა ჰამილტონის პასუხი მოისმინა, რომ ის ფიურერის მოადგილეს არასოდეს შეხვედრია, გაკვირვებით წარმოთქვა: მე ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდიო. სხვაგვარად, ის ამას არასოდეს გააკეთებდა, რაც მასში არ იდო არ მოელოდა სხვაშიც. ამ შემთხვევაში, მისი შეცდომა წინდაუხედაობა კი არ იყო, არამედ ჰამილტონის პიროვნების სათანადოდ ვერ შესწავლა. რ. ჰესი დაკმაყოფილდა იმით, რომ ალბრეხტს ჰერცოგთან კარგი მეგობრობა აკავშირებდა და ყურადღება მხოლოდ მის პოლიტიკურ კარიერაზე გადაიტანა. მოხდა სრულიად საპირისპირო, ჰამილტონის პიროვნებამ ის გააოგნა, იმდენად მოულოდნელ სახასიათო მანევრს წააწყდა მასში. მის წინ ჰამილტონის სახით სრულიად „უცნობი“ კაცი იდგა. მაგრამ ჰერცოგის მონაწილეობას რ. ჰესის მისიაში, მრავალი ასპექტი გააჩნდა გარდა პიროვნულისა. ამ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება ორი ვერსია: 1) თუ ჰერცოგი ჰამილტონი პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის გვერდის ავლით მოქმედებდა და ფიურერის

მოადგილეს ის სურდა გამოეყენებია შუამავლად ინგლისის მონარქთან, მაშინ საქმის კურსში ყოფილა მეფე გეორგ VI. 2) თუ პამილტონი დაზვერვის ეგიდით მოქმედებდა, მაშინ პესის გაფრენის საკითხში ჩახედილი უნდა ყოფილიყო თვით პრემიერ-მინისტრიც, რომლის უკან ინგლისის დაზვერვა იდგა. ორივე შესაძლებელ შემთხვევაში პერცოგი რ. პესის მისიაში გარეული აღმოჩნდა. ამდენად, ის ეჭვმიტანილთა სიაში ფიქსირდება.

დასკვნები

ადოლფ ჰიტლერის მოადგილის ინგლისში გაფრენის მიღმა პოლიტიკოსების უილბლო „ტანდემი” იმაღება. ინგლისში რ. ჰესის გაფრენის ფუნქციონალური დანიშნულება, თვით ამ მისის მოტივების შექმნა-წარმოქმნაში არის საძიებელი. მოტივების სიმრავლე ცხადყოფს გაფრენისათვის სერიოზულ მზადებას არც თუ ხანმოკლე დროის განმავლობაში.

მაშასადამე, „შეურაცხადი ნაცისტის” „იმპულსური გადაწყვეტილება”, როგორც თავად ჰიტლერმა და მისმა გარემოცვამ აღნიშნა გერმანიის საგარეო საქმეთა კომუნიკეში, ლა-მანშის სრუტის გადალახვის მიზეზი ვერ გახდებოდა. ეს საკითხი უთუოდ სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. კვლევის თეორიულ ფონზე, ამ ექსტრავაგანტური მისის შემეცნების საკითხი გაფრენის პერმანენტული შიგთავსია, რომლის ირგვლივ წამოჭრილი სადაც საკითხების დარეგულირება ვერბალური გააზრების შედეგია.

რ. ჰესის ინგლისში გაფრენა ზავის დადების მოტივით იყო განპირობებული, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, გერმანიისათვის ზურგის გამაგრების მიზნით. ფიურერის მოადგილეს ან დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობა, ან ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტი უნდა უზრუნველყო. ორ ფრონტზე ომის აცილების საშიშროებით ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის უსაფრთხოების გარანტი იქმნებოდა. დეზავიურებული ინგლისი ჰიტლერის აღმოსავლეთის კამპანიის წარმატებით განხორციელების უდაო შანს იძლეოდა. მაგრამ კონსენსუსი დასავლეთ ევროპის ამ ორ „ნორდულ ქვეყანას” შორის, შეუძლებელი აღმოჩნდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის დუმილმა ფიურერის ოფიციალურ

შეთავაზებაზე დაზავების შესახებ, პიტლერის რევანშისტული განწყობის მორიგი ზრდა გამოიწვია. „დაშინების ანუ შანტაჟის პოლიტიკა” – აი, რა იდო ფიურერის ინგლისთან ომის წამოწყებაში, ლონდონზე საპატიო მასირებული თავდასხმების განხორციელებაში. პიტლერის ავანტიურისტული პოლიტიკა ლობირებდა მისი თვალთახედვის დიაპაზონს, სადაც ინგლისთან ზავის დადების პერსპექტივა ისახებოდა. ზავის იდეა ჯერ კიდევ საფრანგეთის კამპანიის წარმატებით დასრულების დღეს გაჩნდა და აქედან მოყოლებული თეორიულად მუშავდებოდა და პრაქტიკულად ისინჯებოდა.

რ. პესის მსაზღვრელობითი ბუნება გაფრენის ორგანიზებისა და მისი სისრულეში მოყვანის ექვივალენტს კარგად მოერგო. ინგლისგერმანიის დაზავება იმდენად სერიოზულ ჭრილში განიხილებოდა, რომ აუცილებლად დიდი წონისა და გავლენის კაცი უნდა წასულიყო, ის ვინც ფიურერის სახელით ისაუბრებდა. როგორც ცნობილია, პიტლერმა თავისი აზრები მთელს გერმანიაში ყველაზე უახლოეს ადამიანს და პარტიულ აპარატში მოადგილის თანამდებობრივი სტატუსით აღჭურვილ რ. პესს გაანდო. დიალოგის პროცესში, ეს უკანასკნელი ფიურერს ინგლისში თავისი გაფრენის იდეას შესთავაზებს, რასაც პიტლერის მხრიდან განრისხების დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყვება. იმ წუთებში, რ. პესმა თავისი დაღონებული ფიურერის სიამოვნების გამო გამოთქვა ინგლისში წასვლის მზადყოფნა, რის შემდეგ მასში ამ ჩანაფიქრის განხორციელების რეალური შანსები დღითი-დღე იზრდებოდა. კარლ პაულოფერთან დაახლოებით 7 საათიანმა საუბარმა ალპებში, მას გადაწყვეტილება საბოლოოდ მიაღებინა. მაშასადამე, პესის გაფრენის საკითხში დიდი როლი შეასრულეს მამა-შვილმა პაუსპოფერებმა, რომლებმაც შედეგი საკუთარი შეხედულებისამებრ გათვალეს. ისინი

მისიის წარმატებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ამ შემთხვევაში ო. ჰესი გახდებოდა დიდი რეპუტაციის მქონე, ვისაც საერთაშორისო გამოხმაურება ექნებოდა. სწორედ, ამის შემდეგ შეძლებდნენ ჰაუსკოფერები თავისი გეგმის სისრულეში მოყვანას – ჰესის გაპირველკაცების შესახებ. ჰიტლერმა ბარბაროსული გზით გადაჭრა ებრაელთა საკითხი. ჰაუსკოფერების ოჯახი კი ებრაელების სისხლით ნათესავები იყვნენ. გავიხსენოთ, რას ამბობს კ. ჰაუსკოფერი ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე: ჩემი იდეაბი ჰიტლერმა ვერასოდეს ვერ გაიგოო. ჰესი კი ერთადერთი იყო, ვინც ებრაელების განადგურებამ გულის სიღრმემდე შეძრა. ის იქნებოდა პირველი ნაცისტთაგან, ვინც ამ საკითხს ამ გზით არ გადაჭრიდა, თუნდაც იმიტომ რომ მასზე კ. ჰაუსკოფერის გავლენა დიდი იყო.

ინგლისში სამხედრო პატიმრის ამპლუაში მყოფ ჰესს, ბივერბრუკის შეკითხვაზე: „გქონდათ თუ არა წარმატების იმედიო” – გასცინებია, რადგან კითხვა ძალიან უსუსური მოეჩვენა და უთქვამს: „სხვაგვარად როგორ გამოვფრინდებოდიო”[20,45]. გაფრენის წინა მოსამზადებელმა სამუშაოებმა, – გათვლილს ინგლისში არსებული ე.წ. „მშვიდობის პარტიის” წევრებთან დაკავშირებისა და ჰერცოგი ჰამილტონის საშუალებით ინგლისის მეფესთან შეღწევის მცდელობაზე, – დიდი რეზონანსი გამოიწვია. რ. ჰესის წარმოსახვაში გამოკვეთილი აზრების ინერციული სტაბილიზაციით სვლამ, მისი მხრიდან, ინგლისში გაფრენის ყოფილის ყველა ნიუანსი გაანადგურა. ნაცისტები ჰერცოგს ამ მისიაში პოზიტიურ როლს აკუთვნებდნენ. მას უნდა უზრუნველყო მისიის მშვიდობიანი დაგვირგვინება და ფიურერის მოადგილის უვნებლობა. თუმცა ხელშეუგალობით რ. ჰესი ინგლისში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სარგებლობდა, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა პომეოპათიურ და სამედიცინო საშუალებებს გამოყენებულს მისი ჰალუცინაციების დასადგენად და გარკვეული

მოსაზრების გამო, მისთვის სამხედრო ცნობების გამოძალვისათვის. მაშინ როდესაც, ყოფილი ნაცისტი დიქტატორები შპანდაუს საპურობილები გონებრივი დისკრედიტაციის საწყის სტადიაზე იმყოფებოდნენ, რ. ჰესი სრული ინდიფერენტიზმით გამოირჩეოდა. ტვინის მყესეული დევალვაცია გონების ევოლუციის უმაღლეს სტადიაზე შესაძლებელია, მაგრამ ჰესთან ამნეზიის ჩვეული ფორმით გამოვლენა არ დასტურდება. ჰალუცინაციების დიდოსტატს ეს დიდებული ფანდი არა მარტო წარუმატებელი მისის შესანიდბავად დასჭირდა, არამედ ინგლისელებისათვის სამხედრო ინფორმაციების მიწოდებისაგან თავის არიდების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ რ. ჰესი მოდალატის ამპლუაში არ გვესახება, თუ არ ჩავთვლით ფიურერის რეპუტაციის შეულახაობის მოტივით ნაცისტების მიერ შეთითხნილ ვერსიას - გერმანიიდან მისი გაქცევის თაობაზე. რ. ჰესი ინგლისში თავისი ნებით გაფრინდა, მაგრამ საინტერესოა როგორ მოხდა ნების თანხვედრა ასეთი რეპუტაციის მქონე კაცთან. ალბათ, მისმა პიროვნულმა ასპექტებმა, დროთა განმავლობაში მიმართულება შეიძინა და წარმატების მოლოდინმა ეიფორიული გადაწყვეტილება მიაღებინა. მან გერმანია თავისი ნებით დატოვა, მაგრამ ამ ქვეყნიდან არ გაქცეულა. ჰიტლერმა სრული ფიასკო განიცადა რ. ჰესის დაკარგვის გამო. მისი მხრიდან მარცხით გამოწვეული სულიერი დრამის არაერთ გამოხატულებას ვაწყდებით. რ. ჰესის გაფრენაზე ჰიტლერის ცოდნის ფაქტი „ალბათობის თეორიის“ მსგავსად არსებობს, რომელზეც ალბერტ აინშტაინმა საკმაოდ მახვილგონივრულად შენიშნა: „ღმერთი კამათელს არ თამაშობს“. ეს საკითხი ჰიტლერისა და რ. ჰესის სულიერი იდენტიფიკაციის შესაბამისი კრიტერიუმების ჩანაცვლებას საჭიროებდა. მათი ახლო ფსიქოლოგიური მონაცემები მოცემულ საკითხზე ობიექტური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. თავშეკავების სინდრომი

დროებითია, რადგან ხშირად შინაგანი ნება რაიმეს დაფარვის საშუალებას არ იძლევა. ამ შემთხვევაში, ინსტიქტის ფაქტორის გათვალისწინება ყოფილი ყოველგვარ ფარგლებს სცილდება. მით უფრო, როცა ქვეყნის პირველი მეგობარი პირისათვის მსგავს ექსცესს აქვს ადგილი, შიშის და რიდის ფაქტორების აღრევა ხდება. ინდივიდში, რომელიც ამასთან ქვეყნის მეორე პირია, საიდუმლოს თქმის აუცილებლობის მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. მით უმეტეს, როცა საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს ეხება. ამდენად, პიტლერის არცოდნის ფაქტს ჰქონის გაფრენაზე გამოვრიცხავთ. მდგომარეობა ქმნის შეგნებას. რ. ჰქონის კარგად იცოდა, რომ ნაცისტურ იმპერიაში ემპირიულ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ფიურერი დებულობდა. ერთი წლის შემდეგ, ტაბუდადებულ ფრენაზე ჰქონისათვის ფიურერისგან დასტურის მიღება მარტო სიბრალულით არ იყო გამოწვეული. პიტლერი მოსალოდნელი გაფრენის წარმატებაში დაარწმუნება იმ დიპლომატიური არხების დამოწმებით, რომლებსაც რ. ჰქონი და ა. ჰაუსკოფერი იყენებდნენ ინგლისელ „დამყვავებლებთან“ საიდუმლო მოლაპარაკების დროს.

ავიაკონსტრუქტორის ვ. მესერშმიტისა და რ. ჰქონის ოჯახის პატიმრობის გარეშე დატოვების ფაქტორს რაც შეეხება, მას თავისი საეციფიკური დანიშნულება აქვს. ჰქონის მეუღლე ილზე პრიოლისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, ამ გაფრენაზე ფიურერის ცოდნის ფაქტს გვიდასტურებს, ხოლო მუსოლინთან მისი ატირება პიტლერის მძაფრ სინანულზე მიგვანიშნებს, ჰქონის ინგლისში გაფრენაზე დასტურის მიცემის გამო. პიტლერმა დაკარგა ჰქონი.

ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ანონიმური როლის განსაზღვრა თემის საკვლევი რესურსების ერთგვარ დანამატად იქცა. უ. ჩერჩილთან სტალინის „გულუბრყვილო“ აღიარებამ SIS-ის მიერ

პესის ინგლისში შეტყუების თაობაზე, პრემიერ-მინისტრის ფიურერის მოადგილის „პირად ტყვედ” ოფიციალურად გამოცხადების რეკორდი მოხსნა, რამდენადაც დაზვერვის ეს უწყება (MI5) ჩერჩილის უშუალო ინიციატივით მისავე დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ერთი მხრივ, რ. პესის ინგლისში შეტყუებით SIS-მა თავისი დაცემული პრესტიჟი აღიდგინა და ამასთან, შური იძია „ვენლოს ინციდენტი” მიუენებულ სამარცხვინო მარცხზე, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა შეძლო საკუთარი ძალების კონსოლიდაცია ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების მიმართ. მოახდინა რა მათი დაქსასვა, ამ ძალაზე დამოკიდებული გახადა. ამაზე შორს ის აღარ წასულა. უ. ჩერჩილმა შეძლო ოპოზიციონერი კოლეგების ამ საქმიდან მოხერხებულად გამოძევება, მათივე რეპუტაციის შეულახაობის მოტივით. ამავდროულად, ინგლის-გერმანიის გაცხარებული ომის დროს, ხელთ იგდო მესამე კაცი მესამე რაიხის იმპერიიდან – ესოდენ დიდი მონაპოვარი ომის დროს, საბრძოლო პროპაგანდის თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

საარქივო მასალები, დოკუმენტები

1. Great Britain. Public record office. Premier 3. 219/1 – 219/7 General correspondence. Political F. O. V. –VIII . Hess. 1941. [უ. ჩერჩილის არქივი]
2. Архив КГБ СССР. Дело – формуляр №205 66. Кличка - „Черная берта”. Рудольф Гесс Арх №28889.
3. Washington-National Archives File # C262-185
4. Documents in German foreign polisy (1918-1945) Series D, vol. XI. The War years, Semptember 1, 1940 – January 31 - 1941. Publisched H. M. S. O. (მიხედვით საბჭოთა სამართლების სტაციონალური ოფისის მიერ)

ლიტერატურა

1. სვანაძე ლ., პესის ინგლისში გაფრენის საიდუმლო, 1-2გ. ქუთაისი 2003 – 2005წ.წ.
2. Bird E. The Loneliest man in the world. L. 1974.
3. Bullok A. Hitler: A study in Tyranny N.Y. 1961.
4. Butler Lord, The Art of the possible. The memoirs of Lord Butler. L. 1971
5. Cadogan, the diaries of sir Alexander Cadogan. 1938-1945. L. 1973.
6. Galick E. Reinhard Heydrich. Schlusselfigur des Dritten Reiches. D. 1982.
7. Chiano's Diary. 1939-1943. London-Toronto, 1947.
8. „Chips”. The Diaries of sir Henry Channon. L. 1967.
9. Churchil W. S. The Second World War. vol.3, Boston, 1948 -1953.

10. Douglas-Hamilton, J. Motive for a mission. L. 1974.
11. Gabel Ch. Conversations interdites avec R. Hess. Paris, 1988.
12. Hassel u. The von Hassel Diaries. 1938-1944. L. 1948
13. Hess Ilse. Prisoner of Peace L. 1954.
14. Hess Wolf Rudiger – Mordan Rudolf Hess? Druffel, Leoni, 1989.
15. Hess Wolf Rudiger – My fater Rudolf Hess. W. H. Allen, 1986.
16. Hutton F. B. The Man and His Mission. L. 1970.
17. Eden A. The Reckoning. Memoirs, L. 1965
18. Irving. D. The missing yars 1941-1945, L. 1987
19. Khrushchev, Remembers L. 1971.
20. Kirkpatrick I. The inner circle. The Memoirs of Ivon Kirkpatrick, L. 1959.
21. Leasor J. Rudolf Hess. The uninvited Envoy. Alien etc. Univen, 1962.
22. Liddel Hart B. H. History of Second World War. L. 1970.
23. Ludecke Kurt. J knew Hitler. Tarrolds 1938
24. Nicolson H. Diaries and Letters. 1930-1962. 3v. Fantana Books, 1971.
25. Popov D. Spay, Counterspay. Veldenfeld, 1974.
26. Rees F. The case of Rudolf Hess. L. 1947.
27. Schellenberg W. The Schellenberg Memoirs. L. 1965.
28. Speer A. Inside the third Reich, L. 1971.
29. Speer A. Spandau. The Secret Diaries. N. Y. 1977.
30. Spier E. Focus. L. 1963.
31. Schirer W. The Rise and Fall of the Third Reich. L. 1964.
32. Schirer W. Berlin Diarry. 1934-1941. L. 1972.
33. Taylor A. J. P. English History. 1914-1945. L. 1973.
34. Thomas H. Murder of Rudolf Hess. L. 1979.
35. Thyssen F. I paid Hitler. L. 1941.
36. Балок А. „Гитлер и Сталин”, См. 1994.
37. Безименский А. Человек за спиной Гитлера. Мартин Борман и его

- дневник М. 1991.
38. Гвидо Кнопп. За спиной Гитлера. Психограммы. Минск, 2003
 39. Великие тайны Третьего Рейха. М. 2000
 39. Гальдер Ф. Военный Дневник. Зт. М. 1968-1971.
 40. Геббельс И. Последние Записи. Смоленск, 1993.
 41. Гейден К. История Германского Фашизма. М-Л. 1935
 42. Гитлер А. Моя Борьба. Перевод немецкого. Т-ОКО. 1992.
 43. Пэдфилд П. Рудольф Гесс Сподвижник Гитлера. См. 1998 (Original Padfield Hess the Furer's Disciple, L. 1991)

 44. Скорцени О. Секретные Задания. М.1993.
 45. Сергеев Ф. Таинные Операции Нацисткой Разведки. М.1991.
 46. Фест И. Адольф Гитлер. Зт. Пермь. 1993.
 47. Фишман Д. Семь узников Шпандау. Смоленск, 2001.
 48. Хаусхофер К. О Геополитике. М.2001.
 - 49.Шервуд Р. Рузвельт и Гопкинс. М. 1958.
 - 50.Шмидт Р. Переводчик Гитлера. Смоленск, 2001.
 - 51.Шпеер А. Воспоминания. М. 1997.
 52. Штрассер О. Гитлер и Я. Ростов-на дону. 1997.

წერილები, სტატიები, ინტერვიუები

1. სვანაძე ლ. ჰესის ნახტომი ნახევარი საუკუნის სამრეკლოდან „უქიმურიობი”. აპრილ-მაისი, 1990.

2. Бутков С. Не все пломбы сорваны. Расследования „КП”. „Комсомольская правда”. 12. 04. 1989.

3. Бутков С. Загадка узника Шпандау. „Комсомольская Правда”. 25. 03. 1989.

4. Волков Ф. Д. Неудавшийся прижок Рудольфа Гесса. АН СССР новая и новейшая история. Отдельный оттиск. М. 1968.
5. Гесс Вольф-Рудигер. Мой Отец пытался предотвратить 22 июня. Интервью корреспонденту газеты „Известия”. Зотову. „Известия“ 17 июня 2002. №110
6. Дмитриев Ю. Майоров Ю. Тихий нацист. „Труд“
7. Журавлев б. Берлин 22 июня. „Правда“ 06.04. 1991.
8. Криволапов А. Вопросы без ответа. „Известия“ 26. 09. 1987.
9. Мосс Б. Почему Рудольф Гесс должен оставаться в Шпандау. „За Рубежом“. №30 1974
10. Семенов Ю. Испанская встреча. „Неделя“. №№34-35 1976.
11. Царев О. Последний полет „Черной Берты“. Из архивов КГБ СССР.
12. Berry J. Hess-no innocent dupe. „Morning Star“ 24. 05. 1979.
13. Goote C. R. Should Hess is freed? „Sunday Telegrap.“ 28. 04. 1974.
14. Scott E. Was the real Hess shot down. „Morning Star“. 24. 05. 1979.

შინაარსი

შესავალი	1
საკითხის ისტორიული გრაფიკა	15
თავი I	
ა. პიტლერისა და რ. პესის სულიერი იდენტიფიკაციის განცდის მოტივები	37
თავი II	
ინგლისში გაფრენის მიზეზების ტიპოლოგიური ნიშნების დეტალური ანალიზი	82
თავი III	
დაზვერვის „ანონიმური“ ვარიაცია პოლიტიკური როლების ტელეოლოგიურ განზომილებაში	129
თავი IV	
პერცოგი პამილტონი და რუდოლფ პესი.	152
დასკვნები	186
ბიბლიოგრაფია	195

